

გიორგი ყუფარაძე

უანალოგო პოლიტიკონომია

წიგნში მოცემულია ორიგინალური აზრები პოლიტიკაში,
ეკონომიკაში სხვადასხვა გაანგარიშებებით, სიახლეებით,
რომელთაგან უმრავლესობას ქვეყნების მართვის
ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია

თბილისი
2009 წ.

UDC (შპ)330

ჟ-981

გიორგი ყუფარაძე
უანალოგო პოლიტიკონომია

წიგნის ავტორი თავისი მსოფლმხედველობით, მომდევნო საუკუნეებს ეხმაურება და მიაჩნია, ალრე თუ გვიან, წიგნში მოყვანილი პოლიტიკონომიური პოსტულატები რეალობად იქცევა.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ლელი ჭანტურია**

ISBN 978-9941-0-0016-4

© გ. ყუფარაძე
2009

წიგნი დაიბეჭდა და აიკინბა ფიზიკის ინსტიტუტის სტამბაში
გამომცემლობა „დავითი“
0177, თბილისი, თამარაშვილის 6

წინათქმა

გიორგი ყუფარაძის შემოქმედება მრავალმხრივია, მას ეკუთვნის სათავგადასავლო რომანები, პიესები, აფორიზმები, კომიქსები, კულინარია, სამეცნიერო შრომები, გამოგონებები, რომლებიც გამოირჩევიან თავისი ორიგინალობით და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობით, ხოლო უანალოგო პოლიტიკასა და ეკონომიკაში იგი გვთავაზობს ორიგინალურ ამრებს, ეკონომიკურ გაანგარიშებებს, გარკვეულ სიახლეებს, რომელთაგან ბევრს მსოფლიო ქვეყნების მართვის ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია.

წიგნის ავტორი თავისი მსოფლმხედველობით, ამროვნებით უდაოდ მომდევნო საუკუნეებს ეხმაურება და ეს წიგნი ამ მხრივაც არის საინტერესო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი რეალური მოსაზრებების გამოყენება დღეს არ შეიძლება, უბრალოდ ადამიანის ცნობიერება მის გონიერებაზე გვიან მწიფდება, თუ ქვეყანას სამართავად მოხერხებული პიროვნება არ მოეწვინება.

წიგნში გამოყენებულია ზოგიერთი ავტორისეული ნაწარმოებები: „მოქალაქე“ და „გაერთიანებული სამყაროს კონსტიტუცია დანახული XXII საუკუნის გადასახედიდან“ მონაცემები და პუბლიკაციები.

ავტორის მოსაზრებით პოლიტიკის ეკონომიკასთან შერწყმით და ორიგინალური ამროვნებით, მცდელობით შესაძლებელია: ქვეყნის ყველა მოქალაქემ მისი საქმიანობის და წარსულის მიუხედავად გადაიხადოს ყველა სახის გადასახადი იმგვარად, რომ არ შეწუხდეს, რადგან ეს ავტომატურად მოხდება. ქურდობა, განზრახ დანაშაულის ჩადენა გამოძალვის მიზნით ყველა შემთხვევაში წამგებიანი იქნება, რადგან კანონის დარღვევას გარკვეულ წილში სახელმწიფო „უჯდება“ და დანაშაულის ჩამდენს მისი მცდელობის მიუხედავად გადასახადს ახდევინებს, ამასთან სასჯელის მოხდის შემდგომ, მიყენებული ბარალის ანაზღაურებიდან ყოფილი მსჯავრდებული არ თავისუფლდება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში შემოსავლის 50% უნდა იხადოს სანამდის მიყენებულ ბარალს არ აანაზღაურებს, მათზე ამნისგია არ ვრცელდება.

გადასახადის გადამხდელი იხდის სამად-სამ გადასახადს: საერთო შემოსავლიდან 10% უძრავი ქონების 1% და აღზრდის გადასახადი მშობლებისთვის შემოსავლის 9%, რომელიც მშობლებს შვილის საბანკო ანგარიშიდან მექანიკურად გადაერიცხებათ.

აღებ-მიცემობაში ინერგება ორი სახის მომსახურება: საბანკო ბარათით და ნაღდ ფულზე. ნაღდ ფულზე შექმნილი ყველა ნავაჭრი ძვირდება 25%-ით, რათა არ მოხდეს უსაქონლო ოპერაციების ჩაგარება. ფულის უკუგორება, ქრთამის აღება.

მოქალაქეთა გადასახადის გადახდის ამ სისტემას ერთი სიკეთე ახასიათებს, თუ ფული მოძრაობს, მუშაობს, სახელმწიფოს ბიუჯეტში საკრედიტო ბარათიდან ირიცხება 10%, ხოლო ნაღდი ფულის მიმოქცევის შემთხვევაში 28%. თუ ფული გაყინულია, არ მუშაობს, ბანკები სარგებლობენ უფასო კრედიტით.

გადასახადს იხდის ქვეყნის ყველა მოქალაქე 14 წლის ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო ზოგიერთი გარდაცვალების შემდეგაც.

მოსარჩელე და მოპასუხე თუ შეთანხმდებიან, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლება შეიცვალოს ალტერნატიული სასჯელით: თავისუფალი გასახლებით, გაჯოხვით, ჯარიმის გადახდით. ალტერნატიული სასჯელი უტოლდება პირობით სასჯელს და მეორედ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირველი სასჯელის მსჯავრი მთლიანად ემაგება მომდევნო სასჯელს.

ავტორს წიგნში მოცემული აქვს გ. ყუფარაძისეული სხვადასხვა სახის გადასახადი, მოსაზრებანი, რომელიც უმთავრესად სიახლეს წარმოადგენს ეკონომიკურ მეცნიერებაში, პოლიტიკაში და ის წიგნის ავტორის ინტელექტუალური საკუთრებაა. ყველა ამ გადასახადის განსაზღვრა მოცემულია ამ წიგნის „გლოსარში“.

წიგნის ავტორს სამყაროში არსებული არც ერთი საარჩევნო სისტემა არ მოსწონს და გვთავაზობს საოჯახო-სამემობლო ჯგუფურ არჩევნებს, სადაც გაერთიანებულ ოჯახში მცხოვრები ოთხი ხმის უფლების მქონე ადამიანი, ოჯახურ ღონებზე მაინც განიხილავენ კანდიდატის ავ-კარგს, თავის ამრს გამოთქვამს და შემდეგ ყველა მათგანი ხელს აწერს საარჩევნო ბიულეტენში წარმოდგენილი კანდიდატების გვარის გასწვრივ, იმისდამხედვით, ვინ ვის ირჩევს.

წიგნში გამოთქმულია სხვა მრავალი ორიგინალური, მეტად საჭირო მაგრამ საღაო აზრები; მაგ. საჯიშე მამაკაცთა ინსტიტუტის შექმნა, ვნების სახლების მოწყობა და იქ თეორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობაზე ორი კვირით ყმაწვილების მიმაგრება, უშუალო პენსიონერებისთვის პენსიების განახევრება, საპატრულო პოლიციის თვითდაფინანსებაზე გადაყვანა, ზოგიერთი სამინისტ-

გროსთვის მეტი ეკონომიკური თავისუფლების მიცემა, რათა მომავალში თავად შეინახონ თავი, მათ შორის არის სოციალური უზრუნველყოფის და განათლების სამინისტროც.

პირადად ჩემში აღფრთოვანება გამოიწვია, მანდატურთა სამსახურის შემოღების წინადადებამ პარლამენტში; როდესაც უყურებ ზოგიერთ ქვეყნებში, თუ როგორ უყრიან დარბაზში, პარლამენტში დასამტკიცებლად გამოგანილ ახალ კანონებს „მიერგე“ დეპუტატები და როგორ აყენებენ ერთმანეთის შეურაცხოფას.

მისაღებია „უხუცესთა სამჭოს“ ირიბი საქმიანობის ახალი ვარიანტი ქვეყნის მმართველობაში, მომავალი დეპუტატები, სახელმწიფო კადრებისათვის გამოცდების ჩაბარება და განთავისუფლების საქმეში.

საინტერესოა ავგორისეული დევიზი სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ვალდებულებათა გადანაწილების თაობაზე, სადაც პირველმა მეორე უნდა უზრუნველყოს უფასო განათლებით, საცხოვრებელი ფართით, გადაადგილების საშუალებით და დასაქმებით, ხოლო თუ მეორე ყოველივე ამას ვერ იყენებს, თავადაა დამნაშავე.

ავგორს მიაჩნია, რომ მექრთამეობასთან, ნარკომანიასთან, ლოთობასთან ბრძოლა უახლოეს დროში შესაძლებელია წარმატებით დამთავრდეს, თუ საკითხს კომპლექსურად, კანონის დაცვით მიეუდგებით – საძრომიალოს გარეშე და სახელმწიფო მოხელის მცდელობა შედეგის შესაბამისად სათანადოდ ანაზღაურდება.

წიგნში ძირითადად პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე მსჯელობისას აღებულია რუსეთ-საქართველოს მონაცემები და საკითხები განხილულია მათ მაგალითზე, ავგორი ამ შემთხვევაში დაინტერესებული პიროვნებაა, რადგან ის ოფიციალურად ორივე ქვეყნის მოქალაქეა.

წიგნის ბოლოს ავგორს მოცემული აქვს ცალკე თავებად: „აზრი, რომელიც ყველგან არ ითქმის“, „ცხოვრების 100 პოსტულატი ეკონომიკის გადასახედიდან და „ქვეყნის პირველი პირის 100 დამოძღვრა“ (პოლიტიკური გადასახედიდან), იმ უცხო და სპეციფიური სიყვების და საქმიანობის, გლოსარი, რომელიც დღევანდელი ზოგიერთი მკითხველისთვის უცნობიცაა და საინტერესოც“.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *ლელი ჭანტურია*.

შესავალი

განკუთვნილია პოლიტიკოსებისათვის, ეკონომისტებისათვის, ხელმძღვანელობის მსურველთათვის და მოქალაქეებისთვის, ვისაც თავისი ქვეყნის და სამყაროს ბედი სერიოზულად აფიქრებთ

მე ყოველთვის მაკვირვებდა იმ ყოფითი ელემენტარობის არცოდნა, რომელსაც ზოგჯერ ავლენენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა მიმართაც გარკვეული სიმპათიები გამაჩნდა. ეს ეხება ამ წიგნის მომავალ ოპონენტებსაც, რადგან პოლიტიკაში ჩემთვის „ანგარიში ყოველთვის გარანითაა“ და 2X2 ყოველთვის ოთხია, როგორი მტკიცება და ალიბიც ამ ჭეშმარიტების წინაშე საწინააღმდეგო ამროვნებამ არ უნდა მოიძიოს.

ჩემი მოსაზრებით ყველა დროში ყოველთვის წინ უნდა იდგეს სამყაროს ინტერესები XXI საუკუნის დასაწყისში დედამიწამ მიწისძვრის სახით, რამდენჯერმე „გააქარა“ და ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მილიონობით უსახლკაროდ დატოვა, აღარაფერს ვამბობ ყოველწლიურ ქარიშხალზე, წყალდიდობებზე, პლანეტის დათბობით გამოწვეულ მოვლენებზე, რადგან სამყაროს კანონების უგულვებლყოფა კარგს არავის მოუტანს. შემდეგ მოდის სახელმწიფოს ძლიერება ეკონომიკით და ყოფაში დამკვიდრებული ნორმებით, გონიერი ხელისუფლით, რომლის გამჭრიახობას გრადიციის მქონე ქვეყნებშიც ბევრი სიახლის და სიკეთის მოგანა შეუძლია. ამასთან, ანგარიში უნდა გაეწიოს ხალხის ინტერესებს თანამედროვე ყოფისათვის შესაფერისი აუცილებელი მინიმუმით, კანონის და კანონიერების გათვალისწინებით და საკუთარ ინტერესებს, რადგან აღნიშნული ინტერესების დაუცველად ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლენა გაუჭირდება. რაკეკამშენებელი სერგეი კოროლიოვი რაც უნდა ნიჭიერი ადამიანი ყოფილიყო, ის თავის ოცნებას – კოსმოსში ადამიანის გაშვებას ვერ აისრულებდა, მისი დროინდელი სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, ხელისუფლების ამბიციები და ეკონომიკური შესაძლებლობები რომ არ დახმარებოდა. ამიგომაცაა ადამიანისათვის უმთავრესი თავისი ქვეყნის სიძლიერე და მისი ინტერესების დაცვა.

ჩვენთვის ცნობილი ხელისუფალნი ნებით თუ უნებლიედ თავისი თავის გაფეტიშებით იყვნენ დაკავებულნი. რა დაუტოვეს

თავიანთ ქვეყნებს საბოლოოდ: ალექსანდრე მაკედონელმა, რომის იმპერატორებმა, ჩინგიზ-ხანმა, თემურ-ლენგმა, ნაპოლეონმა, სტალინმა დაგროვილი სიმდიდრისა და ტერიტორიების ნაცვლად, მხოლოდ თავიანთი სახელი, დანარჩენი კი საუკუნეთა ღელვამ და სამყაროს გონიერების კანონზომიერებამ გადათელა. ამიგომ გონიერი სახელმწიფო მოღვაწე უნდა ეცადოს „თავის ცვაწვი დაეციოს“, ევოლუციურ პროცესებს და პროგრესს ფუფუნების გამოკლებით ფეხდაფეხ მისდიოს, იმგვარად, რომ მასაც ვერაფერი გაუბეღონ და თავადაც სხვის სიმდიდრეს არ დახარბდეს, რათა თავისი ძირძველი ქვეყნის შვილი სხვა ერის წარმომადგენლებს ისე არ შეურიოს და აურიოს, რომ ერმა თვითმყოფალობა დაკარგოს და ახალი ჯიშის და ჯილაგის ხალხი არ მიიღოს, როგორც ეს ეგვიპტელებს და რომაელებს მოუვიდათ.

ამ წიგნს ქეი-ქაუსივით და ნიკოლო მაკიაველივით არავის ვუძღვნი, რადგან ამის ღირსად თანამედროვე სამყაროს არცერთი ჩემი თანამედროვე, რომელთაც მე ვიცნობ, არ მიმაჩნია. ეს წიგნი მომდევნო თაობების სამსჯავროს საკუთრებაა, რომლებიც სამყაროს და თავიანთი რეგიონების საკეთილდღეოდ პოლიტიკონომიაში წინასწარ გათვლით და განსჯით იღვაწიებენ და არა სპონტანურად, როგორც ღღემდე, მაგრამ ერთი აუცილებელი დამოძღვრით: საზოგადოების მართვას გაცილებით მეტი მათრახი სჭირდება კანონიერების ფარგლებში, ვიდრე სასუსნავი, რადგან საზოგადოების უმეტესი ნაწილი საბარგო „ვაგონს“ განეკუთვნება და მინიშნების და დაძალების გარეშე არაფრის კეთება არ უნდა და თანაც სხვისი სათრევია. ამიგომ, ხალხი ვალდებულია გვირთის გაწევა ღირსეულ „ელმავლებს“ ჩააბაროს, იმგვარად, რომ ძალაუფლებამ და ხალხმა ვალდებულება შემდეგნაირად გადაინაწილონ: თუ ადამიანს არ აქვს განათლება, საცხოვრებელი, გადაადგილების საშუალება, სამუშაო, სახელმწიფოა დამნაშავე, ხოლო თუ არ ისწავლა, საცხოვრებლის შენახვის ხარჯებს ვერ იხდის, საწვავს ვერ ასხამს და სამუშაოს გულს ვერ უღებს ან არ მოსწონს, თავადვეა დამნაშავე.

წიგნში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკონომიის შერწყმით, ფინანსურ დამოუკიდებლობას მიაღწიონ ზოგიერთმა სამინისტროებმა და რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რათა სახელმწიფოს კისერზე ჩამოკიდებულმა დარგებმა გარკვეული მოგება მიიღონ და დაეხ-

მარონ თავიანთ დარგის მუშაკებს, მაგ: სოციალური უზრუნველყოფის, ჯამრთელობის, განათლების სამინისტრო და სხვები. ჩემთვის ეკონომიკა პოეზიაა, არა მარტო ლექსის წერის ცოდნით, არამედ აღფრთოვანებით, გამოგონებით, შემართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უღიმღამო ბუღალტერიად დარჩება ფრთების გარეშე.

მე ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ მომღეწო თაობები ამ წიგნში ნახავენ იმას, რაც მათ ქვეყნის სამართავად გამოადგებათ, ეს სურვილი რაც უნდა ამბიციურად არ უნდა გამოიყურებოდეს. ელემენტარული ყოფითი არითმეტიკის ცოდნა, რეალობის გათვალისწინებით და კანონის პატივისცემით სამყაროს ყველა ხელისუფლებისთვის, ხალხისთვის აუცილებელია. ამასთან, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღამიანები იბადებიან თავიანთი ფიზიოლოგიური მოთხოვნებით, ქვენა გრძნობებით, თანდაყოლილი უარყოფითი ნიჭით და შემოქმედების უნარით, რომელსაც საზოგადოებამ ავად თუ კარგად თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს. მე არ მომწონს ისეთ უგნურ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ფრინველს თავი ბუჩქში აქვს შეყოფილი და უკანალი უსირცხვილოდ მოუჩანს.

ბოლოს „უანალოგო პოლიტიკონომიას“ მეგნაკლებად ყველა უნდა გაეცნოს, ხოლო ვისაც მისი რამდენჯერმე გადაკითხვის სურვილი დაებადება, ის იქნება შინაგანად მოწოდებული გახდეს ქვეყნის და ხალხის ლიდერი და ღმერთმაც ხელი მოუშართოს, რადგან ემსახუროს იმ „უმაღურ“ საქმეს, რომელსაც პოლიტიკა და ძალაუფლება ჰქვია, სადაც ბევრი რამ ევოლუციაზე, პროგრესზე, შემთხვევაზე და დროზეა დამყარებული, რაც ამ საქმისათვის თავგანწირულ, ერთეულ რჩეულთა ხვედრია.

იდეოლოგია – ტრადიციები

ლიბერალურ-დემოკრატიული გიპის სახელმწიფოები ვერც იდეოლოგიის გარეშე იარსებებენ და ვერც ტრადიციების. საუკეთესო ვარიანტია, თუ თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე მათ შერწყმას მოვახერხებთ. რადგან როგორი სახის სახელმწიფოც არ უნდა შევქმნათ, ჩვენ ვერსად გავექცევით ადამიანის ბუნებას, თანდაყოლილ გენს, აღზრდას, გადაგვარებულ ადამიანებს, გაუთვალისწინებელ გარემოს. XX საუკუნის 80-იან წლებამდე უცხოურ დაზვერვას, საბჭოთა კავშირიდან ჯაშუში რომ გადებინებინა, ამ სამსახურის მიღწევად ითვლებოდა, ხოლო ბევრი მათი მოქალაქე ყოველგვარი ანგარების გარეშე იდეოლოგიის საწყისებზე თავად ცდილობს ინფორმაციის გამხდარიყო. სახელმწიფო იდეოლოგიის შერბილებაზე, განსაკუთრებით „პერესტროიკის“ შემდგომ, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეთა რიგი დააყენა უცხო ქვეყნის საელჩოებთან, როდესაც ქვეყნის ნგრევა დაიწყო, რათა მათი ფასიანი მსგოვრები ყოფილიყვნენ, რადგან ადამიანისთვის უპირველესია რწმენა, მომავლის იმედი, იდეოლოგია. ამიტომაც, საზოგადოების ჩამოყალიბებისას ხალხის ტრადიციები, ხასიათი, ბუნება უნდა გავითვალისწინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიის ჩვენთვის გაუგებარ პრინციპებზე მოგვიხდება ამოფარება, რაც საზოგადოების განვითარებას არ წაადგება. ყველა საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თავისი იდეოლოგია, ტრადიციები, რომელიც უფროს-უმცროსობის ინსტიტუტზე, ქვეყნის კონსტიტუციაზე და კანონის პატივისცემაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ცივილიზაციას ზოგჯერ ერთი შეხედვით შემოაქვს იდეოლოგიისთვის მანვე ჩვევები. დღეს სიყვარულის მომიზნებებით მემობლის ქალსაც საყვარლად იხდიან და თუ დასჭირდათ, ცოლადაც მოჰყავთ. თუ მართლაც ასეთი სიყვარულია, კეთილი ინებეთ, სხვა რაიონში გადასახლდით და მემობლებს, საზოგადოებას გასაჭორად თვალეში ნუ შეეჩხებთ. ასევე აუცილებელია სისხლის აღრევის ინსტიტუტისაგან დაცვა, ჯარში სამსახურის აუცილებლობის ბავშობიდანვე ჩანერგვა, რათა მოვალეობის აღსრულებას პაგარობიდანვე დავეჩვიოთ. დღეს საზოგადოების გადაგვარებას გქენიკური პროგრესის მიღწევებიც უწყობს ხელს და „მასმედია“, რომელიც თავისუფლების და დემოკრატიულობის მოშველიებით

ყველაფერს პროპაგანდას უწევს, ოღონდ პოპულარული და დაფინანსებული გახდეს.

ავილთ პერსინგი, როგორც კი მისი განსჯა დაიწყო „მასმედიაში“, ე.ი. „რეკლამირება“, ახალგაზრდებმა დაიწყეს ამ სახის „ხელოვნებით“ თავის დამახინჯება. მართალია, ეს მოდა გადავა და შეიძლება სხვა რამ უარესიც შემოვიდეს, მაგრამ ჩემს ახალგაზრდობაში სხეულის დასვირინგება საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის სამარცხვინოდ ითვლებოდა და რაც უნდა დემოკრატიას უკანალი არ უნდა გაუთამაშოთ, ეს მოდა სხეულის განზრახ დასახინჯებაა და კანონით, უნდა განესაჯოთ, რადგან ცნობად აღადმიანებს დიდი ჰონორარის გადახდის საფასურად აიძულებენ პერსინგი ვაიკეთონ და რეკლამის მიზნით. ასეთსავე პროპაგანდას ეწევიან ტელესერიალები, მხაგვრული ფილმები, რადგან ღირსეული ფილმების გადაღებას კარგი სცენარი სჭირდება და შემოქმედი რეჟისორი, ნიჭიერი ხალხი ცოცხალი, ხოლო არსებობა ხელოვნებაზე გამოდევნებულ ბევრ უნიჭობასა და საშუალო ნიჭის აღადმიანს უნდა. შედეგად ბანდიტები, კაცისმკვლელები დადებით აღადმიანებად გამჰოყავთ, ხოლო კანონის დამცველი ორგანოები ნაძირდებად, გამყიდვლებად. მართალია, ეს უკანასკნელნი თავის საქმიანობით არ გამოირჩევიან, ზოგი მათგანი სახელმწიფო ინსტიტუტებს დალაგობს გამორჩენის მიზნით, მაგრამ ეს ჭკუჭკი მარ-ზეიმით ხელოვნებაში არ უნდა გადმოვიგანოთ, იმის მიუხედავად, რომ ამის შესახებ „მასმედიაში“ მომხიერების ფარგლებში ცნობა უნდა მიაწოდოს საზოგადოებას. დამნაშავეთა რეკლამირებას ასევე ხელს უწყობს თავად ძალოვნების პროფესიული გამოუსადეგრობა, რომლებიც საქმის გაუხსნელობას დამნაშავეთა განსაკუთრებულ „ნიჭს და მოხერხებას“ აბრალებენ, რათა ალიბი იქონიონ, ხოლო თუ შემთხვევით დაიჭერენ, თავი მოიწონონ, არა და პრაქტიკულად, პროფესიონალს და თავის საქმეზე შეყვარებულ გამოძიებელს გაუხსნელი საქმე თითქმის არ რჩება.

ზოგჯერ მოხერხებული ქურდისა და თაღლითის გამოძგონებლური ნიჭი აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ „მასმედიაში“ არ უნდა გააფეგთოს მათი ნამოქმედარი, რადგან ნიჭიერი ხალხი ზოგჯერ მათ რიგებშიც გვხვდება. საზოგადოებამ არც ქურდსა და გადაგვარებულ აღადმიანს უნდა მისცეს იმის უფლება, რომ მათ ფეშენებელურ აპარტამენტებში იცხოვრონ და ახალგაზრდა

უკეთური საქმის კეთებისკენ წააქეზოს და თუ ეს ხდება, მაშინ კანონმდებელია ამ საქმეში დამნაშავე.

ქონების გადანაწილების საკითხი ოჯახში გრადიციების მიხედვით უნდა მოხდეს და ეს ბავშვობიდანვე უნდა იცოდნენ ოჯახის წევრებმა, მაგრამ თუ ვისმეს გრადიციის შეცვლა უნდა, ამის შესახებ ანდერძით უნდა აცნობოს ოჯახის წევრებს და შექმნილ მდგომარეობას ახსნა-განმარგებაც უნდა დაურთოს, რადგან უმეტეს მძიმე დანაშაულს, ოჯახის წევრებს შორის წარმოქმნილი უნებლიე კონფლიქტი იწვევს.

ნლობისა და ურთიერთთანადგომის ინსტიტუტი თანდათან დევალვაციას განიცდის და ამის მიზეზი ზოგჯერ ერთი შეხედვით უმტკივნეულო დანაშაული- ანცობა ხდება. დაუშვათ, შეხვედით რომელიმე ოფისში და სთხოვეთ ქალაქში დაგარეკინონ, თქვენ კი საქალაქთაშორისო ნომერი აკრიფეთ და სხვა ქალაქში მუქთად ლაზღანდარობთ. შედეგად აღარ გენდობიან გელეფონზე დარეკვას, ხოლო თუ დაგარეკინებენ, თავადვე აგიკრიფავენ ნომერს. ასევე მიუღებლად მიმაჩნია გელეგადაცემა, სადაც ადამიანს გინდა დაეხმარო და აქ შენი „გამასხრება“ ჩადებუღი, მართალია ამ შოუს ავგორები ბოღიშს გიხდიან და გეუბნებიან, რომ გავგეხუმრენ, მაგრამ მე მაგალითად სურვიღი დამეკარგება დაეეხმარო ქუჩაში დავარღნიღს, რომელსაც შეიღლება მართლაც დახმარება სჭირდება. ამიგომ, ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო გადაცდენა დანაშაულია. ამით ნღობის კულტურა მოვსპეღ, რაც კანონით მკაცრად უნდა ისჯებოდღს, რადგან ეს საუკუნეობით დანერგიღი კარგი გრადიციებისთვის აღიყურის ჭმევაა.

იღეოლოგიის გონიერული გრადიციების დასანერგად ზოგჯერ შეიღლება დემოკრატიული გავგებისთვის მიუღებელი გავჯობვაც გამოვიყენოღ, რადგან კანონმდებელი ყოველნაირად უნდა ეცადოს, პირველ დანაშაულზე, კანონის დამრღვევი ციხეში დიღხანს არ მოხვდღს, რათა ზოგ მათგანს ციხე ოჯახად, მასში კვლავ მოხვედრის სურვიღი რეციღივად არ ექცღს.

დღეს მალაღიზია და მისი დედაქალაქი მსოფლიოში ერთ-ერთ სუფთა და წესრიგიან ქალაქად ითვღება. ხოლო ამისთვის რომ მიეღწიათ, ამ ამიური მენგალიგეგის მქონე სახელმწიფოში, პოღიციეღები ხუთი წღის განმავღობაში ბამბუკის ჯოხებით სცემღნენ ახალგაზრდებს, რომღებიც ქუჩაში ხანგრძღივად კოცნიღნენ ერთმანეთს ან ნაგავს ყრიღნენ. დღეს აქ ნაგვის

დაყრისთვის და ქუჩაში კონცაობისთვისაც ჯარიმა 500 ლოლარია დაწესებული.

არის ასეთი გამოთქმა „მიეცი იმდენი, რომ ქრთამი აიღოს“, ასე რომ, „არ იღებს“ არ არსებობს, რადგან ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, ამ სამყაროს ცდუნებით აღვსილი სუსტი არსებანი და წინააღმდეგი არ ვართ ერთხელ შევეცდეთ, რათა „დაგვამახსოვრდეს“, ხელი მოვითბოთ და თუ გნებავთ, შემდგომ მთელი ცხოვრება მოვინანიოთ. სახელმწიფო მოღვაწე უმთავრესად ხელს ითბობს ელიტარული კორუფციით, რადგან ხელები „თაფლში აქვს გასვრილი“ და თუ შეიძლება მისი გალოკვა არავინ შეგვამჩნიოს – ცდუნება ღიღია. ამიგომ, უნდა შეიქმნას ისეთი კანონი, პრაქტიკა, რომ სახელმწიფო მოღვაწე თუ ინიციატივას გამოიჩენს ან სხვას დაეხმარება სიახლის დანერგვაში, ახალი საწარმოს აშენებაში, მომგებიანი ბიზნესის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, ოფიციალურად მიიღოს თავის ხელშეწყობის და მცდელობისთვის ფირმის შემოსავლებიდან გარკვეული პროცენტი და არა „უკუგორებით“ და გამოძალავით, როგორც ღღეს ხდება.

„უვიცობის ნიღაბაფარებული“ ეკონომიკის და ყოფის დილეგანტებს, რაგომდაც ბრმად სჯერათ და მიაჩნიათ, რომ მთავრობაში უნდა იყოს პატიოსანი პიროვნება, რომელიც უნდა ზრუნავდეს ხალხზე, ქვეყნის აღმაველობაზე, მისი პირადი ინტერესების გაუთვალისწინებლად. ისტორიის გამოცდილება ასეთ მიაბიგ ხალხზე სამწუხაროდ გავლენას ვერ ახდენს.

ღღეს, მაგალითად, თუ რამე საბუთის გაფორმება გინდათ, მოგიერთ ქალაქში, ქრთამის ნაცვლად დაჩქარებისთვის ოფიციალურ გადასახადს იხდით, ხოლო თუ საბუთების გაფორმება იცდის და მეორედ მოსვლა არ გეზარებათ, ეს მომსახურეობა გაცილებით იაფია ან უფასოა. ე.ი. ქრთამის ვალების ან „პატივისცემის“ აუცილებლობა მოისპო.

მამა-მეილს (აშშ) 15-15 წელი მიუსაჯეს იმისათვის, რომ გაფრთხილების მიუხედავად მათ ბიუჯეტს გადასახადი არ გადაუხადეს. არა და მათი უძრავ-მოძრავი ქონება 7 მილიარდ ლოლარზე მეტი იყო. რა თქმა უნდა, ამ თანხის გადახდა მათ შეეძლოთ, მაგრამ გაუჩნდათ სპორტული ჟინი, ინტერესი, რაღაც შანსი, რომ არ გადაეხადათ. ამგვარი კანონის სიმკაცრე სხვებისთვის სამაგალითო უნდა იყოს, გადასახადს ასე თუ ისე აშშ ყველა იხდის.

რუსეთში ამ ბოლო დროს მომრავლდნენ ურჩი გადამხდლები, რომლებიც არავითარ ამქვეყნიურ სიამოვნებას არ იკლებენ, მაგრამ გადასახადს, ვალს არ იხდიან და ესეც თავისებური დაავადებაა, პროგნოსია, ფეხებზემკილიაობაა, რომელიც კანონის გამკაცრებამ ძირშივე უნდა ამოკვეთოს.

მე ხშირად მინახავს ქმოსკოვში ვიღაც მძლოლი ისე დააყენებს მანქანას, რომ გრამვაი ვერ მოძრაობს ერთხელ ასეთ საცობში 40 წუთი მომიწია ყოფნა. მართალია, მანქანის მძლოლი დააჯარიმეს, მაგრამ მთელი 40 წუთი გრამვას მოძრაობა ერთი მიმართულებით შეწყდა და ასეთი შემთხვევა არც თუ იშვიათია. ჩემი ნება რომ იყოს, გრამვას მძლოლს მივეცემდი ოფიციალურად ამ მანქანის „გაგარანების“ უფლებას, ხოლო მძლოლს საკმაო თანხით დავაჯარიმებდი და ეს ერთხელ და სამუდამოდ მოსპობდა ასეთი უწესრიგო მძლოლების ოდენობას, სანამ ისინი მანქანას დააყენებდნენ გრამვას ხაზთან, რამდენჯერმე გადაამოწმებენ შეუძლია თუ არა გრამვას იმოძრაოს. ასევე საჭიროა საზოგადოებრივი გრანსპორტის სავალი ნაწილი გამოიყოს უწყვეტი თეთრი ხაზით და სხვა გრანსპორტს აეკრძალოს მასში მოძრაობა, რადგან დიდ ქალაქებში ავტო საცობების გამო შეუძლებელი გახდა გადაადგილება.

ტექნიკური პროგრესი ნაწილობრივ გრადიციებსაც ცვლის და იდეოლოგიასაც. დღეს ევროპაში და ალბათ საქართველოშიც ფართო გავრცელება ჰპოვა „სამოქალაქო“ ანუ პირობითმა ქორწინებამ, რადგან დაოჯახება წყვილის არა მარტო ხასიათის, არამედ სექსუალური მორგებაცაა და თუ ისინი შეეთვისებიან ერთმანეთს, მხოლოდ ამის შემდგომ ღირს ოჯახის შექმნა, ბავშვის გაჩენა, აღზრდა.

ხვალ არც უმამაკაცოდ ბავშვის გაჩენა იქნება პრობლემა და არც მისი აღზრდა, მაგრამ ოჯახის ფენომენის უარყოფა, საზოგადოების გადაგვარებას იწვევს, რადგან ბავშვი ორივე სქესის წარმომადგენლებმა უნდა აღზარდოს, ხოლო სიყვარულის, ურთიერთგაგების, მოვალეობის გრძნობის უარყოფით სამყარო თუ არა, საზოგადოება სულიერად გაღარიბდება და ძველი ჭეშმარიტება „ყოფის ორჯერ ორობას დაუბრუნდება“, იმის მიუხედავად, ამ ცივილიზაციის ნაძალადევი ექსპერიმენტები საჭირო იყო თუ არა, ამას საზოგადოების განვითარების საფეხურები და ჩვენამდე მოღწეული მაგიანის ღაღადი გვკარნახობს.

გარკვეულ იდეოლოგიას, გრადიციას, ყოფიერების კულტურას მოითხოვს იმის შეცნობა, რომ წუნდებული პროდუქტი არ უნდა აწარმოო, უბილეთოდ არ უნდა იმგზავრო, ქუჩაში წითელ შუქზე არ უნდა გადახვიდე, სხვა ამდაგვარი წვრილმანი, რომელსაც დაბადებიდანვე უნდა ვუნერგავდეთ მომდევნო თაობებს.

იაპონელმა ერმა ერთხელ და გერმანელებმა ორჯერ განიცადეს მე-20 საუკუნეში ქვეყნის კაგასტროფული ნგრევა, პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, მაგრამ დღეს სასარგებლო წიაღისეულის უქონლობის მიუხედავად ერთი პირველი ქვეყანაა ამიაში, ხოლო მეორე ევროპაში, რადგან ამ ხალხს გრადიციულად ახასიათებს თავდაუზოგავი, რაციონალური და მოწესრიგებული შრომა. ცნობილია შემთხვევა, როდესაც გერმანელ ტყვეებს მაშინდელ საბჭოთა კავშირში გეგმის გადაჭარბებით შესრულების მომიმეზებით შესთავაზეს ხარისხის გაუარესების ხარჯზე დაეჩქარებინათ სამუშაო, მათ სამუშაოს მიფუჩეებაზე უარი განაცხადეს, რადგან მათი ნახელავი, – დამამარცხებლების გერიტორიაზე შენების კულტურით უნდა გამოირჩეოდეს.

დღეს აზიური მენტალიტეტის ქვეყნებში, რომელსაც საქართველო, რუსეთი მიეკუთვნება, იდეოლოგია, და ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებულია არა სახელმწიფო წყობის რაობაზე, არამედ ქვეყნის მმართველის ნება-სურვილზე. ასეთ ქვეყნებში იდეოლოგია კატაკლიზმებს განიცდის, ხოლო ეკონომიკა ზიგ-ზაგებით – თავის ჩამორჩენა-აჩქარებებით ვითარდება.

სსრ კავშირში სტალინის მმართველობის დროს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას დიდი ყურადღება ექცეოდა, ხოლო ქვეყანაში ტექნიკური პროგრესი სხვა განვითარებულ ქვეყნებს ბევრ რამეში არ ჩამორჩებოდა, ხრუშჩოვის შედარებით ლიბერალიზაციის და რაოდენობაზე გამოკიდების პერიოდში ხარისხიც დავარდა, ასორტიმენტიც შემცირდა და ტექნიკურმა პროგრესმა ბევრ დარგში ჩამორჩენა განიცადა, ხოლო დღევანდელი წარმოებული საქონლის ხარისხი, განსაკუთრებით კვების მრეწველობაში, ახლოსაც ვერ მივა იმდროინდელ ხარისხთან.

იდეოლოგია თავისებური შეჯიბრია საკუთარ შესაძლებლობებსა და მოთხოვნასთან, ქვეყნის ეკონომიკის შეფასება-გადაფასებით. იდეოლოგიასაც, გრადიციებსაც საყრდენად ეკონომიკური ბაზისი და სახელმწიფოებრიობის რწმენა სჭირდება. ამის შესანიშნავი მაგალითია საქართველო, სადაც ქართული

მენგალიგეგის მქონე მეცნიერი, შემოქმედი, ქალები მზად არიან გადამთიელს გაჰყვენ ცოლად და საზღვარგარეთ სამუშაოდ ხელზე მოსამსახურეობასაც კადრულობენ, ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის დროს „უკანაღმე ბუმს არ ისვამდნენ“. ეს იმხანაც გამოიწვია, რომ მოიძალა ოჯახის გრადიციული ინსტიტუტი, სადაც ოჯახის რჩენა მამაკაცს ევალებოდა, ხოლო ქალი უმთავრესად სამსახურში მუშაობით ოჯახს ეხმარებოდა ან ოჯახში შვილების აღზრდით და დიასახლისის სტატუსით კმაყოფილდებოდა. თუ ის განსაკუთრებული რაიმე ნიჭით არ იყო დაჯილდოებული.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირში სოციალისტური წყობა უდიდეს ყურადღებას აქცევდა იდეოლოგიას, საბოლოოდ მაინც ვერ გაუძლო ეკონომიკურ შეჯიბრს კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებთან და იდეოლოგიამ ვერ იხსნა ამოღენა იმპერია დაშლისაგან. საბჭოთა იდეოლოგიიდან დღეს კარგი იყო გადმოგველო შემდეგი: ბავშვი მესამე კლასის ჩათვლით ოქტომბრელი იყო, მესამედან მეშვიდე კლასამდე პიონერი, ხოლო შემდგომ კომკავშირელი ხდებოდა და მუდამ ვიდაცის დამატებითი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა (აქ მნიშვნელობა არ აქვს ორგანიზაციების დასახელებას მთავარია შინაარსი) ხდებოდა ამ ბავშვებისათვის აბონენტების გაცემა და დაჰყავდათ თოჯინების, მოზარდ-მაყურებელთა თეატრებში, ჰქონდათ უფასო წიგნები პიონერთა სასახლეში, დასასვენებელი ბანაკები, სპორტული სექციები, რაც ამ წყობის იდეოლოგიის ნაწილიც იყო. ამასთან შრომისუნარიან ადამიანს უმუშევრად არც არავინ დაგოვებდა და ვერც ხელალებით გაანთავისუფლებდნენ. შედეგად ქვეყანაში წესრიგიც მეტი იყო და გაცილებით ნაკლები მკვლევლობებიც.

ამრიგად, იდეოლოგიაც ევოლუციის შედეგად უნდა განვითარდეს, მომწიფდეს და არა რევოლუციების, რა სახითაც არ უნდა წარმოგვიდგინონ ის. ზოგჯერ არის რაღაც, რომელიც ერთი შეხედვით გონიერების საწინააღმდეგოდ უნდა აკეთო, რადგან ბუნებრივია მოუმიწიფებელი ახალგაზრდა ვიდაც უცხოთა გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს, სხვანაირად ადამიანის ჩამოყალიბება, აღზრდა არ ხერხდება.

დღეს რუსეთში და სხვა დემოკრატიამე პრეგენზიის მქონე ქვეყნებში იქმნება ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომელთა არსებობითაც გარკვეული წიგნებია დაინტერესებული, მათ ყოფენ

ჯგუფებად, კოლონებად. ყველა ჯგუფის უფროსი ხელფასს იღებს, ხოლო ათეულების მეთაურებს კარიერას პირდებიან და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ასეთ ორგანიზაციებს სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები კურირებენ, როგორც რუსეთში ასევე, საქართველოში.

აღზრდას და წვრთნას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მას საზოგადოების წევრები დაიცავენ ან ვაიძულებთ დაიცვან. ქ. მოსკოვში ერთ-ერთ ფართო ქუჩის გადასასვლელზე უპაგრონო ძალების ხროვა მწვანე შუქნიშანზე თავისი წინამძღოლით მოძრაობის წესების სრული დაცვით მეორე მხარეს გადავიდა, ასე რომ შეცვლილ-შექმნილ გარემოს ცხოველებიც ეგუებიან, აზროვნებენ ან თავდაცვის ინსტინქტით მოქმედებენ, რადგან ფაქტი მათი გონიერებისა სახეობა.

ქვემოთ მინდა შევეხო ძალზე დელიკატურ საკითხებს, რაშიც შინაგანად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მხარს მიჭერს, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმა უჭირთ. იდეოლოგია, ეკონომიკის და პოლიტიკის გარეშე ფეხს ვერ გადადგამს, მათ შორისაა რწმენაც. რადგან ადამიანს სათანადოდ მაგერიალურად და სულიერად დაპურება სჭირდება. დღეს საზოგადოება კანიბალიზმს იმიტომ შეეშვა, რომ მან საკმარისი საკვების მოყვანა შეძლო და არ შია. მეოცე საუკუნის შუა წლებში, როდესაც ციმბირის კოლონიიდან „კალიმიდან“ იპარებოდნენ, ორ რეციდივისგს მესამე ჩასაუქებელი პატიმარი მიჰყავდა „ბარაშკად“ მას კლავდნენ და მის ხორცს მიირთმევდნენ სანამდის დასახლებულ ადგილამდე ჩააღწევდნენ, ასე, რომ თუ ადამიანს მოვაშივებთ, ის ყველაფერს იკადრებს.

საზოგადოებრივი ზადი, რომელიც არ იკურნება და ქრონიკულ დაავადებაში გადადის, არის ნარკომანია, ლოთობა, ქურდული ვაგება და სხვა. მათ საზოგადოებამ ქირურგიული მეთოდებით უნდა ებრძოდოს, უმკურნალოს მოარჩინოს და არა თერაპიული ხერხით, რადგან დაავადების ქრონიკულში გადაზრდას სჯობს ის ამოიკვეთოს. შედეგად არც თავს გავიწვალებთ და არც სხვას. ქირურგია გაბედული ხელისუფლების პრეროგატივაა, ხოლო თერაპია განათლებულის, უინიციატივო ხელისუფლების, რომელსაც ხალხის ზოგიერთი წარმომადგენლის პროტესტის ეშინია.

ქვემოთ მინდა ერთი ცუდი მაგალითი მოვიყვანო: ჰიგლერის დროს გერმანიაში ძალზე გავრცელდა უბილეთო მგზავრობის შემთხვევები, ვერაფერს გახდა იმდროინდელი „გესტაპო“, ბოლოს

ერთ-ერთ სადგურზე ბოლო ვაგონიდან ყველა უბილეთო მგზავრი ჩამოსვეს და სახალხოდ დახვრიტეს, იმის შემდეგ უბილეთო მგზავრი გერმანიაში არავის უნახავს. ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ.

აბორჯი, ცოცხალი ორგანიზმის მოკვლა დანაშაულია, მაგრამ მას კანონი არ სჯის, მაგრამ თუ მახინჯი ბავშვი დაიბადა, მისთვის სიცოცხლის შეწყვეტა განსჯას იწვევს. მაშინ, როდესაც ამ ბავშვის აღზრდით მშობლებიც უნდა გაწვალდნენ, სახელმწიფომაც ხარჯები უნდა გაიღოს და ბავშვიც მთელი ცხოვრება დაჩაგრული უნდა იყოს. სიმახინჯისთვის სიცოცხლის შენარჩუნების მოთხოვნა მე საზოგადოების გადაგვარებად მიმაჩნია, მითუმეტეს, რომ დღეს „დაუნი“ ჩვილის აღმოჩენა დაბადებამდე დედის საშოშიც შეიძლება. არავინ უარყოფს იმას, რომ თუ ადამიანი დაინვალიდდა, რაღაც შეემთხვა, მასზე სახელმწიფოც უნდა ბრუნავდეს, მშობლებიც და ბიუჯეტში ამისთვის ფულიც უნდა გამოიყოს – რადგან ეს შემთხვევის შედეგია და არა წინასწარ დაგეგმილი უგნურება.

ინვალიდების სახლების შენახვას და ნაძალადეგ ვალის მოხდას სჯობს მათთვის ავაშენოთ დასახლება, ქალაქი, სადაც ყველა პირობა უნდა შეიქმნას მათი გადაადგილებისთვის, დასაქმებისთვის, ოჯახის შექმნისთვის. რამდენი ჯამრთელი ადამიანი, სამუშაოდ სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად და თავის ახლობლებს წლობით ვერ ნახულობს, ამას არავინ კიცხავს, ხოლო თუ ინვალიდი გაუშვეს ცალკე საცხოვრებლად, ეს განსჯის საგანია. მითუმეტეს, დღევანდელ ცივილიზაციას ელექტრონული კავშირის მრავალმხრივი საშუალება აქვს, ხოლო თუ ახლობლებს გული შესტკივათ, თავად მონიხულებენ მათ. ადამიანი არ უნდა ვაიძულოთ, თავის ცხოვრება გაიუარესოს თუნდაც ახლობლისთვის, ესეც თავისებური დანაშაულია.

რაგომ უნდა შეინახოს სახელმწიფომ, უფრო სწორედ ბიუჯეტის შემავესებელმა მოქალაქემ მანიაკი, რომელმაც ვთქვათ 10 კაცი მოკლა, ე.ი. 10 გადასახადის გადამხდელი მოაკლო ქვეყანას, თუნდაც ის სულით ავადმყოფი იყოს. მითუმეტეს, ხშირ შემთხვევაში სულით დაავადებულები განზრახ მკვლელობას ავადმყოფობის ალიბის იმედით სჩადიან. ამიგომ, სამუდამო პატიმრობის ნაცვლად უნდა შემოვიღოთ სიკვდილით დასჯა, შევთავაზოთ, რომ ასეთი ხალხი თუ გამოდგებიან, სამედიცინო ექსპერიმენტებში გამოვიყენოთ და ნაწილობრივ ავანაზღაურებინოთ ის მარალი, რაც მან

თავის ქმედებით სახელმწიფოს მიაყენეს. ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებების დაცვა, როდესაც მან თავის ქმედებით ეს უფლებები დაკარგა, საზოგადოების დაცინვაა, რადგან მე არ შემხვედრია მკვლელი, რომელსაც სიმთვრალეში თავი არ მოეწონებინოს, რომ ის ციხეში მკვლელობისთვის იჯდა, მათ შორის ყოფილან საკმარისად განათლებული და კარგი ოჯახის შვილებიც.

არის ხალხის კატეგორია, რომელსაც ბეწოლის გარეშე არ შეუძლია ნორმალურად იცხოვროს: ესენია ლოთები, ნარკომანები, მათხოვრები, რამდენჯერმე ციხეში ნაჯდომები. ასეთი ხალხისთვის უნდა გაიხსნას სპეცდასახლებები, გამოიყოს რაიონები, სადაც ბელადმხედველობის ქვეშ იცხოვრებენ, ხოლო ის, ვინც სამჯერ ციხეში მოხვდება, სასჯელის მოხდის შემდგომ უნდა გავასახლოთ და ძველი ჩინელების მსგავსად შუბლზე V ასოთი დავდალოთ, რომ ის თავის საცხოვრებელიდან ვერ გავიდეს. თავის დროზე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში დამნაშავეებს ასახლებდნენ და ღღეს ეს სახელმწიფოები ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნებია, ასე, რომ კარგად, თუ დაფიქრდებით და ისტორიის მაგალითებს შევჯერებთ, აქ მიუღებელი არაფერია.

ჩემის აზრით ძალზე ადვილია ნარკომანიის მოსპობა თუ პოლიციის უფროსს ეცოდინება, რომ მის გერიგორიაზე ნარკომანების აღმოჩენის შემთხვევაში მას სამსახურიდან დაითხოვენ. ჩემთვის მიუღებელია საკითხის გადაუწყვეტლობა, გაჯანჯლება, ეს ჩემმა მეგობრებმა იციან. ერთხელ ქუჩაში დაინახეს ფარდაგზე წამომჯდარი ქალი თავის ორი პაგარათი, როგორ მათხოვრობდა და გამვლელს როგორ „აეკიდებოდნენ“, ისიც ქალაქის ცენტრში. რა თქმა უნდა გარკვეულ წილს თავისი შემოსავლიდან ისინი ამ უბნის პოლიციელს უხდიდნენ, რადგან კანონი მათ მიმართ ლმობიერია. კითხვაზე, თუ რას ვიზამდი, ჩემი უფლება რომ ყოფილიყო, პასუხი მოკლე იყო: ბავშვები უპატრონოთა სახლში, ხოლო დედა, თუ დედად წოდებული საროსკიპოში, რადგან უსაქმურობას მიჩვეული დაძალების გარეშე ვეჭვობ, სადმე გამოდგეს. აქ რამდენიმე საქმე გაკეთდებოდა, ბავშვებს ვიხსნიდით, უსაქმურები, ნაძირალები და საზოგადოების ხორცმეგნი რომ არ გახდნენ, ქალი მუშაობას დაიწყებდა და სახელმწიფო მუქთახორის მაგიერ გადასახადის გადამხდელს შეიძენდა და საზოგადოებაც არ დაინახავს მას ქუჩაში წამოსკუპებულს.

პირადად მე ცუდ ხასიათზე ვდგები, როდესაც ნაგავში მქექავ ხალხს ვუყურებ. თუ უსაქმურს საზოგადოება უფრო ხილდება, რომელიც ქვეყანას კისერზე აწევს, რაგომ არ მიფრო ხილდება მე, გადასახადის გადამხდელს, რომელსაც არ მსიამოვნებს არც შუა ქუჩაში დაგდებული ლოთის ნახვა, არც ინვალიდის ეკლში მოთავსებული მათხოვარი, თუ მას იცოდებენ, რა დააშავა წესიერმა ადამიანმა, რაგომ ვთხოვთ რომ ამ უმსგავსობაზე თვალი დახუჭოს. სამწუხაროდ თანამედროვე საზოგადოების იდეოლოგია აგებულია სიყალბეზე, გულგრილობაზე, სხვის ხარჯზე გულკეთილობაზე, თორემ რა გამართლება აქვს დღეს იმას, რომ 14 მლნ ადამიანი აშშ უსახლკაროა, ნარკომანია, ლოთია, როდესაც მათ სახელმწიფო ყველანაირად ეხმარება, რათა თავისი ადგილი ნახონ ცხოვრებაში. უბრალოდ ფსევდო დემოკრატია, ცრუ თავისუფლება, ყბადალებული ადამიანის უფლებების დაცვა ჩემთვის მიუღებელია. რადგან ჩემი გადასახედიდან მოქალაქეა ის ადამიანი, ვინც სახელმწიფოს გადასახადს უხდის, მათ შორის პენსიონერები, ინვალიდები, უმუშევრები, რომლებსაც სახელმწიფო სათანადო პენსიას, ხელფასს, დახმარებებს აძლევს.

მომავალში, სიცოცხლის საშუალო ასაკის მაგებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია წარმოიშვას თაობათა დაპირისპირება და გრადიციების აჩქარებული დავიწყება. ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება ასაკიანი ხალხის ცალკე დასახლება, რადგან მათ გაუჭირდებათ თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების გემპზე მორგება, რადგან ბოგეირთი მათგანი ბაბუის ბაბუაც კი შეიძლება იყოს. ამასთან უყურადღებობა და საერთო ინტერესების გარეშე ცხოვრება ადამიანებს უჭირთ ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად ყოფის ელემენტების რა სიახლეს შემოგვთავაზებს სიცოცხლის ხანგრძლივობა და საშუალო ასაკის მაგება არავინ უწყის.

და ბოლოს, საზოგადოებამ ადამიანებს ყოველ შემთხვევაში, უნდა მისცეს ის ყოფის მინიმუმი, რომელიც მათ თავის ნიჭის, მტკვლობის, თავის წარმოსაჩენად და საზოგადოებისათვის სიკეთის საკეთებლად გამოადგებათ. ამასთან უნდა ვეცადოთ იდეოლოგიასა და გრადიციებს შორის დაპირისპირება არ მოხდეს და ურთიერთ-პატივისცემა, ურთიერთთანადგომა და უფროს უმცროსობის ინსტიტუტი შევინარჩუნოთ.

პოლიტიკა

„პოლიტიკა შედეგიანი მცდელობაა არცთუ ისე სუფთა ხელებით“. პოლიტიკით დაკავებულია ის ხალხი, რომელიც ცდილობს ძალაუფლების იერარქიაში მოხვედრას. პოლიტიკოსები იყოფიან სამ კატეგორიად: კარიერისტები, რომლებიც ცდილობენ მმართველობის სათავეებში მოხვედრას, თეორეტიკოსები – რომლებსაც ჰგონიათ თავიანთი თეორიული ცოდნა აძლევთ უფლებას სხვას შესთავაზონ თავიანთი ნააზრევი და სხვათა დახმარებით გააგარონ და ანგარების მოყვარული ვიგინდარები, რომლებიც პირად გამდიდრებაზე ფიქრობენ. სამწუხაროდ ამ უკანასკნელთა ოდენობა სახელმწიფო აპარატში თანდათან იზრდება, მათ შორის ცივილიზებულ ქვეყნებშიც.

პოლიტიკა წახალისების, ნებაყოფლობითი დაძალების, ურთიერთპატივისცემის, მოვალეობის გაცნობიერების კონგლომერატია, ის მარადღეამს წინ უნდა იყურებოდეს, მომავლის გასაუმჯობესებელ გეგმებს უნდა განსჭვრეტდეს. დღეს რომ სამყაროს პოლიტიკოსების და ქვეყნის მამებს უკვირდები, გაოცებული ხარ ეს უსამართლო, უნიათო და შემთხვევითი ხალხი როგორ მოხვდნენ სახელმწიფოს სათავეში, როდესაც მათ ელემენტარულად გადასაწყვეტი საკითხების სამართლიანი და გონივრული მოგვარება არ შეუძლიათ. პოლიტიკოსების უნიათობის, გაუბეღაობის, ლაჩრობის და დემოკრატიას ამოფარებული მლიქნელობის შედეგია: კონფლიქტები საქართველოში, აზერბაიჯანში, სერბეთში, საფრანგეთში და სხვაგან.

მე ინტერნაციონალურ „ოქროს უბანში“, თბილისში გაზრდილი კაცი ვარ და ჩემი ცხოვრება-ცნობიერების ნაწილი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გამიგარებია, მიმუშავია და ნაციონალიზმს ვერაფერს დამაბრალებს, რადგან ის ჩემი ბუნებისთვის უცხოა. მაგრამ არის პოლიტიკა – სახელმწიფო წყობა, ინტერესი და არის დემოკრატია, სიცივის თავისუფლება უგნურ – უსაქმურთა გაგებით, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ვნებს.

ჩემის აზრით ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა იყოს შემდეგი სახის ჩასწორება: ქვეყნის სასამღვრო დასახლებულ ნაწილში უნდა ცხოვრობდეს ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობის 80 % და ეს უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 30 კვადრატული კმ მანძილიზე, თუ იქ ეროვნული ავტონომია არ არის გამოყოფილი.

არა აბორიგენი მოსახლეობა გადაყვანილი უნდა იქნას ქვეყნის შიდა რაიონებში. მათ სთავაზობენ საცხოვრებლად უკეთეს ფართს, მიწას ან უძრავი ქონების შესაძენ რეალურ თანხას. მათთვის იხსნება ნაციონალური კლასები, ეროვნულ ავტონომიას, რომლის მოსახლეობა ერთ მილიონს აჭარბებს, უფლება ეძლევა 50 წელიწადში ერთხელ, რეფერენდუმზე დასვას საკითხი ცალკე ქვეყნად გამოყოფის თაობაზე. ყველა ნაციონალურ ავტონომიას ეძლევა მაქსიმალური ეკონომიკური და შებენიერი პოლიტიკური თავისუფლება, ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად.

მე წლების განმავლობაში ვმუშაობდი სამხრეთ ოსეთში, ქ. ცხინვალში და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ქართველებს უფრო ახლო და ერთგული ხალხი ვიდრე ჩვენი ოსებია, არ ჰყავთ. ამასთან, ქ. ცხინვალში მთლიანად გარსემორგებულია ქართული სოფლებით და ერთადერთი ჯავის მთიანი და ღარიბი რაიონია ოსებით დასახლებული. წინა საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საკავშირო მთავრობის შემოთავაზება იყო ჯავის ამ ღარიბ და თითქმის დაუსახლებელ სოფლებში მოგვეწყო ველური მეურნეობა და შეგვექმნა დომბას ნაკრძალი, ამისთვის საჭირო იყო საქართველოს მთავრობის წერილი და 147 ოჯახის ჯავის ხეობიდან გამოყვანა. ეს ადგილი 65 კმ-თაა დაშორებული დღევანდელ რუსეთის საზღვრიდან. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ არ მოინდომა ამის გაკეთება, იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ხელმძღვანელი ამ პროექტის განხორციელებისათვის მოწადინებული იყო. მიზეზი ის იყო, რომ მთა დაცარიელდებოდა, ხოლო წინ არავინ გაიხედა და მომავალი კონფლიქტი ვერავინ განჭვრიტა. პოლიტიკას არ უყვარს საქმეების გადაღება და შემთხვევის ხელიდან გაშვება. სწორედ ეს უბედურება სჭირს დღევანდელ პოლიტიკოსებს, რომლებიც წინ ვერ იხედებიან, ხოლო ეკონომიკის ანბანი თითქმის არცერთმა არ იცის, არითმეტიკასთან და ციფრებთან შეხებას კი ყველა გაურბის. ამ პროექტის განხორციელებით ეს 147 ოჯახი კახეთს და ქართლის მდიდარ მიწებზე დასახლდებოდა, შეიქმნებოდა ნაკრძალი სამონადირეო მეურნეობით, რომელიც შემოსავლებს შემოიგანდა, ხოლო საქართველო დღევანდელ კრიზისს თავიდან აიცილებდა. დღევანდელი გადასახედიდან მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში შესაძლებელი იყო რეფერენდუმით სამხრეთ-ოსეთის ოლქის გაუქმება და მის

ნაცვლად ქართლის ადმინისტრაციული ოლქის შექმნა ქცხინვალის თავქალაქობით.

შეცდომა იყო ორი ორი ადმინისტრაციული ერთეულის ოსეთის რესპუბლიკის და ავტონომიის შექმნა, სადაც პირველი რუსეთის იურისდიქციაში იმყოფება, მეორე, საქართველოსი და კავკასიის ქედზე ეს ორი ხალხის გერიტორია ხურჯინივითაა გადაკიდებული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება გარეშე თვალისთვის, რომ ისინი ძალით არიან დაშორებულები. ეს ისტალინის პოლიტიკური შეცდომა იყო, რომელმაც მაღლიერების ნიშნად, ოსებს, რომლებმაც რუსეთის შემოსვლას საქართველოში პირველად მხარი დაუჭირეს, ქართული რაიონებიდან ოლქი შეუკოწიწა.

ასევე შეცდომა იყო, ეგრეთწოდებული ქართული ჯარის შეყვანა სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში, როდესაც ამ ჯარის გარკვეული ნაწილი კრიმინალებით იყო დაკომპლექტებული, როგორც ეს ყველა რევოლუციას ჩვევია. აქ უნდა ემოქმედა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. რადგან ისინი არიან ვალდებული შეასრულონ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე „შავი სამუშაო“.

თუ როგორ უნდა იყურებოდეს პოლიტიკა წინ, მინდა მოვიყვანო მონაცემები საქართველოს მაგალითზე. ნაცვლად დღევანდელი სამი მილიონი მოსახლეობისა, საქართველოს სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს სულ ცხოვრობდა 5500000 ადამიანი. აქედან დაახლოებით ნახევარი მილიონი სომეხი იყო, ნახევარი, ამერბაიჯანელი, ნახევარი რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, ხოლო აფხაზეთის გერიტორიაზე ნახევარი მილიონი მცხოვრებიდან ცხოვრობდა 80000 აფხაზი, სამხრეთ ოსეთის გერიტორიაზე კი 40-45 ათასი ოსი ეროვნების მოსახლეობა.

ჩემის აზრით, მომავალში რომ ავიცილოთ სეპარაგისტული გამოხლომები, უნდა აიკრძალოს ნაციონალური გეტოების შექმნა, (პარიზის გარეუბნის უმეტეს ნაწილში სხვა ეროვნების, ძირითადად აფრიკელები ცხოვრობენ) რამაც დღევანდელ საფრანგეთს ცხვირში ამოარტყა და ნაციონალური კრიზისი გამოიწვია. ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა ჩაიდოს მუხლი, მოსახლეობის ნაციონალური პროცენტულობით გადანაწილებით დასახლებაზე.

დავუშვათ, აშენდა 100 ბინიანი მაღალსართულიანი სახლი. ეს ბინა საქართველოს მაგალითზე უნდა გადანაწილდეს შემდეგ-

ნაირად, 9-9 ბინას მიიღებს სომეხი, ამერბაიჯანელი, რუსი ეროვნების ადამიანები, 2-2 ბინას ოსები, აფხაზები, და სხვადასხვა ეროვნების ხალხი. დანარჩენ ბინებში ჩასახლდებიან ქართველები. ბინის გასხვისების შემთხვევაში, მათ ბინები უნდა გაყიდიონ თავიანთი ეროვნების ხალხზე, თუ ამას ვერ ახერხებენ, ამ ბინებს სახელმწიფო შეიძენს.

დღეს მოსალოდნელი საკონფლიქტო სიტუაციაა შექმნილი ნინოწმიდისა და ახალქალაქის უცხო რაიონებში, სადაც მამთარი რვა თვე გრძელდება და ბინებს წივით – საქონლის ფუნის და ნამჯაის გამხმარი ნარევით ათბობენ. აქ უმთავრესად დასახლებულია სომეხი მოსახლეობა და დღეს შენ აქ მცხოვრებ ახალგაზრდებს უნდა აუხსნა რომ ეს ქართული ტერიტორიაა, როდესაც მემობლად სომხეთის სახელმწიფოა – აბსურდულად გამოიყურება. მოკლედ, ეს ტერიტორიები ქართველი ეთნოსით უნდა დასახლდეს, ხოლო იქ მცხოვრებ მოსახლეობას უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები უნდა შევთავაზოთ საქართველოს შიდა რაიონებში. ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად ქართველს არ სურს იმ უცხო და მკაცრ კლიმატურ პირობებში ცხოვრება.

აქ ჩემის აზრით უპირიანი იქნებოდა გადმოგვეგანა რამდენიმე კოლონია, თავისუფალი დასახლებით, იმათთვის, ვინც ფინანსური, საყოფაცხოვრებო დანაშაული ჩაიდინა და მიგვეცა არჩევანის უფლება ან მისჯილ 10-15 წელს გააგარებ ციხეში, თავისუფლების აღძვეთ კოლონიაში ან მიეცემათ შეზღუდული თავისუფლება, სადაც თავისი ხელით ააშენებენ სახლს, მოჰკიდებენ ხელს მეურნეობას, მათთვის საცხოვრებლად განკუთვნილ რაიონებში წარმოებას. ეს არჩევანი უკვე მოგებას იძლევა. სახელმწიფო მუქთად აღარ ინახავს პატიმარს და მისგან შემოსავალს იღებს, ხდება ამ ტერიტორიების აბორიგენებით ჩასახლება, ხოლო სომეხ მოსახლეობას ეძლევა საშუალება საქართველოს შიდა რაიონებში უკეთეს პირობებში დასახლდეს ან კომპენსაცია მიიღოს და იქ იცხოვროს, სადაც თავად მოისურვებს. შეიძლება ეს აზრი ზოგს მკრეხელობად მოეჩვენოს, მაგრამ პოლიტიკა, დემაგოგების, მლიქვნელების, უმეცრების და მშიშარა ხალხის საქმე არ არის.

პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ მან ხალხი უნდა აღზარდოს, რა აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ქვეყანაში ამდენი ლოთია, ნარკომანია, უპატრონო ბავშვია, ხოლო სახელმწიფო მათზე გადარჩენილი თანხის პრინციპით ზრუნავს და ისიც შიგადაშიგ.

ჩემი პოლიტიკა საქმის, რეალობისთვის თვალების შევლები პოლიტიკაა და არა ის, თუ რას იცყვის „ხალხი“ ან ჩვენი მეზობელი ქვეყნები და ვარდევით თუ არა დემოკრატიის ქარტიას, რომლის რაობაში თავად ცივილიზებული ქვეყნებიც ვერ გარკვეულან.

მათხოვრობა – ეს დღეს პროფესიაა და ის კანონით მკაცრად უნდა დაისაჯოს, ნარკომანებს და ლოთებს სამკურნალო შრომითი თერაპია უნდა მიუსაჯო და მე პირადად იმის მოწმე ვარ, თუ ეს ღონისძიება რამდენად სასარგებლოა ამ სახის ხალხისთვის. რაც შეეხება უპატრონო ბავშვებს, გადაუნაწილონ ქვეყანაში ცნობილ ადამიანებს, თუ გნებავთ „აპკიდონ მეურვეობა“, სადაც მათ ბედ-იღბალზე, მომავალზე ისინი იქნებიან მორალურად ვალდებული. მათ შეუძლიათ, სურვილისამებრ, მეურვის გვარი ატარონ მეორე გვარად, მითუმეტეს, ამ ბავშვებს თავისი საცხოვრებელი ბინა კანონით ეკუთვნით, ხოლო შეფ დედობილ-მამობილებს ვალდებულება ექნებათ ისინი სამუშაოდ მოაწყონ, გვერდზე იყოლიონ, ოჯახის ყოფას, წესებს შეაჩვიონ. მკითხველის არ ვიცი, მაგრამ მე ეს არავითარ პიროვნების უფლებების დარღვევად არ მიმაჩნია. როდესაც მიზანია – ადამიანის ღირსეულად აღზრდა, ესეც პოლიტიკაა, და ქვეყნის ხელმძღვანელობამ ეს თავიანთი პირადი მაგალითებით უნდა აჩვენონ.

ხალხის ცნობიერებაზე ცუდად მოქმედებს ერთი რეჟიმის მეორეთი შეცვლა, რაც არ უნდა კარგ ბრახვებს ემსახურებოდეს. რეჟიმის შეცვლა უნდა დაიწყოს მხოლოდ ეკონომიკის ძალისხმევით, რომელსაც თანდათან უნდა მოვარგოთ პოლიტიკა. ამის შესანიშნავი მაგალითია სსრ კავშირის ნგრევა პოლიტიკის საწყისით, ხოლო ჩინეთმა თავისი წყობა შეინარჩუნა, რადგან მან ეკონომიკით დაიწყო ქვეყანაში ცვლილებების განხორციელება.

1956 წელს ნ.ხრუშჩოვის „პიროვნების კულტის“ კრიტიკას არეულობა მოჰყვა თბილისში, არეულობის მოთავენი სგალინის კრიტიკას ასახელებდნენ მიზეზად, ფაქტიურად კი კბილს უსინჯავდნენ შეიძლებოდა თუ არა საქართველოს სსრ კავშირიდან გამოყოფა. 1956 წლის 9 მარტის მანიფესტაციის დახვრეგამ, იმდროინდელი საბჭოთა კავშირი შეიძლება ითქვას დაშლას გადაარჩინა. როგორ გინდათ ეს პოლიტიკურად გამართლებული ქმედება (შეიძლება ხელისუფლებას საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა, ეს სხვა საქმეა) მიუსადაგოთ დემოკრატია, სიყვევის თავისუფლად გამოთქმის უფლებას, როდესაც საზოგადოება შექმნილ გარემო-

ებაში, ამისთვის მზად არ არის. როგორც მე ამის დაწერაც არ უნდა მიჭირდეს, ნ.ხრუშჩოვმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო პოლიტიკურად.

თუნდაც ავიღოთ საქართველის უპირველესი მეფის გიორგი V „ბრწყინვალეს“ ადამიანის გონიერებისათვის დაუშვებელი ქმედება, რომელმაც სკუმრად მიწვეულ ურჩ თავადებს (დღევანდელ ოპოზიციას) სუფრაზე თავები დააყრდენა, კავკასიური გრადიციებისთვის ამ გაუგონარი დანაშაულის ჩადენით, მან ათასობით ადამიანის, თანამემამულის სიცოცხლე იხსნა, რადგან მეფის პოლიტიკას დაპირისპირებული და კეთილდღეობის დაკარგვის მოშიშარი თავადები, მის წინააღმდეგ ომში ჩააბამდნენ თავიანთ ქვეშევდრომებს. ალბათ ასეთი სისაძაგლის ჩადენის „უფლება“ აქვს იმ პიროვნებას, რომელიც შედეგს 100%-ით განჭვრეტს და სამშობლო, თავისი ქვეყანა თავზე მეტად უყვარს.

სამოგადოების განვითარებას ერთი საოცრება სჭირს, რაც უფრო მაღლა იწევს ცხოვრების დონე, უმჯობესდება, მით უფრო მეტად იზრდება ხალხის პრეგენზიები, ხოლო ხელისუფლება რაც მეტად ცდილობს ხალხისთვის, მით უფრო იზრდება დაპირისპირება, ამის შესანიშნავი მაგალითებია რუსეთის მეფის ალექსანდრე II მოღვაწეობა რომელმაც ბატონყმობა გააუქმა მასზე რამდენჯერმე მოაწყეს თავდასხმა და ბოლოს მოკლეს, ნ.ხრუშჩოვს, რომელმაც მასიურად სარდაფებიდან ხალხი ამოიყვანა და უკეთესი საცხოვრებელი პირობები შესთავაზა, შეთქმულება მოუწყვეს და მოხსნეს, ხოლო მ. გორბაჩოვი, რომელმაც ხალხისთვის თავისუფლების მიცემა და ქვეყნის გადემოკრატიება მოინდომა, პრეზიდენტობიდან გადააყენეს და ქვეყანაც დაშალეს. ამ ფაქტების შემხედავი, იტულებული ხარ გონიერებას შეეკამათო და ი.სკალინის ყოველ 10 წელიწადში ერთხელ რეპრესიების ჩატარებას „მოუნახო გამართლება“.

მ. გორბაჩოვს თავის დროზე სუმგაითის შემთხვევა და ყარაბახში მომხდარი არეულობა აზერბაიჯანში რომ „სისხლში ჩაეხრჩო“, არც თბილისის 9 აპრილი იქნებოდა, არც რიგაში გამოსვლები და არც სხვა არეულობა და საბჭოთა კავშირიც არ დაიშლებოდა.

ყველა პოლიტიკის მიზანია, ხალხს ბრბოდ გადაქცევის უფლება არ მისცეს, მან თავისი სურვილები და მრახვები ხალხს ჩუმად, საქმის კეთებით უნდა შეაპაროს და არა ყბელობით, სურვილებით. 1989

წლის 5 ივნისს პეკინის ცენტრში კიან მინის უზარმაზარ მოედანზე ჩაგარდა სტუდენტთა მრავალათასიანი მანიფესტაცია, რომლის მონაწილენი ქვეყანაში დემოკრატიის დამყარებას მოითხოვდნენ და კარვების დადგმა დაიწყეს, რასაც შემდგომ არსებული მთავრობის გადადგომის მოთხოვნაც დაემატა. შედეგად დახვრიტეს 5000-მდე სტუდენტი და დემონსტრანტებს სასტიკად გაუსწორდნენ, ეს სისასტიკე რომ არ ჩაედინა იმდროინდელ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობს, ამჟამად ჩინეთში აჭრილი და უღარიბესი ქვეყანა მსოფლიოში არ იქნებოდა. დღეს ჩინეთის ეკონომიკა სასწაულს ახდენს.

ნაციონალიზმი ძირითადად ხალხს არ ახასიათებს მანამ, ვიდრე შეძლებულად ცხოვრობს, დასაქმებულია, ხელისუფლებაზე განაწყენებული არ არის და ერთა შუღლი კარიერის მოსაპოვებლად ფსონში ჩასადებად არ დასჭირდება. საქართველოს მთავრობას სსრ კავშირში ყოფნის დროს რომ პოლიტიკა ესმარა და ამბიციური აფხაზები, ოსები თანამდებობებზე დაეწინაურებინა, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის არაქართველი ეთნოსით დასახლებულ ადგილებში, მცირე სასუსნავი მიეცა და მათ მიმართ მეტი პატივისცემა გამოეხატა, ეს გაუგებრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის არ შეიქმნებოდა. საერთოდ, როდესაც ღარიბი ოჯახიდან გამოდის ნიჭიერი კაცი, მას მთელი ოჯახი ეხმარება, რათა ის ხალხში გამოვიდეს, რაღაც თანამდებობა იგდოს ხელში და ოჯახის წევრებსაც დაეხმაროს და ამისათვის ოჯახი ყველაფერს იკლებს. შედეგად კორუფციულ სახელმწიფოში, ის სარფიან სამსახურში ვერ ეწყობა, ე.ი. „ვალს ვერ აბრუნებს“, ამას ხომ შენიანებთან, ახლობლებთან თავის გამართლება სჭირდება და ყველაზე საუკეთესო და ადვილი საშუალებაა ნაციონალისტი გახდე და შენს ირგვლივ ხელმოცარულები და უსაქმურები შემოიკრიბო, რადგან სხვა არც ერთი ქმედება შენი შესაძლებლობის პირობებში მომგებიანი არ არის, რადგან თუ მთავრობაზე არ განაწყენდი, სხვაგვარად ხალხის ყურადღებას ვერ მიიპყრობ, ხოლო განაწყენებულს ყოველთვის თავის დამცველი გამოუჩნდება. პოლიტიკის ეს ალგორითმი ყველა ქვეყნის გონიერმა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რადგან პოლიტიკური ოპოზიცია ძირითადად მაინც განაწყენებული და ხელმოცარული ხალხის ხვედრია, ბედისწერაა.

სამწუხაროდ პოლიტიკაში დღესაც ერთი კაცის გონიერებაზე დამოკიდებული ქვეყნის ავ-კარგის ბედი. აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ

ბუმბა, თავისი უსუსურობა რომ დაემალა, 11 სექტემბერის გრაგელის შედეგად, ჯარები შეიყვანა ავღანეთში და ერაყში, ხოლო ამ უკანასკნელში ჯარების შესაყვანად ათას მაქინაციას და წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას მიმართა, შედეგად მარცხს მარცხზე განიცდის და თავადაც ვერ გარკვეულა „რა ძალა ადგა პრობლემები რომ შეიქმნა“.

ვინ იყო ჩინგიზ-ყაენი ღღევანდელი გაგებით? – „რეკევი“. მან რამდენიმე შერკინებაში სხვადასხვა დაჯგუფების მომთაბარე გომებს სძლია და 300 წლიანი იმპერია შექმნა. როდესაც საქართველოს მოადგა, მან მოითხოვა ყოველ 10 კომლზე ერთი მეომარი და ყოველ 10 ცხვარზე ერთი ცხვარი და განაცხადა, რომ ის ქვეყანაში თავისი ჯარებით არ შემოვიდოდა, ასეთივე ხელშეკრულებას თავაზობდა სხვა ქვეყნებსაც, ოღონდ ერთის პირობით: თუ საჭირო იყო, გზებზე უნდა გაეგარებინათ. სამწუხაროდ, დიდი დავით აღმაშენებლის უვარგისმა შთამომავლებმა, ისიც კი არ იცოდნენ, რა ძალას წარმოადგენდნენ მონღოლები და მთელი აზია დაპყრობილი რომ ჰქონდათ, ეს მაშინ, როდესაც მათ დიდ ბაბუას თავის დროზე მსგოვართა საუკეთესო სამსახური ჰქონდა და მგრის ბანაკში რა ხდებოდა გელმიწევნით იცოდა. შედეგად ქართველები მონღოლებს უაზროდ შეებნენ, დამარცხდნენ, ხალხი შეახოცეს და დაემონენ, მაშინ, როდესაც შემოთავაზებული პირობები გაცილებით ხელსაყრელი იყო ქვეყნისათვის.

აშშ პრეზიდენტი რეიგანი თავისი პოლიტიკური პოტენციალით ძალზე სუსტი პრეზიდენტი იყო, მაგრამ მას გაუმართლა და ეკონომიკაში მრჩეველად აიყვანა არტურ ლაფუერომი, რომელმაც აშშ მოსალიდნელი ეკონომიკური კრიზისისაგან გამოიყვანა, ხოლო თავის მსახიობური ნიჭის და ბლეფის წყალობით, ვითომ მას ამერიკის ირგვლივ რაკეტაშეუვალი სარტყელი აქვს შექმნილი, საბჭოთა წყობის დაშლას საფუძველი დაუდო.

სსრ კავშირის პოლიტიკოსებს საზღვრები კი არ უნდა ჩაეკეტათ დემოკრატიულ ქვეყნებთან, არამედ პირიქით, უნდა გაეხსნათ, ერთი ფულის ერთეული შემოეღოთ თავისუფალი ვაჭრობის უფლება უნდა მიეცათ, შედეგად ხალხი დაახლოვდებოდა, ეკონომიკა წინ წაიწვედა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლება მიეცათ თავი წარმოეჩინათ სპორტში საერთაშორისო და ოლიმპიურ ასპარეზებზე, ვისაც სურვილი ჰქონდა თავისი რესპუბლიკის სახელით და ბიუჯეტის დანახარჯებით ცალკე გაეყვანათ გუნდები.

როგორც დღეს ამას დიდი ბრიგანეთი აკეთებს. ფეხბურთში, რაგბში და სპორტის სხვა სახეში, ინგლისის, შოტლანდიის, უელსის ნაკრები ცალ-ცალკე მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა სახის პირველობებზე.

ამასთან, ყველა რესპუბლიკას ერთმანეთთან საბაზრო ღირებულებებით უნდა ჰქონოდა ანგარიშსწორება. მაგ., რუსეთის ფედერაციას გაზი, ნავთობპროდუქტები უნდა მიეყიდა მსოფლიო ფასებით მოკავშირე რესპუბლიკებისათვის და ისინი სანამდე სსრ კავშირიდან გასვლას გადაწყვეტდნენ, კიდევ ერთხელ დაფიქრებოდნენ, ღირდა ამ კავშირიდან გასვლა თუ არა. მოკლედ იმდგვარი გაერთიანების მსგავსი კავშირი უნდა შეექმნათ, როგორც დღეს ევროკავშირია.

სასურველი იყო მოკავშირე რესპუბლიკებს თავიანთი საელჩოები, წარმომადგენლობები ჰყოლოდათ რამდენიმე ქვეყანაში, ეწარმოებინათ ბარტერული გაცვლა, სავაჭრო მოლაპარაკებები, მოემიდათ თავის ჭკუით ინვესტიციები. ეს ორმაგად მომგებიანი იქნებოდა, ეკონომიკა განვითარდებოდა, უძრაობის პერიოდი დამთავრდებოდა და რესპუბლიკებიც თავიანთ ამბიციებს დაიკმაყოფილებდნენ და „ჩვენც ნახირნახირო“ და თავს საერთაშორისო მასშტაბით დააფიქსირებდნენ. ძალზე კარგი იქნებოდა, თუ სოციალისტური გაერთიანების ყველა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები, როგორც დღეს ეს ევროკავშირშია, იქნებოდნენ ექვს-ექვსი თვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებად. ვთქვათ სოციალისტური გიჰის ქვეყნების კავშირის გაერთიანების. უნდა შექმნილიყო ძირითადად ორი პარტია კომუნისტური და სოციალისტური, ამასთან, დროთა განმავლობაში რუსებიც დარწმუნდებოდნენ, რომ ამ მოკავშირე რესპუბლიკებიდან უნდა განთავისუფლებულიყო და თანდათანობით მათ დამოუკიდებლობასაც მიანიჭებდა, რადგან მათი შენახვა მის ეკონომიკას ძირს უთხრიდა. ახლა გვიანაა „მაგარებელი უკვე წავიდა“.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკა გამბედავი, პასუხისმგებლობის მქონე, შემოქმედი და ჟინიანი ხალხის პრეროგატივაა. ასე, რომ პოლიტიკაში არაფერია ახალი, ყველაფერი ძველია, გამოცდილია. ჩემის აზრით ყველა საზოგადოებრივი წყობა კარგია და მისაღები ხალხისთვის, თუ მას გონიერი მთავრობა ჰყავს. ამის შესანიშნავი მაგალითია დღევანდელი ემირატები და რომის იმპერიის წარსული, სადაც რომში რჩევის სახით მონათმფლობელს თავაზობდნენ, თუ

ნიჭიერი მონა გამოჩნდებოდა, რომელიც რომის იმპერიას სარგებელს მოუტანდა, მონათმფლობელს მისთვის განათლება უნდა მიეცა და ყველანაირად ხელი უნდა შეეწყოს მის წარმოჩენაში, ხოლო მონებს წესიერად უნდა მოჰყრობოდნენ, რომ ისინი გამრავლებულიყვნენ. თუ რომელიმე მონა არ მოისურვებდა თავის ბატონთან ცხოვრებას, ის სხვებისთვის უნდა მიეყიდა. ეს და სხვა ამდაგვარი რჩევები იმდროინდელი რომისათვის ძალზე დემოკრატიული იყო. დღევანდელი ემირატები თანამედროვე დემოკრატიისგან შორს დგანან, მაგრამ მისი მოქალაქეები უზრუნველად ცხოვრობენ და აქ სიჭყვის თავისუფლებას და დემოკრატიის პოსტულატები არავის აღელვებს.

საწარმო-ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, მინდა მოვიყვანო საკუთარი მაგალითი, მე ეს იმდენად მომწონს, რომ მრავალჯერ გამომიყენებია. სოციალიზმის დროსაც ვფიქრობთ, რომ შეიძლებოდა ისეთი პირობების შექმნა, რომ წარმატებით, თვითდაფინანსებაზე ეარსება სახელმწიფო ლოგაციურ მეურნეობას.

მე ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავალ სხვადასხვა დარგში და ადგილებზე მიმუშავია, მაგრამ მინდა გამოვყო ჩემი მუშაობის პერიოდი ქ. ივანტიევკის საცდელ-საჩვენებელ საწარმო მეურნეობაში ღირექტორის მოადგილედ, რომელიც ქ. მოსკოვიდან 25 კმ-ით არის დაშორებული. საწარმოში ყველაზე დიდი ხელფასი, როგორც მეცნიერებათა კანდიდატს, მე მქონდა. საწარმოს წარმოების ეს სისტემა, რომელზედაც მე ქვემოთ უნდა მოგახსენოთ, შექმნა ყოფილმა ღირექტორმა, გადამდგარმა სამხედრო მოსამსახურემ ბაჩაროვმა ვლადიმერ სიმონის-ძემ, რომელიც „შექმნილ გარემოებათა გამო“ საკავშირო მინისტრის დაქინებით დაუმსახურებლად დროზე ადრე პენსიაზე გაუშვეს. ამ ღირსეული ადამიანის შემდგომ მის ადგილზე ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფი მოვიდა ამ საწარმოს სახელმძღვანელოდ. მოკლედ ყოფილმა ღირექტორმა საცდელ-მეურნეობის პრიორიტეტები სოფლის მეურნეობისას მორატო და შედეგად ლოგაციური საწარმო მთლიანად თვითდაფინანსებაზე გადაიყვანა. შედეგად თუ ყველა კვარტალში გეგმას შევასრულებდით, ერთი თვის ხელფასი გვემატებოდა, ხოლო წლიური გეგმის შესრულების შემთხვევაში კვარტლის პრემიების გარდა, გვემატებოდა ექვსი თვის ხელფასი, ამრიგად, სულ კარგი მუშაობისათვის შეგვეძლო აგველო 22 თვის ხელფასი წელიწადში.

მაგრამ აქ არ ვითვლიდნენ იმ დღეებს, თუ ავადმყოფობის გამო გააცდენდი, ან მივლინებაში წახვიდოდი, ან მსაჯულად თუ იყავი მიწვეული სასამართლოში, გარდა ერთი შემთხვევისა, თუ მონაწილეობდი „გეოს“ საქალაქო თავდაცვის შტაბის ეგიდით ქუჩების დასუფთავებაში. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ერთი ჩემთვის გასაოცარი და სასიამოვნო ამბავი. ქალაქის ხელმძღვანელობამ დამირეკა და მთხოვა, რომ „გეოს“ მეოთხე ათეული გამეგზავნა ქუჩების თოვლიდან გასაწმენდად. მე ამის შესახებ დირექტორს მოვახსენე, მან ტელეფონის ნომერი აკრიფა და მუსკად 30 წუთში, დაწესებულებას მოადგა, 15 კაცი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ნიჩბებით, საბარგო მანქანით, რომელსაც თან ახლდა ერთი თვითმცლელი თოვლისთვის და ერთიც კოვშიანი გრაქტორი თოვლის მანქანაზე დასაყრელად. შემოვიდა შუა ხნის მამაკაცი, დირექტორს სამხედრო სალაბო მისცა და მოახსენა, რომ ათეული მზად არის დავალების შესასრულებლად. დირექტორმა ნიშნის მოგებით და ღიმილით გადმოიხედა, როდესაც სახეზე გაკვირვება შეემაჩნია. ასევე სერიოზულად იყო დაყენებული პოლიგმეცადინეობის და სამოქალაქო თავდაცვის „გეო“-ს მეცადინეობის საქმე. რადგან მანამ და შემდგომ, სადაც მე მიმუშავია, ამ საქმეს ყველა ფორმალურად ეკიდებოდა. პოლიგმეცადინეობა ტარდებოდა ორშაბათობით 7³⁰-დან 8³⁰-მდე, მაგრამ მუშები, მძღოლები და ბრიგადირები თავის ნებით მეცადინეობას დილის 7 საათიდან იწყებდნენ და ისეთი კამათი და სჯა-ბაასი მიდიოდა ქვეყნის პოლიტიკაზე და იმდენ ერუდიციას იჩენდა ეს მუშათა კლასი, ზოგჯერ გაოცებას ვერ ვმაღავდი. ისინი ოფიციალურად გვიწვევდნენ წარმოების ხელმძღვანელებს, ქალაქკომის პარტიულ ინსტრუქტორებს, რათა მათ პასუხი გაეცათ მათთვის საინტერესო კითხვებზე.

მე მივხვდი, რომ ერთი შეხედვით ეს არასაჭირო საქმე, ასე პოპულარული რაგომ ვახდა გონიერი აგიტატორების ხელში, რადგან, სოციალიზმის დროსაც ხალხს გამოეთქვა ის ამრი, ოფიციალურად თავისი ამრი გამოეთქვა, კოლექტივში „მასმედიას“ აკრძალული ჰქონდა, რათა ის იმ დღის გმირი გამხდარიყო, თავისი მოსაზრებები სხვებისთვის თავზე მოეხვია ან ხელმძღვანელისთვის ნიშნი მიეგო, თუ ის მის კითხვებს ამომწურავ პასუხს ვერ გასცემდა. ეს პოლიგმეცადინეობაც თავისებური ფსიქოთერაპია იყო, რადგან ადამიანს აქვს სურვილი თავისი სატკივარი გამოთქვას ან თავისი აზრების გადმოფრქვევით სხვებთან თავი მოიწონოს.

მე მემსახურებოდა „ფურგონი“ ვოლგა, რომელსაც თუ გავა-
ქირავებდი, სხვა დაწესებულებებზე დავუშვავთ დღეში 100 მანეთად,
40% საწარმოს მიჰქონდა, 10% საწვავს და ამორტიზაციის ხარჯებს,
ხოლო 50% მე და მძღოლი ვინაწილებდით და ეს თანხა ხშირად
ჩემს ხელფასს აჭარბებდა. მოკლედ ამ სანერგეს თავის გყის
ფართობით, სათბურებით, დამხმარე ფართით და საცხოვრებელი
სახლებით ეჭირა 200 ჰექტარი მიწა. აქ გამოგვყავდა 80-მდე ჯიშის
სხვადასხვა ნერგი, 30 ჯიშამდე სხვადასხვა ყვავილი, ზამთრის
პერიოდში მუშები ამზადებდნენ აბრეშუმის ნაკუწებიდან ხელოვ-
ნურ ყვავილებს, ვასრულებდით სამხედრო შეკვეთებს, ხის მასალიდან
ვაკეთებდით ზუსტ ყალიბებს, მოკლედ ყველაფერს, რაც კი შემო-
სავალს იძლეოდა.

და კიდევ ერთი, პოლიტიკა ეს არის პირადი დაინტერესება
სხვებზე ზრუნვის მომიზნებით. დამლაგებლები, რომლებიც
ელექტროენერჯის ეკონომიას შეძლებდნენ, იღებდნენ დაბოგილი
თანხის 50%. ამიგომ ჩვენს საწარმოში, როგორც დადგინდა,
არასოდეს ხანძარი არ გაჩენილა, ხოლო დარაჯებს დამე დამლა-
გებლები ამოწმებდნენ და ვაი მათი ბრალი, ვინც ელექტროლუმებს
ჩართავდა, ან წყალს გააცხელებდა ჩაის დასალევად. ამისათვის
არსებობდა სასაბილო და ყველას იქ უნდა ესაბილა, თანაც ძალზე
შელაგათიან ფასებში.

ამ საწარმოზე იმიგომ შევჩერდი ასე დიდხანს, რომ პოლიტიკა
და ეკონომიკა განუყოფელი ნაწილია, რა სახის წყობასთან და
ფორმაციასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. პოლიტიკაა ისიც, როდესაც
ბიზნესმენი სახელმწიფო მოხელეს ქრთამს აძლევს, რადგან
უიმისოდ საქმე არ გვარდება.

დღეს საშინლად აიწია ბინების ფასებმა, მთელ მსოფლიოში
და ეს მექრთამეობის განვითარების შედეგია. წინათ რომ საბჭოთა
მშენებელს რაიმე მოეპარა, მას ერთი საშუალება ჰქონდა, „მკვდარი
სულები“ უნდა გაეფორმებინა და როდესაც მოინდომებენ მასინ
დაიჭერდნენ, დღეს ეს საკითხი სხვაგვარად დგას. ვთქვათ, აგურის
მომწოდებელი აგურს 20% მიძვირებს, რომელსაც მე ოფიცია-
ლურად ვიხდი, ხოლო შემდგომ „უკუგორებით“ ამ თანხას მიბრუ-
ნებს. ყველა კმაყოფილია, აგურის მწარმოებელმა აგური გაასაღა,
მშენებელმა უსაყვედურო ფული მიიღო, ხოლო ფულიანმა ადამიან-
ებმა, რომლებმაც არ იციან მუქთად ნაშოვნი ფული სად წაიღონ,
ბინების შესყიდვაში აბანდლებენ.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს არავინ უწყის, ხალხი „ცხვრის ფარაა, სანამდის არ გაცხარდება“. მთავარია მას სარჩო არ მოვაკლოთ, მიზანი დაუვსახოთ, იდეოლოგიის დოგმებით აღვჭურვოთ, ხანდახან პატრიოტიზმის ალიყურიც გავუღაწუნოთ, რათა მშვიდი ცხოვრება არ მობეზრდეს და ბუნებით ვიგინდარებმა თავი სხვისი მიღწევების გაფეციშებით არ მოიგიჟიანოს. ხალხის ნაწილი ძალიან წააგავს სპორტის ფანაგებს, თუ მათი საყვარელი გუნდი იგებს, ყველა წარმატების წილში მის და კმაყოფილია, ხოლო თუ წააგო, მამინ იწყება ჭკუის სწავლება, მწვრთნელის და მოთამაშეთა განჩიება.

1985 წელს ასევე მოუვიდა მ.გორბაჩოვს, როდესაც ლოთობის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო და ფეხიც წაიგხნა. მ.გორბაჩოვს რომ თანდათან შეემცირებინა ალკოჰოლის გაყიდვა, კომუნისტებისთვის ცნობილი პროპაგანდით, ამ წამოწყებიდან რაღაც გამოვიდოდა. რადგან კამპანიას სჭირდებოდა სწრაფი შედეგისათვის თავისებური რეპრესიები, ვთქვათ გარკვეული წილი ლოთების გაეშვა სპეცდასახლებებში სამკურნალოდ ან საცხოვრებლად.

სამწუხაროდ მ.გორბაჩოვს ახასიათებდა ნახევარი ღონისძიებების გაგარება და არც ერთი საქმე ბოლომდე არ მიუყვანია. მიუხედავად ამ კამპანიის ფიასკოსი, ფაქტია 1987 წელს ბავშვთა შობადობა ქვეყანაში მილიონნახევრით გაიზარდა, ხოლო ოჯახურმა კრიმინალმა 30000 კაცის სიცოცხლე დაინდო ლოთობის შედეგად მომხდარი სიკვდილიანობისაგან. ასე, რომ მ.გორბაჩოვს ის აკლდა თავის პოლიტიკის განსახორციელებლად, რასაც ყველაზე მეტად გაურბოდა „მუშის“ დარცმვა“ საჭირო მომენტში.

მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავის სადარბაზოდან ის ადამიანი გაასახლონ საერთო კრების გადაწყვეტილებით, ვინც მათ თავიანთ სახლში ცხოვრებას უშლის: ლოთები, რომლებსაც შეუძლიათ ხანძარი გააჩინონ, ფსიქიურად დაავადებული, რომელიც აგრესიულია, ადამიანი, რომელსაც ძაღლების დიდი რაოდენობა ჰყავს და სხვა მიზეზითაც, რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამ რჯულის ხალხს (აქ არავითარი შეცოდება, რომ ის აღრე ცნობილი და კეთილი ადამიანი იყო) უნდა ჰქონდეთ თავიანთი დასახლება, სადაც სახლები აშენდება ცეცხლგამძლე მასალით, ექნებათ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები დამონტაჟებული სახლში და სხვა უსაფრთხოების დასაცავი

მოწყობილობა და ეს ქმედებაც პოლიტიკაა, ჯერ ერთი, მეზობლები ერთმანეთს მოერიდებიან და ეს ჩვევა ურთიერთპატივისცემაში და კანონის დაცვაში გადაიმრდება. შედეგად ნაკლები გაუთვალისწინებელი შემთხვევები, მოთხოვნები, ექსცესები, ხარჯები იქნება.

მახსოვს, უბანში მამლაყინწა ბიჭებს როგორ გვმოძღვრავდა უბნის მამყურებელი „ძველი ბიჭი“ – თუ თქვენი მაწყენარის დასჯა გინდათ, დანის წვეროდან გადათვალეთ სამი თითის დადება, იქ წააფლეთ დანის პირს ხელი და თქვენს დამჩაგვრელს „გაუჭკვეთ“ ღუნდულოში, შედეგად ჭრილობა მტკივნეულია, გვიან ხორცდება, საკაიფო და სასაჯელიც ნაკლებია, ხოლო გამოუცდლობით დანის მთლიანად შერჭობით, კაცსაც მოკლავთ, ცოდვასაც დაიდებთ და შეიძლება სიკვდილიც მოგისაჯონ. მიუხედავად ამგვარი სათუო განათლებისა, მისმა ლექციამ ორი ყვინჩილა იხსნა ცოდვის ჩაღენისაგან, რადგან მათ თავიანთი ავის მქნელი „მასწავლებლის“ მიერ მიცემული რჩევის ხერხით დასაჯეს.

გაოცებას იწვევს აშშ საიმეგრაციო პოლიტიკა, თუ ამერიკის ტერიტორიაზე მოხვდი, შეგიძლია სამუშაო იშოვნო, ხოლო შეშვებით აშშ არ გიშვებენ, ე.ი. თუ დანაშაული ჩაიდინე, გაგატიობენ, ხოლო თუ დანაშაულის ჩადენას ფიქრობ, გსჯიან. საქართველოს მთავრობამ თავის მოსახლეობისთვის საზღვარგარეთ, სასურველია სახელმწიფოების ოფიციალური შეთანხმების დონეზე მიიღოს გარკვეული ოდენობის სამუშაო ლიმიტი, ვთქვათ წელიწადში მას შეეძლოს გაგზავნოს 10000 კაცი თავისი ოჯახით ხუთი წლით, ამის შემდგომ ისინი უკან ბრუნდებიან და მათ სხვა მსურველები შეცვლიან. ეს ქმედებაც პოლიტიკაა და მას რამდენიმე სარგებელი მოაქვს ორივე მხარისთვის: აშშ მიდის ოფიციალურად იაფი, კანონის მორჩილი მუშახელი, რომელიც ქვეყანას სჭირდება, ხოლო საქართველო და მისი მოქალაქენი იღებენ მაგერიალურ სარგებელს და მათი შვილები და თავად ეცნობიან უცხო კულტურას, სწავლობენ ენას, იჩენენ ნაცნობებს და ეს პროგრესისკენ გადადგმული ნაბიჯია და რაც მთავარია, უკან ბრუნდებიან საქართველოში.

პოლიტიკას ბევრი საოცრება აქვს ეკონომიკაში. მაგ., თითოეულ რუს მოქალაქეზე 11-ჯერ მეტი ნაყოფიერი რუსული მიწა მოდის ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე ესპანელებზე, მაგრამ რაგომღაც ესპანელი პენსიონერები ათჯერ მეტ პენსიას იღებენ, ვიდრე რუსეთის მოქალაქე პენსიონერები. რუსეთმა თავის ტერიტორიის 2% რომ გამოიყენოს სახანავ-სათესად, მას თავზე

საყრელად ექნება კვების პროდუქტები, აღარაფერს არ ვამბობ ჰიდრორესურსებზე და წიაღისეულ ნედლეულზე, მაშინ, როდესაც ესპანეთმა თავის გერიგორიის 10% უნდა გამოიყენოს, რომ თავი გამოკვებოს, რუსეთის შესაძლებლობებს აღარ ვუდარებ ნორვეგიისას, რომელიც ჩრდილოეთის ქვეყნად ითვლება და მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მეგსაც გეცყვით, ყველა გიუმენის ოლქში მცხოვრები, რასაც გიუმენის უმდიდრესი ოლქი იძლევა, იმ სიმდიდრის შესაბამისად, რასაც ისინი მოიპოვებენ, 11-ჯერ უკეთ უნდა ცხოვრობდეს, ვიდრე კუვეიტში მცხოვრებნი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს არც ღირსეული ეკონომისგები ჰყავს, არც წინასწარ გათვლილი პოლიტიკა აქვს და არც ამომრჩეველი უქნია ღმერთს, ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა საქართველოში და „დსთ“-ს სხვა ქვეყნებშიც.

პოლიტიკა წინასწარ უნდა ჰვრეგდეს ეკონომიკაში ქმედების აუცილებლობას და თუ საჭიროა, უნდა აიძულოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, პერსპექტივის მოლოდინით შეეგუოს დროებით ყოფიერების პირობების გაუარესებას. ხელისუფლება პოლიტიკურ-ეკონომიკური მოსაზრებით ქვეყანაში აგარებს ეკოლოგია-ეკონომიკის გაუმჯობესების ღონისძიებებს. მგ. ხუთი წლის ვადაში, ყველა მსუბუქი ავტომობილის მფლობელი ვალდებულია გადაიყვანოს მანქანები ელექტრო ძრავაზე, ხოლო ამ ძრავის აკუმულატორები ვთქვათ 10 ჯერ იაფად უნდა დაიგენოს ღამის გარკვეულ საათებში, როდესაც ელექტროენერგია ნაკლებად მოიხმარება, ან მუქთად იკარგება. პოლიტიკაა ისიც თუ ხელისუფლება აწესებს ლუწ და კენგ რიცხვებში მანქანების გადაადგილების გრაფიკს. ან კვების მრეწველობაში ნერგავს ახალი სახის პურს, როდესაც სიმინდი პურის ფქვილს ერევა ან კარგოფილის ფქვილი, რაც გამოწვეულია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რათა შეემცირდეს ხორბლის იმპორტი, რადგან ჩრდილოეთის ქვეყნებში კარგოფილის უხვი მოსავალი მოდის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. სასურველია სუპერმარკეტებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში გაიყიდოს მხოლოდ კანგაცლილი ბოსტნეული, (რომელიც შეიფუთება ინერგულ გამში) ან ნახევრადფაბრიკატები ხოლო ნარჩენები გამოყენებული იქნება ცხოველთა საკვებად ან ბიოლოგიური საწვავის მისაღებად. პოლიტიკის მოვალეობაა დააჩქაროს ქვეყანაში ცივილიზაციის მიღწე-

ვების დანერგვა. აბა, რა გამართლება აქვს დღეს პოლიგ-ეკონომიოკურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით რომ რუსეთის დიდ ქალაქებში და ქ.თბილისში ერთი ნაგვის გადასამუშავებელი თანამედროვე ქარხანა ვერ აუშენებიათ, ჩემთვის გაუგებარია. ალბათ ეს აიხსნება ხელისუფალთა უგუნურებით, დოცლაპიობით და წინდაუხედაობით.

პოლიტიკაა ისიც, თუ ხელისუფლება გედმეგი წონის გამოსადეგს აწესებს, ხოლო ის, ვინც ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მონაცემებზე ორჯერ მეტს იწონის, მას თავისი ხარჯებით იძულებით სამკურნალოდ გზავნიან, სანამდე გედმეგი წონის საკითხს არ მოაგვარებს. ის, ვინც არსებულ ნორმატივზე 50% მეტს იწონის, თვითმფრინავში მგზავრობისას იხდის გედმეგი წონის ბარგის შესაგყვის გადასახადს. ყველა აკრძალვა ხალხის კეწთილგანწყობას, მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას უნდა ემსახურებოდეს და აქ ადამიანის უფლებები არაფერ შუაშია, რადგან წონამოწესრიგებული მოქალაქე დიდხანს ცოცხლობს, შრომისუნარიანია, ნაკლებად ავადმყოფობს, რაც სახელმწიფოს ეკონომიკის ინტერესებშიც შედის. ჩემი ნება რომ იყოს, გედმეგი წონის მქონე ხალხს სახელმწიფო სამსახურში არ მივიღებდი და თუ ის ქვეყნისთვისაა საჭირო, მას მრჩეველად მოვიწვევდი, ისიც გამომუშავებაზე.

პოლიტიკური პარტიები, არჩევნები

პოლიტიკა მომხრეების, თანამოაზრეების და მხარის დამჭერთა გარეშე შეუძლებელია. ამიგომ იქმნება პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც პარტიას უწოდებენ და თავისიანებს აწინაურებენ, ხოლო ვინც კარიერის გარეშე რჩება, ისინი ოპოზიციურ პარტიად აჯგუფებებს ქმნიან, ეძებენ პოპულარულ ლიდერს, უსაფრდებიან მმართველ პარტიას და რევანშზე ფიქრობენ, რა თქმა უნდა „ხალხის საკეთილდღეოდ“.

პოლიტიკურ პარტიად უნდა ჩაითვალოს ყველა ის გაერთიანება, რომელსაც წევრად ჰყავს ქვეყნის მოსახლეობის 0,1% და იხდის პარტიის საწევრო გადასახადს არა ნაკლებ ხუთი დოლარისას თვეში. ყველა პარტია ვალდებულია საწევრო შემოსავლებიდან გადაიხადოს ბიუჯეტისთვის განკუთვნილი გადასახადი, ხოლო დარჩენილი თანხის ნახევარი გადარიცხოს სახელმწიფო საარჩევნო ფონდში. ამ დაგროვილი თანხის 80%, გადაეცემა სამი თვით ადრე პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. ხოლო დარჩენილი 20% იტოვებს საარჩევნო კომისია არჩევნების ხარჯების დასაფარად. ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს თავისი წესდება, იდეოლოგია და ეკონომიკური პოლიტიკა, ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული მთავრობის შემადგენლობის სია იმ შემთხვევისთვის, თუ ის გაიმარჯვებს არჩევნებში და უნდა ჰყავდეს ახალგაზრდული ორგანიზაცია მოსახლეობის 0,01%. ე.ი. ყოველ ერთ მილიონ მოსახლეზე 1000 პარტიის წევრი და 100 ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი.

თუ რომელიმე პარტია საპარლამენტო არჩევნებში გადალახავს 2%-იან ბარიერს, მისი წარმომადგენელი არჩეული უნდა იქნას პარლამენტში, რათა დებატები გაიმართოს პარლამენტის შენობაში და არა ქუჩაში.

პარტიების გარდა თავიანთი კანდიდატურა შეუძლიათ წარმოადგინონ დამოუკიდებელმა კანდიდატებმაც.

ის გაერთიანებები, რომლებსაც საერთო მოსახლეობის 0,1%-ზე ნაკლები პარტიის წევრი ჰყავთ, ერთიანდებიან ასეთივე დაჯგუფებებთან, ქმნიან ბლოკს და წარმოადგენენ თავიანთ კანდიდატებს. ამ სახის გაერთიანებებს სახელმწიფო ბიუჯეტში შეაქვთ საწევრო

გადასახადებიდან სახელმწიფო გადასახადი და დაფინანსებას სახელმწიფოდან არ იღებენ.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამ თანამდებობის დაკავების მსურველმა მაჟორიტარმა კანდიდატებმა წინასწარ უნდა მოაგროვონ ქვეყნის საერთო მოსახლეობის 1% ხელმოწერა მისი კანდიდატურის მხარის დასაჭერად, ან უნდა წარმოადგინოს პარტიამ ან პარტიათა ბლოკმა, რომლებსაც პარლამენტში არჩეული ჰყავთ დეპუტატთა 20%. დამოუკიდებელმა კანდიდატმა – მაჟორიტარმა უნდა შეიგნოს გარკვეული თანხა ქვეყნის ბიუჯეტში ვოქვით 0,001%. შედეგის მიუხედავად დაუბრუნდება ამ თანხის ნახევარი. ყველა კანდიდატი სახალხოდ უნდა გაესაუბროს უხუცესთა საბჭოს და შეიგნოს გამოცდების ჩასაბარებელი თანხა 0,000001% საგამოცდო კომისიის ანგარიშზე გასაუბრების შედეგების მიუხედავად ყველას კანდიდატურა დაიშვება არჩევნებში.

სახელმწიფო მეთაურის არჩევნებში, სადაც ხალხი პირადად აკეთებს არჩევანს, ყველა ქვეყნის ეროვნების მოქალაქეს, აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საყოველთაო არჩევნებში და აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თუ ის რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა.

პარტიას, გაერთიანებებს, პირველადი ორგანიზაციები უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ქვეყნის ტერიტორიის 51%-ზე. უნდა ეწეოდეს აგიტაცია-პროპაგანდას თავისი იდეების პრაქტიკულად განსახორციელებლად, უნდა ატარებდეს ნებადართულ ადგილებში მიტინგებს, გამოსვლებს, აწყობდეს შაბათობებს, გართობებს, მონაწილეობას იღებდეს სამოგადოებრივ საქმიანობაში, ეწეოდეს ქველმოქმედებას. თავად პარტიებს შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი ბიზნესი და ბიზნესმენებისგან შემოწირულობებს უნდა იღებდეს ოფიციალურად, გაცხადებით.

უნდა აიკრძალოს ისეთი პარტიები, რომლებიც აღვივებენ ნაციონალურ შუღლს, ანგისემიციზმს, რასიზმს. არ უნდა ატარებდნენ ერთნაირ ფორმის განსაცმელს, არ უნდა ჰქონდეთ იარაღი, არ უნდა ეწეოდნენ აგიტაციას ძალადობაზე, სეპარატიზმზე. ყველა სახის მიტინგისათვის ყველა ტერიტორიაზე წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი ადგილი მის ჩასატარებლად, სადაც შეიძლება მიიწვიონ „მასმედიის“ მუშაკები, ხელისუფლების წარმომადგენლები. თავშეყრა უნდა იყოს მშვიდობიანი, ცეცხლსასროლი, მჭრელი და ბლაგვი იარაღის გარეშე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ადამიანის

ჯანმრთელობის ხელყოფას, აკრძალულია გრანსპორტის მოძრაობის შეჩერება, გზების გადაკეცვა.

პარტია მიგინგის ჩაგარების შესახებ ხუთი დღით ადრე აცნობებს ტერიტორიის ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია თავის წარმომადგენელი გამოგზავნოს მიგინგზე დასასწრებად. თითოეულ პარტიას ოფიციალურად მიგინგის გამართვა შეუძლია წელიწადში 12-ჯერ, ხოლო უპარტიო მოქალაქეებს, ქალაქის, რაიონის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, სასამართლოს განჩინებით, ან გარკვეული დადგენილი თანხის გადახდის შემდეგ. წესრიგის დასაცავად ხელისუფლება გამოყოფს პოლიციის წარმომადგენლებს.

პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ ერთი საკუთარი გაერთიანებული ტელეარხი, გაზეთი და ინფორმაციის სხვა საშუალებანი. ყველა პარტია, გაერთიანება, მაჟორიტარი, პიროვნება თავიანთი ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით იძენს დროს, გვერდს და თავის შეხედულებისამებრ განკარგავს მას. ამ არხს, გაზეთს გარკვეული ხარჯების დასაფარავად ეძლევათ რეკლამის გაშვების უფლება.

გაერთიანებული სატელევიზიო არხის, გაზეთის ქონა შეამცირებს, საპროტესტო გამოსვლებს, რადგან ვისაც ამის სურვილი აქვს, იყიდის საეთერო დროს, გამოვა ტელევიზიით და უფრო ფართო მასებს პოპულარულად შეაგყობინებს თავიანთ ამრებს, გადაწყვეტილებებს.

ამ არხზე უნდა აიკრძალოს ლანძღვა, ცილისწამება, რადგან ყველა ბრალდება ხელისუფლების და ერთმანეთის მიმართ გადამოწმებული უნდა იქნას პროკურორის მიერ. ასეთი მიდგომა საქმისადმი პოლიტიკური ოპონენტებს უფრო საქმიანს გახდის, მოერიდებათ დემაგოგიურ გამოხდომებს და მოთოკავენ თავიანთ ამბიციებს. პოლიტიკა ნერვების დამამშვიდებელი საშუალებაა და არა არაორდინალურ ადამიანებზე „გვიყის პერანგის“ ჩამოცმა რადგან, ის ამროვნებას, მომავლის განჭვრეტას, სახელმწიფოს კანონების დაცვას მოითხოვს.

ყველა პარტია, კანდიდატი, ადგენს „საარჩევნო სერტიფიკატს“, რომელზედაც ციფრების დაფიქსირებით გაცემული უნდა იქნას ყველა პასუხი უხუცესთა საბჭოს სავალდებულო კითხვებზე და შემდეგ ამახვილებს ყურადღებას იმ საკითხებზე, რომლის ლობირებას, დანერგვას ეცდება, თუ მას დეპუტატად, პრეზიდენტად

აირჩევენ. „საარჩევნო სერტიფიკატი“ შედგება ოთხი გვერდისგან. პირველ გვერდზე იბეჭდება კანდიდატის ფოტო, მოკლე ბიოგრაფია და ცხოვრებისეული პოსტულატები, ხოლო პარტია ბეჭდავს თავის ემბლემას, ლიდერების ფოტოს, მათ მოკლე ბიოგრაფიას, პარტიის პოსტულატებს. მეორე გვერდზე იბეჭდება უხუცესთა საბჭოს კითხვები და მათზე გაცემული პასუხები, ხოლო მესამე-მეოთხე გვერდზე პარტიის მთავრობის წევრების შემადგენლობა გამარჯვების შემთხვევაში და რა სიახლეს გვთავაზობენ ქვეყნის პოლიტიკაში, ეკონომიკაში.

და ბოლოს, სხვადასხვა პარტიებსა, არჩეულ ხელისუფლებას და ამომრჩევლებს შორის ანგაგონიზში კი არ უნდა არსებობდეს, არამედ ურთიერთგაგება, სიახლის, ეფექტიანობის შემოთავაზება, რადგან მრავალპარტიულობა ქვეყანაში სხვადასხვა აზრის გამოხატვის საშუალებაა სამშობლოს, ქვეყნის, იმ ხალხის საკეთილდღეოდ, რომელმაც ქვეყანა სამართავად მოგანდოთ და ნლობა გამოგიცხადათ.

სახელმწიფოებრიობის და მისი რაობის წარმოსაჩენად უდიდეს როლს თამაშობს საარჩევნო სისტემა და მისი პატიოსნად ჩატარების უნარი. სამწუხაროდ დღემდე ცნობილი საარჩევნო სისტემის არც ერთი ვარიანტი არ არის სრულყოფილი და ის უფრო ამომრჩევლებზე „გიჟის პერანგის“ ჩაცმას მოგვაგონებს, დემოკრატიის სახელით და ნიშნის მოგებით, „ყოველივე თქვენს თავს დააბრალებთო!“

როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, ამომრჩეველს უჭირს ღირსეული და საქმიანი ხალხის არჩევა, ის უფრო ტკბილ დაპირებებს, კანდიდატის მჭერმეტყველებას, გარეგნულ მომხიბვლელობას აძლევს ხმას და არა მის საქმიანობას, ორგანიზაციულ ნიჭს. ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ არჩევნების ჩატარების ჩემბური ორი ვარიანტი და ხედვა, რომელიც მოწოდებულია გამოასწოროს დღევანდელი საყოველთაო ფარული არჩევნების ნაკლი.

დღეს ყველა კანდიდატი სიტყვით ადამიანის თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის იღვწის, მაგრამ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რომ დანაპირებს შესრულება სჭირდება, რაგომდაც უმეტესობას ავიწყდება ან უნარი არ შესწევს. თუ ჩვენ წესიერი და შედეგის მომგანი არჩევნების მომხრენი ვართ, მაშინ სახალხო და საყოველთაო არჩევნები ჩავატაროთ არა ფარული კენჭის ყრით,

არამედ საარჩევნო ბიულეტენზე ხელის მოწერით, ჩვენი ნების გამოხატვით, რადგან დემოკრატიულ ინსტიტუტებს აღმშენებლობისთვის ვაქცავთ ხალხი სჭირდება და არა მშვიშარა, მლიქვნელი და თავის დაზღვევა. რადგან ვაქცავთ ყველას ვერ მოვითხოვთ, ამიგომ გთავაზობთ რაღაც საშუალოს, სადაც არჩევნები ფარულია, მაგრამ კანდიდატის განსჯის უფლება გაქვთ გარკვეულ წრეში.

ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ არჩევნების ჩატარების წესი წიგნის ავტორისეული ვარიანტებით:

1. გ. ყუარაძისეული უჯრედის არჩევნები ანუ ოჯახურ – მემობლური ჯგუფის პირველადი არჩევნები.

არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოსახლეობა იყოფა ოთხკატეგორიულ ჯგუფებად ოჯახების ხარჯზე და მიეკუთვნება მუდმივი, საარჩევნო ნომერი. თუ ოჯახს არ ჰყოფნის ან ბედმეტი ჰყავს ხმის მიცემის უფლების მქონე წევრი, მას ან დაამატებს ან მემობლურის საარჩევნო უჯრედს დაამატებს. ჯგუფი ირჩევს საერთო კენჭისყრით უჯრედის ხელმძღვანელს, რომელიც ფორმდება კრების ოქმით. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, უჯრედის ხელმძღვანელს მოაქვს თავისი ჯგუფის დანომრილი ბლანკი, სადაც აღნიშნულია არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია. უჯრედის ხელმძღვანელი არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე იწვევს ჯგუფის წევრებს, ატარებს კრებას, ყველა გამოთქვამს თავის აზრს და დანომრილ ბიულეტენზე ხელს მოაწერენ თავიანთი არჩეული კანდიდატის გასწვრივ. ხოლო თუ ვინმე არ ესწრება, ბიულეტენზე გააკეთებენ აღნიშვნას და ყველა კრებაზე მიწვეული წევრი დაადასტურებს. ჯგუფის არჩევნების შედეგები ჯგუფის უფროსს გადმოაქვს საარჩევნო ბლანკის პირველ გვერდზე და აღნიშნავს იმ კანდიდატების ნომერს, ვისაც მხარი დაუჭირებს და ჯგუფის წევრები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავიანთი ხელისმოწერით თავიანთ არჩევანს.

არჩევნების დღეს ჯგუფის უფროსი მიდის საარჩევნო კომისიაში ხმის მისაცემად, მასთან ერთად დააოქმადონებენ შედეგებს და მისცემენ ცნობას, რომ მან ხმა მისცა. საარჩევნო კომისია ამ დანომრილი ბიულეტენების მიხედვით ადგენს შედეგს.

უჯრედის უფროსი არჩევნების დღეს არჩევნებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში ჯარიმდება დიდი თანხით ან მიესჯება ექვს თვემდე პატიმრობა. თუ არჩევნების დღისთვის უჯრედის ხელმძღვანელი ავად გახდა, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საარჩევნო

კომისიას ან გააფორმოს მინდობილობა თავისი უჯრედის რომელიმე წევრზე და დაავალოს ხმის მიცემა.

დღევანდელ პირობებში, მე პირადად ამგვარი არჩევნების მომხრე ვარ, რადგან უჯრედის წევრები ოჯახში, მეზობლებში „ყბელობის“ ღონებზე მაინც განიხილავენ კანდიდატის ავკარგეანობას და არა ისე, როგორც დღეს, უმეტესობა ბრმად აძლევს ხმას უკეთ რეკლამირებულ კანდიდატს.

გყუფარაძის საყოველთაო არჩევნები სატელევიზიო გზანვილებით.

არჩევნების ეს ვარიანტი მომგებიანიც არის (თუ ლაგარიას გავათამაშებთ, სადაც მოგება გზანვილების ხმის ოდენობის დამთხვევის შესაბამისად განისაზღვრება) და სახელმწიფოს მისი ჩატარება არაფერი არ უჯდება. ამდგვარ არჩევნებს მომდევნო თაობები გამოიყენებენ, თუმცა დღეს-დღეობითაც შეიძლება მისი ჩატარება.

თანამედროვე ადამიანი, რომელიც დღეს ტელევიზორს არ უყურებს, რადიოს არ უსმენს, პრესას არ ეცნობა და საკუთარი მობილური არ აქვს, არცაა ღირსი მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ბელის გადაწყვეტასა და მის არჩევანში.

დღეს ყველა ტერიტორიას, რაიონს აქვს თავისი სატელევიზიო დრო ან ტელევიზია. შესაბამისად არჩევნებში მონაწილეობის მსურველები თავად გადანაწილებიან საარჩევნო კომპანიის ჩამტარებულ ტელევიზიებში, ტელედებატებში მონაწილეობის მისაღებად და საარჩევნო კომისიის კითხვებზე პასუხის გასაცემად.

არჩევნები ტარდება სამ ტურად, სადაც მონაწილეობს ყველა ასარჩევი დეპუტატობის კანდიდატი. პირველ ტურში გადის ცხრა კანდიდატი, მეორე ტურში ექვსი, მესამე ტურში სამი და აქედან ხდება კანდიდატის არჩევა. ტურები ტარდება კვირაში ერთხელ. ტურების შემცირება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ სათანადო ოდენობა კანდიდატების არ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. სხვა არჩევნებიდან განსხვავებით ამ არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ არასრულწლოვნებს 14 წლის ასაკიდან. თეორიულად შესაძლებელია მშობლებმა „ბოროტად გამოიყენონ“ თავიანთი უფლებები და შვილის მაგიერ დაუმესიჯონ, მაგრამ დღეს სხვა მენგალიგეგის თაობა მოდის და სამიშია პირიქით არ მოხდეს.

შენიშვნა: ყველა მოქალაქეს ვთქვათ 14 წლის ასაკიდან ეძლევა მობილური კავშირისთვის ერთი მუდმივი და უცვლელი

ნომერი, რომელიც ოფიციალურად რეგისტრირებულია სახელმწიფო უწყების ეგიდით და ის უქმდება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ.

დეკლარაციის კანდიდატთა წამოყენება პოლიტიკურმა ორგანიზაციამ სამი თვით ადრე უნდა შეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ამის უფლება ჩამოერთმევათ. პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები უნდათ თუ არა, არჩევნებში მონაწილეობენ, ამიგომ მათ ადგილებზე საქმით უნდა დაამტკიცონ რის გამკეთებლები არიან.

რა სისტემითაც არ უნდა ავირჩიოთ რაიონის, ქალაქის და ქვეყნის პირველი პირი, ისინი ვალდებულნი არიან უპასუხონ უხუცესთა საბჭოს მიერ დასმულ კითხვებს და გასცენ წერილობითი საარჩევნო სერთიფიკატი, რას გააკეთებენ მათი არჩევის შემთხვევაში, როგორ და რომელ წლებში. აღნიშნული სერთიფიკატი უნდა გააშუქოს „მასმედიაში“, მოიწვიონ ტელერადიო დებატებზე. საარჩევნო სერთიფიკატი უნდა შედგებოდეს არა უმეტეს ოთხი გვერდისა და გამოვიდეს ცალკე ბიულეტენად. კანდიდატის სიგყვიერი გამოსვლა არ უნდა აკლერდეს 15 წუთზე მეტ ხანს. რათა საუბარი იყოს საქმიანი და არა სიგყვების რახარუხი წყლის ნაყვით.

მანდატურთუხუცესთა სამსახურს ნიშნავს ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც, არავის არ ემორჩილება, მაგრამ პასუხს აგებს კონსტიტუციური სასამართლოს წინაშე და მისი საბოლოო გადაწყვეტილება მათთვის კანონია.

მანდატურთუხუცესთა სამსახური მოწოდებულია თვალი ადევნოს პარლამენტარების საქმიანობას, რაც გამოიხატება მათ სამსახურში დროულად გამოცხადებაში, დარბაზში ქცევაში და არავითარ შემთხვევაში მათ მუშაობაში. ამ სამსახურის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

საარჩევნო ბიულეტენში უნდა იყოს ასეთი გრაფაც – „თავს ვიკავებ ან ხმას არცერთ კანდიდატს არ ვაძლევ“. თუ ასეთი გრაფა მოაგროვებს ამომრჩეველთა უმრავლესობას, ამ საარჩევნო ოლქს ჩამოერთმევა დეკლარაციების არჩევის უფლება და ეს მანდატი გაუქმდება. ხოლო იგივე ქმდება თუ მოხდა ტერიტორიის, ქალაქის ან ქვეყნის პირველი პირის არჩევნების ჩატარების დროს, მაშინ რეგისტრაციის, ქალაქის და ქვეყნის ლიდერს ნიშნავს პარლამენტის ერთი პირობით – მხოლოდ არა ძველი მოქმედი ყოფილი კადრებიდან.

არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც არავითარი სურვილი არ აქვს პასუხისმგებლობის და არჩევნებში მონაწილეობის, ასეთი ადამიანი წერს ერთხელ განცხადებას საარჩევნო კომისიის სახელზე, რომ ის უარს ამბობს ყოველგვარ არჩევნებში მონაწილეობაზე. ასეთი ადამიანები თავის სურვილით სამუდამოდ თავისუფლდებიან არჩევნებში მონაწილეობისაგან, სანამ თავად არ მოინდომებენ არჩევნებში მონაწილეობის უფლების აღდგენას.

არჩევნები ქვეყნის და სამოგადოების პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი ღონისძიებაა, რომელიც იწვევს დროის, სახსრების, უამრავი ენერჯის ხარჯვას. არჩევნები ქვეყანაში უნდა ჩატარდეს საზეიმო ვითარებაში, არჩევნებისთვის განსაზღვრული პერიოდი უნდა იყოს განსჯის და ადამიანთა შეცნობა-გამოცდის მცდელობა. ამასთან, არჩევნები გარკვეული თანხების გაღებას მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამისათვის სასურველია გარკვეული ხარჯების დასაფარად გაგვეთამაშებინა საარჩევნო ლაგარეა. ვთქვათ, საარჩევნო ბიულეტენში წარდგენილი კანდიდატები რამდენ ხმას მოაგროვებენ პროცენტულად. ვისი შევსებული ლაგარიის-ბილეთის მონაცემებიც დაემთხვევა საარჩევნო კომისიის საბოლოო სიებს, ის მიიღებს ამ სახის ლაგარიის გათამაშების მოგებას. ლაგარიის ჩატარებაც თავისებურად დამატებით ინტერესს გამოიწვევს, არჩევნები უფრო ხარისხიანად ჩატარდება და საყოველთაო იქნება. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტი გარკვეულ შეღავათებს მიიღებს.

დეპუტატს, რომელიც სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ, უნდა მიეცეთ უფლება თავის ადგილზე თავად დაასახელოს თავის შემცვლელი, რომელიც გამოცდას გაივლის უხუცესთა საბჭოს კომისიაზე, რომლის თანხმობის შემთხვევაში ის დაიკავებს დეპუტატის ადგილს, ხოლო თუ ვერ გაივლის, შემდეგ კანდიდატურას თავად პარლამენტის თავმჯდომარე სთავაზობს უხუცესთა საბჭოს და ეს კანდიდატიც თუ ვერ გავიდა, მაშინ პარლამენტი ამ დეპუტატის გარეშე რჩება. არჩევნები ქვეყანაში კონსტიტუციის შესაბამისად უნდა ჩატარდეს, ამიგომ ყოველგვარი გაუთვალისწინებლობა არჩევნებში უნდა გამოირიცხოს.

მოსამართლეთა არჩევნები რეგიონების მიხედვით შეიძლება ჩავატაროთ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პარტიები, პარლამენტი, ადვოკატურა. ყველა მათგანს შეუძლია წარმოადგინოს კანდიდატად მოსამართლეთა ის რაოდენობა, რამდენიც

საჭიროა ამა თუ იმ რეგიონისათვის. არჩეული მოსამართლენი შემდგომ თავად ირჩევენ რაიონის, ქალაქის, ქვეყნის სასამართლოების თავმჯდომარეებს. ხოლო დაწინაურებული მოსამართლე თავის ადგილზე თავად ნიშნავს მის შემცვლელს.

მოსამართლენი სასურველია ავირჩიოთ 10 წლის ვადით, ხოლო დეპუტატები 4 წლის ვადით, ქვეყნის პირველი პირი 5 წლის ვადით.

საარჩევნო კომისიას წარადგენს უხუცესთა საბჭო, ამგვიცებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო უნების საარჩევნო კომისიას თავად ქვეყნის საარჩევნო კომისია ამგვიცებს. კანონში ცალკე მუხლად უნდა გამოიყოს არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონი. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმების გაყალბებისათვის, თუ ეს შეგნებულად გააკეთა, ისჯება 5-10 წლამდე პატიმრობით, ხოლო თუ უნებლიედ, 1-3 წლამდე. ასევე უნდა დაისაჯონ საარჩევნო კომისიის წევრები, თუ შეგნებულად გააყალბეს ბიულეტენები, 2-5 წლამდე, თუ უნებლიედ 1 წლამდე. ასეთი მკაცრი კანონის მიღება იმისთვისაა საჭირო, რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მისი წევრები ვერაფერს აიძულოს ჩაიდინოს სიყალბე.

დეპუტატის ხელშეუხებლობის გაუქმება შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. დეპუტატს, რომელიც სხვა თანამდებობაზე დაინიშნება, ეხსნება ხელშეუხებლობის სტატუსი.

რაც შეეხება კონსტიტუციურ სასამართლოს, ის შედგება 9 კაცისაგან და მათ კანდიდატურებს წარმოადგენს ქვეყნის პირველი პირი, პარლამენტი, მთავრობა, უხუცესთა საბჭო, თითოეული თითო-თითო კანდიდატს და პოლიტიკური პარტიები არა უმეტეს ხუთი კანდიდატისა. სხვადასხვა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა შეთანხმებული კანდიდატთა სია უნდა წარმოადგინონ არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატების დასახელების უფლებას იგოვენს ქვეყნის პარლამენტი. კონსტიტუციურ სასამართლოს ამგვიცებს პარლამენტი. კონსტიტუციური სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თვითონ კონსტიტუციური სასამართლოს წევრები ირჩევენ ღია კენჭისყრით. კონსტიტუციურ სასამართლოში ირჩევენ პიროვნებას 35 წლიდან 70 წლის ასაკამდე უვადოდ.

ქვეყნის ეკონომიკა და მისი ბერკეტები

ეკონომიკა ძალზე არასრულყოფილი მეცნიერებაა, რომელიც ერთიდაიგივე საკითხს სწავლობს დაუშთაფრებლად, რადგან ყველგან და ყოველთვის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიღვართ. ამასთან გასათვალისწინებელია ხალხის ბუნება, გუნება, განწყობა, აღზრდა, ჩვევები, გენეტიკა და მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც მოქმედებს გადაწყვეტილებათა მიღებაზე და შრომის ნაყოფიერებაზე. ყოველთვის არც გეგმიური ეკონომიკა ამართლებს და არც თავისუფალი ბაზარი, თუ ღროის შესაბამისად სწორ რეგულირებას არ მოვახდენთ. ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას თავის საქმეზე შეყვარებული, მცოდნე, პატიოსანი ადამიანები სჭირდება, ხოლო სახელმწიფო აპარატი ყოველთვის სანდო არ არის.

ამიგომ, ეკონომიკა გონიერი და მკაცრი პოლიტიკის გარეშე ხეირიანად ვერ იარსებებს, ოღონდაც პოლიტიკას და ეკონომიკას გაყოფილი უნდა ჰქონდეთ ფუნქციები, ისინი შინაარსობრივად უნდა ავსებდნენ ერთმანეთს.

ქვეყანა ვალდებულია ერთხელ და სამუდამოდ თუ არა, 20 წლით მაინც შემოიღოს ერთი საგადასახადო სისგემა, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ჩვენ გთავაზობთ, სადაც ძალზე ძნელი იქნება გადასახადის გადაუხდელობა.

სანამდე ეკონომიკის პროგრესულ მიღწევებს დავენერგავდეთ, ყველა ქვეყანას უნდა გააჩნდეს ტერიტორიები, რომელიც ეკონომიკური ეფექტიანობის დასამტკიცებელ პოლიგონ-ლაბორატორიებად იქნება გამოყენებული, რადგან ხშირად რაც ერთ ქვეყანაში ამართლებს, ის მეორე ქვეყნის ეკონომიკაში თავისი სპეციფიკის გამო მოიკოჭლებს, ამიგომ მისი დანერგვა, შესწორება-ჩასწორებებით ლაბორატორია რეგიონში უნდა გამოიცადოს, თუ გვინდა ადგილზე მოგვცეს რეალური ეკონომიკური ეფექტი.

სახელმწიფოში ყოველთვის იქნება უსაქმური, ბარმაცი, ბედზე გამწყრალი ხალხი, რომელთა საზოგადოებაში აღრევა, ან მათი უგულებელყოფა სახელმწიფოს მთლიანობაში ძვირი უჯდება.

მოქალაქედ უნდა ჩაითვალოს ის, ვინც სახელმწიფოს უხდის გადასახადს, ვინც არ უხდის, ის თავის ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფია და ასეთი ხალხისთვის უნდა გაიხსნას სპეციალური დასახლებები,

რადგან ეს არის უნებისყოფო ხალხი, რომლებიც დაძალების, შიშის გარეშე არ მუშაობენ.

სახელმწიფო გადასახადს იხდის ყველა ქვეყნის მოქალაქე, დაწყებული 14 წლის ასაკიდან სიკვდილამდე. ბავშვებს ფულს ურიცხავენ ანგარიშზე მშობლები ან დახმარების სახით სახელმწიფო, ხოლო პენსიონერებს, ინვალიდებს უდიდდებით მათთვის განკუთვნილი თანხები და უკავლებათ ბიუჯეტისთვის სახელმწიფო გადასახადი. ახალგაზრდა, რომელიც არასრულწლოვან ასაკში დანაშაულს ჩაიდენს დააჯარიმებენ, ის სასჯელს და ჯარიმას იხდის თავისი ანგარიშიდან როდესაც სრულწლოვანი გახდება. მას საკრედიტო ბარათიდან ექვითება 50% ჯარიმის თანხა ყოველთვიურად.

რაგომ არ შეიძლება გამოიყოს გერიგორია, რაიონი, სპეციალური დასახლებები ლოთებისთვის, ნარკომანებისთვის, გამოსწორებელი დამნაშავეებისთვის, რომლებიც სამოვადლოებას თავისი ქმედებით თუ უმოქმედობით ზარალის მეტს არაფერს აყენებენ. ამ ხალხს თუ მათთვის გარკვეული ყოფის თამაშის წესებს შევთავაზებთ, შესაძლებელი იქნება მათი დასაქმება, გამოსწორება, გადასახადის აკრეფა, მაგრამ, ვითომ დემოკრატიის პრინციპებს ამოფარებული ცივილიზებული ქვეყნები ამ პრობლემების არსებობაზე საეჭვოდ თვალს ხუჭავენ და „არ ვხედავ“-ს თამაშობენ და „აღამიანის უფლებების“ ქარტიის ამონაგლეჯებს იმოწმებენ, მათ თავიანთთვის ცხოვრების მაღალი დონე განაღლებული აქვთ და სხვისი ყოფის გამოსწორებით თავს ზედმეტად არ იწუხებენ, თანაც მათთვის დამატებითი სამუშაო ადგილებიც უნდა გამოძებნონ.

საქართველოდან უმუშევრობის გამო ახალგაზრდათა გარკვეული ჯგუფი მიდის სამღვარგარეთ სამუშაოდ, ხოლო თუ სამუშაოს ვერ მოულობენ, წინასწარ განზრახვით ჩადიან ხულიგნობას, ქურდობას, შედეგად მსჯავრის გარკვეულ წლებს „კომფორტაბელურ“ ციხეებში იხდიან, თან მუშაობენ და გასამრჯელოს იღებენ, ხოლო დაგროვილი ფულით საქართველოში ჩამოდიან, და ერთი წლის შემდეგ ისევ მიდიან რომელიმე სხვა ქვეყანაში და იგივე ქმედებას იმეორებენ.

მოვა დრო და დღევანდელ ცივილიზებულ ქვეყნებს კრიზისი მოიცავს, რადგან განგება სულ ყოველთვის ერთის მხარეს ვერ იქნება, შედეგად ისინი ასე „გულკეთილები“, ცივილიზებულნი და

დემოკრატიები ვერ დარჩებიან, როდესაც საკითხი დადგება ქვეყნის გადარჩენაზე და კრიზისიდან გამოყვანაზე.

ამის შესანიშნავი მაგალითია ღვევანდელი საქართველო, რომელმაც სსრკ-ს შემადგენლობაში ყოფნის დროს არ იცოდა უპაგრონო ბავშვები, ლოთი, მათხოვარი, გაუჭირდა თუ არა, ამ სენით დაავადდა და ქართული ბუნებაც, სიამაყეც და ხელგაშლილობაც დაივიწყა, საქმე იქამდე მივიდა, რომ 1992–1994 წლებში მიცვალებულს ასაფლავებდნენ გრადიციული ქელების სუფრის გარეშე.

ეკონომიკა სადი, რეალური და უსაფრთხო კანონების და გონიერი ხელისუფლების გარეშე ვერ იარსებებს და ის ყოველთვის გადაგვარებულ სახეს მიიღებს, რაც ნარკოტიკების, პროსტიტუციის, იარაღით ვაჭრობის განვითარებას გამოიწვევს. მთავრობამ უნდა ააბუშაოს ეკონომიკა გარკვეული სუბიექტისთვის და დაიწყოს იმ პოლიტიკის გაგარება, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზანი გააჩნია.

არის ორი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ უნდა წყვეტდეს მთავრობა ეკონომიკურ საკითხებს: პირველი, მთავრობა აყალიბებს ბაზრის არსებობის პირობებს, მეორე, მთავრობა გადაანაწილებს მიღებულ შემოსავლებსა და ნაციონალურ სიმდიდრეს.

ბევრ ეკონომისტს მთავრობის დანაშაულად მიაჩნია, თუ მდიდარ მოქალაქეთა შემოსავლებს გადაუნაწილებს ღარიბებს, რადგან მდიდრები სათუო მოწინავე ტექნოლოგიებში ფულის დაბანდებას მოერიდებიან, ხოლო რისკის გარეშე ვერც პროგრესი, ვერც ეკონომიკა წინ ვერ წაიწვეს. უპირანი იქნება, თუ ღარიბებს ვასწავლით, დავასაქმებთ, იაფ კრედიტს გამოვუყოფთ, ხელს შევეუწყობთ, რომ ისინი მდიდრები გახდნენ.

სახელმწიფოს დანიშნულებაა ეფექტურად განკარგოს ნედლეული, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს ხალხის საჭიროება და დააკმაყოფილოს მათი მუშაობის სურვილი. ხშირად უმუშევრობა რომ „აღმოუხვრან“, მთავრობა ბრდის მომსახურების ერთეულებს და მისი შენახვის ხარჯებს ზეგვეგმიური შემოსავლების ხარჯზე ახერხებს. ამგვარად, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში მოგჯერ შემოსავლების მაგების შედეგია და არა შრომის ნაყოფიერების ბრდისა და პროდუქტის გამოშვების.

მთავრობის დანიშნულებაა იმგვარად ჩაერიოს ეკონომიკაში, რომ რაც შეიძლება მეტი საქონელი აწარმოოს თავის ტერიტორიაზე და მეტი საქონელი გაყიდოს სხვა ქვეყანაში. ხოლო

დამატებითი შემოსავლები უნდა მოხმარდეს ახალი გზების მშენებლობას, საწარმოების გახსნას, ბუნების დაცვას, კვლევით სამუშაოებს და არა „პარაზიტული აპარატის“ გამრავლება-შენახვას და გარკვეული ოდენობის მოსახლეობისათვის პრესტიჟული სამუშაოს გამოძებნას.

სსრ კავშირში უმუშევრობა რომ არ ყოფილიყო და მოჭარბებული უმაღლესდამთავრებულები ქალაქებში დაექმადყოფილებინათ, ყოველ ხუთწლეულში იხსნებოდა დამატებითი კვლევითი ინსტიტუტები, საპროექტოები, იბრდებოდა სამინისტროთა რაოდენობა და მათი შტაგები, ხოლო კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა, იმის მიუხედავად, რომ ამ მუშახელის პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალური გექნიკური განათლების სამინისტრო არსებობდა და საკმაოდ კარგადაც ფინანსდებოდა.

დღეს უმუშევრობის შესამცირებლად იხსნება ათასი საუწყებო დაცვის სამსახური, პირადი მცველები, თუ წინათ უმუშევრობის შესამცირებლად კვლევით ინსტიტუტებს ხსნიდნენ, 100 „უსაქმურიდან“ 10 მაინც იყო პროფესიონალი და ის ანაზღაურებდა დანახარჯებს, ხოლო დღეს ასი ყარაულიდან ყველა „პარაზიტია“ და მათ თუ სამსახურიდან გაანთავისუფლებ, შესაძლებელია ბანდიტებად მოგვევლინონ, რადგან მათ სხვა რამის კეთება აღარ შეუძლიათ. წინათ ამ სახის დაცვის სამსახურის საჭიროება არ იყო, ხოლო საწარმოებს იცავდნენ ძირითადად პენსიონერები და ყარაულის ხელფასი მათთვის დამატებითი შემოსავალი იყო.

რაც შეეხება ქვეყნისთვის საჭირო მომსახურე პროფესიონალების ნაკლებობას, ყველა განვითარებული ქვეყანა განიცდის და მათ უცხოეთიდან ჩამოსული ემიგრანტები ცვლიან.

ზოგჯერ ეკონომიკაში მთავრობის ჩარევა იმითაც არის გამოწვეული, რომ მოსახლეობის მცირე ნაწილი მდიდარია, უმეტესობა კი შეძლებული ან ღარიბი. ხოლო მოსახლეობის დიდ ნაწილს სიმდიდრის ამგვარი გადანაწილება არ მოსწონს, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ მთავრობის ეკონომიკაში ჩარევა, ქვეყნის განვითარების გემპს ამუხრუჭებს.

მთავრობის ძირითადი დანიშნულებაა, შემოიღოს ისეთი კანონები, რომ ეკონომიკა ხელეგახსნილი იყოს, თუ ის კანონებს დაემორჩილება, მაგ. ფერმერი მდინარეში უშვებს საქონლის ფეკალურ მასას, რომლის წყალსაც მოსახლეობა სასმელად იყენებს, ხოლო თუ ფერმერი გააკეთებს ძვირადღირებულ გასაწმენდ

მოწყობილობებს, ის მოგების გარეშე დარჩება და ფერმერი გაკოტრდება, ე.ი. მოსახლეობას პროდუქტის გარკვეული ნაწილი მოაკლდება, გარკვეულ ადამიანთა ჯგუფი უმუშევარი დარჩება.

ეს რომ არ მოხდეს, მთავრობამ ასეთ ფერმერებისთვის უნდა გამოყოს ბიუჯეტიდან მრავალწლიანი კრედიტი მცირე პროცენტით ან უიმისოდ, რათა ააშენოს ან თავად აუშენოს ეს ძვირადღირებული გასაწმენდი მოწყობილობა და ყველა დაპირისპირებული მხარე კმაყოფილი დარჩება, რადგან შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, ბიუჯეტს გადაამხდელი მოემატება. და ბოლოს, ჩემის აზრით, მთავრობა პირველ რიგში მოწოდებულია განსაზღვროს ეკონომიკის განვითარების და მისი პრიორიტეტების პოლიტიკა, უზრუნველყოს საქონლის გამოშვების მაქსიმალური რაოდენობის შესაძლებლობა და მოხმარება.

უხუცესთა-ბრძენთა საბჭო

ამ ბოლო დროს საქართველოში, გახშირდა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს ჰყავდეს დეკორაციული მონარქი, რომელიც ქვეყანას საჭიროების შემთხვევაში გარკვეული კრიზისისგან გამოიყვანს. ჩემი აზრით მონარქია მოძველებული ფორმაა მმართველობის და საზოგადოების თავისუფლების შეზღუდვაა, რადგან სახელმწიფოს ხელმძღვანელი თავადაც ფორმალურად ხდება ის ადამიანი, რომელსაც ეს თანამდებობა არაფრით არ დაუმსახურებია. ალბათ უფრო უპრიანი იქნება ქვეყანაში შეიქმნას უხუცესთა, ბრძენთა ანუ ცხოვრების მცოდნეთა საბჭო, თავიანთი დამსახურების და პოპულარობის მიხედვით, რომელთაც ხალხი ეთავყვანება და მათი სჯერა. ჩემი აზრით უკეთესია ქვეყანას ჰყავდეს არჩეული უცვლელი „უხუცესთა საბჭო“ რომელთა ასაკი 60-70 წლებში უნდა მერყეობდეს.

უხუცესთა საბჭოს არსებობა და მათი კონკრული არჩეული დეპუტატების, ქვეყნის პირველი პირის მიმართ, აუცილებელია, რადგან მათ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და მათ უნდა ჰქონდეთ აჩქარებული, შეუპოვებელი რეფორმების შენელების უფლება.

უხუცესთა საბჭო უნდა შედგებოდეს 9 კაცისაგან, რომელთაგან ერთ კაცს ასახელებს ქვეყნის პირველი პირი, ერთს, პარლამენტი, ერთს მთავრობა, ერთ კაცს საკონსტიტუციო სასამართლო, დანარჩენს პოლიტიკური პარტიები და არაფორმალური ორგანიზაციები. უხუცესთა საბჭოში არჩეული უნდა იქნან ის პირები, რომლებიც გადაცდნენ 60 წელს, არ არიან აქტიური საქმიანობით დაკავებულნი და არიან საზოგადოებისთვის ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებები.

უხუცესთა საბჭოს წევრების ხელფასი უნდა შეადგენდეს ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე 10-ჯერ მეტს. მათ მანქანა არ უნდა ემსახურებოდეთ, უსუნი უნდა გადაადგილდებოდნენ მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. მათი წახალისება წლის შედეგების მიხედვით თავიანთი ბიუჯეტიდან შეუძლია ქვეყნის პირველ პირს, მინისტრთა საბჭოს, პარლამენტს და არაფორმალურ ორგანიზაციებს, რათა მათაც მიეცეთ საშუალება გამოხატონ თავიანთი აზრი მათი მუშაობის აუკარგზე.

უხუცესთა საბჭოს ძირითადი საქმიანობაა, თვალი ადევნოს არჩეულ დეპუტატებს, ქვეყნის პირველ პირს, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ დანაპირებს საარჩევნო პროგრამის სერთიფიკატის მიხედვით.

უხუცესთა საბჭო ვალდებულია არჩევნების წინ კანდიდატებისთვის მოამზადონ კითხვები იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. რათა მოსახლეობა გაერკვეს კანდიდატების რეალურ შესაძლებლობებში. ეს კითხვები შეიძლება იყოს:

ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის გზები, რომელ წლებში და რამდენით.

ინვესტიციების მოზიდვა რა პერსპექტივით და ოდენობით.

სამუშაო ადგილების გაზრდა, ვისი დახმარებით, რა ოდენობით და რომელ წლებში.

სოციალური უზრუნველყოფა პენსიების გაზრდის პერსპექტივა, რა გზით.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შეფასება-ანალიზი.

განათლება, მეცნიერება, ტექნიკური პროგრესის დანერგვის პერსპექტივები, ცვლილებები.

დემოგრაფია, მიგრაცია, ერებს შორის ურთიერთობა.

რა გზებით აპირებთ კორუფციასთან ბრძოლას ადმინისტრაციულ ორგანოებში და ქვეყნის სამთავრობო გედა ემელონებში

ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, პერსპექტივები.

შეიარაღებული ძალები, სახელმწიფო უშიშროება, ძალოვანი სტრუქტურები, პროკურატურა, სასამართლო. მათი კომპენენტურობის განმტკიცება.

სოციალური სფეროს ანალიზი, გზების, სახლების, წარმოების, მშენებლობის პერსპექტივები.

რამდენ პროცენტს გეგმავთ ინფლაციას ქვეყანაში.

სოფლის მეურნეობა და პროდუქტების რაციონალურად გამოყენება.

ენერგეტიკა, არატრადიციული ენერჯის გამოყენების პერსპექტივები.

როგორ აპირებთ ოპოზიციასთან თანამშრომლობას და როგორ ფიქრობთ მათი პოტენციალის გამოყენებას.

რის გაკეთებას აპირებთ ახალგაზრდობისათვის, რომ მათ უკეთესი განათლება მიიღონ და გაერთონ, დასაქმდნენ სწავლების პერიოდში.

როგორ გინდათ დაეხმაროთ სპორტს, გურიმოს.

რა ცვლილებებს აპირებთ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და სხვა მრავალი შექმნილ გარემოებათა საინტერესო საკითხები.

დაახლოებით ამგვარ კითხვებზე უნდა გასცენ ამომრჩეველს კანდიდატებმა პასუხი, როგორც სიგყვიერად, ასევე უბრალო არითმეტიკის მოშველიებით მოყვანილი უნდა იქნას მათ საარჩევნო სერტიფიკატში, რომელიც იბეჭდება კანდიდატის ხელის მოწერით.

უხუცესთა საბჭო ამგვარ კითხვებს უსვამს ყველა კანდიდატს, ვინც პრეგენზიას აცხადებს გახდეს ქვეყნის პირველი პირი, იმის მიუხედავად, მას ხალხი აირჩევს თუ პარლამენტი.

შედეგად ამომრჩეველს საშუალება ეძლევა გაერკვეს კანდიდატის პიროვნების შესაძლებლობებში, რამდენად მისაღებია მისი მსოფლმხედველობა, რამდენად გამოცდილია, რა არის მის გამოსვლაში ფარსი და რა არის სინამდვილე კანდიდატის ყველა პასუხი ციფრების მოშველიებით უნდა იქნას განმტკიცებული.

თუ წინასწარ წარმოდგენილი საარჩევნო სერტიფიკატის მიხედვით არჩეული დეპუტატი ან ქვეყნის პირველი პირი დანაპირების 20% არ ასრულებს, არჩევიდან ორი წლის განმავლობაში „უხუცესთა საბჭო“ უფლებამოსილია საკითხი დასვას ამ დეპუტატის მანდატის გაუქმებაზე ან ქვეყნის პირველი პირის თანამდებობიდან გადაყენებაზე, ხოლო არჩეული პირი თუ დანაპირების 40 არ ასრულებს, ის მიეცემა სისხლისსამართლის პასუხისმგებლობაში თაღლითობის მუხლით. უხუცესთა საბჭო თავის მოთხოვნებს აყენებს ქვეყნის პარლამენტის ან კონსტიტუციით სასამართლოს წინაშე და საკმარისია ერთ-ერთმა მათგანმა მხარი დაუჭიროს და იმ დღიდანვე დეპუტატს და ქვეყნის პირველ პირს შექანიკურად უწყდება უფლებამოსილება.

პარლამენტი

თუ გადავხედავთ სამყაროს პარლამენტარიზმის ისტორიას, შევამჩნევთ, რომ დილეგანტ დეპუტატთა ოდენობა პარლამენტში გაცილებით მეტია, ვიდრე ამომრჩეველთა ინტერესებისათვის დამამერალი და საქმიანი დეპუტატების. უმეტესობა პარლამენტარებისა პირველ რიგში თავიანთ კეთილდღეობაზე ფიქრობს მატერიალიზმისა და კარიერიზმის განხრით. ამომრჩეველი მათ მაშინ ახსენდებათ, როდესაც თავადვე უჭირთ, ოპოზიციაში არიან და ხალხს ქუჩაში მიგინგის მოსაწყობად მოუწოდებენ და ავიწყლებათ, რომ ისინი იმიტომ აირჩიეს, რომ ეს მიგინგობანა უნდა დამთავრდეს და ყველა სადაო საკითხი თავად პარლამენტარებმა უნდა მოაგვარონ, ერთმანეთში მორიგდნენ ან მოთმინება იქონიონ მომავალ არჩევნებამდე და თავის ღროს დაუცადონ.

არჩევნებში გამარჯვებული პარტიები ხშირად დეპუტატებად ცნობილ „მკვლარ სულებს“ ნიშნავენ პარლამენტში, რომლებიც უკეთესს შემთხვევაში არ გააცდენენ სხდომას, სხვაობრივ მათ არც კანონის შეთხზვა შეუძლიათ და არც ქვეყნისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ პარტია ერთი-ორი ცნობადი პიროვნების პიარზეა შექმნილი და როგორც ორგანიზაციას, მას პარტიულობის საწყისი ქვევიდან-მევიით არ გააჩნია. ამასთან ამგვარი „მკვლარი“ დეპუტატები ადვილად სამართავნი არიან და ისინი დეპუტატებად იმიტომ მოვიდნენ პარლამენტში, რომ მაღალი პენსია, ხელფასი გაინაღდონ და თავიანთი ინტერესები დაიცვან.

ხშირად შეხვდებით პარლამენტის შენობაში, დეპუტატები როგორ აყენებენ ერთმანეთს სიყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და მათ ამის არც კი რცხვენიათ, თან თავსაც იმართლებენ სხვაგან ჩვენზე უარესები ხდებო. რა ენაღვლებათ, ხელშეუხებლობის სტატუსი თავადვე დაიკანონეს. პარლამენტართა უმეტესობას არ აინტერესებს ამრიანი და ცხოვრებაში გამოსაყენებელი ვარგისი კანონების მიღება, ისინი უფრო მათთვის და მათი ახლობლებისათვის მისაღები კანონების „ლობირებით“ არიან დაინტერესებულნი. პარლამენტართა უმეტესი ნაწილი ხმას აყოლილი ხალხია, ჩუმადაა და თავისთვის ჩალიჩობს. საქმე იქამდე მიდის, რომ კანონის დამტკიცებისას დარბაზი ცარიელია და მორიგე დეპუტატები სხვა დეპუტატების ნაცვლად მონიგორზე ხელის

დაჭერით კანონებს ამტკიცებენ ან პირიქით. ყოველივე ეს ნაკლი, რაც პარლამენტარიზმს ახასიათებს, იმის ბრალია, რომ ამდენი გამოცდილების მიუხედავად დეპუტატთა არჩევის და მათი დასაქმების სისტემა სრულყოფილი არ არის.

რუსეთის „დუმაში“ ხალხმა ოთხჯერ აირჩია დეპუტატად ცნობილი ლენინგრადელი ჟურნალისტი „600 წუთის“ წამყვანი ალექსანდრე ნეფობროვი, რომელიც კატეგორიულად არ დადიოდა პარლამენტში, სხდომებს არ ესწრებოდა, ხოლო ხელფასის აღება და პრივილეგიებით სარგებლობა არ ავიწყებოდა, თან გრამატიკა და „მსოფლიოში ერთად-ერთი დეპუტატი ვარ, რომელიც ხალხმა ოთხჯერ ამირჩია და არცერთ პარლამენტის სხდომებს არ დაესწრებია“. ასეთი კაცი ერისშვილობაზე, კაცობაზე დებს თავს, ხოლო ამომრჩეველი მას ვიღაცის და რაღაცის ჯინაზე დეპუტატად ირჩევს.

ბევრთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ქვემოთ მინდა მოგახსენოთ თუ როგორ მოვაწყობდი პარლამენტის მუშაობას საქართველოს პარლამენტის მაგალითზე.

პირველ რიგში პარლამენტს გადავიტანდი თბილისიდან ქუთაისში, პარლამენტის შენობის მახლობლად ავაშენებდი ორ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს პარლამენტარებისთვის, ღროებითი საცხოვრებელი ფართით თითოეულ დეპუტატზე 80 მ² ოთხოთახიანი ბინით, იმგვარად, რომ პარლამენტარებმა ფეხით იარონ სამსახურში. პარლამენტის ქუთაისში გადატანის ოფიციალურ მიზეზად დავასახელებდი რეგიონის ჩამორჩენას, ხოლო სინამდვილეში კი იმ კორუფციულ „კუქს“ მოვამორებდი, რომელთაც მათ ქვეყნის დედაქალაქში ყოფნის საშუალება აძლევთ. კანონი, რომელიც ბიზნესმენს, ხელოვნების და სხვა დარგის მუშაკს უკრძალავს უფლებას თავისი საქმიანობით დეპუტატად ყოფნის მანძილზე არ იღვაწონ, გავაუქმებდი, როგორც სინამდვილისათვის გამოუსადეგარს და ფორმალურს, რადგან მათ სამუშაოდ იმდენად გადაგვირთავთ, რომ ამის შემდგომ კიდევ თუ სურვილი ექნებათ დამატებით თავის საქმიანობას მიხედონ, ღმერთმა ხელი მოუშალოს.

პარლამენტარებმა რომ შეძლონ მათ მიერ მიღებული კანონების გაკონტროლება და ამაზე ღრო და მივლინების ხარჯები არ დაიკარგოს, ამ საქმეს პროკურატურის მუშაკებს დავავალებდი, რომლებიც ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტს

დავუმორჩილებდი. პარლამენტი ვალდებულია ახალი წლის პირველსავე სხდომაზე შეაფასოს მთავრობის მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში გამოუცხადოს უნდობლობა.

დეპუტატები უნდა დავეოთ ოთხკაციან ჯგუფებად, სადაც ყველა ჯგუფში უმრავლესობის წარმომადგენელს დაემატება ერთი ან ორი უმცირესობის წარმომადგენელი. თითოეულ ჯგუფს მიეცემა გეგმა, წელიწადში რამდენი კანონი უნდა გამოიგანონ დასამტკიცებლად. დეპუტატთა ჯგუფები ცალკე შეირჩევა ქვეყნის პირველი პირის მიერ შემოგანილი კანონის დასამუშაველად, დასამტკიცებლად. თითოეული კანონი მიღებული უნდა იქნას მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში სამი წაკითხვით.

პარლამენტს უნდა განესაზღვროს სამუშაო დღეთა ოდენობა წელიწადში 200 დღით, დანარჩენი 165 გამოსაშვებია, შვებულების და ყველა დღესასწაულების ჩათვლით. დავუმვათ, ყველა დეპუტატი 1 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით 45 დღე და 25 დეკემბრიდან 5 იანვრის ჩათვლით 12 დღე, ერთდროულად გადიან დასასვენებლად და ეს დღეები გადაგანას არ ექვემდებარება. დეპუტატს, რომელიც გაცდენა-დაჯარიმებით დააგროვებს 105 დღეს ერთი წლის განმავლობაში, რომელსაც აღრიცხავს მანდატურთუხუცესთა სამსახური, მექანიკურად გაუქმდება დეპუტატის მანდატი და ყოველგვარი პენსიისა და დამსახურების გარეშე კარგავს დეპუტატის სტატუსს, ხოლო ის საარჩევნო ოლქი, ვინც მისი არჩევანი უმრუნველყო, დაჯარიმდება გარკვეული თანხით და დაკარგავს დეპუტატის მანდატს მომავალ არჩევნებამდე.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, დეპუტატს მიეცეს თავისი კუთვნილი ხელფასის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი ერთი წლით დაიდოს ბანკში დეპოზიტზე და წლის ბოლოს გაიცეს დეპუტატზე თუ ის ამ ხნის განმავლობაში შეინარჩუნებს თავის სტატუსს.

პარლამენტის საქმიანობაში არავის აქვს უფლება ჩაერიოს და მე ამას არც ვაპირებ. უბრალოდ პარლამენტში დაინიშნება მანდატურთუხუცესები – დამკვირვებელთა სამსახური, რომელიც გეღამხედველობს პარლამენტარების მიერ დამტკიცებულ ქვეყის ნორმებს და ახდენს აღრიცხვას.

პარლამენტი, მანდატურთუხუცესთან შეთანხმებით ამტკიცებს თავისი მუშაობის გრაფიკს, რომელიც არ იცვლება. ვთქვათ, დღის პირველი ნახევარი განკუთვნილია კანონების განსახილველად,

დასამტკიცებლად, მეორე ნახევარი კი კანონების შემოსაგანად, მოსამზადებლად.

გაცდენა-დაჯარიმებად ითვლება: 15 წუთი. პარლამენტის შენობაში გვიან შესვლა – 1 საჯარიმო დღე. გამოუცხადებლობა – 5 საჯარიმო, მივლინებაში წასვლა ყოველი დღე – 1 საჯარიმო, პრეზიდენტთან, მთავრობის წევრებთან ოფიციალური შეხვედრა – 1 საჯარიმო, ავადმყოფობა – თუ საავადმყოფოში წევს – 1 საჯარიმო ყოველი დღე, ხოლო თუ სახლში – 2 საჯარიმო, რომელიც ექიმის მიერ უნდა იყოს დამოწმებული, არანორმატიული ლექსიკის გამოყენება – 10 საჯარიმო, აყალ-მაცალის გამოწვევა – 20 საჯარიმო, ჩხუბის გამოწვევა მტყუან-მართალის მიუხედავად – 100 საჯარიმო. გეგმური კანონის გამოუგანლობა ან ვერ დამტკიცება ყველა ჯგუფის წევრს – 10 საჯარიმო, რეგლამენტში ვერ ჩაეგით – 1 საჯარიმო. ამ საჯარიმოების ოდენობა თუ შეადგენს წელიწადში 105 გაცდენა-დაჯარიმებას, დეპუტატი თავისუფალია თავის მოვალეობის შესრულებიდან.

დეპუტატი სტატუსით ხელშეუხებელია, მაგრამ ის დეპუტატის ნიშნისაგან განსხვავებით, დეპუტატის მოწმობას ატარებს მხოლოდ პარლამენტის შენობაში, შენობიდან გასვლისას ამ მოწმობას აბარებს მანდატურთუხუცესთა სამსახურს. დეპუტატს, თუ ის არასასიამოვნო გარემოში მოხვდება, მას არ უნდა ჰქონდეს თავისი მოწმობით თავის დაძვრენის საშუალება. მისი დაკავების შესახებ აცხობინებენ მანდატურთუხუცესთა სამსახურს, რომლის წარმომადგენელი მიდის პოლიციაში, მიაქვს მასზე შექმნილი საბუთები და აბარებს პარლამენტის თავმჯდომარეს, გემოქმედებისათვის. პარლამენტის გარეთ დეპუტატის ქმედებაზე მანდატურთუხუცესთა სამსახური არ რეაგირებს. დეპუტატები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან სამუშაო საათების განრიგი, 9 საათიდან 18 საათამდე 1 საათიანი შესვენებით. გაცდენა-დაჯარიმების ელექტროდაფა გამოკრულია პარლამენტის დარბაზში სათანადო აღნიშვნებით. ყველა პარლამენტის წევრი დანომრილია და აქვს თავისი ნომერი.

პარლამენტში შემოდებულ უნდა იქნეს საპარლამენტო ენა. ის შემდეგნაირად გამოიხატება: დავუშვათ, ახალი კანონის წარმომდგენი ჯგუფის წევრი გამოდის, ამბობს ჯგუფის ნომერს, პირად ნომერს და ყოველგვარი განმარტებების გარეშე პირველი წაკითხვით კითხულობს კანონს იმ სახით, როგორითაც მის დამტკიცებას აპირებენ. ამასთან, ამ კანონის ასლი ყველა პარ-

ლაშენგის წევრს დარიგებული აქვს ერთი კვირით ადრე. ის დეპუტატი, რომელიც კამათში მონაწილეობას აპირებს, ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, წინასწარ აკეთებს შენიშვნებს ქალაქში, გამოდის, ასახელებს თავის პირად ნომერს და აცხადებს არ მომწონს, ვთქვათ, კანონის 1-3-5 მუხლი და ასახელებს მიზეზს და თავის შენიშვნებით ქალაქს უგოვებს კანონის წარმომდგენს. ასევე იქცევიან სხვა ოპონენტებიც. კანონის წარმომჩენი ჯგუფი დღის მეორე ნახევარში მიდის ოპონენტებთან და ბჭობა-კამათი კანონის თაობაზე კაბინეტში იმართება. ერთი კვირის შემდეგ ეს კანონი ჩასწორებული ან უიმისოდ კვლავ წარდგება დეპუტატთა წინაშე. ოპონენტები გამოთქვამენ თავიანთ აზრს და ამ კანონს დეპუტატები წინასწარ კენჭს უყრიან. ერთი კვირის შემდეგ ეს კანონი კვლავ გამოაქვთ მესამე წაკითხვით, საბოლოოდ დასამტკიცებლად, ოპონენტების გარეშე. ხმების უმრავლესობით, ოღონდ არანაკლები 55%-ისა – კანონი დამტკიცებულია, თუ არა და ეს კანონი მოსამზადებლად და დასამტკიცებლად გადაეცემა ეგრეთ-წოდებულ „პრეზიდენტის ჯგუფს“, რომელმაც ეს კანონი უნდა მოამზადოს ერთი თვის განმავლობაში. ხოლო ჯგუფის წევრები, რომელმაც ეს კანონი ვერ გაიგანა, თითოეული დაჯარიმდება 10 გაცდენა-დაჯარიმებით. რადგანაც ჯგუფში სხვადასხვა პარტიის წევრები მოღვაწეობენ, მიკერძობებისა და ლობირების ნაკლები შანსია და სასაყვედუროც თითქოს არაა, რადგან მმართველი პარტიის წევრებიც ჯარიმდებიან კანონის მიუღებლობის შემთხვევაში.

დღეს გამარჯვებულ პარტიებს თავისი პარტიის სახელით პარლამენტში შეჰყავთ კინორეჟისორი, ბიზნესმენი, მსახიობები, სპონსორები, რომლებიც ძირითადად პირადი საქმეების მოგვარებით არიან დაკავებულნი, სხდომებს ხშირად აცდენენ, კანონების მომზადებისთვის ვერ იცლიან, ამიგომაც დეპუტატებს ისეთი სამუშაოს მომთხოვნი პირობები უნდა შეეუქმნათ, რომ პარლამენტში რაც შეიძლება ცოცხალი ბალასტი მოხვდეს.

დეპუტატის ხელფასი და პენსია პარლამენტმა კი არ უნდა დაიდგინოს, როგორც დღეს ხდება, არამედ კანონმა, რომლის შეცვლის უფლება არავის აქვს. სასურველია დეპუტატების ხელფასი დაინიშნოს შემდეგი გადასაყვანი კოეფიციენტებით: ვთქვათ ქვეყანაში საცხოვრებელ მინიმუმად გამოცხადდეს 100 დოლარი, ხოლო მინიმალურ პენსიად 150 დოლარი. დეპუტატების ხელფასი

შესაბამისად იქნება ვთქვამთ 20-ჯერ მეტი ე.ი. 2000 ლოლარი, ხოლო პენსია 8-ჯერ მეტი ე.ი. 1200 ლოლარი.

პარლამენტის წევრებს მოჭრილად უნდა მიეცეს წელიწადში გარკვეული რაოდენობის მანქანის საწვავი და მობილური ტელეფონის, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საუბრებისათვის გარკვეული თანხა.

შემცირდება პარლამენტარის გადაადგილების არაფრისმომგანი მივლინებები, უაზრო შეხვედრების და ღრეობის ოდენობა.

დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ ის ჩვეულებრივი მოკვდავი არ არის, ხალხის მსახურია და ყურადღების ცენტრშია, მითუმეტეს რომ მას არავინ აიძულებს, ხალხის სამსახურის გვირთი თავზე იდოს.

ეკონომიკის თვალსაზრისით პარლამენტისადმი ამგვარი მიდგომა, მათ მომსახურეობას 20-25% ეკონომიას მისცემს ქვეყნის ბიუჯეტს.

დეპუტატს თავის ამომრჩეველებთან შესახვედრად რჩება შვებულების 45 და სადღესასწაულო დღეები, შაბათი-კვირა, ასე რომ საკმარისი დრო აქვს მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

როდესაც ამგვარი წესრიგი დამყარდება პარლამენტში, თუ ამომრჩეველს მასთან შეხვედრა სჭირდება, თავადვე შესთავაზებს დეპუტატს შეხვედრის დროს, რადგან დეპუტატს იმიტომ ეძლევა წელიწადში ასეთი დიდი დასვენების დრო, რომ მისი სამუშაო არანორმირებულია და თუ საჭიროა, კეთილი ინებოს და დასვენების დღეებიც გამოიყენოს ამომრჩეველებთან შესახვედრად, სასაუბროდ. მითუმეტეს მას ინტერნეტში თავის საიტი უნდა ჰქონდეს.

მანდატურთუხეცესთა სამსახურის შემოღება აიძულებს დეპუტატებს უფრო დისციპლინირებულნი, მობილურნი და კორექტულნი იყვნენ ცხოვრებაში, ურთიერთობაში.

პროკურატურა პარლამენტის იურისდიქციას უნდა დაექვემდებაროს, რაც საშუალებას აძლევს პარლამენტარებს მათ მუშაობაში უკეთ გაერკვნენ და უსამართლო ქმედებებისაგან დაიცვან თავიანთი ამომრჩეველი.

ერთი პარტიიდან არჩეული დეპუტატების ოდენობა პარლამენტის წევრების 50%-ზე მეტი არ უნდა იყოს, რაც სხვა მცირერიცხოვან პარტიებს მისცემს საშუალებას თავისი აზრი დააფიქსირონ პარლამენტში. პოლიტიკური პარტია, რომელიც 2% ზღვარს გადა-

ლახავს, არჩევნების დროს მისი წარმომადგენელი შეყვანილ უნდა იქნას პარლამენტში.

დეპუტატი, რომელიც სხვა სამუშაოზე გადავა ან თავისი სურვილით მანდატს ჩააბარებს და სრულად არ იმსახურებს თავის არჩევის ვადით, მას დეპუტატის პენსია არ მიეცემა. დეპუტატების პენსია ყოფილ დეპუტატებზე გაიცემა შესაბამისად საპენსიო ასაკისა, მანამდე კი სხვა საქმიანობით უნდა დაკავდეს.

სახელმწიფო

სახელმწიფო აერთიანებს ხალხებს, ერებს, კუთხეებს, რომლის წყობა აგებულია დემოკრატიულ, ფედერალურ და პასიურ-მონარქიულ მმართველობის პრინციპებზე, რომელსაც ჰყავს არჩევითი პარლამენტი, იცავს არჩევითობის პრინციპებს და საჭიროების შემთხვევაში აგარებს რეფერენდუმს. მმართველობა არ შეიძლება იყოს რელიგიურ გაერთიანებათა საწყისებზე და პარტიულ კონიუნქტურაზე. სახელმწიფოს მიზანია საყოველთაო მშვიდობისთვის ბრძოლა, ეკონომიკური ძლიერება და გარემოს დაცვა. იგი მოწოდებულია ხალხის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, სოციალური და იდეოლოგიური რაობის გასაუმჯობესებლად, პროგრესული მმართველობის და პროგრესის დასახერგად. ეს ყოველივე თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად ორმაგი სტანდარტის გარეშე არსებობა სახელმწიფოებრიობასაც უჭირს და სარწმუნოებასაც, რადგან ძალაუფლება და რწმენის ქადაგება რჩეულთა ხვედრია, რომლებიც პირველ რიგში თავის წარმოჩენისთვის, კაიფისთვის იღწვიან და შემდეგ საქმისთვის, და თუ ამ მცდელობიდან ხალხსაც რაიმე შეხვედება, ესეც ბედნიერებაა. აღნიშნული რეალობიდან განსხვავებით, ავტორი ცდილობს ის პოსტულატები შესთავაზოს მკითხველს – ამომრჩეველს რომლის გათვალისწინება მის ქვეყანას რეალურ სახელმწიფოდ აქცევს.

სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს რამდენიმე სათაო ქალაქი და ქვეყნის დედაქალაქი, სადაც განლაგებული იქნება სახელმწიფო მართვისათვის საჭირო სხვადასხვა ინსტიტუტები. მას უნდა ჰქონდეს გერბი, დროშა, ჰიმნი, კონსტიტუცია, ფულის ნიშნები, ერთი ან ორი სახელმწიფო ენა, ჰყავდეს შეიარაღებული ძალები, პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო, ფულის ნიშნები.

სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს თავისი ბანკი და სახელშეკრულებო დანომრილი ფასიანი ბლანკები სხვადასხვა ბიზნეს გარიგებისთვის რათა არ მოხდეს უსაქონლო ოპერაციები და ფულის უკუგორება.

სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს სპეციალური სამსახური, უშიშროების სამინისტროში, რომელიც ამოწმებს გელევიზიაში, ინტერნეტში, გაზეთებში გამოქვეყნებულ რეკლამებს, სიუჟეტებს, წინადადებებს, რათა არ მოხდეს მოსახლეობის მოგყუება-გაბრიყვება

და ამის შესახებ უნდა ეცნობოს მოსახლეობას, ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უნდა უთმობდეს გარემოს დაცვას, წიაღისეულის, ტყის მერქნის, მარაგის მოპოვებას და მის რაციონალურ ხარჯვას, ხელს უნდა უწყობდეს ფლორის და ფაუნის გამრავლებას. ქ.პრადის მიმდებარე რაიონებში თავისუფლად დანაგარლობენ: შველი, ირემი კურდღელი, სხვადასხვა ფრინველი და არავის აზრად არ მოსდის მათი დახოცვა, რადგან ჩეხეთში უამრავია სამონადირეო მეურნეობები და ვინც ნადირობის გრფიალია ლიცენზიით ნადირობს.

სახელმწიფო ვალდებულია მომავალი თაობა უფასო სამუშაო განათლებით, და ჯანმრთელობის დაცვით უზრუნველყოს, ასევე უნდა უზრუნველყოს პენსიების მიღება და ნაწილობრივ უმუშევართა დოტაცია, თუ ეს უმუშევრობა უკანასკნელის უსაქმურობით არ არის გამოწვეული. სახელმწიფომ უნდა დააწესოს საკონკურსო მრავალმილიონიანი პრემია იმ სამეცნიერო სამუშაოებზე, რომელიც პრაქტიკულად ერთხელ და ეკონომიკურად სამუდამოდ გადაჭრის გარემოს დანაგვიანების პრობლემებს მაგ. მუდმივი და ეკონომიური სინათლის ნათურა, მრავალჯერადი ასანთი, სუფთა წყალზე მომუშავე, „ჰიდრაულიკური გარანის“ ელექტროსადგურები, კალიების დასაჭერი და ცილად გადაამუშავებელი მოწყობილობები, ბინის სამზარეულოს კომპლექსში ისეთი მოწყობილობის შექმნა და დამონტაჟება, რომელიც საკვები პროდუქტების ნარჩენებს ფქვილად აქცევს. ამგვარი ნარჩენების შეგროვება-გადამუშავება ყოველ ერთ სულ მოსახლეზე ქალაქის პირობებში გვაძლევს დამატებით 7-8 კგ ხორცს წლიურად. სიახლე უნდა დაინერგოს ხე-ტყის მრეწველობაში, სადაც ყველა სამასალე და ნახევრად სამასალე მერქანი უნდა დაიხერხოს და საწვავად მხოლოდ ნარჩენები და ნახერხი იქნას გამოყენებული..

თავის დროზე ლაბორატორიულ სამუშაოთა დონეზე, შევძელი კალიების დასაჭერ ბიოლოგიური მეთოდის შემუშავება. დამებადა სურვილი საკუთარი ხარჯებით გამეკეთებინა სამუშაო მოწყობილობა, რომელშიც გრაქტორიც შედიოდა და სხვა ცილის გადასამუშავებელი საშუალებები, მაგრამ საქართველოს და რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროები ვერ დავაინტერესე, ვერც ინტერნეტში მოვიძიე ქვეყანა, რომელსაც ამ საქმისთვის პრემია ექნებოდა დაწესებული. არა და კალიების შემოსევა ყველა ქვეყა-

ნას დიდ ზიანს აყენებს, მე კი მარალი მოგებად მინდოდა მექცია. ასეთივე მდგომარეობაა ნაგვის გადამუშავების საქმეშიც და ამის შესანიშნავი მაგალითია იგალიის ულამაზესი ქალაქი ნეაპოლი, რომელიც თევების განმავლობაში ნაგავში „ისრჩობოდა“.

სახელმწიფომ ყოველწლიურად უნდა დაადგინოს პენსიის ოდენობა და იმ ხელფასის მინიმუმი, რომლითაც მოქალაქენი უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ და დამქირავეებელმა. ყოველწლიურად დგინდება სახელმწიფოში საცხოვრებელი მინიმუმი, რომლითაც გარანტირებული უნდა იყოს ქვეყნის ყველა მოქალაქე.

სახელმწიფო ვალდებულია მოუფრთხილდეს ისტორიულ, კულტურულ მემკვიდრეობას, ებრძოდეს ნაციონალურ, რასისგულ, კუთხურ გამობგომებს და სხვადასხვა აგრესიულ დაჯგუფებებს. უზრუნველყოს ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა დასაკავშირებელი საშუალებების შეუფერხებელი მუშაობა, განახორციელოს ახალი გზების მშენებლობა და ძველი გზების მოკირწყვლა-შეკეთება.

მუდმივ კონგროლზე უნდა ჰყავდეს აყვანილი ქვეყნის დემოგრაფია, ეკონომიკური შესაძლებლობების, გრადიციების და გერიგორიების გათვალისწინებით. უნდა ეცადოს, არ ჰქონდეს ქვეყანაში ჩამორჩენილი სტრატეგიული საწარმოები და თუ ასეთი არსებობს, თავად შეიძინოს, ფეხზე დააყენოს და შემდგომ გაყიდოს აუქციონზე.

სახელმწიფო თავად უნდა აშენებდეს და მიაქირავებდეს ნაკლებად პრესტიჟულ ბინებს მოსახლეობის იმ ფენას, ვისაც დღეს ბინის შეძენა არ შეუძლია, უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მალაზიები ხელმოკლე ხალხისა და პენსიონერებისათვის, რომლებსაც უფლება ექნებათ გარკვეული თანხის პროდუქტების, ნივთების შეძენის. სახელმწიფო ზოგ დარგებში კონკურენციას უნდა უწევდეს კერძო მწარმოებლებს, რათა მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდეს.

სახელმწიფო უნდა აწესრიგებდეს მიგრანტების ქვეყანაში შემოსვლას, დასაქმებას, დასახლებას და ამზადებდეს მოქალაქეობის მისაღებად. ეროვნულ სახელმწიფოში არ უნდა დაუშვას წარმომადგენელთა ჯგუფები, ტერიტორიული დაყოფა ქვეყნის გარკვეულ რაიონებში, ტერიტორიაზე, რათა არ გაჩნდეს მომავალში სეპარატიზმის კერები.

სახელმწიფო ვალდებულია მოსახლეობა დაამაგროს მთიან და ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებში, გაიყვანოს გზები, ვახსნას მცირე საწარმოები თავისი ხარჯებით და შემდგომ გაას-

ხვისოს. ასეთ რაიონებში დადგენილი უნდა იქნეს მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა, რომელთა დასაქმება ამ რაიონებში გარანტირებული უნდა იყოს. ასეთ რაიონებში უნდა გაიხსნას გურისგული მარშრუტები, შეიქმნას ინფრასტრუქტურა გურისტების დასვენებისთვის. მაგ, კუბის კბილის ექიმები თავის მომსახურებით ცნობილი არიან ამერიკის კონტინენტზე და ბევრი მათგანი სამღვარვარეთ მოღვაწეობს. მარტო დანტისტებს კუბის ბიუჯეტში შემოაქვთ სამი მილიარდი დოლარი, ხოლო დასვენება და გურიში კუბას 2 მილიარდ დოლარს აძლევს. ასე, რომ ქვეყანა, რომელიც დისკრიმინაციას განიცდის თავისი დიდი მემობელი აშშ-საგან, თავისი მცდელობის ხარჯზე ახერხებს 5 მილიარდი დოლარით სახელმწიფო ბიუჯეტის გამდიდრებას, აღარაფერს ვამბობ დასაქმებაზე.

გუბერნატორი, რაიონის ხელმძღვანელი, რომელიც ღოგირებული გერიტორიების ბიუჯეტის ხარჯებს თუ რამდენიმე პროცენტით არ შეამცირებს, ის ორი წლის შემდეგ მექანიკურად თავისუფლდება თანამდებობიდან, როგორც მისთვის შეუფერებელი, რომელმაც ვერ გამოიჩინა ფხა, არ აქვს სიახლისკენ მიდრეკილება, ვერ იზიდავს ინვესტორებს.

ქვეყანაში იბადებიან მანიაკები და კრიმინალური მიდრეკილების მქონე ხალხი, ლოთები, ჭკუანაკულეები, ბავშვობიდან ინვალიდები, ამ ხალხისათვის გამოიყოფა ცალკე გერიტორიები, საცხოვრებელი ადგილები, სახლები და მათზე ბრუნავს სახელმწიფო, იმგვარად, რომ მათ თავისი თავი შეინახონ გადასახადი გადაიხადონ და სახელმწიფო ბიუჯეტს გვირთად არ დააწვენენ. საცხოვრებელი გერიტორიები უნდა გამოიყოს ნარკომანებისათვის გამოუსწორებელი ლოთებისათვის გადამდები დაავადებით დაავადებულთათვის, რომლებმაც იციან რომ დაავადებულნი არიან და სხვას განზრახ აავადებენ.

ჩემის აზრით შემოსაღებია გარკვეულ მონოპოლია არაყზე, სიგარეტზე, წამლებზე. მიუხედავად სხვადასხვა ასორტიმენტის სიმრავლისა, არყის და სიგარეტის ხარისხი აშკარად გაუარესდა, ხალხი გალოთდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს რეალურ ბარალთან შედარებით ბევრი არაფერი შემატება. ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დროს ალკოჰოლიანი სასმელი და სიგარეტი ბიუჯეტის 30%-ს იძლეოდა. იმისათვის, რომ არყის ხარისხი არ გაუარესდეს, მისი ჩამომსხმელი ქარხნები უნდა ვაიძულოთ არყის

გასაწმენდი ფილტრები და წყლის დასარბილებელი ძვირადღირებული მოწყობილობა დროულად შეცვალონ, დაიცვან კუპაჟის დრო 21 დღე. დღეს რუსეთში ძალიან გაუარესდა არყის ხარისხი, რადგან მას ღვინის ფილტრებში წმინდავენ, ხოლო კუპაჟის ვადას არავინ იცავს. მხოლოდ ესაა, ძველთან შედარებით ბოთლის ღიზიანი გაუმჯობესდა და ფასები გაიზარდა. ასეთივე მდგომარეობაშია ლუდის წარმოებაც. რაც შეეხება წამლებს, ამ ბოლო დროს ძალზე გახშირდა მათი ფალსიფიკაცირება ან „პუსგუშკების“ გამოშვება რომელიც არც რგებს და არც ვნებს ავადმყოფს და ეს მე მძიმე დანაშაულად მიმაჩნია.

სახელმწიფო ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას კანონის მორჩილი და ქვეყნის ბიუჯეტის შემავსებელი ხალხის ინტერესები, აღმოფხვრას ქურდობა, ნარკომანია, გადამდები დაავადებანი და ხელი შეუწყოს სამოგადოების ნორმალურ ცხოვრებას, თორემ, მარტო დემოკრაგიაზე, თავისუფლებაზე უსაგნო ყაყანი ქვეყანა სათანადოდ ვერ განვითარდება, ამასთან ადამიანის სიცოცხლე ყველაზე ძვირად ფასობს, რადგან ის ერთხელ ევლინება ამ სამყაროს და ვიღაც მანიაკს, რეციდივისტს, ნაძირალას და მავანთა მიმართ ყალბი ლმობიერებისათვის, დროზე ადრე სიცოცხლეს არ უნდა გამოასალმონ. ასევე მკაცრად უნდა დაისაჯონ ნასვამი მძღოლები, რომელთა მიმგმით ადამიანი გარდაიცვალა. დანაშაულებს და მათ შორის მძღოლებსაც სავალდებულო სასჯელის მოხდის შემდგომ უნდა დაეკისროთ არასრულწლოვანი შვილების და ქვრივის შენახვა.

თავის დროზე მე ვმუშაობდი ამიერკავკასიის „გყეთმოწყობის“ საწარმოში ინჟინერ-გაქსატორად, ჩემი მოვალეობა იყო 5-6 თვის განმავლობაში მეცხოვრა გყეში და დამეპროექტებინა ამ საგყეო მეურნეობის საქმიანობა მომღვენო ათი წლის განმავლობაში, გამომევლინა სხვადასხვა ჯიშების ოდენობა, დამედგინა დასამზადებელი ხე-გყის კუბაგურა და სხვა მრავალი. ამ სახის სამუშაოზე ციმბირში, ისიც 6 თვით გყეში თანხმდებოდნენ მხოლოდ „ბიჩები“ (ყია) – ყოფილი ინტელიგენტი ადამიანი, მოკლედ გალოთებული ხალხი. ისინი დასახლებული ადგილებიდან მოშორებით იმყოფებოდნენ 100-200 კმ, ხოლო მგზავრობა შეიძლებოდა მხოლოდ შვეულმფრენით. შედეგად 6 თვის განმავლობაში მათ სასმელთან შეხება არ ჰქონდათ, შესანიშნავად მუშაობდნენ გათენებიდან დაღამებამდე. ამ ხალხმა, სახებე მოიხედა, ზოგი მათგანი საკმაოდ

განათლებულიც იყო, მაგრამ როგორც კი ქალაქში ჩავედით, ფული გაუჩნდათ, ფიცის და მტკიცის მიუხედავად, ყველა მათგანი ორ კვირაში ისევ ლოთად იქცა. დღეს გერმანელები „ციმბირული“ ანუ „შრომითი თერაპიით“ 1-2 წლის განმავლობაში მკურნალობენ ნარკომან ახალგაზრდებს, რომლებიც ციმბირში ომსკის ოლქის მიყრუებულ სოფელში მიჰყავთ სამუშაოდ, და საცხოვრებლად. შედეგად გერმანიაში დაბრუნებული ახალგაზრდების 80-85% ნარკომანიას თავი დაანება. ასე, რომ არის ადამიანთა კატეგორია, რომელსაც ნებისყოფა არ გააჩნია და თავის მოთოკვა არ შეუძლია და მათზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. აქ დემოკრატია და პიროვნების თავისუფლების მოშველიება დემაგოგიაა ან სახელმწიფოს სურს თავისი უნიათობა დაფაროს და სხვათა ბედის უკუღმართობის საშველად თავი არ შეიწუხოს.

ჩემი ღრმა რწმენით, თუ სახელმწიფოში რაიმე კრიმინალური დანაშაული ხდება, სახელმწიფოს წაყრუების და მისი არ შემდგარობის შედეგია, რადგან სახელმწიფო ინტერესების უგულვებელყოფა, ხალხის ინტერესების უგულვებელყოფის გოლფასია და აქ პიროვნების თავისუფლების გაფეციშება, ხალხისთვის თვალეში ნაცრის შეყრაა.

რადგან ქვეყნის მართვის ძირითადი ინსტრუმენტი კონსტიტუციაა, მასში უნდა ჩაიწეროს ყველა ის საკითხი, რაც ქვეყნის დღევანდლობისთვის აუცილებელია, რათა კანონს და მართლმსაჯულებას არ მივცეთ უფლება წესრიგის დამყარება თავისი გადასახედიდან გაიგოს.

სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს თავისი მონოპოლია და სასურველია ქვეყნის ქონების 34% სახელმწიფოს საკუთრებაში იყოს, რათა ქვეყანაში კრიზისის დაწყების შემთხვევაში გამოსავალი ადვილად მონახოს.

ამრი იმის შესახებ, რომ ბაზარი ყოველივეს დაარეგულირებს და ყველაფერი მოწესრიგდება, მთლად სწორი არ არის, რადგან არის ისეთი საქმიანობა, რომელიც ბიზნესს ყოველთვის არ აინტერესებს. მაგ., საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობა, კვალიფიციური მუშახელი, რომელსაც უფრო იაფად იმოვის ემიგრანტების ხარჯზე, პროფესიული სწავლება, საწყისი საშუალო განათლება. რადგან ბიზნესი აგებულება მოგებაზე, ქონების დაგროვებაზე, რომელსაც ხშირად ავიწყდება, რომ მის უკან ხალხია და ამ ხალხს არა მარტო მიგინგებზე გამოსვლა შეუძლია, არამედ ბუნცის

ატეხვაც და რევოლუციის მოხდენაც, სადაც ბიზნესს არაფრის კეთება აღარ შეუძლია, ამის მაგალითები ისტორიაში უამრავია.

სახელმწიფო მონოპოლიებს მე მივაკუთვნებდი: რკინიგზას, კავშირ-გაბმულობის საშუალებებს, ჯანმრთელობის და უმაღლესი სწავლების ნაწილს, საშუალო განათლებას, და ზოგიერთი კვების პროდუქტის წარმოებას, ხარისხის შემოწმებას, ზოგიერთი აუცილებელი წამლების წარმოება – შემოგანას, მარცვლეულის სარემედიკოზო ფონდის შექმნას, ელექტროენერგიაში ფასების დაწესებას, რადგან მათ გადამეტებულმა გაძვირებამ მოსახლეობის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს.

მაგ., კერძო პირმა ააშენა ელექტროსადგური, მაგრამ სახელმწიფო კერძო მესაკუთრესთან შეთანხმებით მონოპოლიას უწესებს ფასს იმ ზედმეტ ელექტროენერგიაზე, რომელსაც თავად ვერ მოიხმარს და ზედმეტად აწარმოებს.

სახელმწიფო კვების მრეწველობაში უნდა უშვებდეს ერთი დასახელების ძხვს, ყველს, რძის ნაწარმს იაფფასიანი შეფუთვით, ხოლო კერძო ფირმები ასორტიმენჯს მრდიან და კონკურენციას უწევენ მას. სახელმწიფო მონოპოლიები დოგაციებით არ უნდა კვებავდნენ ღარგს, საქმიანობას, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში დეფიციტური პროდუქტია თავადვე უნდა აწარმოოს. მაგ., ხორბლის გარკვეული ოდენობის რეალიზაცია სახელმწიფოს საცაგებიდან. მოკლედ, ბაზარი თუ დროულად ვერ არეგულირებს და ძალზე აძვირებს ადამიანისათვის უმთავრეს მოხმარების საგნებს, აქ ერევა სახელმწიფო მონოპოლია.

მაგ., გარემოებათა გამო ვერ მიიღეს ხორბლის მოსავალი ქვეყანაში, ან ძალზე გაძვირდა საწვავი ასეთივე ბედი ეწია სხვა ქვეყნებსაც, ე.ი. გაიზარდა მასზე მოთხოვნილება და პური გაძვირდა 2-3-ჯერ. ეს გარემოება რომ მოსახლეობამ უმტკივნეულოდ გადაიგანოს, სახელმწიფო თავის მარაგიდან აძლევს კერძო მესაკუთრეს ფქვილს და თანაც ფასსაც უწესებს, ან სახელმწიფოზე დაქვემდებარებულ პურის ქარხნებს ამუშავებს მთელი ძალით.

მოკლედ, იმას, რასაც შეუძლია დიდი უკმაყოფილება გამოიწვიოს ქვეყანაში, აკონტროლებს და თავის თავზე იღებს სახელმწიფო. შეიძლება მოსკოვი-პეგერბურგის მხარეს მიმოსვლა კერძო ფირმამ შეისყიდოს, მაგრამ სავალი გზა, რკინიგზის ხაზი სახელმწიფო საკუთრებაა და მისი ექსპლოატაცია მას ევალება. სახელმწიფოში შეიძლება იყოს კერძო ავტობანები. მაგრამ სახელმწიფო

გმა, როგორც ალტერნატივა, იქვე უნდა არსებობდეს. არ შეიძლება გაიყიდოს მდინარის პირა ტერიტორიები მდინარიდან 50 მეტრზე, ხოლო ვისაც მდინარის პირას სახლები უდგას, ის მიწა სახელმწიფოს საკუთრებაა და ამ მიწაზე მცხოვრები არენდის გადასახადს შესაძლებელია იხილდეს. სახელმწიფო საკუთრებაა ნაკრძალები, აღკვეთილები, ხოლო თუ მათში იხსნება სამონადირეო მეურნეობა, შენობა-ნაგებობა შეიძლება კერძო პირის საკუთრება იყოს, ხოლო მიწა ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაა.

რაგომ არის სახელმწიფო მონოპოლიების არსებობა საჭირო? ერთ-ერთმა ფირმამ ააშენა დასასვენებელი სახლები და ორი კილომეტრის მანძილზე მღვამე გასასვლელი პლაჟები მისაკუთრა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. უნდა არსებობდეს კერძო პლაჟები, მაგრამ მის გვერდით უნდა იყოს სახელმწიფოსიც, რადგან მღვის, ტბის მიმდებარე ტერიტორიების მისაკუთრების უფლება ვთქვათ სიგრძით 200 მეტრზე, კერძო მესაკუთრეს არ უნდა მიეცეთ, ხოლო მის გვერდზე აუცილებლად უნდა იყოს თავისუფალი ტერიტორია. გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ტბა მთლიანად კერძო საკუთრებაა.

აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ ყველაფერი კერძო პირს უნდა მიჰყიდოს, გაასხვისოს, სწორი არ არის, რადგან ხალხს რაც არ უნდა უგერგილო ხელმძღვანელობა ჰყავდეს, სახელმწიფოს მეტად სჯერა და მეტად შეუძლობს გადაცენასაც და მოგყუებასაც და ბოლოს, სახელმწიფო კორუფციის აღმოსაფხვრელად კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რომელშიც სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, სახელმწიფოს ინტერესები, ხალხის თანადგომა და იდეოლოგია უნდა მონაწილეობდეს. სახელმწიფოს და მოქალაქეთა უფლებამოსილება სამოქალაქო კანონში დაწვრილებითი და ყოველის მომცველი უნდა იყოს, რათა, არ მოხდეს სპეკულაცია, გამოძალვის მცდელობა, დაპირისპირება. მაგ. სახელმწიფოს სჭირდება კერძო ან მუდმივ არენდაში მყოფი ტერიტორია, საცხოვრებელი ფართი. ვთქვათ გზის გასაფართოებლად ან ახალი შენობის ასაგებად. სახელმწიფო ვალდებულია იგივე რაიონში მეთავაზოს მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი ფართი ან გადაუხადოს უძრავი ქონების ღირებულების ორმაგი ფასი. თუ იგივე რაიონში არ ხერხდება მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მეთავაზოს სხვა რაიონში იგივე პირობები პლუს უძრავი ქონების ნახევარი თანხა. მიყენებული უხერხულობებისთვის. როდესაც ყველას

ეცოდინება თავისი უფლება-მოვალეობა, სადაოც აღარაფერი იქნება.

„სახელმწიფო ეს მე ვარ“ განაცხადა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI და თქვენ წარმოიდგინეთ, აქ სიმართლის ნიშნები შეიცნობა, რადგან პიროვნების ავტორიტეტი, მისი როლი ძალზე დიდია ისტორიაში. თავის დროზე მაკედონელები, ფრანგები, გერმანელები და მათი მომხრეები, პირველ რიგში იბრძოდნენ ალექსანდრე მაკედონელისთვის, ნაპოლეონისთვის, ჰიტლერისთვის და არა ქვეყნის, ერის რეალური ინტერესებისთვის, რადგან ამ ისტორიულ პირებს ბრბო ეთაყვანებოდა. ეს დამარცხების შემდეგ მოდის სინანულის გრძნობა, როდესაც ხალხის ფეტიშს ცხვირში ამოარტყამენ და მის განსჯა – ოპონირებას დაიწყებენ, მანამდე კი ქვეყნის ავტორიტეტს, მოსახლეობის უმეტესობა ბრმად ემორჩილება. ეტყობა, აქ ზეციური ნებაც ურევია, თორემ დღევანდელი გადასახედიდან რომ განვსაჯოთ, ისტალინს არავითარ შემთხვევაში ლ.ტროცკისთვის არ უნდა ეჯობნა, ეს პრაქტიკულად, მაგრამ თეორიულად. მან ქვეყნის მეორე კაცი, სსრკ შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ჯერ ქვეყნიდან გააძევა და შემდგომ მექსიკაში მოაკვლევინა.

ქვეყნის პირველი პირები

ქვეყნის პირველ პირს ირჩევს ხალხი, ან პარლამენტი, ხოლო მთავრობის თავმჯდომარეს ნიშნავს, პარლამენტი, ვის მეტი ძალაუფლება აქვს, ეს უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის კონსტიტუციამ. ჩვენს შემთხვევაში ქვეყნის პირველ პირს ვუწოდოთ პრეზიდენტი. პრეზიდენტი უნდა განსაზღვრავდეს სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივას, საგარეო პოლიტიკას, ხოლო ქვეყანა მთავრობამ უნდა მართოს. პრეზიდენტი შექმნილ სიტუაციაში საბოლოო სიტყვას თავად უნდა იტყვებდეს, არ უნდა აჩქარდეს, მოკლედ, ძირითადად პოლიტიკა „გაშლილ კარტებში უნდა ითამაშოს“, ხოლო თუ საჭიროა გადაწყვეტილება ერთპიროვნულად უნდა მიიღოს, პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს თავისი ფონდი ბიუჯეტიდან გამოყოფილი, რომელსაც თავისი შეხედულებისამებრ ხარჯავს და მას არავინ არ აკონტროლებს, მხოლოდ ერთის პირობით: მან წლის ბოლოს გაზეთში უნდა გამოაქვეყნოს ფონდის დანახარჯების დაწვრილებითი ანგარიში. პრეზიდენტის წლიური ხელფასი არ უნდა იყოს ნახევარ მილიონ დოლარზე ნაკლები 20-25 კგ ოქროს ექვივალენტის, ხოლო პენსია 100 ათას დოლარზე ნაკლები, ისეთი ქვეყნისთვისაც კი, როგორც საქართველოა.

ქვემოთ მინდა ერთი გადახვევა კვლავ გავაკეთო, რადგან მოგვწონს არ მოგვწონს ქვეყნის მართვის ავ-კარგი მაინც პირველი კაცის გონიერებაზე, შორსმჭვრეტელობაზე და ალბათ ქვეყნის ბედზე მასზეა დამოკიდებული და როგორც ირკვევა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს ქვეყნის სათავეში მონარქი იქნება თუ ხალხის მიერ განუსჯელად არჩეული პრეზიდენტი. ამის შესანიშნავი მაგალითია არაბეთის უდაბნოში აღმოცენებული ნავთობით მდიდარი სახელმწიფო ომანი, სადაც მოსახლეობა გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე მეზობელ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში. ეს დამსახურება დღევანდელ სულთანს ეკუთვნის, რომელმაც ქვეყანაში დემოკრატიული მონარქია დაამყარა. სულთნის და მისი ახლო ნათესავების გელეფონების მოძიება შეიძლება გელეფონების ცნობარში, წიგნში, რომელიც ყველა გელეფონის ავტომატის ჯიხურში დევს და ვისაც სურვილი გაუჩნდება, შეუძლია დარეკოს. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრთა კაბინეტს სულთანი ნიშნავს, ქვეყანას ჰყავს არჩევითი უუფლებო პარლამენტი, რომელიც არაფერს წყვეტს, მაგრამ მინისტრები ვალდებულნი არიან ანგარიში

მათ ჩააბარონ, მოუსმინონ და შენიშვნები გაითვალისწინონ. დღეს ომანი ყიდის გაზის კონდენსატს, ნავთობ პროდუქტებს და არა ბუნებრივ აირს, ნავთობს, რუსეთით, რადგან ამ ნედლეულის გადამუშავება უამრავ სამუშაო ადგილებს შექმნიდა და სახელმწიფო ბიუჯეტაც გაცილებით უკეთ შეივსებოდა. ომანი გონივრულად იყენებს უცხოურ ინვესტიციებს, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს, სადაც სახელმწიფოს წილი 75% შეადგენს.

სახელმწიფოში აუცილებელია ერთი კაცი მაინც იყოს პაგიოსანი, გონიერი, ან ასეთად გამოიყურებოდეს, რადგან თუ ქვეყანაში პირველი კაცი პაგიოსანია და არ ეწევა პროტექციონიზმს, სახელმწიფო აპარატს, ასე თუ ისე, იძულებულია მიბაძოს.

პრემიერდენტმა დამატებითი შემოსავლების მოსაზიდად, მისი ფონდის გასაღილებლად უნდა მოაწყოს ფასიანი ურიგო მიღებები ბიზნესმენებისათვის, მეცნიერებისათვის და იმ წინადადებას, რომელიც მოეწონება, ლობირება გაუწიოს.

ამგვარი ფასიანი მიღება იმიგომ არის საჭირო, რომ პრემიერდენტი გყუილ-უბრალოდ არ იქნას შეწუხებული. დაეუშვათ, ამ გზით პრემიერდენტთან მოხვედრა 10 წუთით უნდა ღირდეს 1000 დოლარი. მასთან ერთად იმყოფებიან მრჩეველები, სპეციალისტები და იქვე გადაწყდება, თუ რამდენად ვარგისიანია ეს წინადადება. პრემიერდენტთან შეხვედრის მსურველთა 0,1% რომ გაამართლოს, ეს უდიდეს მოგებას მისცემს ქვეყანას. პრემიერდენტთან მიღება წარმოებს აგრეთვე წინასწარ ჩაწერით, რიგში ჩადგომით, ოღონდ უფასოდ.

პრემიერდენტს შეუძლია აგრეთვე, ოფიციალურად მიიღოს საშუამავლო. თუ რომელიმე უცხოეთის ფირმას დააინტერესებს და ერთობლივ საწარმოს შექმნიან მისი ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად. არაოფიციალურად ფულის უკუგორებას, ისევე ოფიციალურად ფულის აღება და ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადის გადახდა ჯობს.

დღეს ანგელოზი და წმინდანი არავენაა, განსაკუთრებით ის, ვინც პოლიტიკაში იღვწის და მე დიდ სიბრძნევად მიმაჩნია, როდესაც სახელმწიფოს სამსახურში მყოფთ ბიზნესში მონაწილეობას კანონით უკრძალავენ.

მე იმის წინააღმდეგი კი არ ვარ, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერდენტის ქალიშვილმა და სიძემ მამის დახმარებით და ლობირებით მომგებიან ბიზნესს ხელი მოჰკიდეს, არამედ იმის, რომ

მათ სახელმწიფოს კუთვნილი გადასახადი არ გადაუხადეს ბიუჯეტს.

პრეზიდენტს ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ქვეყნის საქმიან ხალხთან. უნდა ნერგავდეს იმ იდეოლოგიას, რომ ყოველმა ჩვენგანმა რაღაც სასიკეთო აკეთოს და თავისი სახელი დაგოვოს. მაგ., სახელობითი სტიპენდიები, პრემიები, ახალგაზრდობისათვის ან რომელიმე დარგის სპეციალობისთვის. ამ წახალისებით სამივე მხარე მოგებული დარჩება, ქვეყნის ბიუჯეტს შეღავათი, სტუდენტის კეთიკდღეობის ამაღლება სახელობითი სტიპენდიის მოპოვებით, ხოლო მეცენაგს განაღდებული სახელი ამ სასწავლების ისტორიაში. აშშ მოხუცმა ცოლ-ქმარმა ითხოვეს შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, გაჯანჯლების შემდგომ დღის ბოლოს როგორც იქნა ეს ცოლ-ქმარი რექტორმა მიიღო მომსვენელებმა რექტორს ჰკითხეს თუ რა დაუჯდებოდა უნივერსიტეტისთვის დახლოებით ერთი კორპუსის აშენება, როდესაც მშენებლობის ღირებულების ფასი გაიგეს თავადვე გადაწყვიტეს ახალი უნივერსიტეტის აშენება და დღეს ეს უნივერსიტეტი სტენლის სახელითაა ცნობილი.

ასევე, ნებაყოფლობით პრეზიდენტმა უნდა „აიძულოს“ ცნობილი პიროვნებები, მსახიობები, მეცნიერები, ჰყავდეთ ორი-სამი შვილი, ეს მათ მეგობრულად მოსთხოვოს, აღუთქვას, რომ ის მათი შვილის ნათლია და მფარველი იქნება, მოკლედ ადამიანის გრძნობების სუსტ სიმეზმე თამაში უნდა შეეძლოს. პრეზიდენტი უნდა ცდილობდეს ის ხალხის საყვარელი პიროვნება იყოს, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას, ასევე პენსიაში გასვლის შემდეგ. ასე, რომ დემოგრაფიაც პრეზიდენტის პრეროგატივა და საკეთებელიცაა.

პრეზიდენტმა უნდა ისწავლოს: პირველ რიგში – სამუშაო დროს კაბინეტში ჯდომა, მოსმენა, განსჯა, ქველმოქმედება, ხალხის მიღება. პრეზიდენტი უნდა იყოს მოწოდებით რეფორმაგორი და გარკვეულ საკითხებს ლობირებას უნდა უწევდეს. საქართველოს პრეზიდენტის ლობირების შედეგად გაუქმდა ავტონისპექცია, რომელსაც მექრთამეობის, გამომძაღველობის გამო სახელი გატეხილი ჰქონდა, დათხოვნილი იქნა მთელი ძველი შემაღენლობა და შეიქმნა ახალი საპაგრულო სამსახური, რომელმაც გაამართლა, თითქმის მოსპო გამოძალვა. რაც არ მოხერხდა უკრაინაში, რადგან ძველი ავტონისპექციის თანამშრომლები არ გამოცვალეს და რეფორმა საქართველოსგან განსხვავებით, ნახევრად ჩაატარეს.

საგარეო ვიზიტების დროს პრეზიდენტი მოლაპარაკებების წარმოებასთან ერთად უნდა ცდილობდეს ქვეყანაში წარმოებული ზოგიერთი ნაწარმის რეკლამირებას. ცდილობდეს შეხვდეს მასპინძელი ქვეყნის ბიზნესმენებს, გააცნოს თავისი ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი, აღუთქვას გარკვეული დროით შეღავათები და ამ მხრივ გაამართლოს თავისი საზღვარგარეთული ვიზიტის ხარჯები.

პრეზიდენტი ახალ წელს უნდა ულოცავდეს თავის მოსახლეობას და მოკლედ უნდა აცნობოს იმ მიღწევების შესახებ, რომელიც წლის განმავლობაში ქვეყანას ჰქონდა. ქვეყნის პრეზიდენტს ეხება აგრეთვე პატივების შეწყალება, ღრობე აღრე განთავისუფლება სასჯელ-აღსრულების ადგილებიდან. კარგი იქნება, თუ ამნისტირებულ მოქალაქეებს პრეზიდენტი შეხვდება და დამოძღვრავს. ეს მათ ძალიან წაადგებათ. ქვეყნის პრეზიდენტი კვარცხალში ერთხელ მოსახლეობას ანგარიშს აბარებს ტელევიზიით, თუ რა გაკეთდა ამ სამი თვის განმავლობაში.

ქვეყნის პრეზიდენტს საგელევიზიო ცენტრალურ არხზე ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა უნდა ჰქონდეს პრეზიდენტის საათი სადამოს ცხრის ნახევრიდან ცხრა საათამდეც. სადაც გამოქვეყნდება ქვეყანაში მომხდარი ამბების რეზიუმე, პრეზიდენტის გადაადგილების მოკლე რეპორტაჟი, ახალი მიმდინარეობა, ახალი ამრები, ავტორის ინტელექტუალური საკუთრება პოლიტ-ეკონომიაში თავისი ეკონომიკური გაანგარიშებით, რომელთა ქვეყანაში დანერგვა მის ეკონომიკას წაადგება. მიზანშეწონილია ქვეყნისთვის საჭირო მეცნიერული ამოცანების დასმა, რომლის შედეგების დანერგვას სახელმწიფო თავისი ძალისხმევით და სახსრებით კისრულობს. ამავე არხზე გადმოიცემა სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სხვადასხვა რეკლამა. რეკლამირება შეიძლება კრედიტით იმ სამამულო ნაწარმზე, რომელსაც ჯერ-ჯერობით რეკლამისთვის სახსრები არ ჰყოფნის. ამგვარი საინფორმაციო არხი ძალზე წაადგება ქვეყნის ეკონომიკას და ღიდი მოგების გარანტიც გახდება. ამასთან, ამ არხს თავის პროფესიონალი მაყურებელიც ეყოლება.

სასურველია ქვეყანაში იყოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტიც, რათა მან შეასრულოს პრეზიდენტის გარკვეული დაფალებანი, გაუწიოს ჩამორჩენილ დარგებს ლობირება, გადაწყვიტოს ზოგიერთი სათუო საკითხები. ზოგჯერ პრეზიდენტის ნაცვლად უნდა იღებდეს მთხოვნელებს, მოკლედ, ცვლიდეს იქ პრეზიდენტს, სადაც ის ვერ იცლის.

ვიცე-პრეზიდენტს უნდა მივცეთ უფლება წელიწადში ერთი თვე მართოს ქვეყანა, მაშინ, როდესაც პრეზიდენტი შვებულებაშია. პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს წინასწარ უნდა ჰქონდეს დაგეგმილი შვებულებაში გასვლა და ამის შესახებ უნდა იცოდეს მოსახლეობამ.

მსაჯვრდებულებისათვის სასჯელის შემსუბუქება ვიცე-პრეზიდენტის პრეროგატივაა.

ვიცე-პრეზიდენტი სიკვდილმისჯილს სასჯელის სისრულეში მოყვანამდე უნდა შეხვდეს და გაესაუბროს, კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნდეს, რომ სიკვდილმისჯილი დამნაშავეა თუ არა და მას დაძალების შედეგად არ მიუცია ჩვენება და ამის შემდეგ უნდა აღსრულდეს სასჯელი. მასვე უნდა დაევალოს სამუდამო გადასახლებაში და სამუდამო პატიმრობაში მისჯილთა საქმის გადახედვა სასამართლოს საბოლოო განჩინების შემდეგ, თუ საჭიროა, გაესაუბროს მათ. ის წელიწადში რამდენჯერმე უნდა ნახულობდეს გადასახლებულებს სპეცდასახლებებში როგორ მოაწყვეს მათ თავიანთი ცხოვრება, აშენებენ თუ არა საცხოვრებელ სახლებს, გამოყოფილ კრედიტებს როგორ იყენებენ, იხდიან თუ არა გადასახადებს. ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვს, პარლამენტთან შეთანხმებით გერიგორიების მმართველების შეცვლის სათანადო ახსნა-განმარტებით. ქვეყნის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის პრეროგატივაა მოქალაქეობის მიცემა, ჩამორთმევა. ვიცე-პრეზიდენტი აწერს ხელს და გასცემს სახელმწიფო ჯილდოებს, აწყობს სახელმწიფო მიღებებს.

თუ პარლამენტის უმრავლესობა შეიგანს განაცხადს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის დროზე ადრე განთავისუფლებაზე, ამ საკითხსაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს. ხოლო თუ პრეზიდენტი მოინდომებს პარლამენტის დათხოვნას, ამ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საარჩევნო კომისიასთან და უხუცესთა საბჭოსთან ერთად. პარლამენტის დათხოვნა ან არდათხოვნა მოხდება ამ სამი ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად ხმების უმრავლესობით.

მთავრობა

დღეს „პატიოსანი“ ქურდობა, გამოძალვა, ლობირება ალიბით თანდათან იხვეწება და მასთან ბრძოლაში კანონი ხშირად უძლურია. მთავრობაში მოღვაწე ხალხის გამოჭერა დანაშაულზე თანდათან ძნელდება, ხოლო ყველა სახელმწიფო აპარატში მომუშავეს მეტ-ნაკლებად „თაფლში აქვს ხელები გასვრილი“, რომლის ვალოკვის ცდუნება დიდია. დღეს ეს ცდუნება უფრო გაძლიერდა, რადგან თუ წინათ სახელმწიფო აპარატში კეთილსინდისიერი მუშაობით ადგილის შენარჩუნება პენსიამდე შეეძლოთ, დღეს თქვენს თანამდებობაზე დარჩენას არჩევნებში გამარჯვებული პარტია წყვეტს, რომელსაც ძველი მთავრობის წევრების დამსახურებები არ აინტერესებს, რადგან თავის პარტიის წევრები ჰყავს დასასაქმებელი.

საქართველოშიც, რუსეთშიც და თითქმის ყველა სხვა ქვეყნებში სახელმწიფო საქმეებს ერთპიროვნულად წყვეტს ქვეყნის პირველი პირი, მხოლოდ ის არ უნდა იყოს ამოფარებული დემოკრატიული პრინციპების მანგიას, რადგან ქვეყნის აღმაფლობის შედეგს მისი ნიჭი, შემართება და მოსმენის უნარი განსაზღვრავს.

მთავრობა, როგორც ვიცი, შედეგა მისი თავმჯდომარისაგან, მოადგილეებისაგან, მინისტრებისაგან და მათი აპარატისაგან. მაგრამ მათ საქმიანობაში ერევა პრეზიდენტი, როდესაც ის თავის კანდიდატებს თავაზობს: თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების მინისტრთა პოსტებზე. ხშირად ამ კანდიდატების წარმოდგენითაც არ კმაყოფილდება და რჩევის სახით გამარჯვებული პარტიის პრეზიდენტი თავაზობს სხვა მინისტრების დანიშვნას. ასევე პრეზიდენტის ინიციატივით ხდება სამინისტროთა უნაყოფო გაერთიანება, ახალი სამსახურების შექმნა, რომელიც ფაქტიურად შედეგს არ იძლევა. ზოგჯერ ეს სახელმწიფო მანიპულაციები იმისთვის ჭირდება, რომ პრეზიდენტმა თავის პოლიტიკას, ამბიციებს მოარგოს ქვეყნის ბელი.

ამგვარად, მინისტრთა საბჭო და მისი კაბინეტი მარიონეტებად გვევლინება, ყოველ შემთხვევაში დღეს ასეა საქართველოში, რუსეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში. შედეგად ვიღებთ უუფლებო მინისტრებს და მათ დეკორაციულ მოადგილეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად სერიოზული საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლიათ. არადა მთავრობა, სამინისტროების საქმიანობა გამწვევი

დაუფასებელი დროვის ცხენია, რომელიც სახელმწიფოს მართვის მთელ გვირგვინს ეწევა და ამასთან დოლის ცხენობაზე პრევენციებს არ აცხადებს, ოღონდ მას მუშაობაში ხელს ნუ შეუშლით. დღეს სახელმწიფო აპარატში ნიჭიერი და შემოქმედი კადრების მოზიდვა ძნელია, თუ მას რაიმე გარანტიები და დაინტერესება არ ექნება. ამიტომ, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდეს თამაშის წესები: დავეუშვათ, ქვეყანაში უნდა იყოს 30 სამინისტრო, მათი შტაბი არ უნდა აღემატებოდეს 50 თანამშრომელს, რადგან შტაბების მრდა იწვევს სამინისტროს საქმიანობაში ბიუროკრატიზმის, წამხედურობის ბაცილის გავრცელებას. მახსოვს საქართველოში ერთ-ერთი სამინისტრო 32 თანამშრომელს ითვლიდა. ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ინვალიდი თანამშრომელი და რა საკითხზეც არ უნდა მისულიყავი, თავის დარგში ამომწურავ პასუხს ვერ გაცემდა. 10 წლის შემდეგ ამ განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ერთი სამმართველო და ორი განყოფილება, ხოლო სამინისტროს შტაბი 220 კაცამდე გაიზარდა. შედეგად განყოფილებიდან განყოფილებაში უნდა გერბინა და შენთვის საინტერესო საკითხზე პასუხს ამომწურავად მაინც ვერ გაიგებდი.

იმისათვის, რომ სამინისტროებში განათლებული და საქმის მცოდნე ხალხი დასაქმდეს, საჭიროა სამინისტროებს მივცეთ თვითღაფინანსების უფლება. ეს უნდა გამოიხატოს მეცნიერების, ეკონომიკის უახლესი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვით და აქედან მოგებული თანხა სამინისტროს უნდა გადაერიცხოს ანგარიშზე. ამასთან, თუ სამინისტრო ბიუჯეტიდან გამოყოფილ გარკვეულ თანხებს ვერ აითვისებს, შემდგომი წლისთვის ეს თანხა სამინისტროს უნდა დაუტოვონ, რათა არ მოხდეს მათი უგერგილოდ გამოყენება. თუ სამინისტრო საკუთარი ბიუჯეტის 10% გამოიმუშავებს დამატებით, ამ სამინისტროს ხელმძღვანელობის და მისი წევრების სამსახურიდან განთავისუფლება და სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა მათდა დაუკითხავად კანონით აკრძალული უნდა იყოს და ეს უნდა ჩაიწეროს ქვეყნის კონსტიტუციაში, რათა მართვის სათავეში მოსულმა პარტიამ თვითნებურად არ მოინდომოს თავისი ხალხის დაწინაურება. სამეურნეო საქმიანობა სხვაა, ხოლო პარტიული მუშაობა და ხალხის სხვადასხვა დაპირებებით გაბრიყვება სხვა. ამის შედეგია, რომ დღეს ღირსეული სპეციალისტები არ ფასობს და მათ ნაკლებობასაც განვიცდით. სამინისტროების საქმიანობისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას მოგვცემს

ზოგიერთი სამინისტრო 8-10 წელიწადში თვითდაფინანსებაზე გადავიდეს, ან თავად გაიდიდოს ბიუჯეტი, თუ როგორ, ამ ეკონომიკურ გაანგარიშებებს მოგაწვდით შემდეგ თავებში, როდესაც დავიწყებ ზოგიერთი სამინისტროს საქმიანობის განხილვას.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ იმ სამინისტროთა სია, რომელიც აუცილებელია ქვეყნის მართვისთვის. ისინი შემდგომში არც გაერთიანებებს უნდა დაექვემდებარონ და არც გაუქმებას: თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის და გადამამუშავების, სპორტისა და გურიმზის, სატყეო მეურნეობის და მრეწველობის, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების, განათლების, მშენებლობის, კულტურის და ძეგლთა დაცვის, ენერჯეტიკის, ინფორმაციისა და გზაინიშების, სახელმწიფო მრეწველობისა და ნელლეულის მარაგის შექმნის, ფინანსების, ეკონომიკის, მეცნიერებისა და პროგრესის დანერგვის, შრომისა, დასაქმების და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამინისტროები. მთავრობასთან უნდა შეიქმნას კონგრულის პალატა, საგადასახადო და საბაჟო სამსახური, ფასების რეგულირების სამსახური.

მთავრობა და მინისტრები პირველ რიგში უნდა ცდილობდნენ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, უნდა იწვევდნენ ინვესტორებს და გარკვეული დროით უნდა ათავისუფლებდნენ გადასახადის გადახდისგან. რაც შეეხება სტრატეგიულ ნელლეულს, თუნდაც ძვირად ღირებულს, ქვეყანამ ის თავადვე უნდა აწარმოოს.

სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ზოგიერთი სტრატეგიული ნელლეულის მარაგი 3-დან 5 წლამდე. როგორცაა: ხორბალი, შაქარი, მარილი, ხორცი, კონსერვები, სპირტი, საწვავი და სხვა, რათა კრიზისულ პირობებში შესაძლებელი იყოს ქვეყნის მდგომარეობიდან უმტკივნეულოდ გამოყვანა. ასევე, სახელმწიფო უნდა აწესრიგებდეს მარცვლეულის ფასებს. დავუშვათ, მას სჭირდება 300.000 ტონა მარცვლეული, წლის განმავლობაში ხოლო ქვეყანას შეუძლია აწარმოოს 150.000 ტონა და ისიც 1 ტონა 400 დოლარად, ხოლო საზღვარგარეთიდან შემოტანილი მარცვლეული უჯდება 1 ტონა 200 დოლარი. სახელმწიფო პირველ რიგში ყიდულობს თავის ფერმებიდან ძვირადღირებულ მარცვლეულს, დანარჩენს იძენს სხვა ქვეყნებიდან და გასამუშალებელ ფასებში აძლევს საწარმოებს გადასამუშავებლად, რადგან მთავრობის მთლიანად ჩამოცილება ბაზრიდან, კარგს არაფერს იძლევა. მთავრობა აგარებს სხვადასხვა

ტენდერებს, რომლებიც აუცილებლად დაზღვეული უნდა იქნას. ყურადღება უნდა მიაქციოს კერძო ბინათმშენებლობას, რათა არ მოხდეს მეპაიეთა მოტყუება. მეპაიეთა ფული შეგანილი უნდა იქნას სახელმწიფოს დაქვემდებარებულ ბანკებში, რათა დაფინანსება მშენებლობის პროცესში ტრანშებით გაიცეს შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მთავრობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს არაგრადიციული ენერგო მიღება როგორცაა ქარის და მზის ენერჯის, ორგანული საწვავი გაზის და ღებელის საწვავის წარმოება, რადგან დროთა განმავლობაში ისინი ეკონომიკურად ხელმისაწვდომი გახდებიან. ყოველივე სიახლის მშენებლობას, დანერგვას სახელმწიფო ავალებს მეცნიერებისა და პროგრესის დანერგვის სამინისტროს და მის დაქვემდებარებულ სამსახურებს, ინსტიტუტებს.

მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს საგარეო ვაჭრობას, სადაც გავრცელებულია პროტექციონიზმი, ფულის უკუგორება, რაც აფერხებს ადგილობრივ მრეწველობას, სოფლის მეურნეობის განვითარებას. მიზეზად მოჰყავდათ იმპორტის სიაფე. მაგ. რუსეთის მთავრობა შესანიშნავად მოეხსენება, რომ რუსეთში აკრძალულია ინდოეთიდან კამეფის ხორცის შემოტანა, მაგრამ ის მაინც შემოაქვთ უკრაინიდან, პოლონეთიდან, რომლებიც ამ ხორცს თავის საწყობებში გადაიგანენ თავის ქვეყნის ვეტერინართა ბეჭდებს ურცყამენ ახლად ფუთავენ და რუსეთში შემოაქვთ და თავის მოგებას ნახულობენ. ამაზე რუსეთის მთავრობა თვალს ხუჭავს, მაშინ, როდესაც თავად რუსეთს შეუძლია გაგზავნოს ვეტექიმები ინდოეთში, დაასწროს ხორცის დამზადებას და თავად შეიძინოს, გაცილებით იაფ ფასებში, მაგრამ ძალის თავი სწორედ მოხელეთა კორუფციაში დევს. წინადადება, რომელიც განხორციელებადია და მოგების მომგანია, სწორედ ამ საკითხებს უნდა უწევდეს ლობიერებას მთავრობა. რაგომ გავამახვილეთ სიახლის ცხოვრებაში დანერგვაზე ამდენი ყურადღება? იმიტომ, რომ ყველა სიახლის ეფექტურად დანერგვა ყველა ხარჯებს ამოიღებს და გადაფარავს კიდევ. ამასთან, ზოგჯერ რაც ახალია და ნაღია, გზის გაკვლევა ძალზე უჭირს. რადგან მას ძალზე ბევრი ხელისშემშლელი ჰყავს.

სიახლის დანერგვას ხელს უწყობს ფასების რეგულირების სამსახური, რომელიც მოწოდებულია, მონოპოლიებმა იაფად არ გაყიდონ საქონელი, რათა წვრილ ფერმერები, მცირე ბიზნესი არ გააკოტრონ და მონოპოლია არ მოიპოვონ ამა თუ იმ დარგში.

ბიუჯეტი და მისი შემსების რაციონალური ხერხი

ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობა სახელმწიფო ბიუჯეტის უდანაკარგო შევსებაა, მაგრამ ამას ხელს უშლის სახელმწიფო აპარატი და სამოგადოებაში გავრცელებული მექრთამეობა, პროტექციონიზმი, ლობიზმი, რომლის მოსპობა მთლიანად შეუძლებელია. მაგრამ თუ სახელმწიფოს სათავეში მოხვდება პატიოსანი და გონიერი კაცი, ეს სენი გარკვეულწილად დასაძლევია. მე მინდა შემოგთავაზოთ ძალზე მარტივი და პროგრესული გადასახადის გადახდის სისტემის ჩემბური სქემა, სადაც ბიუჯეტის შემოსავლების გაორმაგება, გასამმაგებაა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი ხისგია, ჩემის აზრით, სამართლიანია და საძრომიალოს გარეშე. პირველ ხანებში შესაძლებელია (დ.დ.გ) დაგოვებაც, რადგან ეს გადასახადიც ადვილად ამოიღება გ.ყუფარაძის გადახდის მეთოდით.

ქვეყნის მოსახლეობის ყველა წევრს 14 წლის ასაკიდან გახსნილი უნდა ჰქონდეს თავისი პირადი, უცვლელი ანგარიში. ამ ანგარიშის საფუძველზე ვაიცემა რამდენიმე საკრედიტო ბარათი. საკრედიტო ბარათი ყოველდღიური საჭიროებისათვის, საკრედიტო ბარათი თანხის შესანახად და საკრედიტო ბარათი უცხოური ვალუტისათვის. გადასახადი უნდა იყოს სულ სამი სახის: 10% საერთო შემოსავლებიდან, 9% აღზრდის გადასახადი, 1% უძრავი ქონების ღირებულების გადასახადი, ხოლო იურიდიული პირი იხდის ხელფასის ფონდიდან 9% საპენსიო გადასახადს. ნაცვლად აღზრდის გადასახადისა. სხვა ყველა გადასახადი უქმდება. ცნობისთვის, დღეს რუსეთში 28 სახის სხვადასხვა გადასახადი მოქმედებს, რომელთაგან 16 ფედერალური გადასახადია, 7 რეგიონალური, 5 ადგილობრივი. უძრავი ქონების გადასახადის გადახდა იწყება 18 წლის ასაკიდან.

საკრედიტო ბარათზე დაგანებული უნდა იყოს ადგილი ორი თითის ანაბეჭდისთვის, რათა არ მოხდეს ამ ბარათის დუბლირება, გაყალბება. საქონლის შექენის დროს მყიდველი თითების ანაბეჭდით ვააგარებს სალაროში საკრედიტო ბარათს და ისე მოეხსნება თანხა ანგარიშიდან. ამასთან, საკრედიტო ბარათზე წინასწარ აძლევთ ბანკს დავალებას, თუ ყოველთვიურად რა თანხა უნდა ჩამოგირიცხონ, ხოლო ძვირადღირებული ნივთის შექენას თუ

აპირებთ, ეს თანხა თქვენს ბანკში მისვლის შედეგად გადმოგერიცხებათ ან გელეფონით კოდის შეცვობინებით.

ყოველი ახალი თანხიდან, რომელიც მოხვდება თქვენს ანგარიშზე, ბანკი თქვენდა უკითხავად ჩამოგაწერთ 10%, ასევე, ბანკს დაუკითხავად მიაქვს აღმზღის გადასახადი და საერთო თანხიდან უძრავი ქონების 1%, გაყოფილი 12 თვეზე. აქ მნიშვნელობა არ აქვს, ეს თანხა თქვენ გაჩუქეს, ვალი დაგიბრუნეს, თუ კაზინოში მოიგეთ. თქვენ გექვითებათ თქვენს ანგარიშზე მოხვედრილი ფული საერთო მასის 10%.

გარდა გადარიცხვის სისტემისა, მიმოქცევაში იქნება ნაღდი ფულიც, რომლითაც ყველა ნივთის, პროდუქტის შეძენა 25%-ით ძვირი იქნება. დაუშვათ, რაღაც ნივთი ღირს 100 ლოლარი, საკრედიტო ბარათის შეძენის შემთხვევაში, ხოლო ნაღდი ფულით შეძენისას იგივე ნივთი ეღირება 125 ლოლარი, რადგან მაღაზიამ, რომელმაც საკრედიტო ბარათით მიიღო 100 ლოლარი, მას ექვითება 10 ლოლარი, ე.ი. 10%, ხოლო თუ ნაღდი ფულით შეიძენს, მას ექვითება 28%, შედეგად მაღაზიას თავისი 90 ლოლარი ორივე შემთხვევაში რჩება. ხოლო ნაღდი ფულს თუ შეიგანს ბანკში, მას დაექვითება 35 ლოლარი. შედეგად, გადასახადს იხდის პენსიონერიც, ინვალიდის, ქურდის და მათხოვარისც.

ქვემოთ მინდა მოგიყვანოთ მაგალითი დაბეგვრის ამ სისტემის უპირატესობაზე, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოს მოგყუებას, რადგან ამ საგადასახადო სისტემაში მთავარია „გადახდის ხაზი“ და მისი თანმიმდევრობა, რომელსაც ადგენს ფასების სამსახური, რათა დაუმსახურებლად და შემთხვევით არ მოხდეს შემოსავლების დაგროვება, რაც საბოლოოდ ინფლაციას იწვევს ქვეყანაში. დაუშვათ, 1 გონა აღებული მარცვლეულის ფასი 100 ლოლარია და ეს არის ამ ტექნოლოგიის გადახდის პირველი ხაზი და ფერმერს გადახდება 10 ლოლარი. მეორე ხაზი ტექნოლოგიით გაშრობა, ანუ ის უნდა ჩააბაროს „ელევატორს“. აქ გამშრალი ერთი გონა ხორბალი ღირს 200 ლოლარი და დაექვითება 20 ლოლარი, ხოლო თუ ფერმერი გაშრობასაც მოახერხებს და ისე გაყიდის ხორბალს, ის მიიღებს 200 ლოლარიდან 170 ლოლარს (20+10). ელევატორიდან ხორბალი გადადის წისქვილკომბინატში და 1 გონა ფქვილი ღირს 400 ლოლარი. წისქვილკომბინატს დაექვითება 40 ლოლარი, წისქვილკომბინატიდან ის მოხვდება პურის საცხობში და აქ პური ღირს 500 ლოლარი, პურის საცხობიდან გადადის მაღაზიაში და

მისი საბოლოო ფასი 600 დოლარია. ახლა ვნახოთ, რა თანხა მიიღო ბიუჯეტმა $10+20+40+50+60$ სულ 180 დოლარი 600 დოლარიდან.

დავუშვათ, ფერმერმა გამოიყენა ახალი ტექნოლოგია, გახსნა პურის საცხობი და თავადვე ყიდის გამომცხვარ პურს. ახალი ტექნოლოგიის თანახმად ხორბალს ალბობენ წყალში, შემდეგ აგარებენ სპეციალურ ხორცსაკეპისმაგვარ მანქანაში, უმაგებენ საფუარს და აცხობენ პურს. მას არც გაშრობა სჭირდება და არც დაფქვა.

დავუშვათ, ამ სახის პურს ფერმერი ყიდის 1 გონას 300 დოლარად, ხოლო სახელმწიფომ ნაცვლად 180 დოლარისა უნდა მიიღოს 30 დოლარი. გამოდის, ტექნიკური პროგრესის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა მარალი განიცადა. ეს რომ არ მოხდეს, ამ პურს ემაგება დამაგებებითი გადასახადი ე.ი. 300 დოლარს ემაგება ელევატორის 20, წისქვილკომბინაგის 40, პურის საცხობის 50 და მაღაზიის 60 სულ 170 დოლარი, პლუს საკუთარი გადასახადი 30 დოლარი, შედეგად ერთი გონა პური ეღირება არა 600, არამედ 470 დოლარი, ტექნიკური პროგრესის დანერგვით ყველა მხარე დარჩა მოგებული, ფერმერმა ნაცვლად 90 დოლარია, მიიღო 270 დოლარი, სახელმწიფომ ნაცვლად 170 დოლარისა მიიღო 200 დოლარი და მომხმარებელმა ნაცვლად 600 დოლარისა, მან პური შეიძინა 470 დოლარად, ე.ი. 21,6% ნაკლებია. რა თქმა უნდა, გემოთ მოყვანილი ციფრები სრულად არ გამოხატავენ ფერმების მოგებას, მაგრამ საერთო სურათის გასაგებად ეს გაანგარიშება მისაღებია.

დღეს ძალზე ბევრი შემთხვევით გამდიდრდა და ამის მიზეზი სწორედ ამ ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ხაზის უქონლობაა. ნავთობმომპოვებელს რომ ბიუჯეტში ცალ-ცალკე გადაეხადა ფული, გეოლოგიური დამკვერვისნავთობის ამოგუშვების, მიღში გაგარების, გადამუშავების, გაყიდვის, რაც ფაქტიურად ერთი მონოპოლისტის ხელშია, სახელმწიფო გაცილებით მეტ მოგებას ნახავდა და ასე უეცრად სხვის ხარჯზე ზოგიერთი არ გამდიდრდებოდა. მე არავითარი პრეგენზია არ მაქვს ისეთ მილიარდერის მიმართ როგორც ბილ გეითსია, რომელმაც სიმდიდრე თავის გონიერებით, მიზანსწრაფვით დააგროვა.

სახელმწიფო უნდა ცდილობდეს, რომ მისი ხალხი მდიდრად ცხოვრობდეს, მაგრამ არა ფუფუნებაში. მთავრობა ყოველნაირად ხელს უნდა უწყობდეს მოქალაქეთა საქმიანობას, ნიჭის გამოვლენას,

მაგრამ არ უნდა გარყვნას და ამის საუკეთესო საშუალება სამართლიანი საგადასახადო სისტემაა.

დღეს უამრავი ხალხი უსაქმოდ და უმუშევრად დადარჩენილი, მათ ემატებათ სახელმწიფოს უყურადღებობის შედეგად გალოთებულები, ნარკომანები, მათხოვრები. ეს ხალხი საზოგადოებას კისერზე აწევს სარჩენად.

დღეს რუსეთში 1 მილიონამდე ბავშვი უპაგრონოა და თავის ჭკუაზე დაეხეება, 2 მილიონი გამოუსწორებელი ლოთია, 400.000 ნარკომანი. 60.000 დედა ყოველწლიურად ბავშვებს უპაგრონოთა სახლში აბარებს, და ა.შ., ხოლო ისეთმა საბჭოთა რესპუბლიკამ, როგორც საქართველო იყო, თითქმის არც უპაგრონო ბავშვები იცოდა. არც მათხოვრები, არც ლოთები და ძალზე უმნიშვნელო იყო ნარკომანია, თავისუფლების მოპოვების შემდეგ ამ ლუპკენ პროლეტარიაგის ოდენობა საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა და ამ ხალხის გამოსწორებაში და სახელმწიფოს ბიუჯეტის შემავსებლად გარდაქმნაში მათ ფსევდო დემოკრატია და ადამიანის თავისუფლების მოჩვენებითი ქარგია უშლის ხელს. სრულწლოვანი ადამიანი, რომელიც გადასახადს არ იხდის, რა მიზეზითაც უნდა იყოს ეს გამოწვეული, ის საზოგადოების მტერია, ხოლო რაც შეეხება ინვალიდებს, მათ სახელმწიფო აძლევს მომაგებულ პენსიას და კეთილი ინებონ და ამ თანხიდან გადაიხადონ გადასახადი.

ადამიანები, რომლებიც ბიუჯეტში ფულს არ იხდიან, არ უნდა სარგებლობდნენ ქვეყნის სიკეთით. ისინი სასამართლოს განჩინებით იღებდნენ უნდა გაფრთხილებას. და ავტომატურად ერთი წლით იგზავნებოდნენ სპეც გადასახლებაში, ეს კანონი მოქმედებს ნარკომანებზე, ლოთებზე და იმ უპაგრონო ბავშვებზე, რომელთა დამაგრება არ ხერხდება მათთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ადგილებში საბავშვო სახლებში.

ჩემს მიერ შემოთავაზებული საგადასახადო სისტემის შემოღების შემთხვევაში გაძნელებულია ქრთამის მიცემა, ქურდობა, ლობირება, რადგან, თუ ანგარიშზე ფულს გადაურიცხავეთ მექრთამეს, მას საფუძველი უნდა ჰქონდეს, თუ ნაღდ ფულს მისცემთ მას, სახელმწიფო წილში უჯდება. მე არ მინდა ვთქვა, რომ ამ საგადასახადო სისტემის შემოღებით მექრთამეობა მოისპობა, რადგან ადამიანის გადაგრილებული გონება რა სიახლეს შემოგვთავაზებს ქრთამის აღების საქმეში, არავინ უწყის, მაგრამ ქრთამის აძლევს

და მიმცემს რომ წილში სახელმწიფო ჩაუჯდება, ამის გარანტიას მე გაძლევთ.

დავუშვათ, რაიმე საკითხის ლობირებისთვის მექრთამეს აჩუქეს 100.000 დოლარად ღირებული ბრილიანტის ბეჭედი, სანამ ეს ბეჭედი მაღაზიის დახლზე მოხვდებოდა, მან თავისი გექნოლოგიური პროცესი გაიარა. მოპოვებული ალმასის ფასია დავუშვათ, 50.000 დოლარი, ქარხანამ, რომელიც ის ბრილიანტად აქცია და დააწახნაგა, შეაფასა 80.000 დოლარად, ხოლო მაღაზია ყიდის 100.000 დოლარად, ქრთამის მიმცემმა რომ ეს ბრილიანტი შეიძინოს, მან უნდა გადაიხადოს 10.000 დოლარი თავის შემოსავლიდან. ქრთამის მიმღები ამ ბრილიანტს აბარებს საკომისიო მაღაზიაში შედარებით დაბალ ფასში 90.000 დოლარად, ხოლო თავად მაღაზია მას გადაურიცხავს ანგარიშზე 75.000 დოლარს. ყველა ჩვენს მიერ წარმოდგენილ ციფრს 10% უნდა დავაკლოთ, რომელიც მოხვდება სახელმწიფო ბიუჯეტში. რიცხობრივად ეს თანხა შემდეგნაირად გამოიყურება $5.000 + 8.000 + 10.000 + 9.000 + 7.500 = 39.500$ დოლარი. აქ არ არის შესული იმ თანხების დაქვითვა, რაც მუშებმა და მომსახურე პერსონალმა მიიღო. ე.ი. ამ ქრთამიდან სახელმწიფომ თითქმის 40% მიიღო. ამ მექრთამის გამოჭერა ძნელია, რადგან იცყვის, რომ ეს ბეჭედი ვიღაც მდიდარმა წინაპარმა დაუტოვა და ამაზე საგამომძიებლო ორგანოების და სასამართლოს გაცდენა არ ღირს, რადგან მექრთამეს მტკიცე ალიბი აქვს.

ბიუჯეტის შესავსებად, წარმოების ასამუშავებლად და ხალხის დასასაქმებლად აუცილებელია ასეთი კანონის შემოღება: პრივატიზაციის ან ობიექტის შეძენის შემდეგ ღვინდება ობიექტის რეალური ღირებულება. ახალ მეპაგრონეს შეძენიდან 1 წლის განმავლობაში, უძრავი ქონების ფული არ გადაეხდება, ერთი წლის შემდეგ გადაიხდის 1% ყოველწლიურად, ხოლო შემდეგ წელს თუ საწარმო არ ამუშავდება, დაგეგმილი სიმძლავრის 50%-ით მაინც, უძრავი ქონების გადასახადი იქნება 10%-ი.

ბოლო ხანებში საცხოვრებელი ბინების გაძვირება იმან განაპირობა, რომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მუქთა ფული იგდო ხელში და ფულის დაბანდების საშუალებად საცხოვრებელი ბინების შეძენა გამოძებნა. თითოეული სული ქალაქის პირობებში, რომელიც რეგისტრირებულია ბინაში 80 მ² ფართზე, იხდის უძრავი ქონების საერთო ღირებულების 1%-ს, ხოლო დანარჩენი დამატებით ფართზე 10%-ს, დავუშვათ, ერთი პირი

ფლობს 100 მ² ფართობს, რომელიც ღირს 100.000 დოლარი, მაშინ ის ამ ფართობზე წელიწადში გადაიხდის 800 დოლარს და პლუს 2000 დოლარს. არასაცხოვრებელი ფართი მისმა მეპატრონემ უნდა გააქირაოს, ხოლო თუ ამას თავად ვერ ახერხებს, ამას აკეთებს ფასების სამსახური, რომელიც არენდით შემოსულის 10%-ს გადარიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტში. არც ერთი ზედმეტი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი არ უნდა გაცდეს. ასევე საწარმოებიც ან უნდა აამუშაო, ან უნდა გაყიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული ფართის უძრავი ქონების გადასახადი იქნება 10% 5-6 წლის შემდეგ სახელმწიფო წაიღებს ვალებში უძრავი ქონების გადაუხდელობისათვის და ეს სამართლიანია, რადგან სახელმწიფო ვალდებულია დახმარებები გასცეს იმ ხალხზე, ვინც ვერ დაასაქმა, ხოლო ეს თანხა მან უნდა ამოიღოს საწარმოო შენობების მქონე უნიათო მეპატრონეებისაგან.

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული თანხები უნდა გადანაწილდეს შემდეგნაირად: 60% გადაირიცხება ქვეყნის ფედერალურ ბიუჯეტში, 10% ოლქის საკუთრება, 10% რაიონის ან ქალაქის, ხოლო 20% იმ გერიგორიის, საიდანაც მოხდა ამ საბიუჯეტო თანხების ამოღება. მაგ., არის მეგალურგიული ქარხანა. ამ ქარხანას აქვს თავისი მიკრორაიონი და მათ უფლება აქვთ ეს თანხა თავის შეხედულებისამებრ მოახმარონ მის კეთილმოწყობას. თუ ეს თანხა საკმაოდ მომრდილია, მაშინ ამ გერიგორიულ გამგეობას უნდა გავუზარდოთ ფართობი და არა შევეუმციროთ თავისი კუთვნილი 20%, რომელიც მას ბიუჯეტიდან ეკუთვნის. ამით ადგილობრივი ხელმძღვანელობა დაინტერესდება და შეეცდება რაც შეიძლება მეტი ახალი საწარმო, მაღაზია გაიხსნას მის გერიგორიაზე და ხელისშემშლელის ნაცვლად ის ხელშემწყობად მოგვევლინოს. მას აქვს როგორც პირადი, ასევე გერიგორიის შემომატების ინტერესები. იმისათვის, რომ გადასახადების გადახდას ხალხი შევაჩვიოთ, მისი ოდენობა უცვლელი 20 წლით მაინც უნდა იყოს და მისი შეცვლა მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილების შემდგომ უნდა შეიძლებოდეს.

ოჯახის ყველა წევრი უნდა იხდიდეს გადასახადს მისი ასაკის მიუხედავად. ვთქვათ ქვეყანაში საცხოვრებელი მინიმუმი გამოცხადებულია 100 დოლარი. ოჯახი შედგება ოთხი სულისაგან, ორი ბავშვი 14-16 წლის და ცოლი არ მუშაობს – დიასახლისია, ხოლო ქმრის ხელფასი 1000 დოლარია, ის ვალდებულია ოჯახის ყველა

წევრს გადაურიცხოს საცხოვრებელი მინიმუმ 100-100 ლოლარი ანგარიშზე ან ავტომატურად ჩაერიცხებათ ბანკიდან. თუ ოჯახის წევრების 400 ლოლარზე ნაკლები შემოსავალი ექნებათ, დანარჩენი სახელმწიფომ თავისი ბიუჯეტიდან უნდა დაუმაგოს ან დიასახლისს სამუშაო უნდა მოუძებნოს: შესთავაზოს სამუშაო, ვთქვათ, დამლაგებლის, მეემოვის, ან აიყვანოს ბავშვი აილოს მასზე მეურვეობა და მიიღოს ის თანხა, რომელიც ოჯახის მინიმალურ ხელფასის მისაღებად აუცილებელია.

ასევე უნდა მოიქცნენ მშობლები, თუ მათი სრულწლოვანი შვილი რაღაც მიზეზის გამო არ მუშაობს, მასაც უნდა გადაუხადონ საარსებო თანხის მინიმუმი, რასაც სახელმწიფო გამოაცხადებს. ამ გადარიცხული თანხიდან მათაც ექვითებათ თანხის 10%, და მასზე გაპირობებული უძრავი ქონების გადასახადი. სრულწლოვანმა შვილებმა მშობლებს ასაკის მიუხედავად კანონმდებლობით უნდა გადაუხადონ შემოსავლების 10% (ვაკებმა 9% ქალებმა 4% როგორც მომავალმა დელებმა) იმისდამიუხედავად სჭირდებათ მათ მშობლებს მაგერიალური დახმარება თუ არა. დელობა და მამობა ჩამორთმეულ მშობლებს შვილები არ უხდიან გადასახადს. ოჯახს, რომელსაც შვილი არ ჰყავს და არც უშვილებიათ, ეკრძალებათ თავიანთი ქონების გასხვისება 60 წლის შემდგომ, რადგან მათი ქონება მათი გარდაცვალების შემდგომ სახელმწიფოს საკუთრებაა.

თავლანვის სამინისტრო

სამწუხაროდ საზოგადოება რაც უფრო განათლებულია, თავისუფალია, უკეთ ცხოვრობს და ფუფუნებაშია, იქ სამხედრო სავალდებულო სამსახური მოლაში არ არის და არც პრესტიჟულია. არადა ვალის მოხდა ქვეყნის წინაშე ყველა ჯანმრთელი მამაკაცის მოვალეობაა. ჯარში სამსახურიდან თავის არიდება იმითაც არის გამოწვეული, რომ ჯარში სამსახური მიმზიდველი არ არის, რადგან ფაქტიურად აქ სამხედრო საქმეს კი არ სწავლობენ, უფრო დროს აცდენენ. ამის მოწმე თავადვე ვარ. ჯარში გამიწვიეს 25 წლის ასაკში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთი წლის ვადით. მოვხვდი გვარდიულ ელიტარულ მოტორიზებულ ფეხოსანთა პოლკში, სადაც 1200 კაცამდე მსახურობდა. ჩვენი ბაგალიონი სამხედრო საჩვენებელ სწავლებაზე იცავდა „ვარშავის ხელშეკრულების“ ჯარების შტაბს, ეს იმის მჩვენებელი იყო, რომ ჩვენი ასეული კარგ ანგარიშზე იყო თავდაცვის სამინისტროში. მე ვმსახურობდი განკსაწინააღმდეგო ქვემეხის ათეულში. ერთი წლის განმავლობაში მასროლინეს ავტომატის სამი ვაზნა, ერთი ავტომატის მჭიდი საბრძოლო სწავლებაზე, რომელიც თურმე სამ წელიწადში ერთხელ გარდება, ერთი ფუჭი ტყვიების მჭიდი და ერთიც საბრძოლო ქვემეხის ფუჭი ყუმბარა. ეს იყო ჩემი სამხედრო მომზადება. ჩემს შეკითხვაზე, თუ რაგომ არ გვაგარჯიშებენ სროლაში, პასუხი ასეთი იყო, ძვირი გვიჯდება. ეს მაშინ, როდესაც სსრ კავშირის ბიუჯეტის 60% შეიარაღებაზე იხარჯებოდა. ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ ჩემებული ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს დღევანდელი შეიარაღებული ძალები, რათა ყველა ჯანმრთელმა მამაკაცმა ნებაყოფლობით იმსახუროს ჯარში და მან ვალი კი არ მოიხადოს სამხედრო უწყების წინაშე, არამედ ის მუდამ მზად იყოს თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

სარემბერვო საჯარისო სამსახურში ჯარის ნაწილები იყოფა დივიზიებად, ათასეულებად, ასეულებად, ათეულებად. არის შეიარაღების განსაკუთრებული ნაწილი, სადაც უნდა მსახურობდნენ მხოლოდ პროფესიონალები: ავიაცია, სარაკეტო ნაწილები, სპეც დანიშნულების რაზმები, მაგრამ არის შეიარაღება, სადაც შერეული მოსამსახურეების პროფესიონალების და არაპროფესიონალების შერწყმა შეიძლება.

ჯარში უნდა იმსახუროს ყველა მამაკაცმა თავისი სიცოცხლის პერიოდში 6-ჯერ, პირველად 6 თვე, შემდეგ სამ-სამი თვის განმავლობაში. ეს დრო სრულიად საკმარისია თანამედროვე შეიარაღების ასათვისებლად. ფეხოსან და სარეზერვო მეომრებისათვის ჯარში გაწვევის წლებია 18–24–30–36–42–48. რეზერვისტ ჯარისკაცს ხელფასს უხდის ის სამსახური, სადაც დასაქმებულია, ხოლო თუ დროებით არ მუშაობს, მაშინ ამ ხარჯებს იხდის ადგილობრივი პრეფექტურა. დაუშვათ, პოლკში ან ათასეულში მსახურობს 115 პროფესიონალი. პოლკს გააჩნია 9 ასეული, თითოეულში 100 ჯარისკაცის ოდენობით. პოლკი შემდეგნაირად უნდა იყოს დაკომპლექტებული: პროფესიონალები – პოლკის მეთაური, შტაბის უფროსი და მათი მოადგილეები, ასეულის უფროსი, ათეულის უფროსები. თითოეულ ასეულში მსახურობს 12 პროფესიონალი, მემდეგი სამი ოფიცერი და 100 რიგითი. ამრიგად, პოლკში მსახურობს დაახლოებით 900-950 ჯარისკაცი სხვადასხვა ასაკის და მას ხელმძღვანელობს ოფიცერთა 15%. მართალია, ჯარის ნაწილების უფრო მცირე შენაერთებად დაყოფაც შეიძლება, მაგრამ ფორმულა ასეთია; ყოველ 100 რეზერვისტ ჯარისკაცზე არაუმეტეს 15 პროფესიონალი. ამ სახის ჯარში შეხლა-შემოხლაც და ერთმანეთის დაჩაგვრაც ნაკლები იქნება, თანაც აქ იმუშავენს უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი ერთი პირობით. დისციპლინა უნდა იყოს მკაცრი და ყველა დღე სამხედრო მეცადინეობას უნდა დაეთმოს. ამ სახის ჯარის შენახვა სახელმწიფოს გაცილებით იაფი დაუჯდება, თანაც 18-დან 48 წლის ასაკის ჯარისკაცები მომზადებული ჰყავს და თავისუფლად შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გამოიყვანოს მოსახლეობის მომზადებული ნაწილის 15% საბრძოლველად და ქვეყნის დასაცავად.

ყოველი ერთი მილიონი მოსახლიდან ჯარში ყოველწლიურად იმსახურებს 10000 კაცი. ამასთან, ჯარისკაცები მიმაგრებული არიან რომელიმე სამხედრო შენაერთში, მას ქომავლობენ და ექვს წელიწადში ერთხელ სურვილი უჩნდებათ თავიანთი ნაცნობი ჯარისკაცები ნახონ, სამხედრო საქმეშიც წაივარჯიშონ და „ოჯახიდანაც დაისვენონ“.

ამგვარი არმია ჰყავს ისრაელს, შვეიცარიას, ხოლო ამ უკანასკნელის, ყველა ჯარისკაცს აღჭურვილობა იარაღის გარდა სახლში აქვს, ისრაელში კი იარაღსაც სახლში ინახავენ და

პირველივე დაძაბებაზე ყველა სამხედროვალდებული ისრაელში, მათ შორის ქალებიც, გამოდიან საგუშაგომე საყარაულოდ.

საქმიანი ხალხი, რომელიც უარს ამბობს ჯარში სამთვიან სამსახურზე, მშვიდობიანობის დროს, გადაიხდიან ვთქვათ 10.000 დოლარს და ერთი თვის განმავლობაში ჩაუგარდებათ დაჩქარებული კერძო მეცადინეობა სამხედრო საქმეში სამუშაო საათების შემდგომ და დასვენების დღეებში.

სამხედრო ნაწილი თავად იწვევს ჯარისკაცებს გადასამზადებლად, მაგრამ 18-24 წლის გასაწვევ ახალგაზრდებს იწვევს მაფხულის თვეში, როდესაც ისინი არადადაგებზე არიან. ამგვარი სამხედრო სამსახური, სარეზერვო მეომრებს ხელს არ უშლის მათ ძირითად საქმიანობაში. სამხედრო სამსახურიდან ქვეყნის პრეზიდენტიდან დაწყებული, არავინ არ თავისუფლდება, რადგან ეს სისხლის სამართლის დანაშაულია.

გყავდეს ხალხი გაწვეული ჯარში და მწყობრში სიარულის გარდა არაფერი ასწავლო, ეს დიდი ფუფუნება და ღალატია ქვეყნის წინაშე. ამიტომაც თავად ჯარისკაციც მონდომებულია, რომ ეს სამი თვე საქმიანად გაატაროს.

სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ქვემეხის ოპტიკურ სამიზნეს ორი დანაყოფი ჰქონდა, ჯერ უნდა დაგვედგინა მანძილი განკსა და ქვემეხს შორის, შემდეგ უნდა დაგვემიზნებინა მოძრავი ობიექტისთვის. ყველაზე გამოცდილი მემიზნე ამას 15 წამში ახერხებდა, მე სამიზნეები სხვადასხვაფრად შევლებე, დავსვი ერთმანეთზე და მანძილის დადგენა და დამიზნება ერთი იყო. დამიზნების დრო 5 წამამდე შემცირდა, დღეს ამ სამიზნეს არაფერი მნიშვნელობა შეიძლება არ აქვს, მაგრამ თავის დროზე გამოსმაურება ჰპოვა სამხედრო უწყებაში. მაგრამ ბევრით არ წასულა, რადგან თანამედროვე შეიარაღებაში დასამიზნებლად უკვე ელექტრონიკა იყო შემოსული, თუმცა 5 წამზე აღრე ვერც ისინი ამიანებდნენ მიზანს. ამ ამბის მოყოლა იმისთვის დამჭირდა, რომ შეიძლება ვიღაც „ტვინგადაგრილებული“ მოვიდეს ამ შეიარაღებულ ძალებში და რაღაც ახალი, პერსპექტიული შემოგვთავაზოს, ესეც ხეირია. სამხედრო სამსახურიდან ნებაყოფლობით-სურვილისამებრ მშვიდობიანობის დროს თავისუფლდება ის მამაკაცი, ვისაც სამი შვილი ჰყავს, ხოლო ვისაც ხუთი შვილი და მეტი, ის ომიანობის დროსაც თავისუფალია სამხედრო სამსახურიდან, მაგრამ არა მოვალეობიდან.

სამხედრო ნაწილებში აუცილებელია მსახურობდეს უშიშროების სამსახურის ოფიცერი, რომელიც სამხედრო ნაწილის უფროსს არ ემორჩილება. ის ვალდებულია თავის სამსახურს ახსენებდეს რა დარღვევასაც პოლკში შეამჩნევს.

სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სახელმწიფოსთან 25 წლით, ის სამსახურის დაწყებიდანვე სახელმწიფო ბინით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ მას უნდა მიეცეს ან აუშენდეს საცხოვრებელი ბინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე.

რადგანაც ჯარში სამსახური სამ თვემდე შემცირდა, ჯარისკაცი დასაქმებული უნდა იყოს მაქსიმალურად სამხედრო წვრთნით, ამიგომ დღევანდელი პროფესიონალი სამხედრო ოფიცრები საკმაოდ მომზადებულნი და შრომისუნარიანნი უნდა იყვნენ, რადგან წელიწადში ოთხი სხვადასხვა ნაკადის მიღება და კვალიფიციური მომზადება, საბრძოლო ტექნიკით და ტყვია-წამლით უმრუნველყოფა დანახარჯებთან ერთად, დიდ ორგანიზაციულ ნიჭს და ნერვების დაძაბვას მოითხოვს.

სამხედრო სამსახურს თავისი ჰაუპტვახციც უნდა ჰქონდეს, რათა მოხდეს სამხედრო მოსამსახურის ღრობებითი პაგიმრობა, ხოლო ვინც ჰაუპტვახცში მოხვდება, მათ ხელფასი არ აუნაზღაურდება. ჰაუპტვახცში ჯდომის დრო სამხედრო სამსახურში არ ჩაეთვლება.

სამხედრო ნაწილი უნდა ცდილობდეს რამდენიმე უპატრონო ბავშვმა იმსახუროს მის ნაწილში. მაგ., მუსიკალურ ათეულში, ან კვების ბლოკში, ამასთან, შეიძლება რეპეტიტორობა ზოგიერთ საგნების მომზადებაში ჯარში გაწვეულმა რეზერვისტებმა გაუწიონ. თავდაცვაზე ფიქრი ყველა ქვეყნისთვის სავალდებულოა, თუნდაც იმიგომ, რომ სიგყვით მშვიდობის და დემოკრატიის მომხრე აშშ-მ 1945 წლის შემდეგ დღემდე 242 საერთაშორისო კონფლიქტში მიიღო მონაწილეობა და ამ დაპირისპირებებს მილიონობით ადამიანი შეეწირა.

ქვეყანაში უნდა აიკრძალოს სანადირო თოფების გარდა ყველა საბრძოლო იარაღის ქონა, რადგან ვისაც იარაღთან ურთიერთობა სიამოვნებს, მას შეუძლია პროფესიულ ჯარში იმსახუროს ან რიგვარეშე რეზერვში თავისი სურვილით. ამასთან, მაშლაყინწა ბიჭებს ხშირად მოსდით ურთიერთობის გარკვევა ყმაწვილობის

წლებში, ეს მათი ბუნებაა და იარაღის ქონა ხშირ შემთხვევაში ტრაგიკულად მთავრდება, რაც შეეხება „ელექტროშოკ“, „ბალონ-ჩიკებს“ გაზით, დაშვებული უნდა იყოს, რადგან ამით ადამიანი არ იღუპება. რემერვში გაწვევამ ახალგაზრდებს სურვილი უნდა მოუსპოს იარაღის ტარების. მახსოვს „ტყეპროექტი“ საველე პირობებში მუშაობის დროს გვაძლევდნენ იარაღს და როგორც ახალგაზრდა მამაკაცმა, სიამოვნებით ავიღე ამ დროისათვის მისი ტარების უფლება. შედეგად მისმა ტარებამ, შენახვამ იმდენი უხერხულობა და სირთულეები შემიქმნა, რომ საბოლოოდ დაგვარგე იარაღის ტარების სურვილი, სხვათაშორის, ასე იქცეოდა ყველა გამოცდილი „ტყეთმომწყობი“.

აუცილებელია სამხედრო უწყებას თავისი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდეს, ასევე სასწავლებელი უნდა ჰქონდეს არასრულწლოვანი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მომავალში თუ ისურვებენ, ოფიცრები გახდებიან.

ამგვარად, ჯარში სამსახურის სისტემა გარკვეულად ხელს შეუწყობს რემერვისგ ჯარისკაცთა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

აღმინისტრაციული ორბანოები და მათი სამსახურები

სახელმწიფოში, სადაც კანონები ირღვევა, გამოძიება ჭიანურდება, დროულად მსჯავრის გამოგანა არ ხდება, ადგილი აქვს გამოძალვას, „ტელეფონის უფლებას“, ანაბლაურება დაბალია, სიმშიდე დიდხანს ვერ იარსებებს. ცხოვრების მიერ დასმულ საკითხს ავად თუ კარვად, პასუხი უნდა ვაეცეს, რათა დაპირისპირებულ მხარეთა დროული დაშოშმინება მოხდეს და საქმის ვაჭიანურება-ვაჯანჯლებამ ბოროტების სასწორზე წყალი არ დაასხას.

აღმინისტრაციულმა ორგანოებმა რომ უკეთ შეასრულონ მათზე მინდობილი მოვალეობა, ისინი უნდა დაიყონ რამდენიმე სამინისტროებად, სამსახურებად და უნდა დაექვემდებარონ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, ხოლო ისეთი ორგანიზაცია, როგორც არის სასამართლო, არბიტრაჟი, საკონსტიტუციო სასამართლო, ისინი არავის არ ემორჩილებიან, ვარდა კანონის უმენაესობისა.

მე მინდა ქვემოთ ცალ-ცალკე შემოგთავაზოთ ჩემი ხედეა აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობაზე და რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო. მოგეხსენებათ, რომ ცხოვრებას თავისი ხუმტურები აქვს და მოგჯერ ადამიანი შეიძლება ისეთ სიტუაციაში მოხედეს, რომ აფექტში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, მისდა უნებლიედ ჩაიდინოს მძიმე დანაშაული, ხოლო ციხეში მოხვედრამ ის პროფესიონალურ დამნაშავედ აქციოს და იმის ნაცვლად, რომ მან ვადასახადის ვადახდით სახელმწიფოს ბიუჯეტი შეავსოს, იქით ხდება შესანახი, რადგან ის რეციდივისტად ვადაიქცევა და მისთვის ციხე ოჯახის როლს შეასრულებს.

აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში, ახალგაზრდა ბიჭი ავტო-ავარიის შედეგად ვარდაიცვალა. მძლოლიც და ვარდაცვლილიც ნასვამები იყვნენ. მძლოლი არ ვაიქცა, ეს ბიჭი საავადმყოფოში მიიყვანა, სადაც ის ვარდაიცვალა. რადგან აქ ადგილი არ ჭქონია წინასწარ მოფიქრებულ, ვანზრახ მკვლელობას, სოფლის უხუცესთა ვადაწყვეტილებით საქმე არ აღძრეს სასამართლოში, ხოლო მძლოლს დაევალა შვილობილი ვამხდარიყო მისვალეებულის მშობლების და სიკვდილის ბოლომდე მათთვის ეპაგრონა. ვარდაცვალეების შემდეგ მისვალეებულის მშობლებმა მთელი ქონება ანდერძით თავიანთი შვილის უნებლიე მკვლელს დაუტოვეს.

ერთ-ერთმა ჩემმა თანაკლასელმა არასრულწლოვანმა, ქუჩაში ჩხუბის შედეგად, მეორე ახალგაზრდა დაჭრა. შედეგად სამი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. მან ისე აითვისა ციხეში ცხოვრება, რომ როდესაც ციხიდან გამოვიდა, გვინდოდა დავხმარებოდით, სამუშაოზე მოგვეწყო, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან ის „ციხეში თავს კაცად გრძნობს და მის სიგყვებს იქ ფასი აქვს, ხოლო გარეთ მას პატივს არავენ არ სცემს და გუშინ ვილაცა მუგრუკმა ხელიც კი გაულაწუნა“, შედეგად ის რამდენჯერმე ციხეში მოხვდა და შემდგომ ციხეში გარდაიცვალა თუ მოკლეს, ჩემთვის უცნობია. არა და, ამ ნიჭიერი ბიჭისთვის რომ სასამართლოს დროზე გამოეგანა განაჩენი, სასჯელი პირობითი მსჯავრით შეეცვალა, ან მისჯილი წლების გამოსაღები თანხა დაეკისრებინა, ან გაეროზგათ, შეიძლება მას იმ ციხის სუნი არ ეყნოსა, რომელიც მან თავის შემდგომი ცხოვრებისთვის გაითავისა.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სახელმწიფო აპარატს აწყობს გარკვეული ოდენობით კრიმინალების და ლოთების ყოლა. დღეს მოსკოვის რკინიგზის სადგურების მიმდებარე ტერიტორიები, სკვერები გადაჭედულია ლოთებით, ხოლო პოლიცია მათ ფორმალურად ებრძვის. სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებაც იმიტომ ეგუება მდგომარეობას, რომ ეს ადამიანები ქალაქში სანიგრის როლს ასრულებენ: ნაგავი გააქვთ, ცარიელ გარას აგროვებენ, ჯაშუშობენ, მოკლედ არაპრესტიჟულ საქმიანობას კისრულობენ. არაპრესტიჟული საქმიანობა რომ პრესტიჟული გახდეს, საჭიროა, მეემბოვეები ახალი ტექნიკური მიღწევებით აღეჭურვოთ, ხელფასი საკმარისზე მეტი დაუნიშნოთ, ავტორიტეტი აეუმალლოთ. მაგ. მეემბოვეს უნდა დაევალოს, სამუშაო ადგილზე წელიწადში ორჯერ ჩასაგარებელი შაბათობის ხელმძღვანელობა. ასევე შესაძლებელია საზოგადოებრივ საწყისებზე ან გარკვეული ანაზღაურების საფასურად სამორიგეოდ მივიწვიოთ უბნის პენსიონერები, რომლებიც შეამოწმებენ რამდენად სწორად არის ნაგავი დახარისხებული და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უფლება ექნებათ ნაგვის გადამყრელის დაჯარიმების. ჯარიმის ნახევარი თანხა დამჯარიმებელს ხელფასის დანამატად ჩაერიცხოს. ამ სამსახურის კურირება ხელფასზე სათანადო დანამატით უნდა ვანდოთ ადგილობრივ მეემბოვეს. იაპონიაში ყველაზე დიდი კონკურსი მეემბოვის ვაკანსიის დასაკავებლად იმართება, რადგან ისინი დილის საათებში მუშაობენ და მთელი დღე თავისუფლები არიან, ხოლო

იაპონელმა ხალხმა ეგყობა სხვაზე უკეთ იცის გამოსაყენებელი დროის ფასი.

იმისათვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უკეთ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, მათ უფლება უნდა მიეცეთ გარკვეული თანხები ოფიციალურად გამოიმუშაონ, ხოლო კანონის გადაწყვეტილებანი რომ უკეთ აღასრულონ, უნდა ჰქონდეთ თავიანთი ბანკი, სადაც სასჯელმისჯილს კრედიტის აღება შეეძლება, დანაშაულის გამოსასყიდად ხოლო დაზარალებულს აუნაზღაურდება გარალი, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, რადგან ადამიანი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტში ფული შეაქვს, ის დაცული უნდა იყოს ყოველმხრივ სახელმწიფოსაგან და გარალიც უნდა აუნაზღაურდეს.

ადმინისტრაციულ ორგანოებში და საერთოდ კორუფციასთან საბრძოლველად შეიძლება გამოვიყენოთ ავტორისეული კორუფციასთან ბრძოლის ალგორითმი, თუ ქრთამის მიმცემი დაეხმარება ადმინისტრაციულ ორგანოებს ქრთამის ამღების მხილებაში, ის უნდა დაჯილდოვდეს ვთქვათ 50000 დოლარით, მიეცეს მაქსიმალური შეღავათი ჩადენილი დანაშაულისათვის. როგორც ეს აშშ ხდება.

დავიწყეთ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის განხილვა ჩემი ხედვის შესაბამისად სასამართლოდან.

სასამართლო – პროკურატურა

მოსამართლეს ხალხი ირჩევს ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ან სიცოცხლის ბოლომდე, რომლის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 65 წელს. მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების უფლება თვით უმაღლეს სასამართლოს კოლეგიასაც არ აქვს, თუ ის არ იქნა მხილებული მექრთამეობაში და ამამედაც უმაღლესი სასამართლოს ნებართვა უნდა იქნეს გაცემული. უმაღლეს სასამართლოს არ შეუძლია მოსამართლე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს სამუშაოდ, ხოლო განუკურნებელი დაავადების შემთხვევაში მან უნდა შეუნარჩუნდეს ხელფასი, პენსია.

მოსამართლის არჩევნების დრო ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა იქნეს დაფიქსირებული, რათა რაიმე სიახლის მომიზევებით, ვთქვათ „გადამზადების“, საბაბით ქვეყანაში ახლად მოსულმა ძალაუფლებამ თავისი კანდიდატები არ გაიყვანოს სასამართლოში. სახალხო მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნას ყველა ის მოქალაქე, რომელსაც აქვს იურიდიული განათლება, აქვს სპეცილობით მუშაობის 5 წლის სტაჟი და შეუსრულდა 30 წელი.

მოსამართლის კანდიდატურის წარმოდგენის უფლება აქვს ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, იუსტიციის სამინისტროს, პირადად იურიდიული განათლების მქონე პირს. ერთ ადგილზე წარმოდგენილი უნდა იქნეს არა ნაკლები სამი კანდიდატისა. მოსამართლეთა ოდენობა ქვეყნის ყველა ტერიტორიისთვის უნდა განისაზღვროს ქვეყნის კონსტიტუციით. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიაში შედის 15 წევრი, რომლებსაც თავად ტერიტორიების მოსამართლენი ირჩევენ. არჩევნების შედეგად დაწინაურებულ მოსამართლეს უფლება აქვს თავის ადგილზე წარადგინოს თავისი კანდიდატი ან ეს უფლება დაუტოვოს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიას.

ყველა სასამართლო ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში განიხილოს პროკურატურის მიერ გადმოცემული საქმე და მსჯავრი გამოიგანოს, იმის მიუხედავად, რა მოცულობის საქმეც არ უნდა იყოს, ამასთან, უდიდესი მსჯავრი გადაფარავს უმცირესს. მოსამართლე პირველ რიგში ეჭვმიტანილის იმ საქმეს ირჩევს განსასჯელად, რომელიც ეჭვს არ იწვევს მოპასუხის დანაშაულში. განაჩენის გამოგანის შემდეგ დარჩენილ დანაშაულს სასჯელმისჯილი ან აღიარებს ან არა და ამამე დროის დაკარგვა და გაუთავებელი

სასამართლოს სხდომების ჩაგარება არ ღირს, რადგან დამნაშავემ შესანიშნავად იცის, რომ თუ სასჯელის მოხდის შემდეგ ძველი გაუხსნელი დანაშაული თავს გამოყოფს, მას თავიდან გაასამართლებენ და სასჯელს მიუსჯიან. მაშინ აღარ იმოქმედებს ის წესი, რომ უდიდესმა სასჯელმა გადაფაროს უმცირესი. დამნაშავე თავიდან გასამართლდება და ის ციხეშიც რომ იხდიდეს სასჯელს, მას ახალი მსჯავრის წლები მთლიანად დაემატება, ხოლო თუ დამატებული წლები 15 წელს გადააცილებს, მას სამუდამო პატიმრობა მიესჯება.

დამნაშავეს, თუ დანაშაული არ ჩაუდენია და სამართალდამცავი ორგანოების დაძალებით, თავზე იღებს იმ გაუხსნელ დანაშაულს, რომელიც პოლიციას სურს ჩამოიწეროს, ასეთი დანაშაულის „ჩადენის“ გამოაშკარავების შემთხვევაში სასამართლოს მოტყუებისათვის არსებულ სასჯელზე დაემატება ხუთი წელი, რა მცირე დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს განზრახ თავზე აღებული.

სასამართლო კოდექსში ცალკე თავად უნდა შევიდეს „უპატიებელი დანაშაული“ რომელიც სათანადო მუხლებით უნდა განისაზღვროს. უპატიებელ დანაშაულს უნდა მივაკუთვნოთ: მშობლების, შვილების, სისხლით ახლო ნათესავების, ახალშობილის განზრახ მკვლელობა, მანიაკის რეციდივი მკვლელობით, სულიერად დაავადებულის მიერ ჩადენილი მასიური მკვლელობა, გეროროიზმი უდანაშაულო მოსახლეობის და არა თანამდებობის პირის მიმართ, განზრახ მასიური მოწამვლა, უხარისხო მშენებლობა, რომელმაც ყოველგვარი გარე ძალების ზემოქმედების გარეშე ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია.

თანამედროვე სასამართლოს კანონით უნდა მივანიჭოთ სასამართლოს მიერ გამოგანილი სასჯელის შეცვლის უფლება, თუ მოპასუხე და მოსარჩლე თანხმობას მიაღწევენ და დანაშაული ჩადენილია პირველად. სასამართლოს მიერ გამოგანილი ალტერნატიული სასჯელი პირობითია და თუ დამნაშავე გარკვეული დროის განმავლობაში სხვა დანაშაულს ჩაიდენს, მას დაემატება ალტერნატივის შედეგად შემსუბუქებული სასჯელი. ამ სახის მსჯავრდადებულს პირობითი სასჯელის მოხდამდე ეკრძალება ქვეყნის დატოვება და მასზე საზღვარგარეთის პასპორტი არ გაიცემა.

ალტერნატიული სასჯელი შეიძლება იყოს: გაჯოხვა, ჯარიმის გადახდევინება თუ ის მცირეწლოვანია ან სწავლობს უმაღლეს

სასწავლებელში. შეიძლება მსჯავრის, ჯარიმის გადავადება სანამდე 25 წელი არ შეუსრულდება.

გარომგვა ღღევანდლობის გადასახედიდან, რაც არ უნდა დასჯის „ველურ ფორმად“ მოგვეჩვენოს, აუცილებელია, სასჯელს თავად ბრალდებული ირჩევს. რადგან არიან სხვადასხვა პრეცედენტის მქონე მოსარჩლენი, რომელთა ნება შეთანხმების შედეგად უნდა დაკმაყოფილდეს. ალგერნაგიული სასჯელი ყველანაირად გამართლებულია, რათა სასჯელმისჯილმა ღღეხანს არ იყნოსოს ციხის სუნი და არ გაითავისოს იგი.

საქმის სწრაფად გამოძიება და მსჯავრის დაღება იმითაც არის უპრიანი, რომ გამოუცდელ ადამიანს პირველ ხანებში ციხეში ყოფნა საშინელებად ეჩვენება, შემდეგ უჭირს, ბოლოს ეჩვევა და ზოგს უკვე მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. სასურველია წინასწარ შედგეს პრეისკურანგი, თუ რომელი სასჯელი რა თანხას შეესაბამება და რამდენი რომგის დარგყმაა საჭირო. ფულის ღვეალვაციის გათვალისწინებით სასურველია თანხას 1 გრ ბაჯაღლო ოქროს გადაგანითი ფულადი ღღრებულება მიეუწეროთ, რათა ღღროთა განმავლობაში დაწესებული თანხა ინფლაციის შედეგად უმნიშვნელო არ გახდეს.

ალგერნაგიული სასჯელის ცხრილი შეიძლება ამგვარად გამოიყურებოდეს.

პატიმრობის ვაღა	გაღასახღელი მს ღღლარებში	ბაჯაღლო 0,999 ოქროს შესატყვისი გრ-ში.	როზგის რაღღენობა	პატიმრობის ვაღა	გაღასახღელი მს ღღლარებში	გრ ოქროს შესატყვისობა
0,5 წელი	500	25	1	5,5 წელი	50.000	2.500
1,0	1.000	50	5	6,0	100.000	5.000
1,5	1500	75	10	6,5	150.000	7.500
2,0	3.000	150	20	7,0	200.000	10.000
2,5	5.000	250	25	7,5	300.000	15.000
3,0	7.000	350	30	8,0	400.000	20.000
3,5	9.500	475	35	8,5	500.000	25.000
4,0	13.000	650	40	9,0	650.000	32.500
4,5	16.000	800	45	9,5	800.000	40.000
5,0	25.000	1250	50	10,0	1.000.000	50.000

ალგერნატიული გადასახადი ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ ჩადენილი ქონებრივი დანაშაული ან პიროვნების მიმართ ჩადენილია ძალადობა ეს კანონი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სასჯელის მისჯის შემდეგ მოსარჩელე და მოპასუხე საერთო ენას გამოიხატავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხე იხდის სასჯელს შრომა-გასწორების კოლონიაში.

ზოგიერთი სახელმწიფოს ან საზოგადოების მიმართ ჩადენილი დანაშაულის დროს, ალგერნატიულ სასჯელად რომგი არ გამოიყენება, ამ შემთხვევაში ხდება მხოლოდ შესაგყვისი ჯარიმის გადახდევინება.

ყოფილი სასჯელმისჯილი მიყენებული მარალის ანამლაურებიდან არ თავისუფლდება. დავუშვათ, ქურდობისთვის მიესაჯა სამი წელი და 100.000 დოლარის მიყენებული მარალის ანამლაურება. განკუთვნილ მსჯავრს პატიმარი იხდის და განთავისუფლების შემდგომ მთელი სიცოცხლე უნდა იხადოს მისჯილი თანხა, შემოსავლიდან 50%. თუ ამ თანხის გადახდაზე ყოფილი მსჯავრდებული უარს ამბობს ან სამსახურს ვერ შოულობს, ამ საქმეში დაეხმარება მას უბნის პოლიციელი. თუ არა და ის გაიგზავნება სპეცრაიონში, სადაც აიძულებენ, რომ იმუშაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მიესჯება მუდმივი პატიმრობა, ხოლო მისი ქონება აუქციონზე გაიყიდება, შედეგად ქურდობა მომგებიანი და რომანტიული ხელობიდან წამგებიანად და საზარალო ხელობად იქცევა.

მსჯავრდებულს ალგერნატიული სასჯელის აღსრულებისთვის შეუძლია კრედიტი აიღოს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების ბანკიდან თუ მსჯავრდებულს თავლებში და გარანტად დაუდგებიან გარკვეული ქონების მქონე ხალხი.

სასამართლოსთვის ჯარიმის სახით გადახდილი თანხა შემდეგნაირად დაიბეგრება: 10% გადაირიცხება ბიუჯეტში, 10% ბანკში, 10% სასამართლოს დამატებით შემოსავლებში, ხოლო 70% გადაირიცხება დამარალებულს, საიდანაც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდის მიღებული თანხის 10%. აქ დამარალებულმა შეიძლება წარმოადინოს სარჩელი ღირსების შეურაცხყოფისათვის, რათა დამატებითი თანხა მიიღოს. შენიშვნა: გაქურდვასთან დაკავშირებით დამარალებულიც თავისებურად დამნაშავეა, მას რომ სიგნალიზაცია დაეყენებინა ან ფხიზლად ყოფილიყო, მას ასე ადვილად ვერ გაქურდავდნენ.

რაიონის სასამართლოში სანამდე სარჩელს შეიგანთ, საჭიროა გადაიხადოთ გარკვეული თანხა: ვთქვათ, სამოქალაქო სარჩელზე 100 ლოლარი, სისხლის სამართლის სარჩელზე 200 ლოლარი, ხოლო მეღა ინსტანციაში ქვეყნის უმაღლესი სასამართლოში მოსარჩელემ უნდა შეიგანოს გაორმაგებული თანხა. საქმის მოგების შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს წინასწარ შეგანილი თანხა, ხოლო მოპასუხემ ეს თანხა უნდა გადაიხადოს სასამართლოს სასარგებლოდ.

დაეუშვათ, ბიჭს ბრალი ედება გოგონას გაუპატიურებაში, ძნელი დასადგენია გოგონას პასიური თუ აქტიური წინააღმდეგობის გაწევის შედეგად მოხდა ეს ძალადობა. მითუმეტეს, თუ ვაჟი შეძლებული ოჯახის შვილია, ხოლო გოგონა გამოცდილი დედის, რომელმაც გოგონას სხეული განმრავ „ჩქმეგით“ დაულურჯა და სათანადო სამედიცინო ექსპერტის ცნობებით მომარაგდა. ქალის მშობელი დაინტერესებულია, რომ გოგონა ამ ვაჟს მისთხოვდეს, ხოლო ვაჟი და მისი მშობლები გამოუცდელეები არიან და ცდილობენ თავის შვილის სიმართლე დაამტკიცონ, რომ აქ არავითარი აქტიურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

ასეთ შემთხვევაში, მოკვლეული მასალების მიხედვით ვთქვათ ვაჟისთვის სასამართლოს გამოაქვს განაჩენი 2,5 წლის პატიმრობა. ქალის მშობელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავის მცდელობიდან არაფერი გამოვიდა, შეეცდება თანხის აღებას. რადგანაც ეს შემთხვევა ვაჟისთვის პირველია, სასამართლო ორივე მხარეს თავაზობს ალტერნატიულ სასჯელს: 5.000 ლოლარის გადახდას ან 25 რომგს. თუ მომჩივანი და მოპასუხე თანახმა იქნება, მოპასუხე გადაიხდის 5000 ლოლარს ან გაიროზგება იქვე სასამართლოში სახალხოდ. მოპასუხე იქვე სასამართლოში განთავისუფლდება და შეეცვლება ძირითადი სასჯელი პირობითი სასჯელით. გაროზგვის შემოღება იმიტომ არის საჭირო. რომ ფულიანი ხალხი არ გათავხედდეს, ხოლო ამბიციურმა მოსარჩელემ თავისი „ბზიკი“ დაიკმაყოფილოს.

თუ სარჩელის აღძვრის დროს გამოირკვევა, რომ მოსარჩელეს და მოპასუხეს დამნაშავეა – ერთმა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილზე სიგყვიერი შეურაცყოფა მიაყენა მეორეს, ხოლო ამ უკანასკნელმა ფიმიკური, სასამართლოს ორივესთვის ცალ-ცალკე გამოაქვს განაჩენი, ხოლო ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში

შეეცვლებათ ალტერნატიული სასჯელით. სარჩელის აღძვრის და სასამართლოს ხარჯებს ორივე მსჯავრდადებული თანაბრად იხდის.

ამრიგად, კანონი მოწოდებულია არა მარტო დასჯისთვის, არამედ დანაშაულის პროფილაქტიკისთვის, დამნაშავის ჭკუის სწავლებისთვის და არა დამნაშავის გაწირვისთვის. სასამართლო ვალდებულია მოარიგოს მომჩივანი და მოპასუხე იმგვარად, რომ დაცული იყოს პირველ რიგში სახელმწიფოს ინტერესები, ხოლო სახელმწიფოს ინტერესებია, რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი ჰყავდეს და ისიც გამოსწორების გზაზე დამდგარი.

ყველა სასამართლოსთან შექმნილია აღმასრულებელი სამსახური და ისინი ახორციელებენ თანხების ამოღებას, პირობითი სასჯელით მისჯილთა ზედამხედველობას, ალიმენტების და ჯარიმების გადახდევინებას, ალტერნატიული სასჯელი ფიზიკური დასჯა რომგებით სისრულეში მოჰყავთ.

სასამართლო რომ არ გადაიღოს და ჩაეციოს ერთი თვის ვადაში, სასამართლოს ერთ გასარჩევ საქმეზე ინიშნება ორი მოსამართლე, ძირითადი და მისი შემცვლელი, ასევე ძირითადი პროკურორი და სათადარიგო, ძირითადი ვეჟილი და სათადარიგო. თუ რაიმე მიზეზით სასამართლო ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდება, პატიმარი შიდა პატიმრობაში უნდა გადავიყვანოთ თავის საცხოვრებელ სახლში, დაენიშნება დარაჯი სასამართლოს ბიუჯეტის სახსრებიდან. მსჯავრდებულს ერთხელ შეუძლია მოსამართლეს აცილება მისცეს ყოველგვარი მიზეზის გარეშე და ამ საქმეს გაარჩევს სათადარიგო მოსამართლე, რომლის განაჩენის გაპროტესტების უფლება შემდგომში მოპასუხეს არ აქვს.

სასამართლოში გამოძახებულ მოწმეს წინასწარ აფრთხილებენ, რომ ის ვალდებულია დათქმულ დროში გამოცხადდეს. უმიზეზოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირველად ჯარიმდება 500 ლოლარით, მეორედ – 100 ლიანი პატიმრობით. თუ პროცესის წარმართვის დროს, მოსამართლეს მოწმის ჩვენებაში ეჭვი შეეპარა, უფლება აქვს მოწმე აღგილბევე დააკავოს და მიუსაჯონ 3 წლით პატიმრობა ცრუ ჩვენებისათვის ან შეუცვალონ პირობითი პატიმრობით ფეხზე ელექტრო ბორკილის დადებით. ასეთი მკაცრი სასჯელის გამოგანით, საზოგადოებამ უნდა „იწამოს“ სასამართლოს უზენაესობა.

კანონმდებლობაში ცალკე მუხლად უნდა შევიდეს მოსარჩლის

უფლებები. დაეუშვათ, სიკვდილმისჯილი შეიწყნარა ქვეყნის პრემი-დენგმა, ხოლო მოსარჩლე წინააღმდეგია ან პირიქით, პირველ შემთხვევაში სასიკვდილო განაჩენი მოსარჩლემ თავად უნდა მოიყვანოს სისრულეში, ხოლო მეორე შემთხვევაში სიკვდილით დასჯას აღასრულებს ციხის აღმინისგრაქია.

რაც შეეხება პროკურატურას, ჩემი გადასახედიდან დღეს, რესპუბლიკის პროკურორს, მის მოადგილეებს, კენჭისყრით უნდა ნიშნავდეს და ათავისუფლებდეს ქვეყნის პარლამენტი. პროკურატურა პასუხს აგებს მხოლოდ პარლამენტის წინაშე, რესპუბლიკის პროკურორი და მისი სამსახური გერიგორიებზე თავად ნიშნავს პროკურორებს და ამკიცებს მათ ოდენობას და შემადგენლობას.

პროკურატურა აღძრავს სასამართლოში საქმეებს და მონაწილეობს პაექრობაში, წყვეტს სამოქალაქო, სოციალურ საკითხებს, რომელიც აღიძვრება სახელმწიფო აპარატსა, კერძო მესაკუთრებსა და მოქალაქეთა შორის, სასამართლოს ჩაურევლად, რათა მოქალაქეთა წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში სახელმწიფოს აპარატის წარმომადგენელმა შეიგანოს და არა მოქალაქემ.

დაეუშვათ, ქალაქის ხელმძღვანელობამ გაყიდა სასტუმრო, რომელშიც შესახლებული იყვნენ ლტოლვილები და მათ სანაცვლოდ არც საცხოვრებელი ფართი მისცა და არც სათანადო თანხა გადაუხადა. მესაკუთრე მოითხოვს ლტოლვილთა გამოსახლებას და სრულიად სამართლიანად. პროკურატურა ყადაღას ადებს ქალაქის ბიუჯეტს და ამ ბიუჯეტის თანხიდან ლტოლვილებს უძენს საცხოვრებელ სახლებს ან აძლევს ფულს. ერთი კვირის განმავლობაში ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა შეიგანოს სარჩელი სასამართლოში, ხოლო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ერთ კვირაში უნდა გამოიგანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურატურა ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას.

გემის მეპატრონემ გემი დააყენა შესაკეთებლად საზღვარგარეთის რომელიმე ლოკში. შედეგად მეპატრონე არც გემის შეკეთების ფულს იხდის და არც მემღვაურებს უნაზღაურებს ხელფასს. მემღვაურთა წერილის საფუძველზე პროკურატურა აღძრავს საქმეს ამ ფირმის წინააღმდეგ და შესთავაზებს ვალის დაფარვას. ამ ფირმის გადახდისუუნარიანობის შემთხვევაში, პროკურატურა ყადაღას ადებს ფირმის ქონებას, თავისი სახელით გამოაქვს კრედიტი აღმინისგრაქიული ორგანოების ბანკიდან, მემღვაურებს ხელფასს უნაზღაურებს, იხდის გემის შეკეთების ფულს და გემს

აუქციონზე ყიდის. აღებული თანხის 10% გადარიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტში, გარკვეული თანხით დაფარავს ბანკის ვალს, დარჩენილი თანხის 50% გადარიცხავს პროკურატურის ბიუჯეტში და რაც დარჩება დაუბრუნებს ფირმის ხელმძღვანელობას.

პროკურორის მოვალეობაა, არა მარტო სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, არამედ მოქალაქისაც უპატიოსნო ბიზნესმენებისგან და სახელმწიფო აპარატის უგულობისაგან. პროკურატურა აგრეთვე წყვეტს მოქალაქის შიდა პატიმრობას, ფეხზე ელექტრობორკილის დადებას, ყარაულის მიჩენას, თუ სასამართლო დროულად ვერ მოახერხებს განაჩენის გამოგანას.

პროკურატურა დეპუტატთა დავალებით ამოწმებს ამომრჩევლის ამა თუ იმ თხოვნას, კანონის დარღვევას, აგრეთვე როგორ ხორციელდება ცხოვრებაში პარლამენტის მიერ ახლად მიღებული კანონები და ამის შესახებ წერილობით მოხსენებას უდგენს პარლამენტს.

გარიგებას, რომელიც ხდება მოქალაქესა და პროკურატურას შორის, აწარმოებს პროკურატურა და ამტკიცებს მოსამართლე. მაგ., მოქალაქეს შეაქვს გარკვეული თანხა სახელმწიფოს ბიუჯეტში გარკვეული კომერციული დანაშაულისათვის. ამ თანხის 15% გადაირიცხება პროკურორის ანგარიშზე, 5% სასამართლოს, ხოლო დანარჩენი 80% სახელმწიფოს ბიუჯეტში.

პროკურატურა ბედამხედველობას უწევს საპატიმროებს, მუდმივი ან დროებითი ჩასახლების ტერიტორიებს. პროკურატურა ბედამხედველობას ახორციელებს წინასწარ პატიმრობაში მყოფ დაკავებულებზე.

კანონმა თუ გვინდა იმუშაოს, ის უნდა იყოს უხეში და ერთსახა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის, რათა არ მოხდეს მასში საძრომიალოს დატოვება.

პროკურატურას უნდა დაევალოს ბედამხედველობა, ბედმეტი წონის მქონე ხალხის სამკურნალოდ გაგზავნის თაობაზე გამაჯანსაღებელ სპეც დასახლებაში. დაუშვათ, ვინც 50%-ზე მეტს იწონის ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტებიდან, თვითმფრინავის მგზავრობისას გადახდებათ ბარგის შესატყვისი ეკვივალენტის ბედმეტი წონის თანხა. ვინც 100%-ით მეტს იწონის, ის სპეცდასახლებაში უნდა გაიგზავნოს, სანამდე წონას არ მოიყვანს წესრიგში და მკურნალობის ფულსაც ჯარიმის სახით გადაიხდის. აშშ 7 წლის გოგონა დედამ 200 კგ-მდე გაასუქა. ასეთი მშობელი

სისხლის სამართლის კანონით უნდა დაისაჯოს სხეულის განმრავს დაზიანებისათვის. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ეს დანაშაული ამ გოგონას დედამ ჩაიდინა სარეკლამო ფირმის წაქეზებით და გარკვეულ საფასურსაც იღებდა, ასევე გარკვეული საფასურის ფასად თავს იმახინჯებენ ახალგაზრდა ქალები, რომელთა წონა 340-360 კგ-ია, ხოლო ზოგი მათგანი პროსტიტუციას ეწევა.

ხშირად ქალაქის, რაიონის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ამინდის გათვალისწინებით მეთევზეები ყინულზე სათევზაოდ არ გავიდნენ ან ალპინისტები მწვერვალის დასაპყრობად არ გაემართონ. თუ გაფრთხილების მიუხედავად მეთევზეები, მთასვლელები თავისას არ დაიშლიან, ხოლო სახელმწიფოს მოუხდება მათი შველა. მაშველი სამსახურის ხარჯები გადარჩენილებს დაეკისრებათ და ამ ხარჯებს პროკურატურა აკისრებს. აქ არ არის საჭირო სასამართლოს საქმეში ჩარევა და მისი მოცდენა, უბრალოდ საქმე სწრაფად წყდება პროკურატურის მეშვეობით, ხოლო დაჯარიმებულებს თუ არ მოსწონთ პროკურატურის გადაწყვეტილება, შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ. ამრიგად, ამ კანონით ჩვენ ვაიძულებთ მოპასუხეს აღძრას სარჩელი და არა პირიქით.

სასურველია სახელმწიფო ბიუჯეტმა ოფიციალურად გამოეცხადოს გარკვეული თანხა ინფორმატორებისთვის თავისი პრეისკურანგით, რადგან გახსნილ საქმეთა 80% ინფორმატორთა საქმიანობის დამსახურებაა. ასევე წარმატებული ან წარუმატებელი გამოძიების ჩატარებისთვის, საქმის სირთულის გათვალისწინებით გამოძიებელიც უნდა დაჯილდოვდეს. ვთქვათ, წარმატებული გამოძიებისთვის გამოძიებელი დაჯილდოვდა 1000 დოლარით, წარუმატებლობის შემთხვევაში ჯარიმდება 1000 დოლარით, ხოლო საქმე, რომელიც სამმართველოში ჩაფლავდა, 2000 დოლარით. გამოძიებელი საპრემიო ფონდს იღებს წლის ბოლოს გახსნილ, გაუხსნელ და ჩაფლავებულ საქმეთა დებეგ-კრედიტის მიხედვით და ეს ძირითად ხელფასს არ ეხება.

თანამდებობის პირის ქრთამზე გამოჭერა ოფიციალურად უნდა ღირდეს ვთქვათ 50000 დოლარი და ამის შესახებ ოფიციალურად უნდა იცოდეს მოსახლეობამ, რადგან ცდუნება ორივე მხრიდან პირველ ხანებში დიდი იქნება – ეს კი საბოლოოდ მექრთამეობის აღმოფხვრას წაადგება.

მოქალაქის მიერ ჩადენილი მცირე დანაშაულისთვის მისი ადგილზე დაჯარიმების უფლება აქვს უბნის პოლიციელს და საგზაო

პაგრულს, ღგება დაჯარიმების აქტი, მოქალაქე წარადგენს თავის საბანკო ბარათს ან შეაგყობინებს პირადი ანგარიშის ნომერს, პოლიციელის წარდგინების შედეგად ჩამოეწერება თანხა კანონის დამრღვევს ანგარიშიდან. მცირე დანაშაულს მიეკუთვნება: ნაგავის ქუჩაში დაყრა, ფეხით მოსიარულის წითელ შუქზე გადასვლა, გამომწვევად მოქცევა, ხანგრძლივი კონცნობა ქუჩაში, გრანსპორტში, ძაღლის ალიკაპის გარეშე ქუჩაში გამოყვანა და სხვა.

მოქალაქე, რომელსაც სხვადასხვა სახის ვალები აქვს დაგროვილი, საზღვარგარეთ არ გაიშვება, ჩამოერთმევა პასპორტი და სასაზღვრო სამსახურს ოფიციალურად ეცნობება ამის შესახებ. დავალიანების მქონე პირს იმ შემთხვევაში შეუძლია საზღვრის გადაკვეთა, თუ მას თავლებში ვინმე დაუღგება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგანი სამსახურის მინისტრს ქვეყნის პარლამენტის წარდგინებით ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრის წარდგინებით. ინიშნება ტერიტორიების პოლიციის უფროსები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა გააჩნდეს თავისი ჯარი, საპატრულო სამსახური, უბნის პოლიცია, პირველადი მოკვლევის სამსახური, სახანძრო სამსახური და საგანგებო შემთხვევების სამსახური.

შინაგან საქმეთა ჯარის ნაწილების 50% უნდა მსახურობდეს ხელშეკრულებით და იღებდეს სახელმწიფოდან ხელფასს ამ სახის ჯარის ნაწილები გამოყენებული უნდა იქნას სანქცირებული დემონსტრაციების, თავმყურის ადგილების დასაცავად, არეულობათა ასალაგმად, სტრატეგიული ობიექტების დასაცავად და მარადიონობის აღსაკვეთად. შინაგანი ჯარის სარდალს მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრთა საბჭო.

საპატრულო სამსახური აღჭურვილია გრანსპორტით, მორიგეობს ქუჩებში, იცავს მოძრაობის წესებს, აჯარიმებს როგორც ავტომძღოლებს, ასევე ფეხით მოსიარულეებს. პირველები გადაიან დანაშაულის ჩადენის ადგილზე და აწარმოებენ პირველ მოკვლევას, სანამ გამოძიების თანამშრომლები გამოცხადდებიან.

უბნის პოლიციელს ნიშნავს ტერიტორიის პოლიციის უფროსი. ამ ტერიტორიაზე მას გამოყოფილი აქვს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო კაბინეტი. უბნის პოლიციელის მოვალეობაა პირველ რიგში პროფილაქტიკა, ის თავის უბანში მცხოვრებ საეჭვო ქცევის ხალხს უნდა იცნობდეს, მათთან უნდა საუბრობდეს. უნდა აღკვეთოს მეზობლებს შორის კინკლაობა, პირადად უნდა სცნობდეს სულით ავადმყოფს, გამოუსწორებელ ლოთებს, დებოშიორებს, თავის შეხედულებისამებრ შეუძლია წარადგინოს მათი საქმე სასამართლოში მათ გასახლებაზე, მცირე ხულიგნობისთვის უფლება აქვს დამნაშავე პროკურორის სანქციის გარეშე 12 საათი ამყოფოს წინასწარ პატიმრობაში. სულით დაავადებულ ავადმყოფს რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში გაზი მოშვებული დარჩა, თუ ძალად დაგოვა ძნელი დასადგენია; შედეგად ღამის ხუთ საათზე სამსართულიან სახლში აფეთქება მოხდა და ერთი კორპუსი მთლიანად ჩამოინგრა, დაიღუპა 12 უდანაშაულო

აღამიანი. სწორედ ამგვარი საქმეების პროფილაქტიკა ევალება უბნის პოლიციელს.

უბნის პოლიციელი თავისი სამუშაო უბანზე უნდა იმყოფებოდეს ოჯახთან ერთად, რათა საქმიანობის, დასვენების უმეგესი ნაწილი სამუშაო ადგილზე გაატაროს. სასურველია უბნის პოლიციელმა კონგრატებით გათვალისწინებული 25 წელი ერთ უბანში გაატაროს, რათა მოსახლეობა მას გაეცნოს, გარკვეული ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ, რაც დანაშაულის ჩადენის შემცირების გარანტი იქნება. სასურველია ქალაქის პირობებში მეგობრულად ჰქონდეს სამუშაო ადგილზე თავისი საცხოვრებელი ბინა, რადგან მეგობრები პოლიციის შტაბგარეშეკარგი დამხმარენი არიან და წესრიგის და სისუფთავის დაცვის საქმეში ერთმანეთს ეხმარებიან.

სახანძრო სამსახურის უფროსს ნიშნავს მინისტრი, ხოლო გერიგორიებზე პოლიციის უფროსი, მეხანძრეები ხანძრის ჩაქრობის გარდა მონაწილეობენ საგანგებო შემთხვევებშიც, მაგრამ მათი უმთავრესი მოვალეობა ხანძართან ბრძოლაა, პროფილაქტიკა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობათა მონტაჟი და კონტროლი, იმ წარმოებების და ფირმების მიმართ რომლებიც უხეშად არღვევენ ხანძარსაწინააღმდეგო წესებს – რა თქმა უნდ მათ ხარჯზე.

საგანგებო შემთხვევათა სამსახურის უფროსს და მის განყოფილებებს სხვადასხვა გერიგორიებზე ნიშნავს შინაგან საქმეთა მინისტრი. ეს სამსახური აღჭურვილი უნდა იყოს თვითმფრინავებით, გრანსპორტით, გააჩნდეს ხელშეუხებელი მარაგი აუცილებელი კვების პროდუქტების, განსაცმლის, სამშენებლო მასალის, დროებითი ასაწყობი სახლები და სხვა რაც საჭიროა ბუნებრივი კატასტროფებიდან თავის დასაცავად.

შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა იმსახურონ იმ აღამიანებმა, რომლებსაც შეუსრულდათ 23 წელი. ისინი სამინისტროში აფორმებენ 25 წლიან კონგრატებს, რომლის შესაბამისად ისინი ვალდებულნი არიან ამ სამინისტროს სისტემაში იმსახურონ, ხოლო თუ ისინი სხვა სისტემაში გადავლენ ან გადაიყვანენ, კარგავენ კონგრატებით გათვალისწინებულ შეღავათებს. კონგრატების გაგრძელების უფლება ყოფილ პოლიციელთათვის აქვს მხოლოდ მინისტრთა საბჭოს.

საკონგრატო სამსახური, იმიტომაცაა საჭირო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ხელი არ წაუცდეთ იმ

მცირეზე, რომელიც უფრო დიდს – სახელს და ხელუხლებელ დეპოზიტზე დაგროვილ ფულს დააკარგვინებს.

საქართველოში ავად, თუ კარგად საპაგრულო სამსახური ფუნქციონირებს, ქვემოთ მინდა შემოვთავაზოთ ჩემი ეკონომიკური გაანგარიშება, რის შედეგად საპაგრულო სამსახური რუსეთში შეიძლება მთლიანად თვითდაფინანსებაზე გადავიდეს და სახელმწიფოს ბიუჯეტის შემავსებლად მოგვევლინოს.

დღეს რუსეთში მოსახლეობის 35% გადაადგილების საშუალებას ფლობს, ვთქვათ მათი ოდენობა შეადგენს 40 მილიონს, აქედან თუ ყველა მათგანი წინასწარ კანონის საფუძველზე ვაიძულებთ შეიძინონ მოძრაობის უსაფრთხოების 1000 დოლარიანი ტალონები, მივიღებთ 40 მილიარდ დოლარს, რომელსაც თუ ბანკში დავდებთ დეპოზიტზე, წლის ბოლოს ანაბრის სახით ვთქვათ დაერიცხება 10% და მივიღებთ 4 მილიარდ დოლარს, ხოლო თუ ამ ციფრს გავყოფთ ავტონისპექტორის წლიურ ხელფასზე 40000 დოლარზე, მივიღებთ 100000 მოძრაობის დამცველ პოლიციელს. ეს ოდენობა სრულიად საკმარისია რუსეთის რეგიონებისთვის 40000 დოლარიდან ავტონისპექტორს დაექვეთება რუსეთის კანონების შესაბამისად 13% საშემოსავლო ე.ი. 5200 დოლარი, ხოლო 12% 4800 დოლარი მივეცთ საწვავის ხარჯებისთვის. დარჩენილი 30000 დოლარიდან 50% 15000 დოლარი დაიდება ავტონისპექტორის ანგარიშზე 25-30 წლის განმავლობაში კონტრაქტის შესაბამისად, და თუ ის ამ ხნის განმავლობაში წესიერად შესრულებს თავის მოვალეობას, პენსიაში გასვლის შემდგომ მიეცემა თავისი ყოველწლიური დანარიცხებით. ხოლო თითოეულ მოძრაობის წესების დამცველს მიეცემათ საორიენტაციო გეგმა ყოველდღიურად დააჯარიმონ 6 მძღოლი 300 დოლარის ოდენობით. თუ დღევანდელ მონაცემებს გავითვალისწინებთ, დღეს ეს ციფრი გაცილებით მეტია. დღეს არაოფიციალური მონაცემებით ქ. მოსკოვში ავტონისპექტორის არალეგალური შემოსავალი მერყეობს 2000-4000 დოლარამდე ყოველდღიურად.

ავტონისპექტორის სამუშაო დღე არანორმირებულია. ვთქვათ, ის წელიწადში მუშაობს 300 დღეს და ყოველწლიურად საშუალოდ ჯარიმის სახით იღებს 300 დოლარს. ეს შეადგენს 90000 წელიწადში, რომელიც მრავლდება 100000 კაცი ინსპექტორზე და წლიური შემოსავალი ხდება 9 მილიარდი დოლარი. აქედან 13% საშემოსავლო გადასახადია, 20% ეძლევა ავტონისპექტორს

5% გადაერიცხება პროვაცირების სამსახურს, რომლის მოვალეობაში შედის აცდუნოს ავტონისპექტორი არაკანონიერ ქმედების ჩასადენად, 2% ერიცხება სასამართლოს, რათა მან სადღელამისო მორიგეთ გამოჰყოს მოსმართლე, რომელიც განიხილავს იმ მძლოლისას საჩივარს, რომელიც არ ეთანხმება ავტონისპექტორის გადაწყვეტილებას. 10% გადაირიცხება ლაგარიის ფონდში, რომელიც ყოველწლიურად წლის ბოლოს თამაშდება, მძლოლებისთვის, რომლებიც ფლობენ მოძრაობის უსაფრთხოების ტალონებს ერთის პირობით, ლაგარეაში მოგებულს პროცენტულად დააკლდება მოგებული თანხიდან იმ ამოსული ტალონების თანხა, რომელიც ჯარიმის სახით ავტონისპექტორმა დააჯარიმა. დარჩენილი 50% ე.ი. 4,5 მილიარდი ლოლარი ყოველწლიურად დაემაგება ავტონისპექტორების ხელფასის ძირითად ფონდს 40 მილიარდს, შედეგად, ყოველწლიურად ავტონისპექტორების ძირითადი ხელფასი მექანიკურად მაგულობს.

რა თქმა უნდა, ამ გამგარიშებას ახლავს გარკვეული „წყალქვეშა ქვები“, რომელმაც ყურადღების გამახვილება აქ არ ღირს, მაგრამ ფაქტი ერთია ჩვენ ვაიძულებთ საგზაო პოლიციას, პაგიოსნად იმუშაოს მაღალი ხელფასის, კარგი გამომუშავების, პერსპექტივაში მაღალი დანარიცხების (1,5-2,5 მილიარდი ლოლარი) და კანონის და კანონიერების დაცვის გათვალისწინებით.

დაჯარიმების შემთხვევაში საგზაო პოლიციელი-ავტონისპექტორი ვალდებულია მისცეს მძლოლს თავისი სავიზიტო ბარათი, სადაც მის ინიციალებთან ერთად მოცემულია მახლობლად მყოფი სასამართლოს ქუჩის და გელეფონის ნომერი. ამასთან, თუ მძლოლი არ არღვევს მოძრაობის წესებს, მას უბრუნდება მოძრაობის უსაფრთხოებისათვის შეძენილი თანხა ყველა გამოუყენებული ტალონისთვის თუ ის ჩააბარებს ავტომანქანის მართვის უფლებას ან გარდაიცვლება, ხოლო სანიმუშო მძლოლებს თანხა დაუბრუნდებათ გაორმაგებით.

ავტონისპექტორს შეიძლება დამატებით დაევალოს, ავტო-ავარიების გამოძიება, ხულიგნების დაკავება, ფეხით-მოსიარულეთა დაჯარიმება და სხვა წერილმან დამნაშაულებების მოკვლევა. ამრიგად, ავტონისპექტორის ძირითადი ხელფასია წელიწადში 15000 ლოლარი ყოველწლიური მაგებით და დანამატებით, რაც მთლიანად მის მუშაობის ხარისხზედაა დამოკიდებული. საშუალოდ

წელიწადში 33000 დოლარი და მეტი ეს მაშინ, როდესაც დღეს ავტონისპექტორის ხელფასი 4000 დოლარს არ აღემატება წლიურად.

ქვეყანაში პოლიცია წარმოადგენს სახელმწიფოს სახეს და რამდენად ზრდილობიანად, მიმზიდველად, სამართლიანად გამოიყურება მისი თანამშრომელი, მასზეა დამოკიდებული სახელმწიფოს იმიჯი. პოლიციელებზე ზრუნვა, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათაც აიძულებს სამართლიანნი იყვნენ. ხალხს აუცილებლობის შემთხვევაში უნდა სჯეროდეს მათი მოქმედების, მათ შორის საგანგებო პირობების დროსაც.

დღეს აშშ ყოველ 410 ადამიანზე ერთი სამართალდამცავი მოდის, ხოლო რუსეთში 73 კაცზე. ე.ი. თითქმის 6-ჯერ მეტი, მაგრამ წესრიგის მხრივ რუსეთი ამერიკას ვერ სჯობნის. ქვევით მინდა მოვიყვანო შემთხვევა, როდესაც პოლიციის მრავალწლიანი სამუშაო 3-4 დღეში შეასრულეს სამხედროებმა. სამწუხაროდ არის საკითხი, რომელიც გარკვეული დროის გათვალისწინებით დემოკრატიით და კანონიერი გზით არ წყდება და უამრავ დროს, სახსრებს, ნერვების დაძაბვას და კანონის მორჩილ ადამიანთა მსხვერპლს მოითხოვს. 1946 წელს მარშალი გ. ჟუკოვი გადაიყვანეს ოდესის ოლქის ჯარების სარდლად. ამ დროს ქ.ოდესაში ყოველდღიურად ასობით ადამიანი იძარცვებოდა და მსხვერპლსაც არ ერიდებოდნენ გათამამებული ბანდიტები, ხოლო მილიცია სრულიად უძლური იყო, რადგან კანონი რეპრესიული ძალის გამოყენების უფლებას არ აძლევდათ. გ. ჟუკოვმა მიიღო ბრძანება უმოკლეს დროში აღმოეფხვრათ ბანდიტიზმი. მან ოფიცრებს გადააცვა მდიდრული სამოქალაქო განსაცმელი და ქალებთან ერთად გაუშვა სახიფათო ადგილებში. პირველ ღამეს 87 ბანდიტი დახვრიტეს, მეორე ღამეს 62 ხოლო ხუთი დღის შემდეგ სრული წესრიგი სუფევდა ქალაქში. რამდენად შეესაბამება სარდლის ეს მონათხრობი სინამდვილეს ვერ გეტყვით, რადგან ამაზე არავითარი საარქივო მასალა არ არსებობს, მაგრამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მოგ შემთხვევაში მისაღებია, თუ ამ საგანგებო ღონისძიების შესახებ წინასწარ გავაფრთხილებთ მოსახლეობას.

იუსტიციის სამინისტრო

მინისტრს უხუცესთა საბჭოს წარდგინებით ნიშნავს პარლამენტი, ხოლო მის მოადგილეებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. იუსტიციის სამინისტროში შედის არსებული კანონების უნარიანობის შესწავლა, განსჯილ საქმეთა შეფასება, დასჯა-აღსრულებითი სამსახური, წინასწარი დაკავების საპატიმროები, კოლონიები და მათში პატიმართა დასაქმება, საბადრაგო სამსახური, სასამართლოს დაცვის სამსახური ნოგარიალური კანგორები, ადვოკატურა და მათზე ზედამხედველობა. აგრეთვე სპეცდასახლებები და სასჯელის სისრულეში მოყვანა.

იუსტიციის სამინისტრო შერჩევით ან სასჯელმისჯილის განცხადების საფუძველზე, შეისწავლის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობას და თუ რაიმე დარღვევას აღმოაჩენს, ამის შესახებ აცნობებს უმაღლეს სასამართლოს კოლეგიას ინფორმაციის სახით ან მოითხოვს მსჯავრდადებულის ხელშეორედ გასამართლებას.

ციხეში, კოლონიაში შემოღებული უნდა იქნას, მკაცრი აღრიცხვის იუსტიციის სამინისტროს მიერ დანომრილი საჩივრის, წინადადებების ბლანკები და ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა ვალდებულია თვეში ერთხელ გასცეს ეს ბლანკები თუ ამას მსჯავრდადებული მოითხოვს და დაუყონებლივ გაიგზავნოს აღნიშნულ მისამართზე.

წინასწარ პატიმრობის საკნები უნდა იყოს ორადგილიანი, საერთო ფართობით მინიმუმ 8მ², სადაც უნდა იყოს სველი წერტილები, რადიო და ტელევიზორი საყურისით, ხოლო კოლონიებში არა უმეტეს 10 კაცისა 50მ² ფართობზე თავის სველი წერტილებით.

პატიმრები განთავსებული უნდა იყვნენ ცალკე ბარაკებად: ქურდები, რეციდივისტები, ბანდიტები, ადამიანის მკვლელები ერთ მხარეს, ხოლო დანარჩენი დამნაშავენი მეორე მხარეს. ის პატიმრები, კი, რომლებიც უარს აცხადებენ კოლონიაში მუშაობაზე, გადაყვანილნი უნდა იქნენ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში.

მე მინდა ქვემოთ ყურადღება გავამახვილო იუსტიციის სამინისტროს შემოსავლების გამომუშავებაზე.

1. კოლონიებში უნდა მოეწყოს ისეთი საწარმოები, სადაც პატიმრებს მუშაობაც და სპეციალობის დაუფლებაც შეეძლებათ. მაგ. ცემენტის, აგურის, და სხვადასხვა სამშენებლო მასალების

წარმოება, სპეცტანსაცმელის შეკერვა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გამოშვება, დაასაქმონ პაგიმრები სახერხ ქარხნებში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, მეცხოველეობის ფერმებში, მიკროელექტრონიკის საწარმოში და სხვა მრავალი. ბიზმესმენებს უნდა მიეცეთ საშუალება წარმოებები გახსნან კოლონიებში. პაგიმარს ხელფასიდან გარკვეული ნაწილი, ვთქვათ 30% დაუქვითოთ შენახვის ხარჯებისთვის, 25% გადაერიცხოს დეპოზიტზე ხელფასის სახით, 25% გადაირიცხება კოლონიის ბიუჯეტში, ხოლო საწარმოს გასაფართოებლად გადაირიცხოს 20%.

2. იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობით შესაძლებელია გაიხსნას კერძო ციხე იმ სასჯელმისჯილებისთვის, რომლებმაც შეთანხმება ვერ მოახერხეს მომჩივანთან, მოპასუხესთან, სადაც მდიდარი პაგიმრები გადაიხდიან ამ ციხეში ყოფნისთვის განკუთვნილ თანხას ვთქვათ 100 დოლარის ოდენობით ყოველდღე.

3. ექსტრა-ვაგანტური ტურისტებისთვის ციხეში შეიძლება გაიხსნას საპაგიმრო, სადაც ტურისტები ერთ კვირას დაჰყოფენ ციხეში და ისუნთქავენ ციხის ატმოსფეროს, რათა შეიგრძნონ მძაფრი განცდა. ამ სახის ტურიზმიც დანაშაულის პროფილაქტიკას ემსახურება.

4. ის პაგიმრები, რომლებსაც მცირე მსჯავრი აქვთ დადებული და განთავისუფლებამდე ექვსი თვიდან ერთ წლამდე დარჩათ, შეიძლება გავამწესოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე და მივაქირაოთ ფერმერებს, რომლებიც გარკვეულ საწინდარს შეიგანენ.

5. კოლონიას უნდა ჰქონდეს გარკვეული ოდენობის მიწის ნაკვეთი, რათა მასზე პაგიმრებს ბოსტნეულის და ბაღჩეულის მოყვანა შეეძლოთ.

6. კოლონიები ხსნიან თავიანთ საფირმო მაღაზიებს, სადაც გაიყიდება მათ მიერ გამოშვებული ნაწარმი, რათა დაინტერესება და კონკურენციის ატმოსფერო შეექმნათ კოლონიებში.

7. გავათამაშოთ ფასიანი ლაგარეა პაგიმართა გარკვეული კატეგორიებისთვის, რომლებსაც 10 წელიწადზე ზევით არ აქვს მისჯილი, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად პაგიმართა 10%-ის ბედი მივანდოთ ლაგარიის ბილეთს, სადაც მოგებაში გათამაშდება მოსახდელი სასჯელის 100%-80%-50%-30%-10% ესეც თავისებური იმედია პაგიმრის დროზე ადრე განთავისუფლების.

8. ნაკლებად საშიში დანაშაულისთვის შეიძლება პატიმრის პირობით განთავისუფლება, თუ ამ თანხას ვინმე შეიგანს სასამართლოს მიერ დადგენილი პრეისკურანტით, იმ პირობით, რომ სასჯელმისჯილს მოხდელი აქვს სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო თანხა იხდება მთლიანად პირველადი სასჯელის შესაბამისად.

9. პატიმარი შეიძლება ვადაზე ადრე განთავისუფლდეს, თუ მან რაიმე სიახლე დანერგა წარმოებაში, ან მისი ორგანიზაციული ნიჭის წყალობით გაიმარდა წარმოებული პროდუქციის ოდენობა.

10. პატიმრობის დარჩენილ წლების პატიება შეუძლია ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტს ან პრეზიდენტს. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული ოჯახური მდგომარეობით, დაავადებით, ასაკის სიჭარბეაგით.

11. პირს, რომელიც სამჯერ მოხვდება ციხეში, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად სასჯელის მოხდის შემდგომ, ჩამოერთმევა კუთვნილი ქონება და მიესჯება სამუდამო გადასახლება მათთვის განკუთვნილ ტერიტორიებზე, სადაც თავი თავადვე უნდა შეინახოს.

12. კოლონიებში და კოლონიათა შორის უნდა გარდებოდეს სპორტული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეში და გამარჯვებულნი უნდა დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქრებით.

13. ერთი კოლონიიდან მეორე კოლონიაში უნდა იგზავნებოდეს პატიმართა დელეგაცია, ხოლო ვისაც გათხოვება ან ცოლის მოყვანა სურს, მათი შეხვედრა შეიძლება ერთი კვირით გაგრძელდეს ქალთა კოლონიაში.

14. სამედიცინო მეცნიერების და სამკურნალო წამლების გამოცდის დაჩქარებისთვის, თუ პატიმრები, სიკვდილმისჯილები ან ვისაც მუდმივი პატიმრობა აქვთ, სურვილს გამოთქვამდნენ, გარკვეული შეღავათების საფასურად უნდა ვცადოთ ამ წამლების მათზე გამოცდა, რაც დააჩქარებს ფარმაკოლოგიის განვითარებას და აქ ამორალურს ვერაფერს ვხედავ. მით უმეტეს, აშშ გარკვეულ თანხის საფასურად ამ ცდებს მსურველებზე ატარებენ.

15. იუსტიციის სამინისტროს შეუძლია ჩააგაროს შიდა გამოძიება პატიმრის თხოვნის საფუძველზე, თუ ის თვლის, რომ სასჯელს უმართებულოდ იხდის. თუ ამ პატიმრის უდანაშაულობა დამტკიცდება, სასამართლოში პატიმარს კომპენსაციის სახით ყველა ციხეში გატარებული წლისთვის მიეცემა ვთქვათ 60000 დოლარი ეს იმ შემთხვევაში, თუ სასჯელმისჯილს სასამართლო პროცესზე თავი

დამნაშავედ არ უცვნია. ამ თანხის ნახევარს იღებს იუსტიციის სამსახური.

16. ქალთა კოლონიაში უნდა ჩამოყალიბდეს თეატრი, მოდელირების წარმოსახენი სექცია, ხოლო თუ ვისმეს გათხოვება სურს, ან მისი მეუღლე გადაწყვეტს მისჯელთან ერთად სპეცდასახლებაში იცხოვროს, მათ შეიძლება გამოეყოთ კრედიტი სახლის ასაშენებლად და ბიზნესის საწარმოებლად, შედეგად ქვეყანას ბიუჯეტის მხარჯველის ნაცვლად ბიუჯეტის შემავსებელი მოეწვინება.

და ბოლოს: მე პროფესიონალური ქურდობა, აფერისგობა ყოველთვის მიმაჩნდა ნიჭიერი ხალხის ხელობად, თუ გნებავთ პროფესიად. თუ ადამიანი ციხეში სამჯერ ვთქვათ ქურდობისთვის მოხვდა ე.ი. როგორც პროფესიონალი უვარგისია, მაშინ რაგომ უნდა იყოს ისეთი ადამიანი „პატივსაცემი“ და რაგომ უნდა ისარგებლოს გარკვეული პრივილეგიებით დამნაშავეთა სამყაროში ჩემთვის გაუგებარია. ადამიანი, რომელიც 10-20 წელს ციხეში ატარებს, უნდა თუ არა ის შუა კაცია ციხის აღმინისგრაციასა და პატიმრებს შორის და თავის კეთილდღეობისათვის ციხის აღმინისგრაციასთან უნდა თუ არა, უნდა ითანამშრომლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასჯელის მოხდის ადგილში ყოფნა გაუძნელდება.

დასაქმების და ახალგაზრდობასთან შრომითობის სამინისტრო

სამინისტროს ხელმძღვანელებს უხუცესთა საბჭოს წარდგინებით მთავრობა ნიშნავს. ამ სამინისტროს მოვალეობაა შრომის პირობების გაუმჯობესებაზე კონკრული, შრომის სწავლება, მოსამზადებელი და გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსების გახსნა, ხალხის დასაქმება, სამუშაო ადგილების მოძიება და საკრედიტო სამსახური, რომელიც ემორჩილება ამ სამინისტროს დაქვემდებარებულ ბანკს და საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად მონაწილეობას იღებენ ბიზნესის და მოქალაქის დასაქმების საქმეში.

ტექნიკური პროგრესის ზრდა თანდათან ამცირებს სამუშაო ადგილებს, მათ შორის მომსახურეობის სფეროშიც. დღეს ზოგიერთ ქვეყნებში მეგრო და ჩქარი მაგარებლები მათი წამყვანების გარეშე მოძრაობენ, უახლოეს 40-60 წელიწადში მოსახლეობა მობილური საფრენი აპარატით ფრენას დაიწყებს და თავადვე გადაადგილდება ჰაერში, ხოლო საქალაქო გრანსპორტის აუცილებლობა თანდათან შემცირდება, ეს კი უამრავ მძღოლს გამოათავისუფლებს, ხოლო მდივნების, მომვლელების როლს მთლიანად რობოტები იკისრებენ. ასე, რომ კაცობრიობამ ახალი საქმიანობით დასაქმება და გართობა უნდა ისწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში უსაქმურობით და ფუფუნებით აღამიანი გადაგვარდება, გაქრება. ამიგომ მოსახლეობის დასაქმებაზე აქედანვე უნდა ვიზრუნოთ, განსაკუთრებით ხალხის იმ ნაწილზე, რომლებიც თავს ბუნებით „ვაგონებს“ მიეკუთვნება და „ელმავლების“ გონიერებით და ხელმძღვანელობით უნდა იმუშაონ. ამას ხელს უწყობს გლობალიზაცია, რომელიც მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გარდაუვალი პროცესია. მოსახლეობის დასაქმების საქმეში ისევ პირველ ადგილზე რჩება მომსახურეობის სფერო, სინამდვილეში ეს ეკონომიკისთვის დროებით თვალეში ნაცრის შეყრაა, რადგან მომავალში ყველა ამ საქმიანობას ავტომატები, რობოტები შეასრულებენ.

აღამიანისთვის თუ სიკეთის კეთება გვინდა, მას თევზის ჭერა ახალგაზრდობიდანვე უნდა ვასწავლოთ და არ უნდა ვაჩუქოთ, რადგან დახმარებები, შეღავათები გლობალიზაციის პირობებში საზოგადოებას რყვნის და ბაზრებს აკარგვინებს, ასე მოუვიდა საქართველოსაც თავის ძირითად პროდუქციას: ღვინოს, ჩაის,

თამბაქოს, ხილს ვერ ასაღებს ხარისხის გაუარესების და პოლიტიკურ ურთიერთობათა გართულების გამო.

სამინისტროში უდიდესი ყურადღება უნდა ექცეოდეს ახალგაზრდობასთან ურთიერთობას, რადგან თუ ისინი თავიდანვე არ შევაჩვიეთ საქმიანობას, ეს ყველაზე ენერგიული, მიზანსწრაფული, სიახლის ამთვისებელი ძალა გადაგვარდება. ამიგომაც სახელმწიფომ პირველ რიგში უნდა იზრუნოს მათი სამშობლოში დასაქმებაზე, რათა იძულებულნი არ გახდნენ სხვაგან ეძიონ სამუშაო და გადაიხვეწონ.

სად უნდა დავასაქმოთ თანამედროვე ადამიანები? უპირველესად ინტელექტუალურ სფეროში, შემდგომ მოდის მომსახურეობის სფერო, აგრარული სექტორი და ზოგიერთი საწარმოების აღორძინება. საქართველოში მოსახლეობის დასაქმება შეიძლება შემდეგ დარგებში:

1. ჩაის მრეწველობა, რომელსაც მთლიანად ჰქონდა დაპყრობილი ყოფილი სსრკ გერიგორიის ბაზარი. გამოშვებულ უნდა იქნას მხოლოდ მაღალი ხარისხის და ახალი პროდუქცია. ესენია: ჩაი, ჩაი ხსნადი, სამკურნალო, გასახდომი, ველური ჩაი – ჭყორისგან, ჩაი სხვადასხვა არომატული მცენარეების დანამატებით, ხსნადი ჩაი ყავის, კაკაოს, რძის ფხენილის, ლიმონის მჟავას და სხვა ციკრუსების დანამატებით. ჩაისაგან მზადდება ვაჟინიანი წყლები, კონცენტირებული ჩაი – „ჩიფირი“ და მრავალი სხვა, ხოლო მაღალი არგერიალური წნევის დასაწევი შესანიშნავი საშუალებაა მწვანე ჩაი ლიმონით.

2. თამბაქო – საქართველოში ნაწარმოები თამბაქო მაღალი ხარისხისაა, მას სჭირდება სხვადასხვა ტექნოლოგიებით დამზადება, დარბილება, ფილტრის, გაფორმების მაღალი ხარისხი და ის არაფრად არ ჩამოუვარდება იმპორტულ სიგარეტებს და ბევრ შემთხვევაში უკეთესიცაა. შესაძლებელია კუბასთან ერთად შეიქმნას ერთობლივი საწარმო სიგარეტების გამოშვებისთვის.

3. ღვინო – სხვადასხვა სახის, განსაკუთრებით სამარკო ღვინოებს უნდა მიექცეს ყურადღება, რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. შესაძლებელია ახალი სახის არაორდინალური ღვინოების გამოშვება, თუ მათ კუპაჟის დროს მცირე ოდენობით მარწყვის, ალუბლის, მსხლის წვენს სუნის და განსხვავებული არომატის მისაცემად გამოვიყენებთ. ასევე უნდა გამოვუშვათ ჭაჭაზე წყლის დასხმით უმაქრო შუა ღვინო 4-5 გრადუსით,

რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ ლუდის ნაცვლად, შეიძლება ვიყინოთ შუა ღვინის სასმელის შექმნა და ამგვარ ღვინოს ვუწოდოთ ღვინისა. შესაძლებელია აგრეთვე სამკურნალო ღვინის დამზადება მაგ., ერთი ხარისხის ღვინო წნევას დაბლა უწევს ადამიანს, მეორე მაღლა და სხვა ამგვარი.

4. მინერალური წყლები – „ბორჯომზე“ არაფერს ვამბობთ, მაგრამ არის სხვა სამკურნალო წყლებიც, რომელსაც სათანადო რაოდენობით რაგომლაც ვერ უშვებენ მაგ. საირმე, ნაბეღლავი, ბაგიათა და სხვა მრავალი მინერალური და სამკურნალო წყლებია, რომელთა ხარისხიან ჩამოსხმას, რეკლამირებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. სიახლის სახით, სამკურნალო წყლების ხარისხის ასამაღლებლად, ზოგიერთ მათგანზე შესაძლებელია, ზოგიერთი ბალახის ნაყენის კონცენცრაციის, დამაგება.

5. დასვენება-მკურნალობით. მაგ., დასვენების პერიოდში ვთქვათ წყალგუბოში დამსვენებელი სახსრების დაავადევასთან ერთად იმკურნალებს კბილებზე, მოიშორებს ხორცმეგს, შესაძლებელია მიკროქირურგიით ზოგიერთი სახის ოპერაციების გაკეთება ვთქვათ თვალზე, მოიშორებს ბედმეგ წონას, უმკურნალებს სახსრებს. საქართველოს გააჩნია შესანიშნავი სამკურნალო ადგილები საირმე, ნუნისი, მენჯი, ახგალა. თუ ჩვენ ამ კურორტებს რეკლამას გავუკეთებთ და მოველაპარაკებით საზღვარგარეთის სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც თავიანთ მოქალაქეთა ჯამრთელობის დაზღვევას აწარმოებენ, ისინიც მოგებულნი დარჩებიან და საქართველოც, რადგან საქართველო მათ კლიენტებს ნახევარ ფასში მოემსახურება, ხოლო სადაზღვევო კომპანიებს გაცილებით მეტი მოგება დარჩებათ. ასევე სამკურნალოდ შეიძლება გამოვიყენოთ სათაფლიის ნაკრძალი, ვისაც სუნთქვის ორგანოები დაავადებული აქვთ და სხვა დასასვენებელი, სამკურნალო ადგილები, რაც საქართველოში საკმარისზე მეგია.

6. გურიში – ნადირობით, თევზის ჭერით, მთასვლელობით, თხილამურებით, დელგაპლანერით და სხვა მრავალი თავის საშინაო და საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება-დაჯილდოებით.

7. სწრაფი კვების საწარმო „მორეები“, „ვახ-ვახი“, „აბა ჰე“ მაკლონალდის მაგვარად, სწრაფი კვების რესტორნების გახსნა მხოლოდ იმ სხვაობით, რომ აქ იქნება ქართული კულინარია, რომელიც მოერგება სწრაფ კვების პრინციპებს. მაგ., ხარჩო, საცივი

ჩახოხბილი, ბორში, შჩი, ნიორწყალი, ხაში იოგურგისმაგვარი პროდუქტის სახით გაიყიდება პლასტიკურ ჭიქებში. ღომი პლასტიკური მასის ოთხკუთხა ფორმებში, ჩაიდება საცივი, ხარჩო, ყველი, რომლის სწრაფი გაცხელება შესაძლებელია მიკრო გალლოვან ღუმელში. თევზის ნაყინი. „მორეები“ მოკლედ ამ სახის საკვები მე 30 სხვადასხვა ასორტიმენტის შემთხვევაშია შემოგთავაზოთ, რომელსაც ჯერჯერობით ანალოგი არ აქვს. ამგვარი სწრაფი კვების საწარმოების აშენება თუ ამას რომელიმე ბიზმესმენი თავზე აიღებს, შესაძლებელია სამღვარგარეთაც, როგორც ამას მაკლონალი აკეთებს.

8. დელიკატესური კონსერვების გამოშვება: საცივის, ხარჩოს, უნაწლავო შპროტის, სამკურნალო „ბალიკის“ – ღვიძლის კონსერვების და სხვა.

9. ყურძნის ბადაგის წარმოება, კაკოს შესაცვლელად, მაგ., ბადაგის ნარევის ასორტიმენტი, სადაც იქნება თხილის, ნიგვზის, მშესუმშირის, გოგრის თესლის ჩურჩხელა, სხვადასხვა ფორმის და გემოვნების ტკბილეული.

10. ხილის გადასამუშავებელი და კონცენტრატების დამამზადებელი ქარხანა, რომელიც გამოუშვებს კაკლის, ატმის, კომშის, ალუბლის მურაბებს, შესქელებულ წვენებს, ცუკატებს, ციგრუსების ფქვილს, ეთერზეთებს, პექტინს.

11. შოკოლადის ქარხნის აღდგენა, რადგან რუსეთსაც ისევე შემოაქვს კაკაო და კაკაოს ცხიმი, როგორც საქართველოს, ხოლო თხილი, ნიგოზი, საკუთარი აქვს, მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმი რუსეთიდან შემოდის და საქართველოში გამოშვებულ ამგვარ პროდუქციაზე რაგომდაც გაცილებით იაფია

12. კონიაკის, ლიქიორის, არყის ნაყენის წარმოება, ოღონდ უმაღლესი ხარისხის, დაახლოებით ისეთი ხარისხის, როგორც წინა საუკუნის 60-იან წლებში გამოდიოდა. შესაძლებელია რამდენიმე ახალი კონიაკის მსგავსი სასმელი „საქნიაკი-შ“ შექმნა, რომელიც მომავალში შეიძლება ბრენდად იქცეს.

13. ფარმაცეგია – ბევრი საინტერესო და სასარგებლო წამლების გამოშვება შეუძლია საქართველოს, ზოგი ისეთია, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია.

14. სასურველია მოსახლეობას სამზარეულოს კომპლექსში საკვები ნარჩენების გადასამუშავებელი საშრობების გამოშვება, რომლისგანაც დამატებით საკვების ფქვილი მიიღება მეცხოვე-

ლეობისათვის, რომელსაც შეიძენენ ან დაურიგდებათ ფერმერებს. ბოსტნეული უნდა გაიყიდოს გასუფთავებული, ნახევარფაბრიკაჟი, რათა მოხდეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილისა დასაქმება და ნარჩენების გამოყენება.

15. ნიადაგის გასაკულტურებელი სამუშაოების ჩატარება, მათ შორის მთიან რეგიონებშიც, რათა შემდგომში ის გამოდგეს სახნავ-სათესად.

16. მაღალ ხარისხოვანი თევზების ხელოვნურად მოშენება, ლიფსიგების გამოჩეკვა, მიდის წარმოება, საკონსერვო ქარხნების აღდგენა და გადაიარაღება.

17. მაღაზიებში მხოლოდ ნახევარფაბრიკატების გაყიდვა. მაღაზია თევზს, ხორცს ამორებს ძელებს და სხვადასხვა ნარჩენებს აბარებს სპეციალურ სამსახურებს, რომლებიც მეცხოველეობისთვის საკვებს ამზადებენ.

18. კინოხელოვნების განვითარება, ერთ დროს ქართული კინო ძალზე თვითმყოფადი და გამორჩეული იყო მსოფლიოში. ჩვენი რეჟისორები ძალზე ნიჭიერები არიან. მსახიობები დიდ ჰონორარს არ თხოულობენ, ე.ი. დანახარჯები მცირე, ხარისხი მაღალი, რაც ბევრ ამ საქმით დაინტერესებულ ინვესტორს დააინტერესებს.

19. უნდა დაინერგოს 500 გრამიანი ჭადის მაგვარი ფუნთუშების გაყიდვა თუნდაც ამ წიგნის ავტორის გამოგონების მიხედვით პურის შესაცვლელად, რაც გარკვეულად ჩაანაცვლებს პურის მოხმარებას, დაზოგავს ვალუტას და ჯანმრთელობისთვისაც უკეთესია, რადგან ეს პროდუქცია საფუარის გარეშე ცხვება.

20. უნდა დამზადდეს საქართველოს მთიანი რაიონებისთვის ქარის ელექტროსადგურები (რომლებიც დაცვით როლსაც შეასრულებენ ზვავების წინააღმდეგ) მცირე ჰესები, სუფთა წყალზე მომუშავე ჰიდრაულიკური გარანი. ბიოლოგიური საწვავის მისაღები მოწყობილობა, რადგან ამის სამეცნიერო პოტენციალი საქართველოს გააჩნია. და ბოლოს ალბათ უამრავი რაღაცის კეთება შეიძლება, რომელსაც ახალი ტექნოლოგიები და მომავალი თაობები შემოგვთავაზებენ.

რაგომ ვაქცევთ ასე დიდ ყურადღებას ადამიანთა დასაქმებას, როდესაც ადამიანი თავისუფალია და როგორც უნდა ისე მოიქცევი. ალბათ იმიტომ, რომ სიკეთესა და ბოროტების კეთებას შორის ერთი ნაბიჯია. მე მინახავს ხალხი, თავისი ნიჭის წყალობით, ქვეყნის მოჭირნახულე უნდა გამოსულიყო, მაგრამ უსაქმურობამ, ბედმეტი

დროის გამოყენების უკოდინარობამ ისინი კრიმინალამღე მიიყვანა და სამოგადოების ხორცმეგნი გახლნენ.

ყველა შემდგომ განხილული სამინისტროების საქმიანობა დასაქმებაზე აგებული, რადგან სხვანაირად სამინისტროები თვითდაფინანსებაზე ვერ გადავლენ, ამასთან შრომის, დასაქმების და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამინისტრო მოწოდებულია, ახალი, საინტერესო, ახალგაზრდებისათვის მისაღები საქმიანობა გამონახოს. გექნიკური პროგრესის წინსვლასთან ერთად, სამინისტროს აპარატი უნდა ეცადოს მომავლის პერსპექტიული ადგილების გამონახვას, შექმნას. ის მობილიზებას უნდა უკეთებდეს სხვა სამინისტროებს და იყოს მათან კავშირში. ვინ იფიქრებდა რამდენიმე წლის უკან, რომ მობილური ტელეფონების საქმიანობით ან ინტერნეტის მომსახურებით ამდენი ადამიანი დაკავდებოდა. აღარ ვამბობ სხვადასხვა კლუბებზე და მასაჟის სახლებს ამოფარებულ საქმიანობაზე, რომელიც ლეგალიზებული უნდა იქნას და ბიუჯეტში ფულის შემომგანი. ცივილიზაცია ცელის ადამიანის მენგალიტეგს, საქმისადმი მიდგომას.

თუ ქვეყანას რაიმე პროდუქციის წარმოება შეუძლია თავის ძალებით თუნდაც ძვირად ღირებულის, ის თავად უნდა აწარმოოს, რათა შემდეგი გექნოლოგიური პროცესი დახვეწოს და მისი წარმოება გააიფოს, ხოლო თუ საჭიროა, სახელმწიფომ დოტაციებიც უნდა გაიღოს.

დავუშვათ 10000 გონა იმპორტული ქათამი შემოიგანა იმპორტიორმა 15000 დოლარად. ბითუმად მისი გასაყიდი ფასია 20000 დოლარი, ხოლო ადგილზე გამოყვანილი ქათამი ბითუმად გვიღება 20000, გასაყიდი ფასი კი 25000 დოლარია. დავთვალთ დაახლოებითი შემოსავლები სახელმწიფოს ბიუჯეტში იმპორტმა შემოგანილ ქათამზე გადაიხადა ვთქვათ საბაჟო გადასახადი 10% ე.ი. 1500 დოლარი, შემომგანს „უკუგორების“ სახით მისცა 10% 1500 დოლარი (ეს ჩვეულებრივი დაფარული პრაქტიკაა), ამასთან მომწოდებელს უკან დაუბრუნა 1200 დოლარი, რომელშიც „დღე“ შედის, ხოლო ბაზარზე ეს ქათამი გაიყიდა 20000 დოლარად და ბიუჯეტმა აქედან 10% მიიღო 2000 დოლარი. დავთვალე ოფიციალური შემოსავალი: ქვეყნის ბიუჯეტს $1500+2000=35000$ დოლარს და პლუს უკან გორებით ქრთამი 1500 დოლარი, და „დღე“, რომელიც ძირითადად უცხო ქვეყნის ბანკში ინახება.

იგივე პროდუქტის ნაწარმი ქვეყანაში 10000 ქათამი რომ მივიღოთ, უნდა შევიძინოთ 12000 სამღლიანი წიწილა, აქედან დაახლოებით 15% წიწილებისა გამოზრდის დროს იხოცება, რომლის ფასი 0,50 ცენტი ე.ი. 6000 დოლარი. აქედან სახელმწიფოს რჩება 10%=600, ამ ოდენობის ქათმის გამოსაკვებად საჭიროა 40000 კგ კომბინირებული საკვები, რომლის ღირებულება 0,20 ცენტი ე.ი. 8000 დოლარი, აქედან სახელმწიფოს გადაუხდის 800 დოლარს. ხელფასის ფონდი 2000 დოლარი ბიუჯეტში შევიდა. 200 დოლარი ელექტროენერგია, კანალიზაცია, წყალი სულ 2000 დოლარის დაიხარჯა, საიდანაც ბიუჯეტში შევიდა გადასახადის სახით 200 დოლარი. ფაბრიკამ ეს ქათმები გაყიდა ბითუმად 20.000 დოლარად. აქედან ბიუჯეტში გადარიცხეს 2000 დოლარი, ხოლო მისი გასაყიდი ფასია 25.000 დოლარი, საიდანაც ბიუჯეტმა მიიღო 2500 დოლარი. პლუს ის ნარჩენები, რომელიც ქათმის დაკვლას და გადამუშავების შედეგად იღებს დამატებით მეფრინველეობის ფაბრიკა. დავითვალოთ მოგების თანხა. $600 + 800 + 200 + 200 + 2000 + 2500 = 6300$ დოლარი. მართალია, აქაც ხდება მარცხენა საქონლის გამოშვება, ქურდობა, მაგრამ ყოველივე ეს ქვეყანაში რჩება. რაც შეეხება ქვეყნის ბიუჯეტს, მან გაცილებით მეტი მიიღო, ვიდრე შემოგანილი პროდუქტიდან. ამრიგად, ჯობს პროდუქტი თავად ვაწარმოოთ: შედარებით ძვირია, დაგვიჯდეს და მოსახლეობას ხელფასები და პენსიები მოვუმაგოთ, ვიდრე იაფი საქონელი შემოვიტანოთ და ხალხის მაგერიალურ შესაძლებლობები გავყინოთ, იმ მოხელეთა სასარგებლოდ, რომლებიც კორუფციაში არიან გახვეულნი.

ჩვენ უცხოელი ინვესტორი იმ შემთხვევაში უნდა მოვიძიოთ, თუ ის გასაღების ბაზარს გამონახავს, ახალ ტექნოლოგიას და ტექნიკას შემოიტანს, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი ბაზრის მოთხოვნა თავადვე უნდა დავაკმაყოფილოთ და ამ საქმეში ქვეყნის ხელმძღვანელობაც დაინტერესებული უნდა იყოს.

შრომის, დასაქმების და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამინისტრო უნდა აწარმოებდეს იმ საჭირო სპეციალისტების, მუშახელის დროებით შემოყვანას სხვადასხვა ქვეყნების საელჩოების დონეზე, ვინც სურვილს გამოთქვამს, იმუშაოს საქართველოში, რადგან მოწვეულ ხალხს გარანტირებული ხელფასი და ცხოვრების პირობები უნდა ჰქონდეთ.

ასევე უნდა გავუშვათ ჩვენი მუშახელი საზღვარგარეთ სამუშაოდ, სხვა ქვეყნის საელჩოებთან შეთანხმებით. რათა გარკვეული

გარანტიები არსებობდეს, რომ ეს ღრობით გასხვისებული მუშახელი თავის ქვეყანას დაუბრუნდება.

აღნიშნულ სამინისტროს უნდა გააჩნდეს თავისი ბანკი, დასაქმების და მოსამზადებელი კურსები. მომსახურეობა ფასიანია, გაიცემა კრედიტი. დავეუშვათ, თქვენ გაიარეთ მოსამზადებელი კურსები და ეს ღირს 1000 დოლარი, ხოლო სამუშაო, რომელიც გიშოვნათ კადრების განყოფილებაში – 500 დოლარი. ამ თანხას ყოველგვარი გარანტიის გარეშე გაძლევთ სამინისტროს ბანკი, სადაც ფორმირდება ხელშეკრულება, რომ თქვენ ერთი ან ორი წლის განმავლობაში ვალდებული ხართ გადაიხადოთ ეს თანხა 12% კრედიტით. სულ ერთი წლის განმავლობაში გადასახდელად გამოგივით $(1000 + 500 + 180) = 1680$ დოლარი გაყოფილი 12 თვეზე, შეადგენს ყოველთვიურ გადასახადს 140 დოლარს. ხოლო შემოსავალი თუ მინიმუმ 500-600 დოლარია თვეურად, ეს თანხა ვალის დასაფარავად არც ისეთი მძიმე გვირგვინია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთოდ მუქთად და უფულოდ გაკეთებული სიკეთე თავის მიზანს ვერ აღწევს, რადგან ადამიანისთვის მთავარია მოვალეობის გრძნობის განვითარება.

ქვემოთ მინდა ქათმის ბარკლების იმპორტის დაახლოებით იგივე ვარიანტი შემოგთავაზოთ ბიზნესის გადასახდელად და როგორ უნდა ეხმარებოდეს ბანკები დამწყებ ბიზნესმენს. დავეუშვათ, ახალგაზრდა კაცმა გაიცნო ვიღაც ბიზნესმენი საზღვარგარეთ, რომელმაც შესთავაზა ქათმის ბარკლები, ადგილზე ჩამოგანით, რომელიც საბაჟოს გადახდით და მაცივარში შენახვით სამი თვის განმავლობაში ჯდება 1 კგ. 1 დოლარი. ამ კონტრაქტს გადახედავს ბანკის საკრედიტო სამსახური, გამოყოფს თავის წარმომადგენელს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ზედამხედველის სახით და აძლევს 36%-იან კრედიტს ყოველგვარი გარანტიის გარეშე წლიურად, თანხას დასვამს აკრედიტივზე, შეამოწმებს შემოგანილი პროდუქტის ოდენობას, ხარისხს, შენახვის ადგილს და პირველი პარტიის სახით ნებას ღართავს 20% გაიგანოს საბითუმო ბაზარზე და ეს თანხა შეიგანოს ბანკში. შემდეგ აძლევს საქონლის მეორე ტრანშს 40% ოდენობით, რომელიც ფარავს ბანკის კრედიტს მთლიანად, ხოლო დარჩენილი 40% მას რჩება სუფთა მოგება.

დავეუშვათ, ხელშეკრულება გაფორმდა 10000 კგ ბარკალზე. პირველად გაგანილი იქნა 2000 კგ, რომლის საბითუმო ფასი 2 დოლარი. ბიზნესმენის ანგარიშზე შემოვიდა 4000 დოლარი, აქედან

სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს 10%, ე.ი. 400 დოლარს, დანარჩენი 3600 დოლარი ფარავს ვალის გარკვეულ ნაწილს, შემდგომ ბანკი აძლევს უფლებას გაყიდოს 4000 გონა და ბიზნესმენს შემოსდის 8000 დოლარი, აქედან კვლავ 10% მიაქვს სახელმწიფოს თავის გადასახადი და ბანკში შეაქვს 7200 დოლარი, ვალის დასაფარად სულ 10800 დოლარი, ამის შემდეგ გააქვს ბოლო 4000 გონა და კვლავ რჩება 7200 დოლარი. აღნიშნული თანხიდან დაფარავს დარჩენილ ბანკის კრედიტის, საქონლის შენახვის, გრანსპორტის და სხვა ხარჯებს და ახლადგამომცხვარ ბიზნესმენს, რომელსაც არაფერი გააჩნდა, სულ მცირე მოგების სახით სამ თვეში დარჩება 5000 დოლარი.

შემდგომ იგივე ოპერაციის ჩასაგარებლად ბიზნესმენს დასჭირდება დამატებით 5000 დოლარი, რადგან მეორე 5000 დოლარი უკვე დაგროვილი აქვს. ახლა ბიზნესმენი უკვე გამოცდილია და მას შედარებით ნაკლები მზრუნველობა სჭირდება, ამჯერად კრედიტის ფასი იქნება 24% წლიურად, მაგრამ კონგროლს საკრედიტო სამსახური აწესებს. ამ ოპერაციის ჩაგარების შემდგომ ბიზნესმენს ყველა ხარჯების გამოკლებით დარჩება სულ მცირე 13000 დოლარი და მესამე ოპერაციას ჩააგარებს ყოველგვარი საკრედიტო მხარდაჭერის გარეშე, ხოლო თუ მოინდომებს მოცულობის გაზრდას, ვთქვათ 10.000 დოლარის დამატებით როგორც გამოცდილ ბიზნესმენს, მას ეს თანხა მიეცემა 12% კრედიტი.

ამრიგად, საკრედიტო სამსახურის ჩარევა და ზედამხედველობა ფულის დაბრუნების და ბიზნესის წარმოების ზედმიწევნით შესწავლის საწინდარია და რაც მთავარია, საქმიანი კაცის დასაქმების გარანტიაც.

აშშ ყოველწლიურად 2 მილიონი მცირე ბიზნესი იხსნება, აქედან 70% კოტრდება, ხოლო ბანკის ამგვარი დამოკიდებულება თავის კლიენტთან მისასალმებელია, რადგან ის საქმის კეთების 100% გარანტიას იძლევა, ეს კი ბიზნესში ძვირად ფასობს.

შრომის, დასაქმების და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამინისტრომ მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც შუამავალმა მწარმოებელსა და მომსახურე პერსონალს შორის, რათა მათ შორის დაპირისპირება არ მოხდეს. მაგ., აშშ ფირმამ ჯარიმის სახით საკმაოდ მოზრდილი თანხა გადაიხადა შეკვეთის დროულად შეუსრულებლობისთვის, შედეგად იძულებული გახდა 10000 მომსახურე პერსონალიდან 2000 გაეთავისუფლებინა. ამას მოჰყვა

საპროტესტო აქციები, მაგრამ დაგეგმილი მომსახურე პერსონალი მაინც გაათავისუფლეს.

ჩემის აზრით მომსახურე პერსონალიც დაინტერესებული უნდა იყოს, რომ წარმოება არ გაკოტრდეს, აქ შესაძლებელი იყო შემდეგი გამოსავლის პოვნა: მომსახურე პერსონალი ნებაყოფილობით თავის ხელფასის 15-20% შემცირებას უნდა დათანხმებოდა, ამით შესაძლებელი გახდებოდა შეენარჩუნებინათ არსებული მომსახურე პერსონალი, მითუმეტეს, ეს კრიზისის დროებითი იყოს მაქსიმუმ წელიწადნახევარი. ზოგჯერ სოლიდარობა, მხარის დაჭერა მწარმოებლისთვის საჭიროც არის და აუცილებელიც, როგორც ამას ამერიკელი და ევროპელი მუშებიდან განსხვავებით იაპონელები აკეთებენ. ისინი თუ სამუშაო დღეებში აწყობენ გაფიცვას და პროტესტის ნიშნად არ მუშაობენ, სამაგიეროდ უქმე დღეებში მუშაობით ანაზღაურებენ ფირმისთვის მიყენებულ ზარალს, რადგან მათი მიზანია არა ფირმის გაკოტრება და ზარალის მიყენება, არამედ მცდელობა, რომ ისინი შეამჩნიონ, მათ მაგერიალური და მორალური პირობების გაუმჯობესებაზე იფიქრონ.

ამგვარი დაწვრილებითი და მკითხველისთვის თავმომაბეზრებული ანგარიშის ჩვენება იმიტომაცაა საჭირო, რომ მივხვდეთ, რამდენი წყალქვეშა ქვეები უდევს ყოველ ახალ საქმეს და თეორიულად გაანგარიშებას, რომელსაც ხშირად პრაქტიკის გადამოწმებას საჭიროებს. ხოლო რაც შეეხება ჩვენს მონაცემებს, პირობითია მაგრამ ბიზნესის კეთების პრინციპები დაცულია.

შახეხის რეზულირების სამსახური

ამ სამსახურის უფროსს ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარე, რომლის მოვალეობა, მონოპოლიასთან და ხელოვნურად გაიაფებასთან ბრძოლაა, რათა დიდმა წარმოებებმა, ფირმებმა პაგარა ფირმები, ფერმერები არ გააკოგრონ. სამსახური მოწოდებულია ფირმებს შორის იყოს ჯანსაღი კონკურენცია.

უახეხის სამსახურს ევალება აღვიღებ წარმოებული და შემოგანილი ნაწარმის ხარისხის გაკონტროლება და რამდენად ემთხვევა გამომშვებელი ნაწარმი მის სერტიფიკატს. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნაწარმს, რომელიც საზღვარგარეთ იგზავნება.

სამწუხაროდ დღეს ქართველი კაცი შეიძლება ისე წავიდეს იმ ქვეყნად, რომ ნაღდი „ბორჯომის“ გემო ვერ იგემოს. ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დროს სამი სახის ბორჯომი გამოდიოდა. ერთი სსრ კავშირის მოსახლეობისთვის, რომლის ხარისხი გაცილებით სჯობს დღეს ქარხნული წესით გამოშვებულ ბორჯომს. მეორე ბორჯომი იგზავნებოდა დემოკრატიულ ქვეყნებში, ხოლო საუკეთესო ხარისხის ბორჯომი კაპიტალისტურ ქვეყნებში და მაშინდელი მთავრობის სასაღილოებში. ბორჯომთან დაკავშირებით ასეთი კურიოზსაც მოვიყვან. საფრანგეთს ჰქონდა ბორჯომის მაგვარი წყალი, მათ კი საქართველოდან მიღებული ნახევარ ლიტრიანი „ბორჯომის“ ბოთლები სათითოოდ გახსნეს და თავის მინერალურ წყალს ხარისხის ასამაღლებლად შეურიეს. რის შედეგადაც საფრანგეთის ბაზარზე გარკვეული წლები ბორჯომი არ შეჰქონდათ. დღეს საქმე იქამდე მივიდა, რომ საქვეყნოდ ცნობილ ბრენდს „ბორჯომს“ რეკლამას უკეთებენ, იმდენად დავარდა მისი ხარისხი.

ასეთივე მდგომარეობაშია ქართული ღვინო, კონიაკი, არყის წარმოება ხოლო საუკეთესო ქართული ჩაის გამოშვება საერთოდ შეწყვიტეს და ეს მე ქვეყნის ღალატად მიმაჩნია. ხშირად ჩემი მეგობრები ქ. მოსკოვში როდესაც წვეულება აქვთ, მთხოვენ ვურჩიო რომელი ქართული ღვინო აიღონ. რა უნდა ვურჩიო, როდესაც თავად ბულგარეთის, უნგრეთის და ჩილეს ღვინოებს ვეგანები.

საზღვარგარეთ გასაგზავნი ქართული ბრენდი როგორც ბორჯომი, ქინძმარაული, ხვანჭკარა, რქაწითელი და სხვა როგორც წიგნის ავტორს მიაჩნია, სახელმწიფოს საკუთრება უნდა იყოს და ეს ჩამონათვალი ქვეყანამ ოფიციალურად უნდა გამოაცხადოს და

მიისაკუთროს. ფასების სამსახური სახელმწიფო ბრენდის უკვეთავს მწარმოებელთან შეთანხმებულ ეგიკეტებს და დანომრილს ყიდის მწარმოებელზე. უხარისხო პროდუქციის დამზადების შემთხვევაში, პირველად წარმოება ჯარიმდება 10.000 დოლარით და ნაწარმის გამოსასწორებლად ეძლევა სამი თვე, სამი თვის შემდეგ წარმოება ჯარიმდება ვთქვით 100.000 დოლარით და წარმოების გასაუმჯობესებლად ეძლევა ექვსი თვე, ხოლო ამის შემდეგ თუ უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში იქნა შემჩნეული, საწარმოს ქონება აუქციონზე გაიყიდება ან ჩამოერთმევათ.

დანომრილი ეგიკეტები გაანგარიშებულია ერთ ლიგრიან პროდუქტზე. დავუშვათ, ბორჯომის ერთ ლიგრიანი ბოთლის ეგიკეტი ღირს 50 ცენტი, ხოლო ღვინის ფასი ვთქვათ, 5 დოლარია. რადგანაც ღვინო ისხმება 0,7 მოცულობის ბოთლში, გამოსაღები თანხა ღვინისთვის ეგიკეტის მიკერის ნებართვისთვის ეღირება 3,5 დოლარი. ხოლო ბორჯომისთვის, რომელიც ნახევარლიგრიან ბოთლებში ისხმება, 25 ცენტი.

ფასების სამსახურიც უნდა ეძებდეს გასაღების წერტილებს საზღვარგარეთ. შესაძლებელია საზღვარგარეთ მაღაზიების შეძენა და ამ გზით რეკლამა და რეალიზაცია გაუკეთდეს საქართველოში გამოშვებულ ნაწარმს, რაშიაც ფასების სამსახური მოგების გარკვეულ ნაწილს მიიღებს.

მახსოვს, თევზჭერის ფლოტში მთავარ ტექნოლოგად მუშაობის დროს, ჩემი ახალი ტექნოლოგიით დავიწყეთ, დაბალხარისხოვანი თევზიდან დანაწევრებული სათაღის და მოივას თევზიდან გამდიდრებული ხიზილალას გამოშვება თუნუქის ქილებში. პროდუქცია საკმაოდ წარმატებით საღებოდა, მაგრამ საქმეში ჩაერია იმდროინდელი ფასების კომიტეტი და მოგვთხოვა მათი ნახევარ ფასში რეალიზაცია. ე.ი. პროდუქციის ღირებულებაზე გადაყვანა „მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“, შედეგად ახალმა პროდუქციამ ეკონომიკური მიმზიდველობა დაკარგა და მათი გამოშვება შეწყდა.

ფასების სამსახური ყოველი ახალი წამოწყების და ნაწარმის გამოშვების და რეალიზაციის ინიციატორი უნდა იყოს და არა ხელისშემშლელი.

ფასების სამსახური ყველა გაუთვალისწინებელი მოვლენის, შემთხვევის კურსში უნდა იყოს და მონაწილეობას უნდა იღებდეს

საკითხის გადაწყვეტაში, თუ ის რა მარალს მიაყენებს სახელმწიფოს და ეძებდეს ალტერნატიულ გამოსავალს.

ფასების რეგულირების სამსახური სახელმწიფოს და კერძო მესაკუთრეთა მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე აწესებს საორიენტაციო ფასებს მწარმოებლებთან შეთანხმებით, ყოველთვიურად და აქვეყნებს, რომლის ქვევითაც ისინი რეალიზებული არ უნდა იქნას, გარდა იანვრის თვისა, როდესაც ფასდაკლება ერთი თვის განმავლობაში შესაძლებელია, თუ სავაჭრო ორგანიზაციები ვერ ახდენენ მის რეალიზაციას.

ფასებთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ამბავი, თანამდებობის პირის მეშვეობით, იმ დროინდელ სსრკ ცეკას მდივანს სოფლის-მეურნეობის დარგში მ.გორბაჩოვს შევთავაზებთ, რომ ხორცი გაგვეყიდა თვითღირებულების მიხედვით, რომელიც დაახლოებით 5 მანეთს შეადგენდა ნაცვლად 2 მანეთისა, ხოლო მოხმარების ღირებულებად 300 გრ. ხორცი ავიღეთ. შედეგად ყველა მოქალაქე დამატებით მიიღებდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 9 კგ ხორცის სხვაობას ფას 27 მან. რაც ღოგაციას მოხსნიდა და მოსახლეობა საქონლის მოშენებას მიჰყოფდა ხელს, როგორც მომგებიან საქმიანობას. წამოწყებას თავიდან მ. გორბაჩოვმა მხარი დაუჭირა, მაგრამ როგორც კი ბიუჯეტიდან ხუთი მილიარდი დამატებითი ღოგაცია გამოუყვეს ეს წინადადება დაიწვეს მიეცა. საერთოდ საბჭოთა კავშირში ბევრი რამ უკულმა კეთდებოდა მოსახლეობაზე ზრუნვის მომიზნებით, რაც იაფი საწარმოებელი იყო მაგ. ქათმის ხორცი ძვირი ღირდა, ხოლო ის, რაც ძვირი უნდა ყოფილიყო, მაგ. თევზი, ყველაზე იაფი. შედეგად გაუმართლებელი სახელმწიფო ღოგაციები სოფლის მეურნეობაში, რომლის ფეხზე დაყენებას საშველი არ დაადგა. საბჭოთა კავშირი უფრო ეკონომიკურმა კრიზისმა დაშალა, ვიდრე პოლიტიკურმა, რადგან ოჯახში თუ ყველაფერი სამყოფია, ყველა გაგრუნულია, თუ შემოაკლდებათ, ყველა დამნაშავეს ძებნაშია.

და ბოლოს, შენიშვნის სახით მინდა განვაცხადო: გაცეხებას იწვევს ჩემში ქათმის გრიპის მიმართ ჩაგარებული ისტერია და ბარბაროსული და უგნური ღონისძიებები მთელ მსოფლიოში. ქათმის გრიპი 55° გემპერაგურაზე იღუპება, არ სჯობს ეს ძალად დახოცილი ფრინველი თერმულად 120° დავამუშაოთ და ცხოველების საკვებად გამოვიყენოთ, რაღა მიწაში ვფლავთ და ვირუსს ინკუბაციის საშუალებას ვაძლევთ? ამასთან, ქათმის გრიპი ჩემის აზრით იგივე ქათმის ჭირის ნაირსახეობაა და ასე უაზროდ მათი განადგურება უვიცობასთან, უმეცრებასთან ერთად მარალიცაა.

ბანათლების სამინისტრო

ტექნიკური პროგრესი წინ მიიწევს, მაგრამ საყოველთაო განათლება ქვეყნის კომპიუტერიზაციის მიუხედავად მას მაინც ვერ ეწევა. დღეს სასურველია სკოლებში სასწავლო პროგრამას დაეუმაგოთ შემდეგი საგნები: ქვეყნის ისტორიის ანალიზი, რომელშიც ცალკე თავად შევა საკუთარი ქალაქის, ოლქის, რაიონის ისტორია, ქვეყნის კონსტიტუცია, სისხლის და სამოქალაქო სამართლის მოკლე კურსი, მუსიკა, ქორეოგრაფია, ცურვა, ხელოვნების და რელიგიათა ისტორია, ორაგორობის ხელოვნება, სექსოლოგია და პროფილაქტიკა, – (მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ბავშვი ამ საქმეში უფრო მეტადაა ინფორმირებული, ვიდრე მისი მშობლები.) თავდაცვის ხელოვნება, ავტომანქანის და გრაქტორის მართვა. სასურველია გოგონებს და ვაჟებსაც ვასწავლოთ მოხდენილი სიარული, ჩაცმა, სწორად ჯდომა, ღიმილის ხელოვნება და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საგნები და საკითხები ახალგაზრდამ სკოლაში სწავლის პერიოდში უნდა აითვისოს, რადგან შემდგომ ამისათვის არც დრო დარჩება და მათი ათვისებაც ფასიანი გახდება.

დღეს სკოლებს უნდა ჰქონდეთ სასკოლო შენობების გარდა: სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, სასტუმრო. დღეს მოსწავლეები სკოლაში უნდა იმყოფებოდნენ დილის 9 საათიდან საღამოს 19 საათამდე სადაც ისინი სექციებში მეცადინეობის გარდა გაკვეთილებსაც უნდა ამზადებდნენ. მომიზეზება, რომ ისინი ბავშვები არიან და ამ დატვირთვას ვერ გაუძლებენ, მცდარია, რადგან მათი დაუცხრომელი ენერჯია და შემართება ამის საბაზს არ იძლევა. ამასთან, სკოლაში ყოფნის პერიოდში ბავშვებს სადილიც უნდა ვაჭამოთ და სამხარიც და დასვენების დროც გამოვუყოთ, განსაკუთრებით უფროსკლასელებს, უყურადღებობის გამო ხელი არ წაუცდებათ ნარკოტიკებისა და სიგარეტისაკენ.

ბავშვები სკოლიდანვე უნდა მივაჩვიოთ შრომას. ისინი იმორიგევენ და მლაგებლებად, ოფიციაზგებად, მზარეულის დამხმარეებად, უნდა ვასწავლოთ ავტომანქანის მართვა, მენეჯერობა, ბიზნესის საწყისები, საზოგადოებასთან ურთიერთობის ანბანი. განათლება უნდა იყოს დემოკრატიული, ამიგომაც მოსწავლის მეორე წლით დაგოვება არ შეიძლება. ის გადაჰყავთ

შემდეგ კლასში, ხოლო სკოლის დამთავრებისას უნდა ჩააბაროს ის საგნები, სადაც არაღამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სიმწიფის აგესტაგის ნაცვლად მიიღებს „მოისმინა“-ს. მოსწავლე, რომელიც ხულიგნობს, არ სწავლობს, ვაკეუთილებს აცდენს, სკოლის წარდგინებით გადაყვანილი უნდა იყოს სადღეღამისო ინტერნატში, ან სპეციალურ სასწავლებელში.

ყველა მოსწავლე უნდა აგარებდეს სკოლის ფორმას, ხოლო უფროსკლასელთა ფორმა უნდა განსხვავდებოდეს უმცროსკლასელებისაგან და ის უფრო სოლიდურად უნდა გამოიყურებოდეს. სკოლის ფორმის ტარება მოგს შეიძლება დემოკრატიულობის ხელყოფად მოეჩვენოს, მაგრამ ფორმის ერთნაირი ტანსაცმელი აწესრიგებს და პატივისცემას უნერგავს მოსწავლეებს თავისი სკოლის მიმართ. გოგონებსა და ვაკეებს თავიანთი სამოქალაქო ტანსაცმლით თავის მოწონება შეუძლიათ კარნავალებზე, ექსკურსიებზე, კოლექტიურად თეატრში მსვლელობის დროს.

სკოლაში სასურველია იყოს სასტუმრო იმ მოსწავლეთათვის, ვისი მშობლებიც მივლინებაში მიდიან და იძულებულნი არიან შვილები საცხოვრებელ ბინაში მარტო დატოვონ. სასტუმროში შეიძლება ის მოსწავლეებიც დარჩნენ, ვისი მშობლებიც არაკეთილსაიმედონი არიან.

სასურველია აღდგეს პიონერული ორგანიზაციის მსგავსი 9-13 წლის ბავშვებისათვის და სკოლას დაემატოს ამ ასაკისთვის განკუთვნილი ორგანიზატორ-ხელმძღვანელის შტატი, რომლის ასაკი უნდა მერყეობდეს 18-დან 24 წლამდე, რადგან ეს ასაკი უფრო უკეთ უგებს უმცროსი ასაკის მოსწავლეებს.

14 წლის ასაკიდან ყველა მოსწავლეს ბანკში ეხსნება ანგარიში და ენიჭება სამუდამო მეანაბრის ნომერი. ამ ასაკის მოსწავლეებს უკვე უნდა შესწევდეს უნარი ფული ყაირათიანად ხარჯოს, თავის შეხედულებისამებრ. ამ ანგარიშიდან მოსწავლემ უნდა გადაიხადოს თავის გართობის, ფორმის ტანსაცმლის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ფული.

სკოლაში სწავლის ვადა უნდა განისაზღვროს 11,5 წლით, 1 სექტემბრიდან 1 ივნისამდე, ხოლო ბოლო სწავლების წელი იქნება 1 სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე. ამ თვეებში ხდება დარჩენილი საგნების ჩაბარება, საჭირო საგნების გამეორება, საერთო სერტიფიცირებული გამოცდებით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა. ნიშნების გადაბარება. 15 იანვრიდან 15 თებერვლამდე

მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებლებში შეუძლიათ განაგრძონ სწავლა. პირველი მარგიდან სექტემბრის ბოლომდე მოხდება ვაკეების პირველი გაწვევა ჯარში ექვსი თვით, ხოლო გოგონები და სავალდებულო სამსახურისთვის დაწუნებული ვაკეები ამ დროს იმუშავენ საავადმყოფოებში სანიტრებად, პენსიონერთა მომვლელებად. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ სკოლის დამთავრების მოწმობა ხელზე.

ყველა უმაღლესი სასწავლებელი უნდა იყოს ფასიანი და ყველა სტუდენტი უნდა იღებდეს სახელმწიფო სტიპენდიას. სწავლა უმაღლეს სასწავლებელში შეიძლება 10% კრედიტით. უმაღლეს-დამთავრებულები ფულის გადახდას იწყებენ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ ან 25 წლის ასაკიდან, ხოლო ის სტუდენტი, რომელიც გარიცხება ინსტიტუტიდან, ის ფულს გადაიხდის გარიცხვიდან ერთი თვის შემდეგ, ხოლო ვინც კურსზე დარჩება, მან ეს თანხა თავისი შრომით ან მშობლების დახმარებით უნდა დაფაროს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ უმაღლესი სასწავლებლის უფასო განათლების, რადგან დროულად უნდა ვასწავლოთ მოქალაქეებს ვალის დაბრუნება, ამით მათ გავაბეჯითებთ, უფრო შრომისუნარიანებს და მიზანსწრაფულებს გაეხდით.

ქვემოთ მინდა შევეხო განათლების სამინისტროს ეკონომიკურ მხარეს, რომელსაც თავისი ბანკი გააჩნია. განათლების სამინისტროს ყველაზე უკეთ შეუძლია თანხების მოზიდვა თავისი ყოფილი მოსწავლეების, სტუდენტებისაგან თუ მათ უფლებას მივცემთ თავიანთი სახელობითი სტიპენდიები დაუნიშნონ მოსწავლეებს, სტუდენტებს, ასპირანტებს, „საყვარელ“ მასწავლებლებს, ლექტორებს, ხოლო იმ ინსტიტუტის, სკოლის რეგიონი მაღლა აიწევს, ვისაც ამ სახის მეცენატი მეტი ეყოლება. მე ეს შემდეგნაირად წარმომიდგენია: ყველა ინსტიტუტში, სკოლაში უნდა გაიხსნას სტენდი, კუთხე იმ კეთილისმდომთა, რომლებმაც ფული გაიღეს, ამასთან, მათი წახალისების მიზნით, მათთვის წელიწადში ერთხელ უნდა ეწყობოდეს ფორუმები, სადაც ისინი განათლების მინისტრთან ერთად შეხვდებიან ქვეყნის პრეზიდენტს, საქმიან და საჭირო ხალხს.

სახელობითი დახმარების აუცილებლობის შეცნობას თავად ცხოვრება გვკარნახობს, რადგან შვილებს, ახლობლებს, თუ დიდ სიმდიდრეს დაუგოვებთ, ფუფუნებაში ცხოვრებას მოინდომებენ, ერთმანეთს წაეკიდებიან, საყვედურებით აგიკლებენ და სახელიც-

ხსოვნაც დავიწყებას მიეცემა, ხოლო სახელობითი სტიპენდიის, პრემიის, ჯილდოს დაწესება, თქვენს სახელს სამუდამოდ უკვდავყოფს და თქვენი შთამომავლობაც თავს მოიწონებს. ამიგომ უპირველესად შენიანებს ქონებად განათლება უნდა მისცე და ცხოვრებისთვის სამყოფი თანხა.

სპონსორსა და სპონსორთა ჯგუფს განათლების ბანკში შეაქვს მინიმუმ 100000 ლოლარი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული დასაბეგრი სისტემით სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდება ამ თანხის 10%, ხოლო დანჩენილი 90000 ლოლარი დაიდება განათლების სამინისტროსთან არსებულ ბანკში, ხელუხლებელ მუდმივ დეპოზიტზე და ყოველწლიურად დაერიცხება ძირითად თანხას საშუალოდ 10%, რაც წლის ბოლოს მოგვეცემს 99000 ლოლარს, სადაც ბანკის მიერ დარიცხული თანხა იქნება 9000 ლოლარი, საიდანაც უნდა მოხდეს სტიპენდიის გაცემა და სხვადასხვა საბანკო ოპერაციების ჩატარება. 9000 ღორარიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება 10% ე.ი. 900 ლოლარი, დარჩენილი 81000 თანხიდან განათლების სამინისტროს ჩაერიცხება 10% ე.ი. 810 ლოლარი, დარჩება 7290 ამ თანხიდან 10% გადაირიცხება ლაგარიის გასათამაშებელ და საპრემიო ფონდში ე.ი. 729 ლოლარი. დარჩება 6461 ლოლარი. ამ თანხიდან 1461 ლოლარი, წლიური სტიპენდიის სახით დაენიშნება სტუდენტს, მოსწავლეს ხოლო დარჩენილი 5000 ლოლარი ჩაირიცხება სახელობით სტიპენდიის სტაბილიზაციის ფონდში დეპოზიტზე, სპონსორს შეუძლია პირველი სტიპენდია თავისი შეხედულებამებრ, შვილს, შვილიშვილს დაუნიშნოს, ან თავის თავს, სანამდე ცოცხალია, ხოლო ამის შემდგომ სახელობით სტიპენდიებს სკოლებში მერვე კლასიდან, ხოლო უმაღლესი სასწავლებლებში მეორე კურსიდან ნიშნავს პედაგოგ-მოსწავლეთა და პროფესორ-სტუდენტთა გაერთიანებული საბჭო, სტუდენტი სახელმწიფო სტიპენდიასთან ერთად მიიღებს სახელობით სტიპენდიას, რომელიც სრულად საკმარისი იქნება სწავლის ფულის დასაფარავად. ამასთან სახელობითი სტიპენდია ჩვენს მიერ შემოთავაზებული სისტემის შედეგად ყოველწლიურად იმრდება, რაც გამოწვეულია ძირითადად, ხელუხლებელი ფონდის ყოველწლიური მაგების შედეგად. ამ ფონდზე გავლენას ვერ ახდენს ფულის დევალაცია, ინფლაცია, რადგან ფონდის გარკვეული თანხა გადაგვყავს მყარ ვალუტაში, ოქროს მონეტებში, უძრავ ქონებაში. სახელობითი სტიპენდიის მქონეს ეძლევა 5 გრამიანი დანომრილი ოქროს ნიშანი სპონსორის

სახის გამოხატულებით. წელიწადში ერთხელ ამ დანომრილი ნიმუშების მქონეთათვის გაიმართება ლაგარეა, ამით სახელობით სტიპენდიას იმიჯი მოემსახება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში და შემდგომ თქვენი შთამომავლობისთვის სამახსოვრო მომგებიან ნივთად, ანაბრად იქცევა.

განათლების სამინისტრომ უნდა დააწესოს პრემია წლის საუკეთესო მოსწავლისათვის. საუკეთესო მოსწავლე მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ლიტერატურაში, სპორტში. ანალოგიური პრემიები უნდა დაწესდეს სტუდენტებისათვის ეკონომიკაში, გეოლოგიაში, მანქანათმშენებლობაში და ასე შემდეგ, შეიძლება აგრეთვე საუკეთესო ორგანიზატორი, საუკეთესო კლასის დამრიგებელი და მრავალი სხვა. ლაგარეაში შეიძლება გათამაშდეს სწავლის ფულის დასაფარავი თანხა 100% და 50% ჩათვლით.

უმაღლეს სასწავლებელში სწავლება უნდა იყოს 6 წელი, სადაც სწავლების ბოლო 2 წელი მოხმარდება პრაქტიკულ მუშაობა-სწავლებას. გარდა ამისა, სტუდენტმა 6 თვე თავის სპეციალობით უნდა იმუშაოს და ის იმ დაწესებულებაში, ფირმაში უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გაგზავნოს თუ ასეთი სპეციალობის დაწესებულება ან მისგვარი არ არსებობს ქვეყანაში, ინსტიტუტს ამ ფაკულტეტზე სწავლის უფლების ლიცენზია შეუწყდება.

ინსტიტუტში სტუდენტი ვალდებულია დაეუფლოს ერთერთ უცხო ენას, ხოლო მესამე და მეოთხე კურსის არდადეგებზე უნდა გაიგზავნოს უცხოეთში ამ ენის პრაქტიკულად ასათვისებლად. ეს საკითხი სტუდენტთა ურთიერთგაცვლის ინსტიტუტებს წინასწარ მოგვარებული უნდა ჰქონდეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, სასწავლებლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო გამოცდამე კომისიის თავმჯდომარეებად მოწვეული უნდა იქნან ცნობილი ფირმების წარმომადგენლები, რათა მათ სათანადოდ შეაფასონ ინსტიტუტის მუშაობა. ხოლო მისი მუშაობის შეფასების ხარისხი ის იქნება, რამდენ ინსტიტუტ-დამთავრებულს შესთავაზებენ სამუშაო ადგილს.

განათლების სამინისტროს უნდა დაევალოს ბავშვების გაშვილება, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურთან ერთად. ხოლო ის ოჯახი, რომელსაც ჰყავს ან აიყვანს 10 შვილს, უნდა მიეცეს დავუშვით, თითო ბავშვზე 100 დოლარი, აუშენდეს საცხოვრებელი სახლი არანაკლებ ორი სართულისა და საერთო ფართი 200 მ². მიეცეს მიწის ნაკვეთი არანაკლები 1 ჰექტრისა, ხოლო 10 ბავშვის

ბემოთ თუ იშვილებს, კიდეც თითო ბავშვზე მიეცეს 150 დოლარი. ამგვარი ოჯახის დედას 45 წლიდან ეძლევა ხელფასთან ერთად პენსიაც. ბავშვების მდგომარეობას კონგროლს უწევს განათლების სამინისტროსთან შექმნილი უპაგრონო ბავშვების და მრავალშვილიან დედათა სამსახური. ეს სამსახური მოწოდებულია პროპაგანდა გაუწიოს ჯანმრთელი ყოფის მქონე ოჯახებს, აიყვანონ ბავშვები აღსაზრდელად. სახელმწიფოს ამ სახით ბავშვების შენახვა უფრო იაფი დაუჯდება. ოჯახი ვალდებულია ნაშვილები ბავშვები 18 წლამდე აღზარდოს, უპაგრონოს ისე, რომ მათ კანონდარღვევა არ ჩაიდინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხელფასის გადახდა ამ ბავშვზე შეუწყდებათ და დადგება საკითხი ბავშვის საბავშვო სახლში დაბრუნების თაობაზე.

დიდი ოჯახებისათვის შეიძლება დაინიშნოს სახელობითი სტიპენდიები ხუთი წლის განმავლობაში. სტიპენდიების დანიშვნას ადგილობრივი სამსახურების წარდგენით წყვეტს სამინისტროს ხელმძღვანელობა ან თავად მეცენატი, თუ ის ამ დროისათვის ცოცხალია. საქმისადმი ამგვარი მიდგომა გამოათავისუფლებს საბავშვო სახლებს და უფრო შედეგიანს გახდის ოჯახური საბავშვო სახლების მუშაობას და ბავშვებსაც მეტი სითბო და სიახლოვე ექნებათ ახლად შექმნილი მშობლების მიმართ.

რუსეთის ერთ-ერთ სოფელში სკოლის დაკეცვის საკითხი დადგა, რადგან ბავშვების რაოდენობა არ აღმოჩნდა საკმარისი სასწავლო ჯგუფის შესაქმნელად. სკოლის დახურვის შემთხვევაში 16 მასწავლებელი უმუშევარი რჩებოდა. მოილაპარაკეს მასწავლებლებმა და ყველამ უპაგრონო ბავშვთა სახლებიდან ბავშვები აიყვანეს. ხოლო სკოლა დახურვას გადაურჩა, ხელფასის გარდა თითოეულ აყვანილ ბავშვზე დამატებით თანხები დაენიშნათ, შედეგად ამ მოხერხებული ეშმაკობით, ყველა კმაყოფილი დარჩა, სახელმწიფომ გააშვილა, ბავშვებმა მშობლები იშოვეს, ხოლო მშობლებმა შვილები და ზოგმა შვილიშვილი, რადგან ზოგი ასაკოვანი იყო.

ასე რომ, იქ, სადაც გონიერება ბატონობს, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ოღონდ კომპრომისზე წასვლაა საჭირო. ფაქტიურად სკოლა ბავშვებისთვის მეორე ოჯახია და როგორ უზრუნველყოფთ მის ყოფას, აღზრდას, საზოგადოებას იმგვარ ბიუჯეტის შემვსებელს მიიღებს.

ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ სწავლების და ყოფის პოსტუ-

ლაგები, რომელიც დღევანდელი მენგალიგეგისთვის მიუღებელია:

1. სასურველია განათლების სამინისტროს ზედამხედველობით გაიხსნას „ენების სახლები“ სადაც 15-16 წლის ვაჟებს ორი კვირით მიავლენენ, სექსში პრაქტიკულ სწავლებაზე და მდებრთან ურთიერთობის დასამუღამებლად. რადგან 50% მეგი ოჯახის დანგრევის მიზეზი ფაქტიურად სექსუალური უცოდინრობა, შეუთავსებლობაა. ამ პრაქტიკის ხარჯები მოსწავლეებს დაეკისრებათ როდესაც ისინი სრულწლოვნები გახდებიან.

2. 15-16 წლის ასაკიდან მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ზოგიერთი კვების პროდუქტების დაგემოვნება, განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ალკოჰოლურ სასმელს: არაყს, კონიაკს, შამპანურს, მშრალ და სადესერტო ღვინოებს, ლუღს, ლიქიორს, ამასთან უნდა ვასწავლოთ თამადობა – სუფრის გაზლოლა, რადგან თამადობა განათლების, მშჰერმეცყველების და ორგანიზატორულ ნიჭს მოითხოვს.

3. ყველა ბავშვს 6 წლის ასაკიდან უნდა ჰქონდეს საათის ფორმის მობილური გელეფონი მუღმივი საგელეფონო ნომრით. აღნიშნული გელეფონი იკვებება ხელის სითბოდან გამოყოფილი ენერგიით და არასოდეს არ ითიშება შემავალი ნომერი.

4. არასრულწლოვანთა დაქორწინების შემთხვევაში, მათზე ოფიციალურად მეურვეობას იღებენ მშობლები ან სახელმწიფო.

5. ნათელ-მირონობის ინსტიტუტის გასაძლიერებლად ობლად დარჩენილი ბავშვის შვილებაზე, მეურვეობაზე პირველ რიგში სისხლის ნათესავებთან ერთად შეუძლია ნათლიამაც განაცხადოს.

6. უპატრონო ბავშვებს 18 წლის ასაკიდან ეძლევათ საცხოვრებელი ბინა, რომლის გასხვისება, გადაცვლის უფლება მათ არ აქვთ. ასეთ ბავშვებზე 24 წლამდე ზედამხედველობას ახორციელებს უბნის პოლიციელი.

7. გადაწყვეტილების შესაბამისად, თუ სასამართლომ ერთ-ერთ მშობელს ალიმენტის გადახდა დააკისრა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიდან თავად უხდის მოჭრილ თანხას, ვთქვათ, 300 დოლარს სულზე, ქვეყანაში დაღვნილი საცხოვრებელი მინიმუმის ორჯერ-სამჯერ მეგს, ხოლო ალიმენტის გადამხდელიდან სახელმწიფო თანხის ამოღებას სახელმწიფო კანონის შესაბამისად ახდენს. ერთ ბავშვზე ხელფასის 25% ორ ბავშვზე 35% სამ და მეგ ბავშვზე 50%. ხოლო თუ ორივე მშობელს ჩამორთმე-

ული აქეთ მშობლის უფლება, მაშინ ორივე მშობელი იხდის ალი-
მენგს კანონის შესაბამისად.

ჩემი აზრით, სწავლების უმთავრესი საგანი, ფუნქცია იდეო-
ლოგიაა, პატრიოტული აღზრდა, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტია,
ქვეყნის კონსტიტუციის და კანონების ცოდნაა, შემდგომ მოდის
საგნების სწავლება, ნიჭის წარმოჩენა და მისი შემდგომი გან-
ვითარება.

ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ, როგორ შეუძლია განათლების
სამინისტროს გადავიდეს შეუფერხებელ დაფინანსებაზე და ეს სრუ-
ლიად შესაძლებელია 10-15 წლის განმავლობაში, თუ სახელმწიფოს
არ ექნება სურვილი მისი დამატებით დაფინანსების.

დავუშვათ, განათლების სამინისტროს შესანახად სახელმწიფო
გამოჰყოფს ერთ მილიარდ ლოლარს, აქედან 60%, ე.ი. 600 მილიონი
ლოლარი ხმარდება 18 წლის ასაკამდე ახალგაზრდებს, რომელთა-
თვისაც განათლება უფასოა, ხოლო დანარჩენ 40%-ს, ე.ი. 400
მილიონს სტუდენტებს, რომლებიც ვალდებული არიან 6 წლის
შემდგომ გადაიხადონ მათზე გაწეული სწავლების დანახარჯები.
დავუშვათ, ყოველწლიურად უმაღლესი სასწავლებლები იღებენ
40 000 სტუდენტს, თითოეულის ყოველწლიური სწავლება ქვეყანას
უჯდება 3000 ლოლარი, 6 წლის შემდგომ უმაღლესდამთავრებულები
დაიწყებენ სწავლის დანახარჯების დაბრუნებას (ზოგს კიდევ
უფრო ადრე, ზოგი სახელობითი სტიპენდიით დაფარავს, ზოგსაც
მშობლები გადაუხდიან) მთლიანი სწავლების თანხა საბანკო
დარიცხვებით ვთქვათ 25000 ლოლარია. აქედან 2500 უმაღლეს-
დამთავრებულმა ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს. ჩვენი
რეალური გაანგარიშებით 15 წელიწადში განათლების სამინის-
ტრო თვითდაფინანსებაზე შესაძლებელია გადავიდეს, რადგან ამ
დროისთვის მისი ბიუჯეტი 4 მილიარდ ლოლარს მიაღწევს.

განათლების სამინისტრომ, სკოლებმა, უმაღლესმა სასწავ-
ლებლებმა უნდა მოიზიდონ ადამიანები, რომლებიც თანახმა
იქნებიან თავიანთი სახელობითი სტიპენდია დანიშნონ. ასევე ყუ-
რადლება უნდა გაამახვილონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებზე,
სადაც გამორჩეული სტუდენტები და ასპირანტები იქნებიან და-
საქმებულნი. რადგან თითქმის ყველა დიდი აღმოჩენა ახალ-
გაზრდულ ასაკში ხდება, შეიძლება სასწავლებლად უცხოელი
სტუდენტების მოზიდვა, სტუდენტების დასაქმება მაფხულის
არდადეგების პერიოდში და სხვა, რაც განათლების სამინისტროს

და მის ბანკს დამატებით სხვადასხვა თანხების მოზიდვის საშუალებას მისცემს.

მახსოვს, მოსკოვში, ასპირანტურაში ყოფნის დროს, ერთმა ჩვენმა ასპირანტმა ცოლის მოყვანა გადაწყვიტა, როგორც ყოველთვის, ფული საკმარისი არ აღმოაჩნდა და შემოგვთავაზა, რკინიგზის სატვირთო სადგურში ცემენტის გომრების ვაგონებიდან დაცლა. რადგან დაქორწინება რუსებისთვის როგორც იცყვიან, „სვიატოი“ საქმეა, მის გარდა სამმა ასპირანტმაც მივიღეთ მონაწილეობა, ვაგონის დაცლაში. თითო ვაგონის დაცლა 60 მანეთი ღირდა. სამი დღე ვიმუშავეთ და 8 ვაგონი დავცალეთ, შემდგომ ალლო ავუღეთ, ვაგონის სწრაფად დაცლას და რკინიგზის ხელმძღვანელობასთან შუამავლობას, რომ ისინი არ დაეჯარიმებინათ ვაგონის მოცდენაზე, 480 მანეთის ნაცვლად 800 მანეთი ავიღეთ და იმ ასპირანტის ქორწილშიც გემრიელად მოვუღებინეთ. მითუმეგეს სპორტსმენისათვის დიდებული ვარჯიშია 50 კგ ცემენტის გომრებით ზურგზემოკიდებული სირბილი.

სოფლის მეურნეობის და ბალამუშავეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობა ყოველთვის „აქილევსის ქუსლი“ იყო საბჭოთა მთავრობისათვის, მიუხედავად მისი უხვად დოკირებისა, რადგან მის პოლიტიკას აკლდა ეკონომიკის მთავარი ჭანჭიკი, კერძო მესაკუთრეობა, რომელიც იმდროინდელი წყობისთვის მიუღებელი იყო. ბევრი რამ იყო მოუფიქრებელი მეურნეობის წარმოებისას: არ ხდებოდა წინა წლებში ეკონომიის შედეგად დაზოგილი თანხების, საწვავის ლიმიტის მომდევნო წელში გადმოტანა, შედეგად ყველაფერი მოსწრებაზე იყო და რესურსების უყაირათო გამოყენება ხდებოდა.

ჩემი ქ. ასტრახანის ოლქში ერთ-ერთ თანამდებობაზე მუშაობის დროს გავიგე, რომ მეურნეობის მთავარი ინჟინერი შესვენებაზე სახლში 750 ცხენისძალიანი ტრაქტორით დაბრძანდებოდა. ჩემს საყვედურზე მთავარმა ინჟინერმა მიპასუხა, თუ საწვავს წელს არ გამოვიყენებთ, შემდეგ წელს საწვავსაც შეგვიძინებენ და ახალ ტექნიკასაც არ მოგვცემენო, გამოვიდა, რომ მთავარი ინჟინერი მეურნეობის „კეთილდღეობაზე ზრუნავდა“.

სოფლის მეურნეობაში და მისი ნელეულის რაციონალურად გადამუშავებაში ასე თუ ისე ვერკვევი, ამიტომაც მიინდა შემოგთავაზოთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად გამართლებული ჩემი ზოგიერთი მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობა მომგებიანი იყოს, შემცირდეს პირადი დაინტერესების და პასუხისმგებლობის აკიდების ხარჯზე სოფლად ღოთობა, უსაქმურობა, სიღარიბე, რომელიც დღევანდელ სოფლებში სუფევს. განსაკუთრებით ისეთ უმდიდრეს ქვეყანაში, როგორც რუსეთია, ასეთი დიდი ტერიტორიის პაგრონი დღეს ხორცს, რძეს, თევზს, საზღვარგარეთ იძენს, როდესაც კვების პროდუქტები თვითონ უნდა გაჰქონდეს.

დღეს რუსეთში ოფიციალური მონაცემებით 45 მილიონი ჰექტარი სახნავ-სათესი გამოუყენებელია. არ მუშავდება, არ იხვნება, რადგან აქ მცხოვრები ხალხის ყოფას სახელმწიფომ ორგანიზაცია ვერ გაუკეთა და ყოველივე „ბაზარს მიანდო“, და თავისი ხალხის მენტალიტეტი არ ვაითვალისწინა, რომ მათ „გონიერი დაძალების“ გარეშე საქმის კეთება უჭირთ. დღეს ეგრეთწოდებულ ფერმერს თავისი სამყოფი კარგოფილი მოჰყავს, რძის პროდუქტებს ასე თუ ისე თავისი სამყოფს შოულობს, ხოლო მცირე პენსია პურის და

არყის საყიდლად ყოფნის. ეს მდგომარეობა რომ გამოსწორდეს, ამ ხალხიდან სოლიდური ფერმერები ჩამოვყალიბოთ და ზოგი მათგანი მილიონერი გაგხადოთ, ამისთვის საჭიროა, სახელმწიფოს ნება და არა ყველა „ძაღლის დემოკრატიამზე ჩამოკიდება“.

რადგან ეს წიგნი ძირითადად საქართველოს და რუსეთის მოსახლეობის პოლიტიკაზეა გათვლილი, მინდა ამ ორი ქვეყნის მაგალითზე შემოგთავაზოთ პერსპექტიული გაანგარიშება, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ძალისხმევით შედეგს მოგვცემს.

დღეს რუსეთის გერიტორიაზე არსებული 45 მილიონი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა უნდა დავყოთ 2500 ჰექტრიან ფერმერულ მეურნეობებად, რომელიც 5 ოჯახის მფლობელობაში გადადის. სულ რუსეთში მივიღებთ მარცვლეულის მწარმოებელ 18000 ფერმერულ მეურნეობას, რომელთა მოწეული მოსავალი რუსეთს მისცემს საშუალებას საკმარისზე მეტი რძის და ხორცის ნაწარმი, ხოლო გარკვეული ნაწილის ექსპორტი აწარმოოს.

ამ ღონისძიების ჩასატარებლად პირველ რიგში საჭიროა ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნება. უნდა გამოცხადდეს კონკურსი ამ სასოფლო-სამეურნეო ფერმერის ადგილის დასაკავებლად, ჩატარდეს მოსამზადებელი კურსები, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს „მასმედიაში“, ხოლო სახელმწიფომ უნდა გამოყოს ყოველწლიურად თითოეული ფერმერული მეურნეობისთვის 1 მილიონი დოლარი 10%-იანი კრედიტი სამი წლის განმავლობაში, სანამდე ფერმერული მეურნეობა საბოლოოდ ფეხზე დადგება.

ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ ერთი 2500 ჰექტრიანი ფერმერული მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობია ანალიზი. ვთქვათ, ფერმერულმა მეურნეობამ პირველ წელს აიღო 1 მილიონი დოლარის კრედიტი. კენჭის ყრის შედეგად ერთ-ერთ ფერმერს აუშენეს სამსართულიანი სახლი, სადაც დროებით სხვა ფერმერებიც იცხოვრებენ, შეიძინეს სახნაფსათესი მოწყობილობა, გრაქტორები, კომბაინები, საგვირთო ავტომანქანები. პირველ წელს ფერმერებმა 1 ჰექტარ ფართობზე მოიწიეს 2000 კგ. მარცვლეული. ე.ი. 5000 ტონა, რომელიც ჩააბარეს ან გაყიდეს ტონა 300 დოლარად და მიღებულმა საერთო შემოსავალმა შეადგინა მილიონნახევარი დოლარი. აქედან 10% სახელმწიფო ბიუჯეტს გადაუხადეს 150000 დოლარი, გადაიხადეს მიწის არენდა 1 ჰა 100 დოლარი ე.ი. 250000 დოლარი, ამას დაემატება საწვავის, ამორტიზაციის, დამხმარე

მუშახელის და სხვა გაუთვალისწინებელი და გათვალისწინებულ ხარჯები ვთქვათ, 300000 დოლარი და სუფთა მოგების სახით დარჩათ 850000 დოლარი. აქედან დაიფარება ბანკის ვალის 50% 55000 დოლარი და ხელზე დარჩებათ ხუთ ფერმერს 300000 დოლარი და ბანკის ვალი შემდგომ წლისთვის თავის 10% დარიცხვით 605000 დოლარი. მომდევნო წლისთვის ფერმერული მეურნეობა კვლავ იღებს ბანკიდან ვალად 1 მლნ დოლარს და იძენს კვერცხმდებელ ქათმების ფერმას, ინკუბატორს, აშენებს მელორეობის მინი კომპლექსს 500 დედალორისთვის, იძენს 100 მეწველ ძროხას და აშენებს მათთვის თანამედროვე ფერმას, იძენს ყველის და ხორცის გადასამუშავებელ მინი საწარმოებს. მეორე წლის შემოსავლები ღვეტოვით უცვლელად, რადგან სიახლის დანერგვას ყოველთვის თავის სიძნელეები და დამატებითი ხარჯები ახლავს. მეორე წელს ბანკის ვალი შეადგენს 1750000 დოლარს რომლისგანაც კვლავ დაიფარება 550000 დოლარი და ბანკის ვალი მომდევნო წლისთვის იქნება თავის პროცენტული დარიცხვით 1320000 დოლარი.

მესამე წელს კვლავ იღებენ ერთმილიონიან კრედიტს და ხარჯავენ იმგვარად, რომ ფერმერთა მეურნეობის თითოეულ წევრს ჰყავდეს საკუთრივ 100 მეწველი ძროხა, 1000 სასუქი ღორის კომპლექსი და 10000 ფრთა ქათმის გამოსაყვანი საწარმო, მას დაემატება ცილოვანი ნარჩენების გადასამუშავებელი საამქრო და სხვა საჭირო სათავსები. ამჯერად ფერმერთა მეურნეობის შემოსავალმა მოიმატა და გახდა 1700000 დოლარი, მაგრამ მოიმატა ხარჯებმაც და გადასახადმაც და მათ ხელზე დარჩათ მოგების სახით 900000 დოლარი და ბანკის საერთო ვალი სამი წლის განმავლობაში 2420000 დოლარი აქედან დაიფარება ვთქვათ 420000 დოლარი და მომდევნო წლისთვის ბანკის ვალი შეადგენს 2200000 დოლარს.

მეოთხე წელს ისევ კენჭის ყრით ორი ფერმერისთვის შენდება საცხოვრებელი სახლები, აშენდება მაღაზია, რესტორანი, ოლქის ცენტრალურ მაგისტრალზე, რათა მოახდინონ თავიანთი ნაწარმის რეალიზაცია შედარებით იაფ ფასებში ბითუმად. მეოთხე წელს მათი შემოსავალი გაიზარდა ვთქვათ 1800000 და სუფთა მოგება დარჩა 1 მილიონი დოლარი, საიდანაც ისინი ბანკის ვალს დაფარავენ 700000 ოდენობით და რჩება შემდეგი წლისთვის მილიონ ნახევარი დოლარი 10% საკრედიტო ე.ი. 1650000 დოლარი. მეხუთე წელს მათ შემოსავალი 2 მილიონ დოლარამდე იზრდება

და ფარავენ ბანკის ვალის ნახევარს, ხოლო მეექვსე წელს ბანკის ვალი მთლიანად იფარება და მეურნეობაც ბიზნესუნარიანია. ამასთან ყველა ფერმერს თავის საცხოვრებელი სახლი აქვს. შემდგომ მათი მიზანია გამოისყიდონ კერძო საკუთრებაში მიწა, რომლის ფასი რუსეთის პირობებში ერთ ჰექტარი 3000 დოლარია. სულ ფერმერთა მეურნეობამ 2500 ჰა მიწა საკუთრებაში რომ მიიღოს, უნდა გადაიხადოს 7500000 დოლარი, რომელიც თანდათანობით უნდა დაფაროს. შედეგად ტერიტორია, რომელიც ცდებოდა და სახელმწიფო ბიუჯეტს აარფერს აძლევდა, გადახდის-უნარიანი გახდა, ხოლო ფერმერმერი, რომელიც თავისი საქმიანობა კრედიტით დაიწყო, მილიონერია. რადგან საქართველო მცირე-მიწიანი ქვეყანაა, სახნავ-სათესი მიწის ოდენობა ფერმერული მეურნეობისთვის ისიც მთიან რაიონებისთვის შევამცირეთ 10-ჯერ.

250 ჰექტრიდან 200 ჰექტარზე მოგვყავს კარტოფილი, ჰექტარზე 30000 კგ ე.ი. 6.000.000 კგ. საერთო ღირებულებით 1,2 მილიონი დოლარი აქედან ყოველ კილოგრამზე ფერმერს მოგების სახით საშუალოდ რჩება მინიმუმ 10 ცენტი ე.ი. 600.000 დოლარი. ეს კარტოფილი გადასამუშავებელ საწარმოში ირეცხება, გაშრება, დახარისხდება, 5-10 კგ. ბაღურებში შეიფუთება და ისე მიეყიდება ბითუმად კომერსანტებს. ჯერ-ჯერობით აქ მთავრდება ფერმერთა გაერთიანების ციკლი. მე მინდა ვიანგარიშო ამ შემოსავლიდან რა თანხა დარჩებათ ფერმერებს, აღარაფერს ვამბობ მეცხოველეობაზე, რომლის წარმოებაც მთის პირობებში აუცილებელია. ასე დაწვრილებით იმიტომ ვწერ მკითხველისათვის ამ მოსაბეზრებელ ციფრებს, რომ თავადაც დაინტერესდეს, წავახალისოთ და თავად აიღოს ხელში ფანქარი, ქალაღი, კალკულატორი.

შემოსავალი კარტოფილის წარმოებიდან შეადგენს 1,2 მილიონ დოლარს, აქედან ჩვენს მიერ შემოთავაზებული დაბეგვრა-გადასახადების სისტემით ქვეყნის ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს 120000 დოლარი – შემოსავლის 10%, 25000 დოლარი მიწის არენდა ან გადასახადი და დამხმარე მუშა-ხელის ხარჯები ვთქვათ, 355000 დოლარი, სულ მოგების სახით ფერმერთა გაერთიანებას დარჩა 600000 დოლარი, საიდანაც იფარება ბანკის ვალი თავისი წლიური პროცენტის დანამაგით 1100000 დოლარის 25% ე.ი. 275000 დოლარი. ხოლო ფერმერებს დარჩათ 325000 დოლარი მოგება. რომელიც იყოფა ხუთ ფერმერზე. მომდევნო წელს ფერმერთა გაერთიანება ბანკიდან კვლავ ერთ მილიონ დოლარს იღებს ვალად

და აშენებს ორი ფერმერის საცხოვრებელი სახლის, ინკუბატორის, მეგოჭეობის ფერმის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის და მელორეობის ფერმების აგების. შედეგად წლიური ვალის ოდენობა ორი მილიონ დოლარს მიაღწევს, ფერმერები დაფარავენ ვალის 25% ე.ი. 500000 დოლარს. მესამე წელს ფერმერთა გაერთიანება კვლავ აიღებს 1 მლნ დოლარის სესხს დარჩენილი სახლების, შენობა-ნაგებობების ასაშენებლად და მათი ვალი მიაღწევს 2750000 დოლარს, რომელსაც ისინი 4-5 წლის განმავლობაში უმტკივნეულოდ დაფარავენ. ამასობაში მათი შემოსავლები მეცხოველეობის ფერმებიდან გადიდება და ერთ მილიონს მიაღწევს მოგება. ბანკის ვალის დაფარვის შემდგომ მათ მოუწევთ მიწის შესყიდვა, რომელიც 2,5 მილიონ დოლარია, ამ მიწის შესყიდვას ისინი მოანდომებენ მაქსიმუმ სამ წელს, შედეგად 8-10 წლის შემდგომ ყველა ფერმერი მილიონერი ხდება. ამგვარ ფერმერთა გაერთიანებას სამეცნიერო დაწესებულებები თავაზობენ თავიანთ მომსახურეობას. მაგ., ტიუმენში ჰოლანდიურმა ფირმამ 2000 ჰექტარი აილო არენდით და 1 ჰექტარზე მოჰყავდა 110 ტონა კარგოფილი. მოსავლის მოყვანა მთლიანად მექანიზებული იყო. ჩვენ გვინდა, არ გვინდა გენური ინჟინერია ან მისი სახესხვაობა გაუმჯობესებული სახით ადრე თუ გვიან მაინც დაინერგება, ადამიანიც შეეჩვევა და მე აქ საფრთხილოს ვერაფერს ვხედავ, რადგან ცივილიზაცია თავის ხარკს მოითხოვს და ხელი მისთვის ჯერ არავის უკვრია.

დავუშვათ, ჩვენ ფერმერების გაერთიანებას სამეცნიერო ჯგუფმა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით მუშაობს შესთავაზა ჰექტარზე არა 30 არამედ 60 ტონა კარგოფილის მოყვანა. შეთანხმების პირობები ასეთია, გეგმის ზევით მიღებული 30 ტონის შემოსავალი გაიყოფა შუაზე ე.ი. ფერმერი დამატებით ყოველ ერთ ჰექტარზე მიიღებს 1500 დოლარს და სამეცნიერო ჯგუფიც 1500 დოლარს ხოლო, სამეცნიერო ჯგუფი ნახევარს უწილადებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. დამატებით დაფინანსების მისაღებად სამეცნიერო ჯგუფი ხუთი წლის განმავლობაში ზედამხედველობას, დახმარებას უწევს ფერმერებს და იღებს მოგების ნახევარს, ხოლო მომდევნო 10 წლის განმავლობაში მიიღებს 25% მოგებიდან. ე.ი. სამეცნიერო ჯგუფმა ერთ ფერმერთა მეურნეობიდან მიიღო 300000 დოლარი, დაქვითვის შემდგომ მათ დარჩათ 270000 აქედან ნახევარი გადაურიცხეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ე.ი. 135000 დოლარი და ამდენივე თავადვე დარჩათ.

აქ არის შექმნილი ურთიერთ დაინტერესების წრე, სადაც ყველა მხარე მოგებულია. ხოლო ასეთი პოლიტიკონომია კრახს არ განიცდის.

მცირე მიწიანმა რაიონებმა, კარგოფილის მოსავალი უნდა გამოიყენონ მთლიანად და უდანაკარგოდ, კარგოფილის საცავში შეიძლება მოეწყოს კარგოფილის სათლელი მანქანა, როდესაც გათლილ კარგოფილს ვაკუუმით შეფუთვით ან ინერტულ გამს გაფუშვებით ცელოფნის პარკებში და ისე გავყიდოთ. ამ საცავში შეიძლება დამზადდეს „ჩიფსები“, კარგოფილის ფქვილი, სახამებელი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება სოფლის მოსახლეობის დასაქმება ზამთრის პერიოდში. კარგოფილის ნარჩენებიდან შეიძლება მივიღოთ ღორებისთვის საკვები, გამოვხადოთ სპირგი და ვაწარმოოთ დაბალი გრადუსის არაყი. დროა ვისწავლოთ ანარჩენების გამოყენება, გადაამუშავება, ხოლო ქალაქში მცხოვრებნი მივაჩვიოთ ამგვარი ნახევარფაბრიკაგების მოხმარებას, რადგან 1 ტონა კარგოფილი 150-200 კგ ნარჩენს გოვებს.

როგორც დავინახეთ, თუ გონივრულად მივუდგებით საქმეს, სოფლის მეურნეობისათვის დოკაციური რაიონებიც მომგებიანი გახდება.

ხუთკაციან ფერმერთა ამგვარი მეურნეობა იმით არის საინტერესო, რომ აღამიანები საერთო შრომას ინაწილებენ, მაგრამ ერთმანეთის მოგყუების და დალაღაგების საშუალება არ აქვთ. ამასთან, როდესაც სოფელში ფული გაჩნდება, მაშინ მის კეთილმოწყობაზე იბრუნებენ, გურისგულ ბიზნესზედაც დაფიქრდებიან და სამონადირეო მეურნეობასაც შექმნიან.

ჩრდილოეთის ქვეყნები: შვედეთი, დანია, ნორვეგია პურის ფქვილში გარკვეული ოდენობის კარგოფილის ფქვილს ურევენ და ისე აცხობენ პურს, რადგან ჩრდილოეთის ქვეყნებში ხორბალი ან არ მოდის, ან ძალზე მცირე მოსავალს იძლევა. მე ამ სახის პური გასინჯული მაქვს და უნდა გითხრათ, დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი პურისაგან, უბრალოდ ამ სახის პურს შეჩვევა უნდა.

საქართველო მთიანი, უმიწო რეგიონია და აქ, სადაც შესაძლებელია, მიწა უნდა დაგერასდეს, სახნავ-სათესად უნდა ვაქციოთ და ეს უნდა გახდეს სოფლის-მეურნეობის და გადამამუშავებელი სამინისტროს მთავარი ამოცანა, მიზანი.

თავის დროზე, გადავწყვიტე სამუშაოდ წავსულიყავი ნინოწმინდაში, ყოფილ ბოგდანოვკის რაიონში ერთ-ერთ სამეცნიერო

ფილიალის დირექტორად და ეს იყო ამ რაიონის სომეხი ეროვნების ხელმძღვანელის ინიციატივა. რაიონი დასახლებული იყო 80% სომეხი მოსახლეობით, 19% რუსი დუხობორებით და მხოლოდ 1% შეადგენდა ქართველი მოსახლეობა. ამ რაიონში 7-8 თვე ზამთარია, მაღალმთიანია, უკვეო რაიონია, მაგრამ კარგი საძოვრები აქვს. აქ გასათბობად ხმარობენ წივას (ნამჯის და ნაკელის გამხმარ ნარევეს), ხოლო ზოგიერთი სახლი იმ დროს ბელგით იყო გადახურული. როდესაც ადგილმდებარეობას გავეცანი, მივხვდი, რომ აქ ტყის გაშენებაც შეიძლებოდა, ფარავნის ტბიდან შლამის ამოღება და 15 მეტრის სიღრმის ტბის სარკის ამოწმება, რომლის შლამიც სასუქად გამოდგებოდა და ნიადაგის სტრუქტურაც გაუმჯობესდებოდა, შესაძლებლობას მოგვეცემდა დიდი ოდენობით კარგოფილი, სგაფილო, ჭარხალი, კომბოსტო მოგვეყვანა, შეიძლება თევზის რაოდენობის გაზრდა და ქვის ხერხვა, ხოლო მშის რადიაციის წყალობით შესაძლებელი იყო მაღალხარისხოვანი სხვადასხვა სახეობების მოყვანა, დამზადება. პირველად, სანამ სამუშაო გეგმას შევადგენდით და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის მონაცემებს ციფრებში გადავიყვანდით, ყველა თანახმა იყო, საქართველოს მინისტრთა საბჭოში და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. მაგრამ როგორც კი დაინახეს, ამ ლოგაციური რაიონის მომგებიან რაიონად გადაკეთება შეიძლებოდა და გყუფარაძეს შემოსავალი გაეზრდებოდა, იძალა ქართულმა ბუნებამ, შურმა და დღის წესრიგიდან სამეცნიერო განყოფილების გახსნაც მოიხსნა და ჩემი დანიშვნის საკითხიც, მითუმეტეს, რომ დასაბანდებელი მოწყობილობების და თანხების მოსაზიდად იმდროინდელი საკავშირო მთავრობა თანახმა იყო. ეს საკითხი დღის წესრიგში 1975 წელს დადგა, გავიდა 30 წელი, ამ რაიონში უმუშევრობაა, ქართველი კაცი საცხოვრებლად იქ არ მიდის და მომავალში რა გართულება იქნება ამ რაიონში, არავის უწყის. რაგომდაც ასეთი ბედოვლათია „ძალად პაგრიოგი“ ქართველი ჩინოვნიკის ბუნება.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და იმის ნაცვლად, რომ გავზარდოთ სახნავ-სათესი ფართობები, მას ვყიდით კერძო სახლების ასაშენებლად, ვაშენებთ მასივებს, რაღაც მცირედი ეკონომიის გასაკეთებლად და სამუდამოდ ვკარგავთ სახნავ-სათეს მიწებს. ამის მაგალითია სოფ. დიდი დილომი, ხოლო ადრე ვამისუბანი, ვარკეთილი. ეს მასივები შეგვეძლო გავგეშენებინათ თბილისის ირგვლივ არსებულ ფერდობებზე. როდესაც კერძო

მესაკუთრებზე ვყიდით საძოვრებს, ტყეებს, მყიდველები ვაღიარებულნი არიან ხელშეკრულებაში დადებული მუხლების მიხედვით იმოქმედონ. მაგ. საძოვრები უნდა გაათავისუფლონ, მახრჩობელა ბალახისაგან ახალი ბალახით უნდა შეეთესონ, ხოლო ტყეში სიხშირეს 0,5-ზე ქვევით არ უნდა დაუშვან, სუბალპურ ზონებში ჭრა არ უნდა ჩააგარონ, რათა ეროზიული მოვლენები არ განვითარდეს, რადგან მიწის და ტყის საკუთრება არ ნიშნავს იმას, რომ შენ ის გაავერანო, არ მოუარო.

1971-75 წლებში ჯავის რაიონში, დასახლება ერმანში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა, რომლის გვარიც სამწუხაროდ არ მახსოვს, ამერიკიდან ჩამოიგანა ჩვენი სუბალპებისთვის მისაღები ბალახი, რომელიც მეგრნახევარზე სიმაღლის იმრდებოდა და წელიწადში ორჯერ შეიძლებოდა მისი მოთიბვა, მაგრამ როგორც ყოველთვის, არავის არაფერი არ აინტერესებდა. ასეთივე ბედი ეწვია ამ წლებში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის პაპალაშვილის მრავალჯარიანი და უხემოსავლიანი სიმინდის კულტურას.

იმისთვის, რომ დავაინტერესოთ უწყება, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მას უნდა მიეცეთ საშუალება, სიახლის დანერგვის შედეგად მიიღოს რაღაც თანხა, ხოლო ეს თანხა გადანაწილდეს სამინისტროს თანამშრომლებზე. სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა ეწეოდეს სელექციურ მუშაობას, უნდა შემოიპოვებინა და გაჰქონდეს რესპუბლიკიდან პერსპექტიული ჯიშები, უნდა ნერგავდეს სიახლეს, კონსულტაციას და ავიტაციას უნდა უწევდეს მოსახლეობას, კრედიტს უნდა გასცემდეს, პროდუქტების გადამუშავების და შენახვის ახალ ტექნოლოგიებს უნდა ნერგავდეს იგივე კერძო სექტორში, რაშიდაც გარკვეულ გასამრჯელოს უნდა იღებდეს, მხოლოდ მოგებიდან. სოფლის მეურნეობის თანამშრომელ-კონსულტანტი პასუხს უნდა აგებდეს ფერმერთან ერთად როგორც უხვი მოსავლის მიღებისას, ასევე მოსავლის მიუღებლობის შემთხვევაშიც. სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი უნდა იყოს მოსავლის მიღების სადამზვევო სისტემა, რაც პასუხისმგებლობას გაუმრდის სამინისტროს აპარატს და კერძო მესაკუთრეებს.

რაგომდაც რესპუბლიკაში გაუქმდა თესლბრუნვის სადგურები, რომელიც აიძულებდა კოლმეურნეობებს, მეურნეობებს ვთქვათ ხონის რაიონში გადარჩეული სათესლე სიმინდი ზუგდიდის რაიონში დაეთესათ და პირიქით. შედეგად საქართველოში ყველ-

გან იკლო მოსავლიანობამ. დღეს სიმინდი ერთ გარომე მეგს არ ისხამს. თესლბრუნვის აუცილებლობის შესახებ არც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა იცის და არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებმა. არავინ ასწავლის ჩვენს ფერმერებს, რომ ღამით მოწველილ ძროხის რძეში, ალამიანისთვის ძილის მომგვრელი ფერმენტები მაგულობს ე.ი. მისი შეღარებით ძვირად გაყიდვა, მეტი მოგების მიღებაა შესაძლებელი და კიდევ მრავალი სასარგებლო წინადადებებია სოფლის მეურნეობაში, რომელიც მოსავლიანობას გაზრდის და გამოშვებული პროდუქციის ხარისხს გააუმჯობესებს.

მაგ., თბილისის გარეუბანში, ლისის ტბის მიდამოებში აღმოჩენილი თერმული წყლებით საბურთალოს რაიონში მრავალსართულიან შენობებს ათბობდნენ და მოსახლეობას სახმარად გოგირდის სუნიან სამკურნალო ცხელ წყალს აწვდიდნენ. განა არ შეიძლება თბილისის ამ გარეუბანში სასაბურე მეურნეობის მშენებლობა, სადაც გათბობას მუქთად მიიღებენ. თანამედროვე ტექნოლოგიებით 1 ჰა ფართობზე 500 ტონა პამიდვრის მიღება შეიძლება ერთი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც პამიდორი და სხვა ბალჩეული თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან უცხოურ ვალუტაზე შემოგვაქვს, ამას რა დიდი გონიერება უნდა, ჩემთვის გაუგებარია.

აქაც შესაძლებელია წახალისების მიზნით ლაგარისის გათამაშება, რათა ფერმერებმა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ჯიშიანი პირუტყვი და სხვა. ფერმერების წასახალისებლად უნდა მოეწყოს ცხოველების გამოფენა, შეჯიბრი გრაქტორის მართვაში, ხენა-თესვაში.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგჯერ შემთხვევით წამოსროლილ სიგყვას. მოსკოვის ოლქში რსფსრ-ს გაერთიანების სანერგეში ჩემი მუშაობის დროს, რომ ვინმეს შემთხვევით წამოსცდენოდა ჯონჯოლის კულტურების გაშენება, ვინ იცის, დღეს შეიძლება ჯონჯოლის წნილი რუსებს ეწარმოებინათ, თავიანთ საბაღე ნაკვეთებში, მაგრამ სამწუხაროდ არც მე მომივიდა აზრად და არც სხვას წამოსცდენია, რადგან მაშინ მე ყველა პირობა მქონდა ეს კულტურა დაგვენერგა. ეს უნდა გაითვალისწინოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა ყველა გონიერმა ალამიანმა, რომ ხშირად საკითხს შემთხვევა წყვეტს.

და ბოლოს, ჩემი აზრით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც შეუძლია დიდი თანხების მოზიდვა და თვითლაფინანსებაზე გადასვლა.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

სოცუმრუნველყოფის სამინისტრო ყოველთვის ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი და მისი სხვა სამინისტროსთან შეერთება არამართებულია. ამასთან, სოცუმრუნველყოფის სამინისტროს უნდა გამოეყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან წინასწარ დადგენილი პროცენტი, მაგრამ არა ნაკლებ ქვეყანაში დადგენილ საცხოვრებელი მინიმუმისა ქვეყნის ბიუჯეტის მრდასთან ერთად პენსიებმაც უნდა მოიმაგოს.

ამასთან, სამინისტროს უნდა მიეცეთ საშუალება გარკვეული თანხები თავად გამოიმუშაოს და პენსიონერებს დამატებითი შემოსავლები მისცეს, თუ ისინი სურვილს გამოთქვამენ იმუშაონ მათთვის უნდა გაიხსნას სპეციალური საწარმოები, ბაზრები, სადაც მხოლოდ პენსიონერები ივაჭრებენ, შესაძლებელია ტურისტული ფირმების გახსნა, იმუშაონ რეპეტიტორებად, სადარბაზოს დარაჯებად, მომვლელებად, სხვადასხვა ღირსეულობის კონსულტანტებად და სხვა მრავალი, რასაც დაღვინებული ადამიანის გონიერება ჩასწვდება. დღეს ზოგიერთი პენსიონერი აფორმებს ეგრეთწოდებულ „სამოქალაქო ქორწინებას“, ერთი მათგანი მეორესთან გადადის საცხოვრებლად, ხოლო უკეთეს ბინას აქირავებენ და ამ თანხას იყოფენ. ამ შემთხვევაში ორ მოგებას ნახულობენ, თავის ჭკუის და ასაკის შესაფერისი ადამიანები დაახლოვდნენ, რათა თავი მარტოხელად არ იგრძნონ, ერთმანეთს უვლიან, ხოლო ქონებას თავიანთ ნაშეიერებს უტოვებენ.

სოცუმრუნველყოფის სამინისტროს სამსახურს უნდა გააჩნდეს თავისი სანაგროიუმები, პენსიონერებისათვის მისაღები საცხოვრებელი სახლები, სადაც პენსიონერები წლობით იცხოვრებენ, ექნებათ თავიანთი ინფრასტრუქტურა, მოაწყობენ კოლექტიურ მოგზაურობებს, ივლიან თეატრებში და ასე შემდეგ, ხოლო იმ პენსიონერებს, რომლებსაც მიწაზე მუშაობა ეხალისებათ, მათთვის უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო კომუნა.

სამინისტროს მეშვეობით და ეგიდით დასაქმებული პენსიონერები გარდა ბიუჯეტში შეგანილი გადასახადისა, სამინისტროს ფონდში ნებაყოფილობით გადარიცხავენ გამომუშავებული თანხის 10%-ს, რათა სამინისტროს ჰქონდეს საკუთარი საბრუნავი თანხები.

სამინისტროს დანიშნულებაა პენსიონერებმა „მეორე ახალგაზრდობით“, უზრუნველად იცხოვრონ და თავი მიტოვებულად არ

იგრძნონ. სამინისტროს უნდა მიეცეთ უფლება აქციების შექმნის და სააქციო საზოგადოების შექმნის.

დღეს მოსკოვის საგელეფონო კავშირის ხელმძღვანელობა გათავსებულა და ყოველწლიურად ცდილობს სააბონენტო გადასახადების გაზრდას, რომელიც ხშირ შემთხვევაში არც გამართლებულია და თანაც მათ უნიათო მუშაობაზე მიუთითებს. ეს მათი „განზრახი უგნურება“ და გამოძალვის სურვილია, რადგან მოსკოვში საგელეფონო მომსახურება გაცილებით იაფი უნდა ღირდეს.

მაგ., მოსკოვიდან თბილისში რომ გელეფონით ისაუბროთ, საქალაქო საგელეფონო სადგური 50 ცენტს გახდევინებთ წუთში, ხოლო თუ სალაპარაკო ბარათს შეიძენთ, 5 ცენტს. განა საგელეფონო კავშირს არ შეუძლია, რომ ეს მომსახურება თავად იკისროს, მაგრამ „ძალის თავი დამარხული“ გამორჩენასა და უკუგორებაშია. ასაკოვანი ადამიანებისათვის გელეფონზე საუბარი თავისებური ფსიქოთერაპიაა, ხალისით გადაგორებული დღეა, ამას კი ანგარიშს არავენ უწევს.

სოცუმრუნველყოფის სამინისტრო მოზიდული თანხებით აშენებს და აქირავებს ბინებს იმ პენსიონერებზე, ვისაც ხეირიანი საცხოვრებელი ფართი საპენსიო ასაკშიც არ ეღირსა. საერთოდ ქვეყანაში ყველა მეხუთე ადამიანი პენსიონერია და მოსახლეობის ორი მესამედს ერთი მესამედი არჩენს, ხოლო რამდენადაც გაგზრდით ამ მუშახელის რაოდენობას, იმდენით მეტად გაიზრდება პენსიონერთა შემოსავლები.

გარდა მემოთ აღნიშნული შემოსავლებისა, სასურველია პენსიონერების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად შევთავაზოთ 5% ობლიგაციის შექმნა, რომლის ფულზე გადაცვლა შესაძლებელი იქნება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

დავუშვათ, სოცუმრუნველყოფის სამინისტროს ბიუჯეტი ერთი მილიარდია, აქედან პენსიონერზე დასარიგებელი თანხა შეადგენს 90%, ე.ი. 900 მლნ დოლარს, თუ პენსიონერები შეიძენენ თავიანთი პენსიებიდან 10% ობლიგაციას, სოცუმრუნველყოფის სამინისტრო თავის ბანკისთვის მიიღებს ყოველწლიურად ვთქვათ 90 მლნ დოლარს, ამ თანხას გამოიყენებს როგორც სამუშაო ინსტრუმენტს. სოცუმრუნველყოფის სამინისტროს სხვა თანხებთან ერთად შეიძლება მიეცეს ქვეყანაში შექმნილი პრეფიციგიდან გარკვეული თანხა, რათა სამინისტრომ თავისი სახსრებით შეძლოს პენსიონერის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

თუ სოცუმრუნველყოფის სამინისტრო გონიერად გახარჯავს და დააბანდებს სამინისტროს დამატებით მიღებულ შემოსავლებს, შესაძლებელია 10-15 წლის შემდგომ ის თვითდაფინანსებაზე გადავიდეს. თუ მას საპენსიო ფონდის შემოსავლებს მთლიანად დავეუქვმდებარებთ, მითუმეტეს, რომ საპენსიო ასაკი საქართველოში ქალებისთვის 60 წელია, ხოლო მამაკაცებისთვის 65, ნორვეგიაში, სადაც ცხოვრების დონე ყველაზე მაღალია, მსოფლიოში შესაბამისად პენსიონერთა ასაკი 65-70 წელია.

ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ ჩემი მოსაზრება ამ სამინისტროსთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს საპენსიო ფონდის გადიდებას.

გ.ყუფარაძის აღზრდის გადასახადი გულისხმობს, რომ – შვილები კანონმდებლობით ვალდებულნი არიან შემოსავლიდან 9% გადაურიცხონ მშობლებს ანგარიშზე. ეს ვალდებულება იმითაც არის მისასალმებელი, რომ მშობელთა უმეტესი ნაწილი ამ თანხებს საჩუქრების, ფულის სახით დაუბრუნებს შვილებს, შვილიშვილებს, ხოლო მოსახლეობას მეგ სტიმულს მისცემს, შვილები რომ იყოლიონ, რადგან რაც მეტი შვილი ეყოლებათ, მით მეტი შემოსავალი ექნებათ სიბერეში, როგორც არ უნდა ვიფიქროთ, ადამიანი მაინც სუსტი არსებაა თავის მერკანტულობით და გამორჩენის სურვილით.

ქვეყანაში ინიშნება რამდენიმე სახის პენსია, დახმარება. ძირითად პენსიას იღებს ქვეყნის ყველა მოქალაქე, რომელიც მიაღწევს საპენსიო ასაკს (ვთქვათ ქალები 60, მამაკაცები 65 წელი) ერთის პირობით 50 % ძირითად პენსიას იღებს ის, ვისაც შვილი არ ჰყოლია, 75% ვისაც ერთი შვილი ჰყავს და 100% ვისაც ორი და მეტი შვილი აღზარდა. (რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში მიიღება უბედური შემთხვევა) დამატებით პენსიას მიიღებს ყველა საპენსიო ასაკის მოქალაქე, რომელიც თავის მუშაობის განმავლობაში თავისი ნებით ხელფასიდან საპენსიო ფონდში იხდიდა გადასახადს. ეს დაგროვილი თანხა იყოფა 240 თვეზე და მიღებული თანხა ემატება ყოველთვიური ძირითად პენსიის. პენსიონერს ემატება აგრეთვე ჯგუფების მიხედვით ინვალიდობის პენსია. დამსახურების პენსიას იღებენ ძალოვან სტრუქტურებში, ჯარში მომსახურენი. ცალკე პენსიას ენიშნებათ არჩეულ პირებს ღებუტაგებს და ქვეყნის პრეზიდენტს, ვიცე პრეზიდენტს თუ მათ უწყვეტად იმუშავეს მათთვის განკუთვნილი არჩევის ვადა. შესაძლებელია ქალაქის, რეგიონის

პენსიების დამატებით მიღება, რომელსაც აწესებენ თავიანთი მცხოვრებლებათათვის ამ მდიდარი გერიგორიის ხელმძღვანელობა, რათა პენსიონერებს ცხოვრების პირობები გაუმჯობესონ, შესაძლებელია შეღავათები ბინის ქირის, უძრავი ქონების, გადასახადის, ელექტრო ენერჯის, ბუნებრივი აირის გამოყენებისთვის ან ბინის ტელეფონის სააბონენტო გადასახადების განახევრება, ხოლო ქალაქის ტრანსპორტზე უფასო ან შეღავათიანი ფასებით გადაადგილება.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან იქმნება სადამღვევო სამსახური „იმქვეყნიური სამოთხე“, რომელსაც აქვს თავისი სასაფლაო და იქ საფლავდება ის ადამიანი, ვინც სიცოცხლეში ასაკის შესაბამისად გააფორმებს სადამღვევო ხელშეკრულებას. არავინ იცის, ვის როგორი შთამომავლობა დარჩება და როგორ გაუმართლეთ ცხოვრებაში. მომღვევო თაობებს, ხოლო მიცვალებულის ხსოვნას და საფლავის მოვლას პაგრონი სჭირდება. სადამღვევო ხელშეკრულება ფორმდება 20 წლის ასაკიდან და ის ღირს 1000 დოლარი, ხოლო სადამღვევო ხელშეკრულების გაფორმება 60 წლის ასაკში უკვე ეღირსება 10000 დოლარი. დამღვევის მომსახურებაში შედის დასაფლავება, ქელები 100 კაცზე, რომლის სიას წინასწარ წარადგენს დამღვეული და საფლავის გაკეთება, და სხვა შეკვეთილი მომსახურების დამღვეული თანხა იდება ხელუხლებელ დეპობიტზე და ყოველწლიურად მაგულობს, ამასთან ყოველწლიურად ბანკში დაგროვილი ანაბრებიდან მიცვალებული (ესეც თავისებური სიამაყეა) სახელმწიფოს უხდის შემოსული თანხის 10%. 10% ჩაირიცხება სადამღვევო კომპანიის 30% საფლავის მომსახურების და საეკლესიო წეს-ჩვეულებების ჩაგარებას, ხოლო დარჩენილი 50% იდება ხელუხლებელ დეპობიტზე და ემატება ძირითად (დამღვევის) თანხას. ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როდესაც მიცვალებული სახელმწიფოს უხდის გადასახადს და ისიც ყოველწლიური მაგებით.

კულტურა, სპორტი, ტურიზმი

ყველა დროს კულტურას უჭირდა, ხოლო დღეს განსაკუთრებით, როდესაც ღირებულებების გადაფასება ხდება და ხალასი და საუკუნეების მახსოვრობისთვის განკუთვნილი ნიჭის ნაცვლად წინმასწარა-მეტიარა ფულს და სახელს შოულობს. მაგრამ რადგან ბიზნესს თავისი ოფოფები ჰყავს, კულტურის სამინისტრო უნდა ცდილობდეს გალანგის ნახელავიც დააფიქსიროს, დაეხმაროს მოდას აყოლილ ხელოვნებასაც, რათა ნიჭი არ დაიჩაგროს.

ავილთ ქართული კინო, სამზარეულო, ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, ფერწერა, ყველა თვითმყოფალია და ყველა მათგანს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული სამყაროს გონიერების რეგისტრში.

კულტურის სამინისტროს ვალია დააფინანსოს ხელოვნების ეს დარგები, გასაგები და მისაღები გახადოს მსოფლიოს სხვა ხალხებისათვის და სარფიანად გაყიდოს და აქედან თავადაც ისარგებლოს.

თუ უილიამ შექსპირი, რობერტ ბერნსი, კრილოვი ასე დიდებულად ითარგმნება თავისუფალი თარგმანით, ქართულ ენაზე, დაუჯერებელია იგივე ქართველი პოეტები, მწერლები არ ითარგმნოს ინგლისურ, ესპანურ და თუ გნებავთ ჩინურ ენაზეც, მაგრამ ამას სჭირდება ნიჭიერი უცხოელი მთარგმნელების დაინტერესება, მოწვევა, მათთვის ქართული ენის და წეს-ჩვეულებების სწავლება და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი კულტურის, ხელოვნების საზღვარგარეთ სარფიანად გაგანა.

მართალია, ერთეულ ხალას ნიჭს თავი თავად გააქვს და ბევრი საზღვარგარეთ მიდის ნიჭის წარმოსაჩენად, რის შედეგადაც საქართველოს სახელისმაგვარი რამ რჩება, ხოლო მის მიმღებ ქვეყნებს სახრავიც და სახელიც ერთად. რაც არ უნდა სულით დიდი ქართველები იყვნენ მომღერლები პ.ბურჭულაძე, მ.სოფიკილაძე, ფერმწერი მ.წერეთელი, ისინი მაინც სხვისი ქვეყნის წისქვილზე ასხამენ წყალს. უამრავი ნიჭიერი რეჟისორი გვყავს და გვეყოლება კიდევ, მაგრამ მათ ხელი უნდა შევუწყოთ ნაღვაწის რეკლამირებაში, საწყისი თანხის გაღებაში.

ქართული კინო გარკვეული ფულადი დაბანდების და რეკლამირების შემდგომ, ინდუსტრიადაც უნდა იქცეს, ის უნდა ჩავრთოთ მსოფლიო კინოწარმოების კარუსელში.

ქართული სიმღერები ისე უნდა ითარგმნოს, რომ, ის გასაცემი და მისაღები გახდეს უცხოელი მსმენელთათვის, ხოლო მუსიკის არანქირებას წინ ვერაფერი დაუდგება, მითუმეტეს დღევანდელი ტექნიკური პირობების შესაძლებლობები ამ საქმეში განუსაზღვრელია.

ბიზნესთან დაკავშირებით მინდა დავასახელო იუმორისტული ანსამბლი „მხოლოდ შენ ერთს“, მაგალითი, რომლისგანაც ბრენდის გაკეთებაც შეიძლება და წარმოდგენის დადგმაც, ისინი 22 წუთის განმავლობაში სცენაზე არიან და ერთ სიუჟეტს ასრულებენ, მათთვის რომ დაგვემაგებინა მომღერლების გარდა ორი მუსიკოსი, რომლებიც შესანიშნავად ასრულებენ სხვადასხვა ინსტრუმენტზე მელოდიებს და ერთი პროფესიონალი მოცეკვავეა ამ ანსამბლის კონცერტი 2-2,5 საათი გაგრძელდებოდა და მაყურებელიც უამრავი ეყოლებოდა. მითუმეტეს, თუ ანსამბლი სხვა ქვეყნებში გასტროლების დროს ამ ხალხების სიმღერებს და ცეკვებს გამოიყენებდა იუმორით.

დღევანდელი ხელოვნება ბიზნესს მიეკუთვნება, აქ ეშმაკობისა და მოხერხებულობის გარეშე არაფერი გამოვა. მე მოსკოვში მყავს ერთი ნაცნობი კოლექციონერი, რომელიც წინა საუკუნეების მხატვრის ნამუშევარს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ვითომდა ყიდის დიდ თანხად თავის ნაცნობებზე, რეკლამას უკეთებს და საბოლოოდ მართლა ყიდის 3-5-ჯერ მეტად საწყისი ფასიდან განსხვავებით. ფაქტიურად იგივეს აკეთებს საერთაშორისო სურათების გამყიდველი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ასვე წარმატებით შეიძლება ცნობილი და ახალგაზრდა მხატვრების ნაღვაწის რეკლამირება გამოფენა საზღვარგარეთ, საერთაშორისო აუქციონების მოწყობა და შემდგომ საერთაშორისო ლაგარიების მრავალჯერადი გათამაშება და სხვა მრავალი. ყოველივე ამას თავის ცოდნა, პროგნეზიონალიზმი, საერთო ენის გამონახვის უნარი სჭირდება და მათ შორის მთავრობის ღონეზიც.

ერს, რომელსაც ამდენი შესაძლებლობები აქვს და უაღრესად ნიჭიერი ხალხი ჰყავს, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, დროა ისწავლოს კულტურის ექსპორტი, რადგან შიდა ბაზარი ვერც ამდენ ნიჭიერ კაცს დაასაქმებს და მითუმეტეს ვერც სახეიროდ გამოკვებავს, მხოლოდ ერთის პირობით, ისინი საცხოვრებლად საქართველოში უნდა დარჩნენ, რათა საზღვარგარეთ „იკაკანონ“ და „კვერცი“ თავის სამშობლოში დადონ, რადგან ავად თუ კარგად

საქართველოზე უკეთ მათ სახელს სხვა ვერ შეინახავს, ვერც წარმოაჩენს და სათანადოდ ვერც დააფასებს.

ქვემოთ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა სპორტზე.

სსრკ ქურდების და ოპიუმისტების სახელმწიფო იყო, ვისაც ხელი მიუწვდებოდა, ყველა ქურდობდა (ზომიერების ფარგლებში), მაგრამ ნათელი მომავლის უმეგესობას გვწამდა. რადგან ქონება საერთო იყო, ყველა ცდილობდა მის მითვისებას, მაგრამ „ღორობას“ არ გაპატიებდნენ. ყველა სპორტსმენი საღდაც იყო გაფორმებული და გარკვეულ ხელფასს იღებდა, ხოლო როდესაც აქტიურ სპორტს დაამთავრებდნენ მათ თავიანთი დამსახურების მიხედვით გზავნიდნენ სამუშაოდ მილიციაში, რესტორნების და მაღაზიების ღირექტორებად, ეხმარებოდნენ ძირითადად ეკონომიკურ და ფიზიკური კულტურის განათლების მიღებაში. ასე, რომ მათ ქუჩაში არავინ ტოვებდა და ცხოვრების სახსრებს აძლევდნენ. დღეს ეს ცოცხა სხვა მხრივ შეიცვალა, მათ აძლევდნენ ახალგაზრდობაში ფულის კეთების საშუალებას, მაგრამ ყველა ვერ იქნებოდა ფულის საკეთებელი სპორტით დაკავებული, როგორცაა გოლფი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, კალათბურთი, კრივი, ასე, რომ ყოფილი სპორტსმენის დასაქმების და ანაზღაურების საკითხი მათი დამსახურების მიხედვით ყოველთვის დადებითად არ წყდებოდა.

თავის დროზე, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სპორტული საზოგადოების გუნდის მწვრთნელი გახლდით რაგბში, როგორც მოგეხსენებათ მაშინ რაგბი არ იყო დიდად მიღებული სპორტის სახეობა და სპორტულ საზოგადოებას ბიუჯეტში ძალზე მცირე თანხები ჰქონდა გამოყოფილი მის გასაფართოებლად, მაგრამ ამ გარემოებას „ასწორებდნენ“ თანამდებობის პირები, რომლებიც ყოველგვარი ანგარების გარეშე გვეხმარებოდნენ და ხელს გვიწყობდნენ.

მახსოვს, თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდს რამდენიმე ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა, ხოლო გზის ფული საზოგადოებას არ გააჩნდა. მაშინ „ამიერკავკასიის“ რეინიგმის სამმართველოს გადაზიდვის სამსახურის უფროსმა გულთან მიიტანა ჩვენი თხოვნა და უნდა ითქვას, არა ერთხელ. გუნდს 22 კაცის შემადგენლობით გამოუწერა ბილეთი თბილისი-ხაშური-თბილისი, რომლის მიზერული ხარჯები საზოგადოებამ გადარიცხა, ხოლო ბლანკის სამუშაო მხარეს დაგვიწერა ქალაქები მოსკოვი, კიევი, ვილნიუსი, ლენინგრადი, გალინი 22 კაცის სიით დამოწმებული და გუნდმა

თითქმის უფასოდ მოიარა ეს ქალაქები და უკან დაბრუნდა. ასევე იქცეოდა „სპარტაკის“ გუნდის მიმართ აეროპორგის ხელმძღვანელობა, როდესაც ორი რეისით მოსკოვში გზავნიდა გუნდს, რომლებიც თვითმფრინავში თავისუფალ ადგილებს იკავებდნენ. წავიდა ძველი დრო და სპორტმა ახალ ცხოვრებას უნდა აუწყოს ფეხი, მაგრამ დღეს ყველაფერი გადასახდელი გახდა, მათ შორის ბავშვების სპორტი, ხოლო სპორტის „დედოფალი“ მძლეოსნობა რომელიც აურაცხელი ენერჯის ხარჯვას და ვარჯიშს მოითხოვს სპორტსმენები, მედალისტების გარდა, უყურადღებოდ რჩებიან. სპორტი თავისებური ბიზნესია, ხელოვნებაა, ისტორიის ნაწილია, თუნდაც ის, რომ შენ ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარების თანამონაწილე ხარ. ე.ი. ისტორიისთვის საჭირო პიროვნება-კორესპონდენტი. ამასთან სპორტის დანიშნულებაა „შერეკილი“ ხალხიც მისაბამ პირებად აქციოს და ფანატებს საშუალება მისცეს დაგროვილი უარყოფითი ენერჯიდან განთავისუფლდნენ.

დღეს ყველაფერი დამოკიდებულია სპონსორის შოვნაზე და იმ კანონმდებლობაზე, როგორ საგადასახადო სისტემას შემოგვთავაზებს სახელმწიფო. საზღვარგარეთ, ზოგიერთ ქვეყნებში რიგი დგას „საფეხბურთო“ ან რომელიმე სხვა სახეობის გუნდების ასაყვანად, რადგან აქ გავრცელებულია პროგრესული დაბეგვრა, რაც მეტი თანხა გაქვს მოგებიდან ანგარიშზე დაგროვილი, მით მეტ გადასახადს იხდი პროცენტულად. ამიგომ მდიდრებს ურჩევენ ეს თანხა გუნდის შექმნა-შენახვას მოახმარონ, თან რეკლამებს იკეთებს, ხოლო ზოგიერთ „უკუგორებით“ გარკვეულ თანხას უკან იბრუნებს. როგორც არ უნდა ვიგრიანოთ, ეს სპონსორობა მაინც ფულის კეთებით მთავრდება. ამიგომ ჯობს ისევ სახელმწიფომ გამოუყოს სპორტს თავისი ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა, ბავშვების მეცადინეობა სპორტში უფასო უნდა იყოს. მე მაქვს ეკონომიკური გაანგარიშება, რომლითაც დიდი თანხების მოზიდვა შეიძლება სპორტში, მაგრამ ეს იდეა კომერციული საიდუმლოებაცაა და ამასთან ფართო მკითხველისთვის ძნელი გასაგებია.

ასევე გურიშმისა და სამკურნალო დასვენებიდან დღეს მოზრდილი თანხების შოვნა შეიძლება, რადგან დღევანდელ ადამიანს გაცილებით მეტის ნახვა და შეცნობა-შეგრძნება სურს, ვიდრე მისი წინა თაობები ამას ახერხებდნენ. გურიშმიდან შეიძლება დაინერგოს ექსტრემალური: ნადირობა, წყალქვეშა ნადირობა, წყლის სიდრმეში ყვინთვა, მთასვლელობა, პარაშუგით გადმოხტომა

სხვადასხვა შეჯიბრებების მოწყობით. ასევე შეიძლება თევზჭერაში, კულინარიაში, ჭამაში და ათას სხვა რაღაცაში სამხიარულო შეჯიბრის ჩატარება, რაც ტურისტს გაართობს და მიიზიდავს, მითუმეტეს თუ მათ სამახსოვრო მემკვიდრეობით დავაჯილდოებთ.

მახსოვს, ჰოლანდიაში ყოფნის დროს, გილმა ამსტერდამიდან 15 კმ მოშორებით, პაგარა სოფელში ერთ-ერთ ფერმერის ოჯახში მიგვიყვანა, სადაც ტურისტებს გვაჩვენეს როგორ კეთდებოდა ხისგან მათი ნაციონალური ქოშები, გვაჩვენეს აგრეთვე ყველის ამოყვანის და მისი დამზადების სხვადასხვა პროცესი. ყველს ამზადებენ შავი და წითელი წიწაკით, ნივრით, ნიგვზით, მოგვცეს ამ ნაწარმის დეგუსტირების საშუალებაც. აქვე ჰქონდათ პაგარა კაფე და სუვენირების მაღაზიაც. სადილის დროც გახლდათ და ტურისტებმა აქვე გადავწყვიტეთ ფერმერის მიერ დამზადებული პროდუქტების დაჭაშნიკება – სადილი. შემოგვთავაზებს ყველის სუპი, ხაჭოს კაგლეტები და სხვადასხვა ყველი, გამაგრებელი წყლები. უნდა ითქვას, რომ რაგომდაც ყოველივე მეგემრიელა. შემდგომ დავინახე, როგორ გაიყვანა ჩვენი გიდი ამ ფერმერმა და ფული გადასცა, იმ შემოსავლის 10%, რაც ტურისტებმა დახარჯეს მის ფერმაში. ჩემს შეკითხვაზე არ გეშინია, რომ მოგატყუოს მეთქი? გიღს გაეცინა, „იცი, რამდენი ამგვარი ფერმაა ამსტერდამის მახლობლად!“ განა არ შეიძლება ქართველებმა სტუმრებს ვაჩვენოთ ქალაქების კერვა, ტყავის გამოყვანა, სულგუნის დამზადება, ყურძნის დაწურვა, არყის გამოხდა. ან თუ გნებავთ ხინკლის დამზადება. ცალკე მოვაწყოთ კახური „ბავოლობა“ თავის კაიფით და გამასპინძლებით. შეიძლება თბილისში მოვაწყოთ სადეგუსტაციო დარბაზი, როდესაც უცხოელ ტურისტს 80 გრამიანი წელში გამოყვანილი ჭიქებით შესთავაზებ 6-7 სხვადასხვა დასახელების ღვინის დაჭაშნიკებას. შესაძლებელია ქართული სამზარეულოს ორდლიანი სწავლება, პრაქტიკულის ჩატარება დაჭაშნიკებით, სტუმრების მოწვევით, დაჯილდოვებით. ასევე შესაძლებელია თამალობის აკადემიის ჩამოყალიბება ერთკვირიანი სწავლებით, დიპლომის გაცემით. დამიჯერეთ ესეც საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი გახდება. ყველაფერს ნიჭი, ახალგაზრდულად მიდგომა და დროის ყვილის ცოდნა სჭირდება. ასე რომ სხვა ბევრი რაღაცის მოფიქრება და გადმოლება შეიძლება ტურისტული ბიზნესის განსავითარებლად საქართველოში.

საჯიშე მამაკაცთა ინსტიტუტი

ცივილიზაციის მოძალებამ, ფულის კულტად გახდომამ, გაღამეგებულმა ფუფუნებამ მამაკაცი ფიზიკურადაც, მორალურადაც, გონებრივადაც გარყვნა და გააგუგუცა. მამაკაცის პოტენციის შესაძლებლობა დააქვეითა და ვნების არაგრადიციული მეთოდებით დაკმაყოფილება გააძლიერა. დაბადებიდან ინვალიდთა ოდენობა სამყაროში დაახლოებით მოსახლეობის, 1-2% ხოლო საერთო ინვალიდთა რაოდენობა ბევრ ქვეყანაში 10% აჭარბებს, მათ შორის ცივილიზებულ ქვეყნებში. რაც შეეხება იმპოტენციის პროცენტს, ის საკმაოდ მაღალია წინა წლებთან შედარებით. დღეს აფრიკის კონტინენტზე ქალთა 70% უქმროდ არის დარჩენილი აზიაში, 40%. ორჯერ გადიღდა უცოლო მამაკაცთა ოდენობა. ხოლო ბელნაცვალ ბავშვიან ქალების 7% აქვს მეორედ გათხოვების შანსი.

ქალთა როლის გადიღებამ, მათი სიცოცხლისუნარიანობის ზრდამ, ომობანას თამაშის შემცირებამ, მამრის საჭიროება ერთი შეხედვით გამორიცხა. ამას ემატება ალკოჰოლი, საზოგადოების ჭირად გავრცელებული ნარკომანია და არაგრადიციული ორიენტაციის მამაკაცების რაოდენობის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები რაოდენობით გოგონებთან შედარებით მეტი იბადება, უმეტეს ქვეყნებში მათი ბალანსი ექვსი ერთთან არის ქალების სასარგებლოდ. ხოლო შუა ასაკი საქართველოში 1:12 არის შეფარდებული ქალების „სასარგებლოდ“, რის შედეგადაც ქალებს მცირე არჩევანი რჩებათ და ისიც უღიმღამოდ.

ცივილიზაციის და ემანსიპაციის პერიოდში ბევრი ქალი არ აპირებს 35 წელზე ადრე გათხოვებას, მამაკაცი კი 40 წელზე ადრე ცოლის შერთვას, ხოლო საქმიანი ქალები თანახმა არიან შვილები ქმრების გარეშე იყოლიონ და თუ საჭიროა, ხელოვნური ჩასახვითაც. როგორც ვხედავთ, დაღვა ღრო, როდესაც ქალებს მამაკაცების გარეშე შეუძლიათ გამრავლება და ცხოვრების მოწყობა. საბოლოოდ საზოგადოება მაგრიარქაგის დაბრუნებისკენ რომ არ გადაიხაროს და დაჩქარებული ტექნიკური პროგრესის ფუფუნების შემოგვევას გაუძლოს, საზოგადოებამ უნდა შექმნას ღირსეულ მამაკაცთა ბანკი, საჯიშე კულტი, მოდა.

საჯიშე მამაკაცი 18 წლიდან 40 წლამდე გადის სამედიცინო შემოწმებას, ეძლევა სამი ქალბაგონის დახასიათება, რომ ის ღირსეული მამაკაცია და პასპორტში ეკერება სპეციალური ბლანკი,

რომ ის საჯიშე მამაკაცია. საჯიშე მამაკაცს, მამაკაცის შესაფერი განათლებაც, გარეგნობაც უნდა ამშვენებდეს. ამგვარი საბუთის თუ გნებავე განსხვავებული პასპორტის გაცემა აიძულებს სხვა მამაკაცს მათ მიბადოს და დეგრადაციის გზას არ დაადგეს. ხოლო დეგრადირებული მამაკაციდან მიღებული თაობა ხშირად სახელმწიფოს ინვალიდების სახით კისერზე აწევება.

საჯიშე მამაკაცს ის უპირატესობა აქვს, რომ ალიმენტს არ იხდის, პასუხს არ აგებს მრავალცოლიანობაზე, შეუძლია თავისი სპერმის ბანკი შეინახოს და გაყიდოს.

ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გვიან, ექვსი საუკუნენახევრის შემდეგ მუსლიმანური სარწმუნოება გავრცელდა. მუსლიმანებს რომ მოეპოვებინათ თავისი საარსებო არეალი, მათ ომი სჭირდებოდათ, ხოლო ომი მამაკაცებს ზვარაკად ითხოვს, შედეგად ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ ამ სარწმუნოებამ მამაკაცებს დართო ოთხი ცოლის შერთვის უფლება, რადგან უკაცოდ დარჩენილი ქალების ბუნგი არ გამოეწვიათ. მრავალშვილიან მუსლიმან საზოგადოებაში ხშირად იყო შემთხვევა, რომ ომში დაღუპული ძმის უფროს ცოლს უმცროს ძმასვე თავაზობდნენ და ეს ქალი ხშირად 10-15 წლით უფროსი იყო, შემდგომ ეს ქალი ბერდებოდა და მამაკაცს ეძლეოდა საშუალება, თუ რომელიმე ახლო ნათესავის ქალი არ განთავისუფლდებოდა, შეერთო თავისი ასაკის ქალი, ხოლო მესამე-მეოთხე ცოლად ძალზე ახალგაზრდა გოგონა მოჰყავდა და ასე შემდეგ; გერმანელ ტომებს, რომლებსაც რომაელებთან გაუთავებელი ომები ჰქონდათ, როდესაც გაუჭირდათ, თვითონ მამაკაცებს შესთავაზეს, რომ ორი ცოლი ჰყოლოდათ, ხოლო თავის ღროზე ისე გაირყვნენ იმდროინდელი ფუფუნებისაგან ძველი ბერძნები, რომ ქალი ბინძურ არსებად გამოაცხადეს და მამათმავლობაზე გადავიდნენ, ხოლო ქალებმა დემონსტრაციები მოაწყვეს, მამაკაცის ფალოსი ბაირალად გამოიგანეს და მამაკაცებს მოუწოდეს რომ მათ დაბრუნებოდნენ.

ეს მცირე მიმოხილვა იმისთვის დაგვჭირდა, რომ სამყაროში ყოველივე სპირალურ განვითარებას ემორჩილება და რა სახესხვაობით შემოგვიგრიადლება ეს მაგრიარქაგის ვირუსი, არავინ უწყის.

დღეს ჩემი ყოველი 10 ნაცნობი ქალიდან, 4 ქალი ოფიციალურად გათხოვილია (მათ შორის ერთი მეორედ), მათ ჰყავთ 8 შვილი, აქედან ერთს ორი, ნაცვლად იმისა, რომ საშუალო გამრავლებისთვის 10 ქალს 25 შვილი უნდა ჰყავდეს.

საერთოდ, სიყვარული და არა მოწონება იშვიათი გრძნობაა და ადამიანთა 90%-ზე მეტი მოწონებით, გარიგებით ქმნის ოჯახს. ხშირად არის შემთხვევა, რომ არცთუ ისე მიმზიდველი დაბალი განის ქალი, ასეთსავე მამაკაცს მიჰყვება და ამ იძულებით გარიგებას, მე სიყვარულს ვერ დავარქმევ. შედეგად უმეტეს შემთხვევაში იბადება არც თუ ისე მომხიბვლელი პირმშო, რომელიც მთელი ცხოვრება თავის ნაკლის გარდაქმნა-დაფარვაშია. მახსოვს, ერთი ენამოსწრებული გურულის პასუხი მეზობლების დაცინვაზე, რომლებიც მისი გარეგნობის გაქილიკებას შეეცადნენ – „ერთი გაეკეთებინეთ მამაჩემს და დავინახავდი რა ხვითოც თქვენგან გამოვიდოდაო“. ხუმრობა იქით იყოს და რასიმში ჩემგან შორსაა, მაგრამ ქალი თუ ატყობს ვერ მიჰყვება თავის ოცნების მამაკაცს, მას შეუძლია საჯიშე მამაკაცს დახარბდეს.

იყო საჯიშე მამაკაცი, არც ისე ადვილია, ეს თავისებური ახალი კასტაა, ამ კასტის წევრებმა ალკოჰოლი და ნარკოტიკები არ უნდა გაიკარონ, უნდა იკვებებოდნენ მაღალი ხარისხის და ნაგურალური საკვებით, უნდა ჰქონდეთ ცხოვრების ჯანმრთელი წესები და რაც მთავარია, ისინი ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ. სამსახურში მიღებისას პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ, კიდევ რაღაც რაღაცეების მოფიქრება შეიძლება, მათი რაობის წინ წამოსაწევად, რეკლამირებისთვის და სუპერმამაკაცის მოღაში შემოსვლაც არ დააყოვნებს.

რა თქმა უნდა, ქვევით შეიძლებოდა ჯიშთან მამაკაცთა წესდების ჩამოწერა, მაგრამ ამას, უნდათ თუ არა, მომდევნო თაობები გააკეთებენ, რათა მამაკაცებს ჰქონდეთ მისაბაძი, შექმნან ჯანმრთელი ყოფის იდეოლოგია.

გვინდა თუ არა, ხელოვნური ჩასახვა მოღაში შემოვა, ქალები გააჩენენ თავის ოცნების მამაკაცებთან შვილებს, რომლებიც კერპებად ჰყავთ მიჩნეული. ამიგომ, ამ მოღის შემოსვლას და გავრცელებას მამაკაცთა გუნდი მომზადებული უნდა შეხვდეს, რადგან მომავალი გექნიკური პროგრესი ისეთ რობოტ მამაკაცებს და ქალებს შესთავაზებს მომდევნო თაობებს, რომ ბევრმა შეიძლება ბუნებრივი ვნების მიღებაზე უარი თქვას და ცივილიზაციის ეს „დაცინვა“ ამჯობინოს. ამიგომაც ამ მოსალოდნელ საშიშროებას მომდევნო თაობების მამაკაცთა კორპუსი მომზადებული უნდა შეხვდეს, რათა მათზე მოთხოვნა არ შემცირდეს.

როგორი დიდი წარმოდგენაც არ უნდა გვქონდეს ადამიანზე, ის მთლიანად ყოფიერებაზეა დამოკიდებული და თუ გაუჭირდა,

წარსული ყოფიდან ყოველივე ცუდს გაიხსენებს. ამიგომაც როგორც ყოველთვის, მამაკაცთა მოდგმას გაფრთხილება სჭირდება, რადგან ისინი გარეგნულად გამოიყურებიან ძლიერ სქესად და არაა შინაგანად. ამიგომაც ჯიშინი მამაკაცის ინსტიტუტის შექმნა მე დღეს გარდაუვალად მიმაჩნია.

დღეს მუსულმანური სარწმუნოების მიმდევრებს უფლება აქვთ, ოთხი ცოლი მოიყვანონ, მაგრამ ორთოდოქსალურ ქვეყნებშიც კი, როგორც საუდის არაბეთი და კუვეიტი, უმეტესობას ერთი ცოლი ჰყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებიც ევროპულ კულტურას ეზიარნენ. ასე, რომ ფიქრი იმაზე, რომ ჯიშინ მამაკაცებს ჰარამხანა ეყოლებათ, საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგან მრავალი ცოლი მოვალეობაცაა, დამატებითი ხარჯებიცაა და ენერჯის ხარჯვას მოითხოვს, ხოლო თანამედროვე მამაკაცებს ზედმეტად თავის შეწუხება არ უნდათ და თუ ვინმე წამოეგება სუპერმამაკაცად ყოფნის ანკესზე, ღმერთმა ხელი მოუშარტოს, ის სახელმწიფო საქმეს აკეთებს. ასე რომ, შეიძლება მკრეხელობად მოგვეჩვენოს, მაგრამ სელექცია არც ზოგიერთ ადამიანთა მოდგმას აწყენდა.

დღეს ძალზე მოდაშია საშუაშავლო სააგენტოების გახსნა, სადაც ერთმანეთს თავაზობენ თავიანთ კანდიდატურებს, ამ სააგენტოებზე როგორი წარმოდგენაც არ უნდა გვექონდეს, მომავალი მაინც მათ ეკუთვნით, რადგან ადამიანს, რომელსაც კარიერის კეთება და ფულის შოვნა უნდა, პაემნებზე დასაკარგი დრო არ რჩება, ამასობაში რეპროდუქციული წლები ხელიდან ეპარებათ. ასე, რომ ჯიშინი და ვნებიანი მწარმოებელი მამაკაცების ღეფიცის სამყარო უკვე დღეს განიცდის და მომავალში მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება. ამასთან, არცერთ ადამიანს არ აქვს უფლება ამ ქვეყნიდან ისე წავიდეს, ნამდვილი ვნება, სექსი არ გამოცადოს და ღირსეული ჯანმრთელი ნაშიერი არ დაგოვოს. დღეს ცივილიზაციამ და ფულმა ბევრი რამ შეცვალა. მაგ. ახალგაზრდა მამაკაცს ასაკოვანი ქალი მოჰყავს, მამაკაცები ოჯახს, შვილებს უვლიან, ხოლო ქალები ფულს შოულობენ. დაიკარგა ქალის თანდათან მოხიბვლის და დაპყრობის ინსტიტუტიც. დღეს ზოგიერთ ქვეყანაში ქალს ვერც სკამს დაუთმობ და ვერც რესტორანში დაპატივებ შენს ხარჯზე თუ ახლო ურთიერთობა არ გაქვს, რადგან მას არ უნდა თავი შენგან დავალებულად იგრძნოს. ძალზე გამარტივდა ვნების დაკმაყოფილების უფლება, გაღაიხადე ფული და ისიამოვნე.

ჰნების სახლი

დღეს საქმიან და ფულიან ადამიანს საკმარისი დრო არ რჩება იმისათვის, რომ ქალი გაიცნოს, მოხიბლოს-მოქრთამოს საჩუქრებით და შემდეგ თავისი ვნება დაიკმაყოფილოს და ქალი დაიბევოს, ეს არარენგაბელურია და უფრო ძვირიც ჯდება. მე მხედველობაში მაქვს სასიყვარულო თავგადასავლები, რომელიც ადამიანის ფიზიოლოგიაა და მას საბუნებროდ ჯერ-ჯერობით ვერსად გავექცევით. ტექნიკური პროგრესის განვითარებას სხვა კულტურული ღირებულებები მოაქვს. დღეს ფაქტიურად ყველა ქვეყანაში გახსნილია ვნების იაგაკქვეშა სამეძაო სახლები. ამის შესახებ შესანიშნავად იციან სადაც ჯერ არს და ქრთამსაც იღებენ. დღეს ქალები ემანსიპაციასთან დაკავშირებით უფრო თამამები და აქტიურები გახდნენ და მათ ვნების ვაჭრობის გზით ფულის კეთება სირცხვილად არ მიაჩნიათ. ეს ყოველივე კარგად მოეხსენება ხელისუფლებას, ხალხს, მაგრამ ყველა „არ ვხედავ“, „მიუღებელიას“ და „რას იტყვის ხალხი“ თამაშობს. დღევანდელ გერმანიაში მეძავე ქალები ოფიციალურად იღებენ სამუშაო ლიცენზიას და ქუჩაში თავაზობენ თავს მამაკაცებს. როგორც „მცირე მეწარმე“, ისინი ვალდებული არიან ყოველდღიურად 30 ევრო შეიგანონ ქვეყნის ბიუჯეტში.

ვნების სახლის ოფიციალურად დაშვება, სახელმწიფოს მისცემს სამუქალებას, ამ ბიზნესმა სარგებელი მოუტანოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე ამ ბიზნესის მსახურთ. თუ ეს ჯოჯოხეთური შრომა სამუშაოდ ჩაითვლება, საპენსიო წლებსაც დააგროვებენ კუთვნილი პენსიის მიღებით. ჩემის აზრით ვნების სახლები უნდა განლაგდნენ ქალაქის განაპირა უბნებში. აქ უნდა დაასაქმონ 18-დან 24-წლამდე ახალგაზრდა ქალები, რომლებიც თვეში იმუშავენ 20 დღეს მათი ფიზიოლოგიიდან გამომდინარე და წელიწადში 10 თვეს. ამგვარი სახლი სახელმწიფოს წელიწადში გადაუხდის დავეშვათ 20.000 დოლარს, ამდენივე თანხას შეიგანს საროსკიპოს ხელმძღვანელი ქალის ანგარიშზე, რომელიც 6 წლის განმავლობაში ბანკში დაიდება დეპოზიტზე, ხოლო დანარჩენს მოგების სახით ამ ვნების სახლის ხელმძღვანელობა წაიღებს.

6 წლის მუშაობის შემდეგ ამ სახლის თანამშრომელს დაგროვილი ექნება საკმაო თანხა, რომლითაც შეეძლება ბინის, ავტომობილის ყიდვა, მიიღოს გარკვეული სპეციალობა, გათხოვდეს და შეიღებოს იყოლიოს, ხოლო თუ ამ საქმიანობას თავს ვერ დაანებებს,

ლიცენზია აიღოს და მუშაობა განაგრძოს. შეუძლიათ კერძო მომსახურებაზე გადავიდნენ მათ ამის სათანადო გამოცდილება აქვთ. სხვათა შორის სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებში, სტუდენტი გოგონები ამ გზით იხდიან უნივერსიტეტში სწავლის ფულს, თავსაც ირჩენენ და ეს მაინცდამაინც დიდ ცოდვად არ ითვლება.

მეძავეობის ამ სახით სამუშაოდ გარდაქმნა, დიდი პროფილაქტიკაა და თავს ავარიდებთ ინფექციური დაავადებების და „შიდსის“ გავრცელებას. შესაძლებელია ვნების სასწავლო ცენტრების შექმნა, სადაც მოხდება ერთი ან ორკვირიანი ფასიანი საგზურების რეალიზაცია, ქალთან ურთიერთობის ასამაღლებელი კურსებით, რადგან სექსი თავისებური ხელოვნებაა და აქ პირველ „ვიოლინოს“ სასურველია მამაკაცი ასრულებდეს, რადგან ხშირად ოჯახის დანგრევის მიზეზი სექსაობის არ ცოდნა, შეუთავსებლობაა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დღეს არავის მოეჩვენება გარყვნილებად, რადგან მე-19 საუკუნეში საფრანგეთში ცნობილმა ჟორჟ სანდმა პირველად შარვალი რომ ჩაიცვა, ამან შოკი გამოიწვია საზოგადოებაში, დღეს კი 10 ქალიდან 9-ს შარვალი აცვია და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

პოლიტიკოსის და საზოგადოების დანიშნულებაა, რომ თავის დროს ცოგათი წინ გაუსწროს, რათა მისი ქვეყნის მოქალაქეებმა ღირსეულად და დასამახსოვრებლად იცხოვრონ.

დღეს საქართველოშიც შეიქმნა ახალი კულტურა, ქალების მომსახურების – მამაკაცთა უმეტესობა მათ ფულს უხდის და ამის აღიარებაც არც რცხვენიათ, ჩემს დროს კი ეს სირცხვილად ითვლებოდა, რადგან ახალგაზრდა კაცი თავს ხვადად, მომპოვებელად უნდა გრძნობდეს და როგორც ვხედავთ, ყველა დროს თავისი მენგალიგეგი მოაქვს პრაქტიკული გამოსავლით.

დღეს ძალზე ბევრი მდიდარი ასაკოვანი ქალია, რომლებიც „სამკურნალოდ“ და ვნების დასაცხრობად ჯანმრთელ ახალგაზრდა ვაჟებს ქირაობს. ზოგიერთი ქალი თავისი ცხოვრების მოსაწყობად გათხოვდა ასაკოვან მამაკაცზე და თავის ნანაგრ სექსს ვერ ეზიარა, ამიგომაც ის ასაკში ცდილობს დაკარგულის ანაზღაურებას, ამ უფლებას მას ვერ წავართმევთ. ამასთან ადამიანის ბუნება-განწყობა შეუცნობელია. მახსოვს, თბილისში, როდესაც ლილჰუტების ცირკი იმყოფებოდა გასტროლებზე, იმდროინდელი მენგალიგეგის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი ქართველი მამაკაცი ცდილობდა მათთან შეხვედრას.

რას ვიზამთ, ზოგს სურვილი აქვს სხვადასხვა ეროვნების, ფერის, მოცულობის, სარწმუნოების ქალები დააჭაშნიკონ, ზოგს „ლილი-პუტიც“ უნდა ჰყავდეს კოლექციაში და ასაკოვანი ქალებიც. ჰოლანდიაში ყოფნის დროს ამსტერდამში ვიყავი სამეძაო სახლების სანახავად იმ უბანში, სადაც ვიგრინებში გამოფენილი იყვნენ სხვადასხვა ფერის და ეროვნების ქალები და იქ იყო 65-70 წელს გადაცილებული ქალებიც. ჩემს გაცემაზე გიღმა მითხრა, რომ ამ ქალებს თავის კლიენტები ჰყავს და მათზე საკმაოდ დიდი მოთხოვნააო. ზოგჯერ ძალზე ძნელია გაუგო ადამიანს.

რადგან მეგ-ნაკლებად ყველანი ცოდვილები ვართ, ეს ცოდვები უნდა ჩავიდინოთ ყოველგვარი კრიმინალის გარეშე სიამოვნებით. გარკვეულ წრეში საგრებახოდ და გასახსენებლად. ქალებთან ურთიერთობა, სითამამე საშუალებას მოგვცემს ნარკომანია შევამციროთ, რადგან ზოგი ნარკოტიკს იმიტომ ეგანება, რომ თავის გაუბეღაობა, უგერგილობა მოიხსნას, ქალთან საწყის ურთიერთობაში. ჩემის აზრით ქალზე დიდი ნარკოტიკი არ არსებობს და კარგი იქნება, თუ ამას თავიდანვე გააცნობიერებს ახალგაზრდობა.

მომავალში ვნების სახლების ოფიციალურად გახსნა და მასში გავლილი კურსები შეამცირებს ოჯახების დანგრევის მცდელობას. ბევრს სურვილი დაეკარგება მუდმივი საყვარლის ყოლის. ამასობაში ვნების ხუმგურიც გადაუვლით და შედეგით ყველა მოგებული დარჩება.

ქ.სეულში, სამხრეთ კორეაში, გარემოებათა გამო ერთმა ასაკოვანმა ოჯახმა ბინაში მიმიპაგეჟა, რომლებიც ერთმანეთს საიყვარულით თვალებში შესციცინებდნენ. ცოგათი რომ შევთვერით, გამოირკვა, რომ ერთი კვირის უკან, ცოლს ქმრისთვის ერთი ღამით მეძავი დაუქირავებია, როდესაც ქმარს მისღამი მოყირჭება შეაგყო, როგორც შემდგომ საუბარში გამოირკვა. ეს თავისებური კულტურა ყოფილა ამ ქვეყანაში.

ქუჩაში მეძავობა, საცხოვრებელ ბინებში „მინი“ საროსკიპოების გახსნა, ჯგუფური ორგიების მოწყობა სასტიკად უნდა აიკრძალოს, რადგან ალგერნაგევა ოფიციალურად არსებობს. ვნების სახლების საქმიანობაზე კონგროლს აწესებს სახელმწიფო, ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა სამინისტროს გედამხედველობით. ვნების სახლის გახსნა განეკუთვნება სახელმწიფო მონოპოლიას. შედეგად ნაკლები იქნება ვენერიული დაავადებები, შემცირდება ნარკომანია, ვნების მსახურთ აღარ დაემუქრებათ კრიმინალი და მათი მომსახურეობაც ცივილიზებული გახდება.

ნარკომანია

თუ 20 წლის წინანდელ საქართველოს თუ დღევანდელს შევადარებთ, შეიძლება ითქვას, ნარკომანია არ იყო. მაგრამ დღეს უკვე სინთეზური ნარკოტიკებიც შემოვიდა, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე დამანგრეველად მოქმედებს. ახალგაზრდები ნარკოტიკებს პირველად გემოს წამხედურობით „დისკოთეკებზე“ უსინჯავენ, რათა თავიანთი სიმორცხვე, გაუბედაობა დაფარონ და აქედან იწყება მათი გადაგვარება. ნარკოტიკების გამავრცელებლები, ხელშემწყობნი და მფარველები სასტიკად უნდა დაისაჯონ.

დღეს ნარკოტიკების გავრცელება თანდათან მაგვულობს და ამის მიზეზი თავად სახელმწიფოა, რადგან თუ არა მისი „ძალად“ უსუსურობა, ნარკომანიის მოსპობა 95% სულ მცირე, ხუთ წელიწადში შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ამას სჭირდება ძლიერი ხელი და თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება და არა დემოკრატიას ამოფარებული ნაძირალა, რომელიც ნარკოტიკების გასაღების წაყრუების შედეგად ჯიბეს ისქელებს. ნარკომანიის აღმოსაფხვრელად შემდეგი ღონისძიებებია ჩასატარებელი:

– „დისკოთეკის“ ყველა მომწყობს დაევალოს, თუ ნარკოტიკები გავრცელდება მათ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, მას პასუხისგებაში მისცემენ და დისკოთეკას დაკეცავენ.

– პოლიციის უფროსის ტერიტორიაზე თუ სამჯერ იქნება შემჩნეული, რომ ნარკოტიკებით ვინმე ვაჭრობს, უფროსი განთავისუფლდება სამსახურიდან.

– გამოუსწორებელი ნარკომანები გაიგზავნიებიან 5-10 წლით სამკურნალოდ – სამუშაოდ სპეცდასახლებაში, ხოლო ვინც ამის შემდეგ თავს ვერ დაანებებს ან კვლავ დაიწყებს ნარკოტიკების მოხმარებას, ის სამუდამოდ გადასახლდება სპეცდასახლების ტერიტორიაზე.

– მოქალაქეზე, რომელიც შეაგყობინებს პოლიციას, ვინ ყიდის ნარკოტიკს, გაიყვამოზრდელი პრემიები.

– მშობელი, რომელიც მალავს ნარკომან შვილს და არ გზავნის სამკურნალოდ, პასუხისგებაში მიეცემა ქონების კონფისკაციით.

– ქვეყანაში არ უნდა იყოს უპაგრონო ბავშვები, რომლებიც წებოს შესუნთქვით იწამლავენ ცხოვრებას.

– ზოგჯერ სამედიცინო დაწესებულებებში გვხვდებიან ექიმები, რომლებიც თავადვე მოიხმარენ ნარკოტიკებს, ასეთი ექიმებიდან ქვეყანა უნდა განთავისუფლდეს.

– ვისაც ნარკოტიკები ჭირდება სამკურნალოდ, ის სპეცსაავად-
მყოფოში უნდა მოვითავსოთ ან სპეცდასახლებაში გადავიყვანოთ
სამკურნალოდ, საცხოვრებლად. ვთქვათ სასიკვდილოდ განწი-
რული ავადმყოფები.

– ქვეყანაში უნდა გაიხსნას მრავალი სპორტულ-გამაჯანსა-
ლებელი ბაზა, რათა უზნეობისკენ მიდრეკილების დაოკება ვარ-
ჯიშით მოხდეს.

– ნარკომანიისთვის სამუშაო დღე უნდა განისაზღვროს 12-16
საათით, სანამდღე იგი გამოჯანმრთელდება.

– სპეცდასახლების გელამხედველი, ან სასჯელაღსრულების
დაწესებულების თანამშრომელი როგორც კი შემჩნეული იქნება
ნარკოტიკების გაყიდვაში ან დაფარვაში, უნდა მიესაჯოს სამუდამო
პატიმრობა, როგორც ერის და ქვეყნის ინტერესების მოღალატეს.

– თანამდებობის პირი, რომელიც მხილებული იქნება ნარ-
კოტიკებით ვაჭრობაში მის ხელის შეწყობაში, ან წაყრუებაში, უნდა
მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა.

– ნარკოტიკების სია, რომლის რეალიზაციისთვის სამუდამო
პატიმრობაა მისჯილი, ოფიციალურად უნდა დამტკიცდეს სახელმ-
წიფოს მიერ. სიაში აუცილებლად უნდა იყოს ყველა სინთეზური
ნარკოტიკიც.

– ნარკომანიის გავრცელებასა და ხელის შეწყობაში თანამდე-
ბობის პირების სამხილებლად სპეცსამსახურებში უნდა შეიქმნას
სპეციალური პროვოცირების ჯგუფი, რომელიც თუ გამოავლენს
ასეთ თანამდებობის პირს, რა თანამდებობაც არ უნდა ეჭიროს,
აკავებს ყოველგვარი ნებართვის გარეშე და ახსენებს პირადად
ქვეყნის პრეზიდენტს.

სახელმწიფოს თუ უნდა ნამდვილად ნარკომანიის აღმოფხვრა,
უნდა შექმნას შედეგიანი სპეციალური სამსახური და ამ სამსახურს
უნდა დაენიშნოს ვადა, როგორც ომიანობის დროს, როდის უნდა
აღმოიფხვრას ეს სენი. ეს სამსახური პირადად ემორჩილება
ქვეყნის პირველ პირს და პასუხს მხოლოდ მის წინაშე აგებს.

ნარკომანიასთან ბრძოლა ერის, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის
საკითხია, იმის მიუხედავად, რომ მის აღმოფხვრას ჯერ-ჯერობით
საშველი არ აღგება. ამასთან ბრძოლა დაუყოვნებლივ უნდა
დაიწყოს და აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მის საბოლოო
დამარცხებამდე.

სიტყვა, რომელიც ყველგან არ ითქმება

უანალოგო „პოლიტიკონომიას“ მინდა დავუმატო ის მოსაზრებანი, რომელიც ყველგან არ ითქმის, რადგან პოლიტიკის ისტორია ჩემთვის მარგო სასიამოვნო ამბების შეცნობა კი არ არის, არამედ მისი ანალიზია და თუ როგორ გავართვი თავი ამ ანალიზს ჩემი გადასახედიდან, ეს მკითხველმა უნდა განსაჯოს, რადგან ერის ამროვნების „მოუკრეფავში“ გადასვლას ვცდილობ. ამასთან ყოველთვის მიჭირდა იმ ხალხთან საუბარი, კამათი, რომლებსაც სული, მენგალიტივი ქვის ხანაში აქვთ გადანახული.

თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი მგრულად განწყობილ მეზობლებთან ძირითადად დაპირისპირების და თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა, პოლიტიკაზე ეკონომიკაზე, განათლებაზე, გამოცდილების გადაღებაზე ფიქრის და მცდელობის გარეშე. ქართველი კაცი ხშირად დამპყრობლის ხელში თავს „უკეთ გრძნობდა“, ვიდრე მაშინ, როდესაც ის თავისუფალი იყო, ამასთან, ქართველ კაცს მგრის ყოლის გარეშე. ცხოვრება უჭირს, რადგან თუ მგერი არ ჰყავს, ერთმანეთს მგრობენ, ექიშპებიან, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს გვერდში ამოუდგნენ, ეკონომიკას მიხედონ. დღეს საქართველოში ისეთი არაფერი არ ხდება, რაც ჩვენს წინაპრებს თავს არ გადახდენიათ. არცერთი მთავრობა არ მოგვწონს, ოპოზიცია ჩასაფრებულია და რევანშისტისთვის ემზადება და არა იმისთვის, რომ ქვეყანა ეკონომიურად ფეხზე დადგეს და უკეთ მართონ, არამედ რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭონ, თანამდებობა იშოვნონ. ისტორიის გადასახედიდან უამრავი სისულელე და ძალზე ცოცხალი სიტყვიანე აქვთ ჩაღენილი ჩვენს წინაპრებს, მაგრამ ჩვენ მაინც მათ გონიერებას, სიკეთეს ვიხსენებთ, რადგან სალანძღავად ვერ ვიმეტებთ, ამით თავსაც ვიცავთ, ალიბსაც ვიკეთებთ და ეროვნულობასაც შეურაცხყოფასაც არ ვაყენებთ.

დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტი, თეორიულად კარგი პიროვნებაა, რაღაც-რაღაცეებს კარგს აკეთებს, მომწონს მისი საგარეო ურთიერთობა, ეკონომიკის გარკვეული ნაწილიც, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რაგომ იყრის „ყვერებში მახათს“, როდესაც ამის გარეშედაც საქმის მოგვარება შეიძლება. ჩემთვის ყველაზე სამწუხარო იმის მიხედვრია, რომ არცერთი ახალი მთავრობა ძველს არ სჯობია.

ჩვენს ისტორიას რომ გადახედავ, უნებლიედ ხვდები, რომ ქართველებს მონღოლებზე და რუსეთზე უკეთესი დამპყრობელი

არ ჰყოლია. მონღოლების წინადადებას ჩვენი „უაზრო ყარაჩო-ხელობის“ გამო არ დავეთანხმეთ, რომ 10 კაცზე ერთი კაცი მიგვა მეომრად, ათ ცხვარზე ერთი ცხვარი და ისინი საქართველოში შემოსვლას არც აპირებდნენ. შედეგად მათ საქართველოს გარკვეული ტერიტორიის დაპყრობა მოუწიათ, ხოლო საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ შესანიშნავად გამოიყენა მონღოლ ყაენებთან კარგი ურთიერთობა და უკანასკნელად აღადგინა საქართველო ძველ საზღვრებში ნიკოფსიდან დარუბანდამდე და შემდგომ როგორც ყოველთვის განუღვა თავის მეგობარ ყაენებს. ასეთივე მდგომარეობა იყო რუსეთთან მიმართებაშიც, რუსეთმა საქართველო XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთში მცხოვრებთა სახით 350.000 ქართველი ჩაიბარა და XX-ე საუკუნის დასასრულს 5,5 მილიონი მოსახლეობა ჩაგვაბარა და მათ შორის 4 მილიონი ქართველი იყო, რომელიც თავის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და სხვაგან არ დაეძებდა სარჩოს. ამასთან, საქართველოს მოსახლეობა გაცილებით უკეთ ცხოვრობდა „დამპყრობელზე“, რადგან დაპყრობილს დამპყრობელის ბაზრები ჰქონდა დაპყრობილი. ხოლო თუ დაპყრობა სხვა ქვეყნის ბაზრების დაპყრობას ნიშნავს კლასიკური განმარტებით, მაშინ ჩვენ გვყოლია რუსეთი დაპყრობილი და არა პირიქით.

სამწუხაროდ ვერც XX საუკუნის დასაწყისში გამოიჩინა სათანადო გონიერება საქართველოს ამბიციურმა მენშევიკურმა მთავრობამ რუსებთან მიმართებაში. როდესაც დაინახეს, რომ აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიები რუსეთმა შეიერთა, ევროპამ და ამერიკამ ჩვენს მფარველობაზე პრაგmatულად უარი განაცხადეს; ხოლო რუსეთის პირველ კაცობაზე პრეგენზიას საქართველოს შვილი ი.სკალინი აცხადებდა და მას პოლიტიკურ ფსონში ჩასადებად საქართველო ჭირდებოდა, რისთვისაც არაფერს დაერიდებოდა. ამ გარდაუვალი ისტორიული აუცილებლობის გამოყენება საქართველოს თავის სასარგებლოდ შეეძლო; რუსეთისთვის ნებაყოფილობით შეერთება ეთხოვა გარკვეული პირობების სანაცვლოდ – საქართველოს ტერიტორია აღედგინათ ნიკოფსიდან დარუბანდამდე და ეს იმ დროს სრულიად შესაძლებელი იყო. სამწუხაროდ ქართველებს არ გვესმის, რომ პოლიტიკა მომენტის დაჭერაა, დროსა და გარემოსთან შერწყმით. სამწუხაროდ განგება ასე ჰარი-ჰარალედ არ იძლევა „დავით აღმაშენებლის“ და „გიორგი ბრწყინვალეს“ სადარ ხელისუფალს.

დავუშვათ, საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო, რა მიღწევები ექნებოდა საქართველოს, მაშინდელი ხუთწლედის გეგმების მიხედვით? უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მინიმუმ მეგრის 10 ახალი სადგური გაიხსნებოდა, სამი ელექტროსადგური აშენდებოდა, 400 სრულმეტრაიან კინოს გადავიღებდით, თხუთმეტჯერ მეტ საცხოვრებელ ბინებს ავაშენებდით, სამ მსხვილფეხა პირუტყვის, ცხრა მელორეობის 40000-იანი კომპლექსი და თხუთმეტი ასათასიანი ქათმის ფერმა გაიხსნებოდა, რამდენიმე ახალი საწარმო აშენდებოდა და რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობა მინიმუმ 6 მილიონს მიაღწევდა, არ გვექნებოდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი. გაცილებით გაფართოვდებოდა საკურორტო ბონა და მოიმაგებდა დამსვენებელთა რაოდენობა. მაგრამ ყველაფერში „მეტირები“ და სულწასულები ვართ, ყველგან ჩვენ უნდა ჩავყოთ პირველებმა ცხვირი. შუა ამიის მოკავშირე რესპუბლიკები ისე გავიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, რომ დიდხანს ვერც კი „მიხედნენ“, რა მოხდა.

ასე მოუვიდა რუსეთსაც უკრაინასთან მიმართებაში, რადგან ყველა ძლიერმა სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ ხალხი უმადურია, განსაკუთრებით თუ ეს სხვა ერის წარმომადგენელია და მას „თავის გადარჩენა უნდა“ – მოთმინების არ შესწევს ძალა, ევოლუციის პროცესებს დაუცალოს და უფრო მომგებიანად მიიღოს ის, რისვისაც იღწვის. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთს მცდელობით უკრაინამ დაიბრუნა და მუქთაღს მიიღო გარკვეული ტერიტორიები პოლონეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, მაგრამ მან თავისი „უფროსი ძმის“ სიკეთე დაივიწყა და მუდამ კრიჭაში უდგას. ასევე მოიქცა ბულგარეთი, რომელიც რუსეთის ჯარისკაცების სიცოცხლის საფასურად დაიხსნა თავი ოსმალეთისაგან და დღეს „ნაგოს“ წევრია. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ნამდვილი ამბავი: ბიძაშვილმა ბიძაშვილს სოფლად თავის ორსართულიანი სახლი თავის ორი ჰა მიწით აჩუქა და თავად მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ბიზნესს ხელი მიჰყო და გამდიდრდა. რამდენიმე წლის შემდგომ მოსკოველმა ბიძაშვილმა სოფლელი ბიძაშვილი მოინახულა და მაღლიერების ნაცვლად ამ უკანასკნელმა საყვედურებით აიკლო „მეც რომ წაგეყვანე მოსკოვში, შენთან ერთად საქმეში ჩაგეყენებინე, ეხლა ამ თოხს ხომ არ ვუბაყუნებდიო“, საინტერესო ის არის, მართლაც რომ წაეყვანა და ფული ერთად ეკეთებინათ, ჩხუბი მაინც მოუვიდოდათ და მაინც

ერთმანეთის უკმაყოფილონი დაშორდნენ. მენდეთ, ეს ასე იქნებოდა, ამას ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით, რადგან ახლობელს თუ თავს გაუყადრებთ ვერც თქვენს სიკეთეს დაინახავს და არც დაგაფასებთ.

გემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა პოლიტიკოსმა ყოველივე წინასწარ უნდა განჭვრიტოს, გაითვალისწინოს. რუსეთს რომ ჭკუა ეხმარა თავის დროზე, ცალკე გამოეყო და რუსეთის შემადგენლობაში ჰყოლოდა ოდესის და გირასპოლის გაერთიანებული ოლქი, სადაც უმთავრესად რუსები და ებრაელები ცხოვრობდნენ, არ უნდა მიეცა ყირიმის ოლქი და ზოგიერთი რუსებით დასახლებული სამხრეთის ოლქები, არ უნდა დახმარებოდა უკრაინელებს კარპატების და სხვა გერიგორიების მიერთებაში და უკრაინა ცალკე სახელმწიფოდ ელიარებინა. შედეგად, სადაო უკრაინის სამივე ქვეყანასთან ექნებოდა, ხოლო რაღაც 50 წლის შემდეგ ყოველივე დაივიწყებას მიეცემოდა.

პოლიტიკა მუქთად არავის არ უნდა დაეხმაროს და დახმარების სანაცვლოდ რაღაც მაგერიალური გერიგორიის გარკვეული ნაწილი უნდა მიიღოს. სხვა შემთხვევაში მხოლოდ მორალური და მაგერიალური დახმარება უნდა შესთავაზოს, როგორც ამას დღეს ევროკავშირი და აშშ აკეთებს.

აშშ და ევროკავშირის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოსაგვარებლად ურიგოდ რომ „ნატოში“ მივედეთ და სამხედრო დახმარება გაეწიათ, მათ მცდელობას მომდევნო თაობები დაივიწყებდნენ და თუ რაღაც გაუგებრობა მოხდებოდა ჩვენს შორის რაღაც 40-50 წელში აშშ და ევროკავშირსაც ზურგს შეაქცევდნენ და იტყოდნენ: რა გვქონდა სადაო ამ ჩვენს საყვარელ ჩრდილოელ მეზობელთან, ეს ყოველივე აშშ და ევროპის ბრალიაო, ალბათ ისე როგორც ორ მოჩხუბარს შორის, რომ გამშველებელს ყველაზე მეტი ხედება და შერიგების შემდგომ გამშველებელს ორივე მხარე საყვედურობს და მასში განგევების ვაცს ხედავენ.

დავუშვათ, „ვენები არ გალაგვეჭრა“ საქართველოს თავისუფლების სიყვარულით და ისევე გულგრილად მოვქცეულიყავით, როგორც შუა აზიის რესპუბლიკები მოიქცნენ, საქართველო ყოველგვარი პრობლემების გარეშე გამოვიდოდა ამ კავშირიდან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენი ხალხის ბუნების გადამკიდე, დღესაც ძველი სიჭკუაცია რომ განმეორედეს ხელახლა, ხალხი იგივეს მოიმოქმედებს, რადგან „ისტორია გვასწავლის იმას, რომ

საქართველოს არაფერს ასწავლის“, რადგან ქართულ გენს ეკყობა არაფრის სწავლება არ უნდა. ხოლო თუ რაიმე გაუგებრობა ხდება ქვეყნის რომელიმე ტერიტორიაზე, ეს საკითხი სახელმწიფოს უშიშროების ორგანოებმა უნდა აღკვეთონ და არა ჯარმა, პოლიციამ.

არაფორმალები, მერაბ კოსტავა და საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია წამებულ „რაინდებალ“ საბჭოთა კავშირის უსაზრო პოლიტიკამ აქცია, თორემ დღევანდელ დემოკრატიის მაგვარ სახელმწიფოში, ჩვეულებრივი ოპოზიციონერები იქნებოდნენ და შეიძლება ხელისუფლებაშიც ვერ მოხვედრილიყვნენ. ხოლო რაც მოსახლენი იყო ფაქტიურად მათ გარეშე მოხდა. ამასთან სრულიად ვეთანხმები პასკულაგს „მთავარი ციხეში მოხვედრა კი არ არის კარიერის გასაკეთებლად, არამედ არ მოხვედრა, ჩასაფრებით და დროის დალოდებით“, რადგან რევოლუცია, ბუნტი, პირველ რიგში მათ მოთავეებს „ახრამუნებს“ და მათ მისაბამი არაფერი აქვთ.

ყველა ერის და მათ შორის ქართველების უპირველესი ამოცანაა, ძნელი მეცნიერება, ეკონომიკა ვისწავლოთ, თორემ მარტო ადვილად მიჩნეულ საყოველთაო პოლიტიკურ მეცნიერების თვითსწავლებას ქართველებისთვის სიკეთე არ მოაქვს.

ხშირად მიფიქრია, საქართველოს პეტრე დიდივით რომ ვიდაც ზღვაოსნობაზე გადარეული მეფე გამოსჩენოდა და ფოთში აეშენებია გემების ასაშენებელი დოკები, შავი ზღვა გადაგვეცურა, ევროპას დავახლოებოდით, ან ერთი საუკუნით ადრე შემოგვეტანა კარგოფილის, სიმინდის კულტურა, დროულად გვესწავლა ჭაობების დაშრობა დასავლეთ საქართველოში, ჩვენ ბედს ძალი არ დაჰყუფდა, რადგან ეს გამოიწვევდა საქართველოს ეკონომიკურად მომძლავრებას, რაც პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების საწინდარი იქნებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სათავეში ღირსეული მეფე ეყოლებოდა..

საქართველოს მეზობლად ყოველთვის ჰყავდა მთიელი, ღარიბი გომები, რომლებსაც ყაჩაღობის გარდა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგანაც ისინი ეკონომიკურად საქართველოზე ჩამორჩენილები იყვნენ. მათთვის საქართველოზე თავდასხმები ყველა შედეგის მიუხედავად, მომგებიანი იყო თუ წაიღებდნენ ნაყაჩაღარს, თავს გამოიკვებავდნენ, თუ დავხოცავდით მოძალადეებს, მჭამელი მოაკლდებოდათ. არა და საქართველოს ეკონომიკური მრდა ამ მთიელ მეზობლებს ქართველების მოყვარებად აქცევდა.

სამწუხაროდ, დღესაც თავისუფალი საქართველო წარსულის შეცდომებს უშვებს: გადასული ვართ სპონსორობაზე, გრანტების მოპოვებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე და წილში ჩაჯდომაზე, არავის ხალხის ბედი არ აინტერესებს, რადგან თუ აღამიანს ვერ დავასაქმებთ, ის იძულებულია საქართველოდან წავიდეს, ხოლო საქართველოდან წასული ქართველი საქართველოსთვის დაკარგულია, იგი უკანაც რომ დაბრუნდეს, ქართველებს მისი მიღება არ უნდათ, რადგან მასში კონკურენცს ხედავენ.

ქართველები ებრაელებივით სხვა ქვეყანაში უფრო ავლენენ ნიჭს, ვიდრე სამშობლოში, ეცყობა აღამიანთა ურთიერთობაც ფიზიკის კანონს ემორჩილება, რაც მეტი დაწოლაა, მით მეტია წინააღმდეგობა. ქართველი კაცი თავის შესაძლებლობებს სხვაგან მაშინ ავლენს, როდესაც სახლში უჭირს და მისი მიწაწყლის ხალხს გონება დაბინდული აქვთ.

გერმანელმა ხალხმა 1933-1939 წლებში წარმოუდგენელ ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია, როდესაც ჰიტლერმა გერმანელი ხალხის დამცირების განგეგმვის ვაცად, ებრაელები „მონახა“, მაგრამ სწორედ ამ ებრაელ ხალხთან დაპირისპირებამ მას ბოლო მოუღო. ჰიტლერს რომ ჭკუა გამოეჩინა და 1936 წლისთვის ეთქვა, რომ ებრაელები, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ, ყველა დაესაჯეთ და გერმანიაში ახლა კარგი ებრაელები დარჩნენ, მოფერებოდა მათ, შედეგად რეპრესიების გარეშე დარჩენილ გერმანელ ებრაელთა ნაწილი, მხარს დაუჭერდა, შეწყდებოდა გერმანელი წარმოშობის ებრაელ მეცნიერების ემიგრაცია სხვა ქვეყნებში, კერძოდ აშშ რომელთა დახმარებითაც ამერიკელებმა აგომური ბომბი შექმნეს და დღევანდელი გადასახედიდან ირკვევა, რომ მას თავისუფლად შეეძლო მეორე მსოფლიო ომის მოგება.

რადგან ევროპის ქვეყნები უჩერჩილის თამალობით დაინტერესებული იყვნენ, რომ მეორე მსოფლიო ომში რუსეთიც ჩაეთრიათ, (ამიგომაც დღეს ინგლისელმა ხალხმა გამოკითხვის შედეგად 100 საუკეთესო ქვეყნის შვილში მას პირველი ნომერი არგუნა). სგალინი იძულებული გახდა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტზე ხელი მოეწერა, სადაც საბჭოთა კავშირს თავისი ინტერესები გააჩნდა, მან პოლონეთიდან დაიბრუნა ძირძველი უკრაინის და ბელორუსიის მიწები და ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა. 1941 წელს შესაძლებელი იყო თურქეთი გაენაწილებინათ თავიანთი ინტერესების მიხედვით, სადაც თურქეთიდან სსრკ დაიბრუნებდა სომხეთის

და საქართველოს მიგაცეხულ მიწებს. 1942 წელში სსრ კავშირს და გერმანიას საერთო ინტერესები უნდა გამოეჩინათ ირანსა და ავღანეთში, სადაც შესაძლებელი იყო ირანის ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან, აზერბაიჯანისთვის ტერიტორიები დაებრუნებინათ. აქ გერმანიას შეეძლო დაპყრობილი ხალხების ხარჯზე თავისი არმიის გაორმაგება და ამის შემდგომ დაეწყო სამხედრო ოპერაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საოცარია, მაგრამ თავიდან ჰიგლერს ასეთი გეგმა ჰქონდა, მაგრამ რაგომ შეცვალა ეს გონივრული და პერსპექტივის მქონე გეგმა, ისტორიისთვის დღესაც უცნობია. იმდროინდელ გერმანიას თავისუფლად შეეძლო ბაქოს ნავთობსადენების ხელში ჩაგდება და ციმბირის ჩამოშორება, რაც სხვათა შორის საბჭოთა არმიას საწვავის და ხალხის რესურსების გარეშე დაგოვებდა. ამასთან, 1943 წლის ბოლოს ატომური ბომბის გაკეთებასაც ასწრებდა.

დავუშვათ, დაეპყრო მსოფლიო ჰიგლერს, რა ხერხს ნახავდა? მე მგონი ვერაფერს, ის თავის მოწინავე ტექნოლოგიებს დანერგავდა დაპყრობილ ქვეყნებში, უნდა, არ უნდა, ამ ტექნოლოგიას გაიცინობდნენ დაპყრობილი ხალხის წარმომადგენლები. უნდა, არ უნდა, მათ ცხოვრების დონეს ააბაღლებდა და საბოლოოდ როგორც ყველა იმპერია, ჭირს მოგვჭამდა რამდენიმე საუკუნის შემდეგ.

დღეს „გაეროს“ გაძლიერება და საყოველთაო კანონმდებლად მოვლენას პირველ რიგში აშშ და სხვა მესახელმწიფოები ხელს უნდა უწყობდნენ, რადგან განგებას თავის ხუმტურები აქვს და მესახელმწიფოს არსებობა 300 წელზე მევით არ გრძელდება. ამიგომ, დღეს უნდა შეიქმნას სამყაროს კონსტიტუცია თავის საერთაშორისო სამართლით, სასამართლოთი, ენით, დამწერლობით, რათა ხვალ სხვა მესახელმწიფოს გავლენის ქვეშ არ მოხვდნენ, დღევანდელი სამხედრო ძალით გათაფხელებული ქვეყნები. ამის უამრავი მაგალითია ისტორიაში.

დღეს ყველა ქვეყნის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკისაკენ. ევროპაში დამოუკიდებელ ქვეყნებად მე ჩავთვლი დანიას, ჰოლანდიას, ნორვეგიას, შვედეთს, შვეიცარიას, დანარჩენი ქვეყნები ნებით თუ უნებლიეთ ერთმანეთის გავლენის ქვეშ არიან და დიდ ბიძია „სემს“ თუ არ ემორჩილებიან, მის რჩევას ყურადღებენ.

ამიგომ, დღევანდელი საქართველოს დევიზი უნდა იყოს ეკონომიკა, პოლიტიკა, გონიერებაზე „წიხლის დაჭერით“.

და ბოლოს

ეს წიგნი ჩემი ხალხის სიყვარულმა და გაუგებარი დროის ყივილმა დამაწერინა, რადგან დღეს საქართველოში მცხოვრებ ხალხს მასად აღვიქვამ, რომლებსაც ურთიერთ მოსმენის, გაგების სურვილი წართმეული აქვთ, რეალობაში ყველა თავის სიმართლეს ებედობს და ქვეყნის ბედი „ზრდილობის გულისთვის“ აინგერესებს. დღეს ყველა პოლიტიკოსია, მწერალია, საქმიანია, ხოლო სინამდვილეში ერის ნაღების უდიდესი ნაწილი, რომელმაც „ელმავლის“ როლი უნდა იკისროს, ქვეყნიდან გასულია, რადგან ნიჭიერი, შემოქმედი, გონიერი ადამიანისთვის აქ ადგილი არ არის.

ამასთან, რაღაც უდღეური პოლიტიკური პარტიების შექმნას, „მასმედიაში“ ჭყვივლს აზრი დაკარგული აქვს, რადგან ხალხი ხელისუფლებას „დედას აგინებს“, ის კი „შემაფურთხე ვერ მოვიხოცავო“ „ილწვის“ და საუფროსო სკამს ვერ ეშვება. ასეთ საზოგადოებაში უპრიანია, თუ მათ საქმეში არ ჩაერევი, უბრალოდ დროს უნდა დაუცადოთ, ხოლო ასაკის მაგება დაცდის საშუალებას არ იძლევა. რჩება ერთი გამოსავალი: წიგნი დაწერო, მომავალ თაობას ნააზრევი დაუტოვო და დღევანდელობას ნიშნი მიუგო, იმის იმედით, რომ ვიღაცა რაღაცას მომავალში გაითვალისწინებს, მიუხედავად იმის ცოდნისა, „მეგი არ არის ჩვენი მგერი“, მაგრამ ნიჭი თავის „გამოსავალს“ ითხოვს, რადგან მე მიმაჩნია, რომ ჩემი (მეც ხომ კულაბშიკა ქართველი ვარ) დონის შერწყმული პოლიტიკონომისტი სამყაროს არ ჰყავს, რადგან ეკონომიკური ფანტაზია, პოლიტიკური რეალობით უნდა იყოს გამაგრებული.

მომავალში, საქართველო და სხვა სახელმწიფოები გონიერ ქვეყნებად რომ იქნენ, საჭიროა ქვეყნის კონსტიტუციაში ჩაიწეროს ის მუხლები, რომელსაც „უანალოგო პოლიტიკონომიის“ გადასახედიდან ავგორი გთავაზობთ. ასეთებია „უხუცესთა საბჭოს“ შექმნა – რომელიც ფაქტიურად მონარქიის როლს კისრულობს, „საგადასახადო სისტემა“ – სადაც გადასახადს ყველა იხდის „მანდატურთა“ სამსახური – რომელიც აიძულებს დეპუტატებს, პარლამენტს მთელი ძალით დაიხარჯონ, „აღზრდის გადასახადი“ ცდილობს უმცროს-უფროსის ინსტიტუტის შენარჩუნებას და მრავალი სხვა, რომელიც აიძულებს ქვეყნის მოქალაქეებს სამართლიანად იცხოვრონ, ხოლო არჩევნებზე დაშვებული შეცდომა დროულად და ყოვეგვარი ექსცესების გარეშე გამოასწორონ.

ამ წიგნის მიზანია, თეორიული მოსაზრებებით, პრაქტიკული ფანტაზიის მოშველიებით, წიანასწარი გათვლებით, ეკონომიკის გათვალისწინებით და პოლიტიკური ნების თანადგომით, ადამიანებს უკარნახოს ის პოსტულატები, რაც მომავლისთვის გარდაუვალია. ადამიანი მანამ იქნება უკმაყოფილო ცხოვრების, სანამდე თავისთვის საინტერესო სამუშაოს არ მოიძიებს, გართობის და კვების კულტურას არ დაამუდამებს და კანონის რიდი, შიში და პატივისცემა არ ექნება.

წიგნში შესაძლებელი იყო სახელმწიფოს მართვისთვის აუცილებელი ყველა სამინისტროს საქმიანობის განხილვა, ეკონომიური ეფექტიანობის მაგალითების შემოთავაზებით, მაგრამ ცხოვრების ორომგრიალი, არამყარი პოლიტიკა და თვით ადამიანური ბუნების ხუმტური დაბნეულობას იწვევს ფართო მკითხველში. ამასთან, ის, რაც არ გვესმის, უმეტესობას არც უნდა გაიგოს და გადაჭარბებულ ციფრებთან ურთიერთობა და მისი კითხვა არ გვსიამოვნებს. არა და ამ ყველაზე ლამაზი, უპირველესი მეცნიერების მათემატიკის მოშველიების გარეშე, ვერცერთი საქმიანობა, მცდელობა ფონს ვერ გადის.

რადგან ვერცერთი პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე ვერ იარსებებს და პირიქით, ისინი თავიანთ გამოცდილებას ერთმანეთს უნდა უზიარებდნენ და მუდამ თანხმობის ძიებაში უნდა იყვნენ, რათა სამართლიანობა და გარდაუვალი პროცესები ერთმანეთს მოარგონ.

ყველა სახელმწიფო სამსახურში შეიძლება გამოინახოს დამატებითი მომგებიანი საქმიანობა, რომელიც აიძულებს სახელმწიფო რუტინულ აპარატს შემოქმედებითად იმუშაოს და ქრთამის ნაცვლად თავის მცდელობისთვის დამატებითი გასამრჯელო მიიღოს.

უახლოესი ნანოტექნოლოგიების შემოსვლის მიუხედავად, ადამიანის ბუნება არ იცვლება, ცივილიზაციამ და ცხოვრების დონის ამაღლებამ ადამიანი უკეთეს არსებად ვერ აქცია, მდიდარ და ცივილიზებულ ქვეყნებში ვერ მოისპო ქურდობა, ნარკომანია, უსაქმურობა, იმის მიუხედავად, სახელმწიფო აპარატი ამას აქტიურად ცდილობს თუ პასიურად. ამიტომ არის საკითხები, რომლებსაც ახლებურად, არასტანდარტულად, შემოქმედებითად უნდა შევხედოთ, რაც ამ წიგნში ჩემის აზრით საკმაოდ მეტია.

უანალოგო პოლიტიკონომიაში მოტანილია კანონმდებლობისა და დღევანდელი ცივილიზაციისთვის ერთი შეხედვით სადაო

შემოთავაზებები, მაგრამ ავტორს მიაჩნია, რომ მთავარია შედეგი, რადგან გონიერება ყოველთვის გადახარშავს და გაამართლებს. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ის, რაც ადამიანის ჯანმრთელობას, მის უსაფრთხოებას, დასაქმებას ეხება, აქ დაძალება აუცილებელიცაა და გამართლებულიც. ადამიანი, რომელიც 200 კგ იწონის, მისი დაძალებით მკურნალობა მე ადამიანის უფლებების ხელყოფად არ მიმაჩნია. ასეთი ადამიანები უნდა გავასახლოთ სპეცდასახლებებში შრომითი თერაპიით სამკურნალოდ, რადგან ზედმეტი ჭამა, ალკოჰოლის მიღება, ნარკომანია იგივე დაავადებაა და ალიბი იმისა, რომ მას ასეთი გენეტიკა აქვს, მთლად მართალი არ არის. ერთი ჩემი მეგობრის უხეში ხუმრობის არ იყოს, „რაგომღაც კონცლაგერში ამ დაავადებით არავინ ავადდებოდაო“ რადგან ჩვენი სიზარმაცე, უსაქმურობა, უნებისყოფობა დაავადებას არ უნდა გადავაბრალოთ.

ღღეს უკვე შესაძლებელია უახლესი ტექნოლოგიებით, ხელოვნურად ყველაფრის მიღება, მათ შორის ხორცისაც, მაგრამ ადამიანი ზომიერ კვებას ბავშვობიდანვე უნდა შეევაჩვიოთ, მით უმეტეს, როდესაც ადამიანის სიცოცხლის საშუალო ასაკი თანდათანობით მაღლა იწევს.

ამ წიგნის ბოლოს მომაქვს შეგონების სახით, ქვეყნის პირველი პირის 100 პოლიტიკური დამოდღვრა, 100 პოსტულატი ეკონომიკის გაღასახელიდან და გლოსარიუმი – განმარტებები პოლიტიკონომიური დაგვირთვის მქონე სიტყვებისათვის, რაც მკითხველის გარკვეული ინტერესს გამოიწვევს.

ეტყობა ყველა მოაზროვნე პოსტულატს თავისი სიამოვნებისთვის წერს, რადგან იმედი იმისა, რომ მას მკითხველი ცხოვრებაში გაითავისებს, უმნიშვნელოა, რადგან ადამიანი არა მარტო სხვის, არამედ თავის შეცდომებზეც ვერაფერს სწავლობს. უბრალოდ, მის მცდელობას ასაკის მაგების გამო „ყუნწი უხმება“ და შეცდომებს ველარ ჩადის, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მე მაინც გთავაზობთ გამოცდილების „ნაქურს“ ჩემი გადასახელიდან.

ქვეყნის პირველი პირის ასი ღამოქღრა (პოლიტიკის გათვალისწინებით)

1. ისწავლეთ თანამდებობის სავარძელში ჯღომა, მოსმენა, განსჯა, ღამოქღრა, შეწყნარება, მოთმინება, თავის მოწონება.

2. ქვეყნის კონსტიტუცია ხაგად გაიხადეთ, მასში ცვლილებები მხოლოდ საყოველთაო რეფერენდუმს მიანდეთ.

3. კანონი და კანონიერება დაიცავით ქვეყანაში და ყველა თქვენს გადაწყვეტილებაზე მღლა დააყენეთ.

4. ამკარად არ ჩაერიოთ სახელმწიფო სტრუქტურებში და პარლამენტის საქმიანობაში.

5. „იმეგობრეთ“ ოპოზიციასთან, მათ მიერ შემოთავაზებულ სასარგებლო წინადადებები, შესაბამისი ჩასწორებებით მიიღეთ და მათი შესრულება მათ წევრს დაავალეთ. თუ გაამართლა, მოწინააღმდეგე ბანაკში თანამოაზრეს შეიძენთ, თუ არა და ოპოზიციას ბიშეს უჩვენებთ.

6. გახსოვდეთ, რომ თქვენ ქვეყნის, ხალხის მსახური ხართ და არა რომელიმე პარტიის, ამბიციების და ეს ყველა თქვენს ქმედებაში უნდა იგრძნობოდეს.

7. იყოლიეთ უხუცესთა, ბრძენთა, მრჩეველთა საბჭო, რომელთა მოვალეობაა ხალხს მოუსმინონ, მათში პერსპექტიული კადრები აღმოაჩინონ და საინტერესო მოსაზრება მოისმინონ.

8. სულიერ მემკვიდრეობას, ერის კულტურას, მათ გამორჩეულ მსახურთ პატივი მიაგეთ, წარმოაჩინეთ – გამოგადგებათ.

9. არ ეკამათოთ, არ ეღავოთ იმ ხალხს, რომლებსაც სული, მენგალიტეგი ქვის ხანაში აქვს გაღანახული – დაუყვავეთ.

10. ეცადეთ თავი მოაწონოთ ქალებს ქათინაურებით, შექებით, წარმოჩენით, რეკლამირებული ქველმოქმედებით, გახსოვდეთ ამომრჩეველთა 55% ქალია და ისიც ერთგული.

11. ოპოზიციამ შეიძლება ბევრ რაიმეზე გისაყვედუროთ, მაგრამ უცოდინარია, უგნურია, ქვეყანა და ხალხი არ უყვარსო არ უნდა გაკადრონ.

12. შექმენით სამართლებრივი სახელმწიფოს მითი, რომელსაც ხალხი აკონტროლებს, მართავს, ხოლო სამართალმა კული ისე უნდა გამოიბას, როგორც საჭიროა და თქვენ გინდათ.

13. გახსოვდეთ, ხელისუფლის უმთავრესი დანიშნულებაა, ხალხის „გასულელება“ მათივე საკეთილდღეოდ.

14. ეცადეთ განაწყენება არავისზე და არაფერზე არ შეიმჩნიოთ.

15. ეცადეთ შემთხვევით ხალხს, ვიგინდარებს, ხელმოცარულებს საზოგადოებაში პოპულარულობის საშუალება არ მისცეთ, ისინი ყოველნაირად ამხილეთ, დაამცირეთ, მიწაზე დაანარცხეთ, რადგან ხელისუფლებისათვის ყველა უბედურების მომგანნი ისინი არიან.

16. ხელისუფალმა ყველა გამოუვალ მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ნახოს და ისიც სარგებლით.

17. სახელმწიფო მოღვაწედ რომ ჩაგთვალონ, ზოგჯერ შენიანები უნდა ამხილო, გააკრიტიკო და მათ დასჯასაც არ უნდა მოერიდო.

18. ქვეყნის მართვა ვოლგოთაცაა, სიამაყეც, კაცობაც, წყალობაც და რაც მთავარია, მომავალი თაობის და ერის ისტორიის წინაშე ვალის მოხდაც.

19. ქვეყნის მართვა კი არ არის ძნელი, არამედ საკუთარი ამბიციებისთვის ლაგამის ამოღება, საქმის მკეთებელი ხალხის აღმოჩენა.

20. პირადი მაგალითებით მოსახლეობას ასწავლეთ მომჭირნეობა, ფულის ყადრი, ცოდნა. მაგ. ზოგჯერ მეგობრულ ქვეყნებში იმოგზაურეთ სამგზავრო თვითმგრინავით.

21. ხშირად არ „იწანწალოთ“ ქვეყანაში, რადგან თქვენს ჩასვლას უნდა მოჰქონდეს მაგერიალური, სულიერი კეთილდღეობა.

22. ეცადეთ აღზარდოთ ახალგაზრდები, რომლებიც თქვენ მომავალში ღირსეულად შეგცვლიან და კარგად თუ არა, ცუდად მაინც არ გაგისხენებენ, რადგან ისტორიის ღრობით პრივატიზაციაა შესაძლებელი და არა სამუდამოდ და სახელს იმქვეყნად გადაბარგების შემდგომაც უნდა უფრთხილდებოდეთ.

23. მოსახლეობის მიმართ იყავით მომთხოვნი, კანონის მონა, მაგრამ არც, ლმობიერება, დათმობა არ დაივიწყოთ ქვეყნის შესაძლებლობების და პოლიტიკური სიგუაციის ფარგლებში.

24. მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობისას გარკვეული შეღავათები მიეცით, რადგან ეს მცირედი პროტექცია მათ თქვენს მიმართ უკეთ განაწყოთ.

25. მექრთამეობასთან ბრძოლის მიზნით სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან შემოიღეთ პროვოცირების სამსახური.

26. ოფიციალურად დააწესეთ ჯილდო, შეღავათები იმ პირისთვის, ვინც მექრთამეს ამხელს და მის გამომჟღავნებაში დაგეხმარებათ.

27. ოფიცალურად დაამტკიცეთ ის თანამდებობები, რომლებიც დანაშაულში მხილების შემთხვევაში კანონის წინაშე ორმაგად აგებენ პასუხს.

28. ხელისუფლების უმთავრესი მოვალეობაა, სახელმწიფოს გონივრული მართვა და დათაფლული ენით ხალხის წვრთვნა და არა უსაგნო ყბედობა და ოცნების დადარის ქექვა.

29. სახელმწიფოს მართვა კამათელის გაგორებას ჰგავს და ის იმარჯვებს, ვინც შექმნილ გარემოში იცის და გრძნობს რა დროს და როგორ უნდა გააგოროს პოლიტიკურად დამუხტული „ძაღლის ძეგლი“.

30. ხელისუფლება ახალგაზრდებთან კონფლიქტს უნდა მოერიდოს, წინაღმდეგ შემთხვევაში ჯელები კუთვნილზე მეტის მითვისებას მონიღომებენ, რაც ქვეყნისთვის სასიკეთოს არაფერს იძლევა და კატაკლიზმების საწყისიც ხდება.

31. ხელისუფალი საქმით და არა ბუნებით უნდა იყოს ჯადოქარი, ეშმაკი, ავანტიურისტიც, თუ უნდა ხალხმა ქვეყნის სიმძიმის ცენტრის გადანაწილება მას ანდოს.

32. ხელისუფალი მაშინ გოვებს კვალს ქვეყნის მმართველობაში, თუ მასზე შექმნილ ანეკლოგებში მორიდება, პაგივის ცემის სიმები ქლერს და არავითარ შემთხვევაში დაცინვა.

33. ხელისუფალი არ უნდა ცდილობდეს, რომ კანონზე მაღლა დადგეს, მაგრამ მასზე უნდა ფიქრობდეს, რადგან ყველაზე მისაღები კანონიც კი დროთა განმავლობაში „გახედვნას“ მოითხოვს.

34. ხელისუფალს უნდა ახსოვდეს, რომ ცხოვრება თამაშია, შეჯიბრია და ამ შერკინებისთვის მუდამ მზად უნდა იყოს, ყალყზე შემდგარი.

35. ხელისუფალი ოცნების და სიბრძნის მონა არ უნდა გახდეს, მან რეალობას თვალახელილმა უნდა უყუროს და გვინიც უნდა „ახლაფორთოს“.

36. ეცადეთ კანონები იყოს უხეში, ყოვლისმომცველი, საძრო-მიალოს გარეშე.

37. რადგანაც „თევზი თავიდან ყარს“, ეცადეთ სახელმწიფო სამსახური შემოკრებილ-გადამოწმებული კადრებით დაკომპლექტდეს.

38. პოლიცია გარეგნულად წარმოადგენს სახელმწიფოს სახეს, ეცადეთ განსაკუთრებული ნიჭით და გარეგნობით შეარჩიოთ თანამშრომლები.

39. თავად ხელისუფალი უნდა ეცადოს იყოს პიროვნება, რათა ხალხს მისით თავი მოჰქონდეთ.

40. არ შეეცადოთ თანამდებობის უმურპირებას და კონსტიტუციით დადგენილ დროზე მეტად ხელისუფლებაში შემორჩენას, რათა ახალ თაობას მისცეთ საშუალება თავადაც წარმოიხდეს.

41. გახსოვდეთ, ხელისუფალს მეგობარი არ ჰყავს, მხოლოდ მრჩეველები და ისიც საუკეთესო.

42. ყველა ადამიანი სხვადასხვაა, მაგრამ ხელისუფალმა ყველა ღონე უნდა იხმაროს მათ დასასაქმებლად და წესიერ გზაზე დასაყენებლად.

43. ეცადეთ კანონი და ხელისუფალი უძღური არ იყოს დამნაშავეს და დანაშაულის წინაშე.

44. გადასახადის გადაუხდელობა და კანონის შეუსრულებლობა ხელისუფალმა პირად შეურაცყოფად უნდა მიიღოს.

45. ხალხისთვის სიკეთე, ხანდახან „ჭუჭყიანი“ ხელებით უნდა აკეთოთ, მაგრამ ხელები სწრაფად უნდა დაიბანოთ, რათა ჭუჭყი დასამახსოვრებელი და გასაქიქებელი არ გახდეს.

46. ყველა ასაკი აღმრდას თუ არა, კანონის რიდს და ხელისუფლების ძალას ემორჩილება და ეს ხელისუფალმა უნდა გაითავისოს.

47. კარგი ურთიერთობა იქონიეთ ინტელიგენციასთან, მეცნიერებთან, ეცადეთ გამოიყენოთ მათი მცდელობა, შემართება.

48. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც ნეიგრალურად უნდა აშუქებდეს ქვეყანაში მომხდარ ამბებს.

49. იმრუნეთ სახელმწიფოში მრავალწლიანი ხელუხლებელი მარაგის შესაქმნელად, პირველადი მოთხოვნილების საქონელზე.

50. ყურადღების ცენტრში იყოლიეთ სოფლის მეურნეობა, გადამუშავება და ნედლეულის რაციონალური გამოყენება, რადგან საკვები პროდუქციის რაოდენობრივი წარმოება სახელმწიფო უშიშროებას განეკუთვნება.

51. ეცადეთ თქვენი მმართველობის დროს რაიმე ღირსშესანიშნავი და დასამახსოვრებელი შენობა ააგოთ, რომელიც საუკუნეთა შემოგვევას გაუძღვება.

52. იქონიეთ ახალგაზრდობასთან ახლო და თბილი ურთიერთობა, საჯაროდ ეკამათეთ, მოეფერეთ.

53. ეცადეთ საერთაშორისო წონა გქონდეთ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ინსტიტუტებში თქვენს აზრს, ორამზროვან სიწყევებს, პატივს უნდა მიაგებდნენ.

54. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებს არ დახარბდეთ, განსაკუთრებით ავტონომიად შემოერთებას, საბოლოოდ არ დაგიფასებენ, ამასთან დღეს სხვა დროა, სხვა მენგალიტეტი.

55. არამეგობარ ქვეყნებს ჭკუას ნუ დაარიგებთ, თითს ნუ დაუქნევთ, უბრალოდ არ შეამჩნიოთ. დრო და შემთხვევა თქვენს მხარეს იმუშავებს.

56. ყურადღების ცენტრში იყოლიეთ არმია, პოლიცია, საგარეო საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებით სახელმწიფო უშიშროების სამსახური.

57. შეეცადეთ ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით სხვა ქვეყნების საშინაო საქმეში ნეიგრალიტეტის, ჩაურევლობის პრინციპი დაიცვათ.

58. ეცადეთ საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს ისეთი პირობები შეუქმნათ, რომ მათ სამშობლოში უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინონ, ბიზნესი აწარმოონ, წარმოებები გახსნან, ხშირად ჩამოვიდნენ, დაბრუნდნენ.

59. ხელისუფალს უნდა შეეძლოს პოლიტიკური მოუს, პიარის მოწყობა, რადგან დღეს უიმისოდ ხელისუფლებას შენარჩუნება ძნელია.

60. დიდი ყურადღება მიაქციეთ სპორტს, რადგან მისი დანიშნულება, აცვენილი, არაორდინალური ახალგაზრდები ხალხად აქციოს და ფანაგები, დაგროვილი უარყოფით ენერგიიდან გაანთავისუფლოს.

61. პოლიტიკაში არის ორი სიმართლე, ამიგომაც ის სიმართლე წამოწიეთ წინ, რომელიც ხალხს ბრბოდ არ აქცევს და ადამიანებად დაგოვებს.

62. პოლიტიკა ინგერესებთან შერკინებაა და არა ემოციების, ეს კი ხელისუფალის ნიჭზეა დამოკიდებული, რას როგორ გამოიყენებს.

63. ხელისუფლების მოწოდებაა მისთვის სასარგებლო და წინდახედული კომპრომისები ეძიოს.

64. მოხერხებული გყუილი და საკუთარ თავზე დასამახსოვრებელი ბიოგრაფიის ფურცლის გადაშლა ხელისუფლისთვის აუცილებელია, რათა თავადაც ისიამოვნოს და ხალხსაც ასიამოვნოს.

65. ხელისუფლებაში სუფთა გულით, რწმენით, პასუხისმგებლობით უნდა მოხვიდე და არა სუფთა ჯიბით. ჭკუჭყიანი ხელებით, მურისძიებით.

66. ხელისუფალს სქელი გყავი უნდა ჰქონდეს, რათა ყველა დამსახურებულ და დაუმსახურებელ დარცმას გაუძლოს ეს კი უდიდეს ნებისყოფას, შემართებას, გამჭრიახობას მოითხოვს.

67. ხელისუფალი ხალხს ბევრ რამეს უნდა დაჰპირდეს, მაგრამ უპირველესად ის დაპირება უნდა შეასრულოს, რაც ქვეყნისთვის აუცილებელი და სასარგებლოა.

68. ხელისუფლება თავისებური აზარტული თამაშია, ამიგომაც ის გონის ჭყლეტას და ვნების დაოკებას მოითხოვს.

69. ეცადეთ თანამდებობაზე ყავლგასული, ყოფილნი არ დააწინაუროთ, რომლებიც ქალწულობაზე თავს დებენ, ისინი საბოლოოდ სანდონი არ არიან.

70. გაითვალისწინე, ხელისუფალს მადლობას არავინ ეგყვის ქვეყანა რაც არ უნდა კარგად მართოს, რადგან მადლიერებას ისგორია, დრო ამბობს.

71. ხელისუფლის უპირველესი დანიშნულებაა განსაზღვრის, რისთვის მოვიდა ხელისუფლებაში, მუცლის ამოსყორად თუ ისგორიაში მოსახვედრად.

72. ხელისუფალს თავისი ამქარი უნდა ჰყავდეს ხალხის სხვადასხვა ფენებში თავის წარმოსაჩენად, გასაფეციშებლად.

73. რაც არ უნდა მომგებიანად გამოიყურებოდეს წყლის ამღვრევა და მასში თევზის ჭერა, ეცადეთ საზოგადოებაში ქაოსი არ შეიგანოთ, რადგან პოლიტიკაში სხვა გზებზე არსებობს თევზის მოშენების, დაჭერის.

74. ხელისუფალი რაც არ უნდა დავალებული იყოს ვინმესგან, ფინია ძალღად არ უნდა იქცეს, რადგან „ბომბორად“ პოლიტიკაში ის ვერასოდეს გახდება.

75. ხელისუფალი მოლაპარაკებას, პირად შეხვედრებს არავისთან არ უნდა გაურბოდეს, მითუმეტეს თუ ეს მოწინააღმდეგე მხარის, ოპონენტის ინიციატივაა.

76. ეცადეთ ისე გაიაროთ, პოლიტიკურ ჭკუჭყში არ გაისვაროთ, მაგრამ თუ მცირედ მოგეცხებათ, ეს ცოდვად არ ითვლება – პროფესიაა ასეთი.

77. ხელისუფალმა საჭოჭმანო, სათუო საკითხი ერთი ხელის დარცმით უნდა გადაჭრას, ყოველგვარი ყოყმანის და დროის გაყვანის გარეშე.

78. ეცადეთ არასოდეს არ მიიყვანოთ საქმე დაპირისპირებად, რათა საკუთარი ამბიციები ქვეყნის ინტერესებს არ ანაცვალოთ.

79. ხელისუფალი უნდა ცდილობდეს, ხალხის განწყობას ალღო დროულად აუღოს და მათ აზრები შეხედულებები უაზროდ არ აბურთაოს.

80. მოკრძალებული იყავით ქვეშევრდომების მიმართ, მაგრამ მომთხოვნი, უკომპრომისო, რადგან შეიძლება შეცდომა, გადაცდენა აპატიოთ, მაგრამ დანაშაული არასოდეს.

81. გალანგს პატივისცემით და სიფრთხილით მოეპყარით, რადგან მას ქვეყნის ამენებაც შეუძლია და თქვენი იმიჯის დანგრევაც.

82. ეცადეთ არცერთი ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვათ, შედეგი აბარცყეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხელიდან დაგისხლგებათ და არ დაგიბრუნდებათ.

83. ეცადეთ ქვეყანა თქვენს ჭკუაზე მართოთ, მაგრამ ხალხს არ დასცინოთ, და მათ მეობას ალიყური არ უთავაზოთ.

84. მშვიდობის მტრელი იყავით, მაგრამ თანამედროვე შიარალება და ძლიერი არმია იყოლიეთ, მონაწილეობა მიიღეთ სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო სწავლებაში, წვრთნაში.

85. დაიმახსოვრეთ, ძალაუფლება დემაგოგიის, კულის ამწევთა, შენი ინიციატივების გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ხელისუფალი ჭკვიანი შლეგია, რომლისაც ვირეშმაკებს უნდა ემინოდეთ, ხოლო მოხერხებულები ერიდებოდნენ

86. „ღია სამოგადოება“ შეიძლება იყოს ნათელი იდეების მაგარებელი, მაგრამ შენის თამალობით..

87. შოვინიზმი, ნაციონალიზმი, რასიზმი ქვეყანას არ გააკარო, მხოლოდ ინტერნაციონალური პაგრიოტიზმი, რადგან ყველამ სახელმწიფო საქმე უნდა აკეთოს და მის აყვავებას ემსახუროს.

88. ხელისუფლის უპირველესი დანიშნულებაა, ქვეყნის ეკონომიკის ცოდნა და პოტენციალის ბრდა, ზომიერების ფარგლებში მოსახლეობის მაგება და ცივილიზაციის რაობაში გარკვევა.

89. ხელისუფლებამ იმედით უნდა ივაჭროს და გარკვეული დივიდენდები ხალხსაც უნდა შეახვედროს.

90. ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ მისი პასუხები, კითხვებზე უფრო საინტერესო და ამომწურავი იყოს.

91. ხალხზე ზრუნვაა ისიც, თუ მათ ალიბის მოგონების უფლებას არ უტოვებ დაწინააღმდეგებელს ჩასაძვინებლად და უსაქმურობის გასამართლებლად.

92. დაავალეთ გერიგორიების პოლიციის უფროსებს, რომ თუ მათ რაიონში აღმოჩნდება, მათხოვარი, ნარკოტიკებით მოვაჭრე, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, განთავისუფლება თანამდებობიდან, რადგან სწორედ მათი წაყრუებით არიან ისინი გერიგორიაზე მოკალათებულნი.

93. ხელისუფლების მმართველობა როგაციას მოითხოვს და ამ სამართლიან ფენომენს შურის, შფოთის გარეშე და მომავლის იმედით უნდა შეხვდეთ.

94. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ პოლიტიკა „ჭუჭყიანი“, მაგრამ პრესტიჟული და საჭირო პროფესიაა, რადგან მის გარეშე ამდენი „ჭკუანადრძობი ხალხის“ მოთოკვა გაჭირდება.

95. ხელისუფალი ყველა ახალი საქმის წამოწყებაში მოგებას უნდა ეძებდეს, ეს სულიერი იქნება თუ მაგერიალური.

96. ხელისუფალი უნდა ეცადოს უკანა რიცხვით საქმე არ აკეთოს ან არ აკეთებინონ.

97. თვალი აღევნეთ ყოველივე ახალს, ეცადეთ სიახლე დროულად და პერსპექტივით დაინერგოს ქვეყანაში.

98. ყველაზე დიდი ყურადღება განათლებას და მისი შედეგების რეალიზაციას დაუთმეთ, რადგან ყველაზე მომგებიანი ფულის დაბანდება დღეს ამ სფეროშია

99. ხელისუფლება პროგრესულ გყუილზე და რეგრესიულ სიმართლებზე აგებული, ამიგომ მოერიდეთ მიგზაგებს და იერიშობანას ხელისუფლებაში ყოფნისას, ქვეყნის სამართავად არ გამოდგება.

100. ხელისუფლება უნდა ეცადოს ის საკითხი განიხილოს, რომელიც გარკვეულ დროისათვის მომწიფებულია და არა ის, რომლის მოკვარახჭიკნებაც სურს.

ცხოვრების ასი პოსტულატი (ეკონომიკის გადასახედიდან)

1. ბიზნესი და ემონციები ერთად გამორიცხულია, მაგრამ გონივრულად გარისკვა აუცილებელია, თუ გინდათ მუდამ მაჩანჩალა არ იყოთ.

2. მეწილეს, შვილის გარდა, აუცილებელია ჩაადებინოთ წილის 10% მაინც, რათა მან ვალდებულება იგრძნოს, რადგან მისთვის წილის 10%-ის დაკარგვა გაცილებით მეტს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე თქვენი 90%-ისა.

3. ეცადეთ მეწილე არ გყავდეთ, სჯობს გაიჭიროთ და თანამშრომელს მოჭრიოთ მისცეთ ხელფასი, ხოლო ახლობელს, დამსახურებების მიხედვით.

4. ფული მეგობარს ასესხეთ იმ საბანკო დანარიცხებით, რომლის მიღებაც მოგების სახით ბანკში ფულის შეგანით შეგეძლოთ, რათა თქვენმა ამხანაგმა იგრძნოს პასუხისმგებლობა მისი დაბრუნებისათვის და თქვენ არ დაკარგოთ შესაძლო მოგების მინიმუმი. აქ მთავარია, რომ სესხის გამოსაგან გარანტიას არ სთხოვ.

5. ფული უნდა გაასესხოთ მაშინ, თუ მსესხებელი უძრავი ქონების შეძენას აპირებს, სხვა შემთხვევაში ბანკის კრედიტი ისარგებლოს.

6. თუ ვინმეს ფული ჭირდება ჯანმრთელობის გამოსასწორებლად, სჯობს ფულით დაეხმაროთ, სადაც ორივენი კმაყოფილი დარჩებით, რადგან თქვენ გაიღეთ თანხა, რომელიც არ გენანებათ, ხოლო მან მიიღო გარკვეული დახმარება.

7. არასოდეს იგრაბახოთ თქვენი საქმიანობით, სიმდიდრით, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება ფულის შოვნას.

8. ერთდროულად არ აჩვენოთ თქვენი უძრავ-მოძრავი ქონება, განსაკუთრებით ახლობელს; ეს მასში აუცილებლად შურს გამოიწვევს, სჯობს თანდათან შეაჩვიოთ.

9. იმოძრავეთ, გაიცანით საქმიანი და საჭირო ხალხი, ისწავლეთ სხვისი ამრების მოსმენა, განსჯა და რეალური საქმის კეთება.

10. საქმის საკეთებლად დაიქირავეთ მაღალი კვალიფიკაციის მენეჯერი და მეგი გადაუხადეთ, რათა თქვენც მისგან რაღაცა ისწავლოთ. ამასთან, როგორც არ უნდა ენდობოდეთ, ზოგჯერ გადაამოწმეთ.

11. შგაგებს ნუ გაზრდით, უმჯობესია კვალიფიციური თანამშრომლები მოიზიდოთ და გექნიკური სიახლე დანერგოთ.

12. სამუშაოდ ეცადეთ არ მიიღოთ ნათესავი, მეგობარი, ყოველთვის თავს დაგაყვედრიან, საქმესაც უარესად გაგიკეთებენ, თანაც უმაღლური დარჩებიან.

13. ფულს უყვარს თვლა, ამიგომ ყოველი კვირის ბოლოს მოითხოვეთ ანგარიში, გაუკეთეთ ანალიზი, როგორაც მეწვრილმანედ და ბიუროკრატიადაც არ უნდა ჩავთვალონ.

14. პროფილაქტიკის მიზნით, მოგჯერ აიშალეთ ნერვები, „გადაუარეთ“ თანამშრომლებს, ხოლო მეორე დღეს ბოდიში მოუხადეთ, რათა თანამშრომლებს აჩვენოთ ხასიათი და გაიგონ, რომ არც ისე წყნარი და სათნო ხართ, როგორც ადრე ეჩვენებოდათ.

15. საკუთარი მოსაზრება, გამოცდილება გაუზიარეთ იმათ, ვინც ცოდნის გაზიარებას დაგიფასებთ.

16. საქმის შეუსრულებლობის ალიბი არც თავს უნდა აკადროთ და არც ხელქვეითს უნდა აპატიოთ.

17. ქალს თუ ქირობთ, სჯობს ამით არ იგრაბახოთ, რადგან მამაკაცმა ქალი უნდა მოიპოვოს და არა იყიდოს. ეს ფულის მშოვნელებსაც ეხებათ.

18. ქალს მაგერიალურს ნურაფერს შეჰპირდებით, იგი განშორებისას მაინც მონახავს სასაყვედუროს, რადგან ყველაზე არაპრესტიჟულ ქალსაც კი, ვისთანაც თქვენ ნებივრობთ, იმედი აქვს, რომ ცოლად მოიყვანთ, ან რამე ხელშესახები თქვენგან დარჩება.

19. არავითარ შემთხვევაში თანამშრომელ ქალთან საქმე არ დაიჭიროთ, მაგრამ თუკი გარდაუვალია, სხვაგან გადაიყვანეთ სამუშაოდ.

20. ცოლს სამსახურში ნუ მიიღებთ, მაგრამ თუ სხვა გზა არ არის, ამუშავეთ რიგით თანამშრომლად და არა – პარგნიორად და მენეჯერად.

21. ბიზნესში წინასწარ დაბეჯითებით ნურავის ნურაფერს შეჰპირდებით, განსაკუთრებით ახლობლებს, რადგან დანაპირებს და როყიოდ ნათქვამს შესრულება სჭირდება.

22. ბიზნესი თავისებური სარწმუნოებაა, ბედისწერა, კაპიგალის ნებაყოფილობითი მონობა, მაგრამ მის გარეშე არცერთი ქველმოქმედების, დასახული მიზნის მიღწევა არ ხერხდება.

23. ყველა ადამიანური ნაკლის მკურნალი, მიზანსწრაფული ჯანსაღი ეკონომიკაა.

24. ოჯახში, საზოგადოებაში, შვილებთან, მეგობრებთან ყოველთვის გეჭიროს გარკვეული მანძილი, რათა რაიმე უსიმოვნო არ გაკადრონ ან ისეთი რაიმეს მოთხოვნა არ გაგბედონ, რაც შენს „მეობას“, ბიზნესის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

25. ჭორებს ნუ აყვებით, მაგრამ ინფორმაცია გადაამოწმეთ ჩუმად და შეუმჩნეველად.

26. თანამშრომელს ისე უნდა დაშორდეთ, თუ ეს აუცილებელია, რომ თავი დამცირებულად არ იგრძნოს.

27. ცოლი თუ გსაყვედურობს, რომ მისი ახლობელი უსაფუძვლოდ გაათავისუფლეთ სამსახურიდან, მიეცით საშუალება, რომ თავის ახლობლებთან თავად აწარმოოს ფინანსური საქმიანობა, რათა დარწმუნდეს თქვენს სიმართლეში.

28. ადამიანს უნდა დაეხმაროთ ერთხელ, თუ ვერ გაამართლა – არ გამოდგება, რადგან საქმიანი ადამიანი შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

29. ახლობელს, ნაცნობს, წარმატების ან კარიერის კიბეზე ფეხის აღგმის წინ თავი გაახსენეთ, მაგრამ ნუ შეაწუხებთ, თუ დასჭირდებით, თავად მოგნახავთ.

30. ნაცნობს, ნათესავს, თუ რამდენიმე წლის შემდეგ „გაახსენდებით“, ეს ნიშნავს, რომ თქვენთან საქმის დაჭერა უნდა. აქ უნდა განსაჯოთ, მას საქმის კეთება უნდა, თუ თქვენი საქმეში ჩათრევა. თუ ეს უკანასკნელი, ეცადეთ თავი აარიდოთ, ის უიღბლოა და უნდა ფსონში თქვენი ‘ჩადება‘.

31. თუ მეწილესთან დაშორება გინდათ და მას თქვენს სიმდიდრეზე აქვს თვალი დადგმული, შექმენით ისეთი პირობები ან წამოჭერით საკამათოდ ისეთი საკითხი, რომ წაგეჩხუბოთ, რათა დაშორება მას დაბრალდეს და არა თქვენ. ე.ი.; გამორჩენაც ნაკლები დარჩება.

32. ეცადეთ სამსახურში საქმე აღრე დაიწყოთ, სანამ ენერგია მოზღვაგებული გაქვთ, დასვენებით კი ღროულად დაისვენეთ.

33. ბიზნესი მოფრთხილებას, გონიერ ალებ-მიცემობას და ინვესტირებას მოითხოვს.

34. ისწავლეთ შევაჭრება, რადგან ბიზნესი მოგებაზე და დათმობაზეა აგებული.

35. სათუო და საეჭვო არავის ურჩიოთ და ხელალებით საკუთარ თავსაც არ ენდოთ.

36. იყავით პურმარილიანი, ხელუხვი, ზომიერების, საჭიროების ფარგლებში.

37. ხელისუფლებასთან ახლოს იყავით, ზემდგომს და ქვემდგომს აუცილებლობის გარეშე ნუ შეეკამათებით. თავს ნურავის მოაბეზრებთ.

38. ფული თავისებური ინსტრუმენტია, უსაქმოდ, უყურადღებოდ არ უნდა მივაგლოთ, რადგან თუ მან არ იმუშავა ან კრედიტი შეჭამს ან ინფლაციის ქინი.

39. ბიზნესში ყველა დანაშაული დასჯის ღირსია, მაგრამ თუ შესაძლებელია, ეცადეთ შეუნდოთ, გამოასწორობინოთ.

40. გაბრაზებისას ნერვების დამშვიდების გარეშე, სერიოზულ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ.

41. წარსულ გადაცდენას ნურც ქვეშევრდომს გაუხსენებთ, ნურც – ზემდგომს და ნურც – მეგობარს.

42. თუ რაიმე შეგეშალათ, ბოდიშის მოხდას ნუ მოერიდებით, ოღონდ ნუ გადაამლაშებთ.

43. ყველა ასაკი ცდილობს ყოფის გარკვეული წლები ქონებას ამოაფაროს, სიბერეშიც რაღაც მოიგოვოს და იმქვეყნად დაუმაღლებლად და უსაყვედუროდ გადაბარგდეს.

44. ბიზნესში, საქმეში თუ ვინმეს განზრახ შეეშლება, ის კანონით დასაჯეთ ან საერთო ნაცნობებში გაკიცხეთ, რათა თავის მართლების და ჭორის გავრცელების საშუალება მოესპოთ.

45. თუ დახმარება შეგიძლიათ, დაეხმარეთ, მაგრამ ორმოდან ამოთრევას ნურავისას შეეცდებით, რადგან იგი უკვე განწირულია (რეციდივისტი, ნარკომანი, ლოთი, ქურდი, მკვლელი, ბანდიტი ან უიღბლო).

46. მთხოვნელს დაეხმარეთ, მაგრამ ნუ გაიშინაურებთ, რომ მუდამ თქვენი იმელი არ ჰქონდეს.

47. ერთიდაიგივე ამრის განმეორებას მოერიდეთ, მჭერმეცყველება დააფასეთ, ადამიანს ის უთხარით, რაც სიამოვნებს, თუ ეს პირადად მას და საქმეს არ ავნებს.

48. ოფისში განსაცემელი მუდამ სუფთა და ასაკის შესაფერისი უნდა გეცვათ.

49. ბიზნესში ხშირად პრინციპების დაცვა პირველია, ვიდრე დროებითი წარმატება, რადგან პირველის უგულებელყოფამ შეიძლება გაგაკოტროთ.

50. ეცადეთ მოპაექრეს ყური უგლოთ, შედარებით სუსტ არგუმენტებში გამოიჭიროთ და შემდეგ შეუტოოთ, რადგან საბოლოო მოგება, ჩასაფრების გარეშე, ვერ მიიღწევა.

51. მოქიშპე და მოშურნე წარმატებების გზაზე ყოველთვის გამოტყვერება და მათ ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

52. ბიზნესში წარმატება მენეჯმენტზე, სიახლის დროულად დანერგვაზე, რეკლამაზე, ბაზრის მოპოვებაზე და დასწრებაზე დამოკიდებულია.

53. ჩაწოლილი საქონლით ვაჭრობა მომგებიანია იმ შემთხვევაში, თუ მას სხვაგან გაასაღებთ და მათი მომხმარებელი, უმთავრესად, ბავშვები და ქალები იქნებიან.

54. მეგობრებთან ნუ ივაჭრებთ, მოჭრით დაუსახელები გასაყიდი შეღავათიანი ფასი.

55. წინდაუხედავი და ნისიად ვაჭრობა პრაქტიკულად მცირე შემოსავალს იძლევა.

56. მყიდველი არასოდეს მოაგყუო, უგვანო საქონელი არ შეასაღო, რადგან მყიდველის ნდობის მოპოვება გაცილებით ძნელია, ვიდრე მისი დაკარგვა.

57. წარმატებულმა ბიზნესმა სიმდიდრე და სახელი იცის, რომელიც შეიძლება ღირსებაში გადაიზარდოს.

58. ეკონომიკის დანიშნულებაა აიძულოს, წაახალისოს ადამიანი, იშრომოს, რათა რაც შეიძლება მეტი ანაზღაურება და ავტორიტეტი გაინაღდოს.

59. „მიზანი ამართლებს საშუალებებს“ ოღონდ მორალური პასუხისმგებლობის შეცნობით, რადგან შეიძლება საქმე გამოვიდეს, მაგრამ „იმიჯმა“ იზარალოს.

60. გაითვალისწინეთ, ფულის შოვნის ამარგს თავის ჭკუაზე დაჰყავს მორალი, ურთიერთობა, სიყვარული და მრავალი სხვა, „რაც გწამდა ძველად“.

61. ვინც გენდობათ და ვისაც ენდობით, უერთგულეთ, მცირე გადაცენაზე ერთმანეთს ნუ შეედავებით და თქვენზე წარმოდგენას ნუ დაუკარგავთ.

62. სოფლის მეურნეობა რომ მომგებიანი იყოს, ეცადეთ მიღებული ნელგეული გადაამუშაოთ, სასაქონლო სახე მისცეთ და ისე გაყიდოთ.

63. იყავით მომიერი ურთიერთობაში, ყველა სურვილი და საქმე თანაბრად და მათი შეძლებისამებრ გაანაწილეთ.

64. ეცადეთ მოწმედ არაავის დაუდგეთ და თუ ეს აუცილებელია გარემოებათა გამო, თავს ნუ გამოიღებთ, უპასუხეთ მხოლოდ დასმულ კითხვებს.

65. ისწავლეთ საუბარი ბავშვებთან, ქალებთან, მეგობართან, ზემდგომთან. პირველს მოეფერეთ, მეორე აამაღლეთ, მესამეს ეთაყვანეთ, მეოთხესთან თავი დაიმდაბლეთ, ოღონდა ღირსების ფარგლებში.

66. რადგან ყველა პარტნიორი ადამიანი არ არის, ეცადეთ კომერციული ნიჭის მქონე ადამიანი მონახოთ და მასთან დაიჭიროთ საქმე.

67. აშკარად მხარი ბიზნესმა არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ უნდა დაუჭიროს, რადგან არავინ იცის, ხვალ ვინ წამოსკუპდება ქვეყნის სათავეაში და რა „ცოდვებს“ გამოგიჩხრიკავს.

68. მოერიდეთ დიდების მაძიებლებს, თავზე დიდი წარმოდგენის მქონეთ და მეოცნებეებს, ისინი საქმეში, განსაკუთრებით ბიზნესში, არ გამოგადგებიან.

69. სიმართლე რაც არ უნდა მწარე, დამცინავი და გამაკორექტირებელიც უნდა იყოს, ეცადეთ თვალებში შეხედოთ, თავს მოერიოთ და ხარვეზი გამოასწოროთ.

70. ბიზნესი უნდა ცდილობდეს, ხვალ გასაკეთებელი ღღეს გააკეთოს, რათა კანონმდებლის ხუშტურებს დაასწროს და არ იზარალოს.

71. ვინც შენი თანასწორია და შენზე ცოცხათი მაღლა დგას, დახმარება მას სთხოვეთ, ზომიერების ფარგლებში.

72. შეაჩვიეთ თანამშრომლები, რომ დაგვალეა პირველივე ბრძანებით უნდა შესრულდეს.

73. ცოდნა სათანადო მოხეხებულობის, გამჭრიახობის გარეშე, ბიზნესშიც ნულის გოლია.

74. ადამიანს ასაკმა თუ ვერაფერი ასწავლა, განსაკუთრებით აღებ-მიცემობაში, შეეშვი, შენი რჩევა მისთვის უსარგებლოა.

75. თუ გინდა თანამშრომლებმა შენით იამაყონ, ხანდახან მოეფერე, შეაქე, წაახალისე, ზომიერების ფარგლებში.

76. შური და ტანჯვა სინონიმებია და ეცადეთ გულთან არც ერთი არ გაიკაროთ.

77. ისე უნდა მითთვისო, ვერ შეგამჩნიონ, ამასთან, საქმესაც არ უნდა აზარალო.

78. გულის კარნახს ანგარიში უნდა გაუწიოთ, მაგრამ საქმე განსჯის შემდეგ უნდა ვაკეთოთ.

79. ხელქვეითს იმდენი გადაუხადე წინასწარი გაფრთხილებით, რომ არ იქურდოს.

80. ბიზნესი ყველა წამოწყების სპონსორი უნდა იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საკუთარი საქმის და თავის.

81. დააბანდეთ თავისუფალი ფული ექსკლუზიურ ნივთებში, ფასიან ქაღალდებში, უძრავ ქონებაში.

82. სამორინეს სათამაშო ავტომატებს, აზარტულ თამაშებს ახლო არ გაეკაროთ, ეს ბიზნესმენის საქმე არ არის.

83. მტერსაც და მოყვარესაც მშვიდად და მოთაფლული ენით ელაპარაკეთ, რადგან მოთაფლული ენა ერთგვარი თილისმბაა, რომელიც ყველა ჯურის ხალხს სიამოვნებს და ჯიბეს მოაქეჩინებს.

84. ბიზნესს უყვარს დანაწევრება, ერთმმართველობა, საქმეში სხვისი ცხვირის ჩაუყოფლობა, რათა ყოველივე თავს დააბრალოს და სხვას ვერ გადააბრალოს.

85. თუ რაიმეს მოსმენა არ გსურს, ან არ სურს, ნურც თავს აიძულებთ და ნურც სხვას, რომ მოისმინოს, ეგყობა დრო ვერ შეირჩა.

86. რასაც კაცს პირში ვერ ეგყვი, მურგსუკან ნუ იტყვი, ფულის მკეთებელ ადამიანს ჭორაობა არ შეეფერება.

87. ეცადეთ შექმნათ საექსპორტო საქონელი, ამით თავადაც ისარგებლებთ, ქვეყანასაც ასარგებლებთ და ავტორიტეტსაც მოიპოვებთ.

88. დაიმახსოვრეთ ყოველივე ადამიანური ნაკლის მკურნალი ჯანსაღი ეკონომიკა და პირადი ავტორიტეტი.

89. ქედმაღალ ადამიანს არ ეამხანაგოთ, არც ქედი მოუხაროთ, ხოლო შურიანი და შარიანი ხალხი ახლოს არ გაიკაროთ.

90. ისწავლეთ ტუნწის და ხელმომჭირნის განსხვავება და პირველი ახლო არ გაიკაროთ, მეორესთან იმეგობრეთ.

91. ბრიყვს არ ეკამათოთ, მლიქვნელებთან არ იმეგობროთ და მაგყუარასთან საქმეს ნუ დაიტვრთ.

92. თანამშრომელთა უმნიშვნელო გადაცდენაზე თვალი დახუჭეთ, რადგან გარანტია იმისა, რომ ახალი თანამშრომელი უფრო პროფესიონალი და პაგიოსანი იქნება და სამუშაოს დროულად აულებს ალღოს, არ არის.

93. უმიზეზოდ და დაუსაბუთებლად ნურც ნურვის განსჯით და შეაქებთ, მაგრამ კოლექტივში იყოლიეთ თქვენი კაცი, რათა ყველაფრის საქმის კურსში იყოს.

94. ეცადეთ ყველგან იყოთ საჭირო ადამიანი და პატივს გცემდნენ, არა მარტო გამორჩენისათვის.

95. ჯობს გყავდეთ ცუდლუკი, მაგრამ მორჩილი თანამშრომელი, ვიდრე მუყაითი და ურჩი, რადგან ურჩობას სიკეთე არავისთვის მოუგანია.

96. ერთიდაგივე საქმეს რამდენიმე ხელქვეითს ნუ დაავალებთ, რათა ერთმანეთს არ გადააბრალონ.

97. თუ ვინმე დავალებით, თხოვნით საქმეს აკეთებთ, სხვას არც გაუმხილოთ და არც გადააბრალოთ.

98. ეცადეთ საკუთარი სახელი უკვდავყოთ, დააწესეთ სახელობითი სტიპენდია, პრემია, შეიძინეთ მუზეუმისთვის რაიმე ნივთი, ააშენეთ სახელობითი სასწავლებელი.

99. სიკეთის, სათნოების თესვა არ არის გარანტი, რომ დაგაფასონ და თქვენი სიმდიდრის არ შეშურდებათ, მაგრამ საკუთარი თავის წინაშე მართალი უნდა იყოთ.

100. ეცადეთ ცივილიზაციის მიღწევები გაითავისოთ, ისწავლეთ რამდენიმე უცხო ენა, ეს საქმესაც არგებს და კოლეგებშიც ავტორიტეტს აგიმაღლებთ.

ბლოსარი-გასათვითმცნობი

ა

1. აბსოლუტური დანახარჯები – შეუზღუდავი, უპირობო დანახარჯების შედეგად გაშვებული ეკონომიკური რესურსების გამოყენების სარფიანი შესაძლებლობა, როდესაც ეკონომიკური არჩევანი უკვე გაკეთებულია

2. აბსოლუტური უპირატესობა – საქონლის მწარმოებლობის შედარება მათი მწარმოებლობის შესაძლებლობის მიხედვით.

3. აბსორცია – ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ემიგრანტთა ჩართვა, რომელიც სხვა სახელმწიფოდან ჩამოვიდა ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად.

4. ადამიანის კაპიტალი – ცოდნა, უნარი, რომელსაც დასაქმების მსურველი ადამიანი იძენს განათლების და პრაქტიკული გამოცდილების ხარჯზე.

5. ავტომატური სტაბილიზატორები – რეცესიის დროს, ფისკალურ პოლიტიკაში მიმდინარე მასტიმულირებელი ირიბული ცვლილებები, რომელიც ხორციელდება რაიმე საგანგებო ახალი პოლიტიკური ნების გარეშე.

6. აკორდული გადასახადი – გადასახადი რომელიც ერთნაირია ყველასათვის.

7. ალკაბადა (გადახდევინება) – სავაჭრო ბრუნვის გადასახადი უძრავ-მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიძლება მოჭრით დადგინდეს პროცენტებში.

8. ალტერნატივა – კომპრომისი, რომელიც მეგ-ნაკლებად ორივე მხარეს აკმაყოფილებს.

9. ალტერნატიული დანახარჯი – ის, რაც დათმობილი უნდა იქნას, სხვა ვარიანტის მისაღებად.

10. ანაბარი – საკუთარი ან უცხოური ქვეყნის ფულადი შენაგანი ბანკში გარკვეული დროით, რომელსაც დაერიცხება ბანკის მიერ დადგენილი პროცენტი ფულად გამოსახულებაში.

11. ანაბარი დეპოზიტზე – შენაგანი (ფული, ოქრო ან სხვა ძვირფასეულობა), რომელიც იდება ბანკში წლობით ან სამუდამოდ და მათ დაერიცხებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ბანკის მიერ დადგენილი ყველა პროგრესული და წამახალისებელი პროცენტი. ამასთან დარიცხული პროცენტის გარკვეული ნაწილი

ემაგება პირველად შენაგანს, რათა მისი ოდენობა ყოველწლიურად გაიზარდოს.

12. ამაღვამაცია – ეკონომიკაში ნიშნავს კერძო სამრეწველო ან საბანკო კომპანიების შერწყმას ან ახალი კაპიტალის ჩამოყალიბებას ძველ ბაზარზე, კაპიტალის ცენტრალიზაციის ერთ-ერთი ფორმა.

13. ანარქია – მაქსიმალური ინდივიდუალობის განვითარება, კოლექტიური თავისუფლება და შემოქმედი პირველობის გამონთავისუფლება საზოგადოებიდან, რადგან ნიჭი სპონტანურია, განვითარებადია და ის მკაცრ ჩარჩოში არ უნდა ჩავეკოთ.

14. ანგარიში – შემოსავლების, გასავლების, აქტივების და პასივების ჩანაწერები, ერთეული მწარმოებლის, ფირმების, მიერ.

15. ანგარიში მოთხოვნამდე – ანგარიში, რომლიდანაც შეიძლება ჩეკის შევსებით თანხის მოხსნა დროის ნებისმიერ მომენტში ბანკიდან.

16. ანტიგრესული კანონმდებლობა – კანონმდებლის მიერ შემუშავებული სპეციალური კანონები, რომელიც ხელს უწყობს კონკურენციის დაცვას.

17. ანტრეპრენორი – რისკიანი და პროგრესის პატივისმცემელი მწარმოებელი უზრუნველყოფს საზოგადოების განვითარებას, გამდიდრებას, ხოლო თავის ზღვევას საზოგადოება მიჰყავს სტაგფლაციამდე, კრიზისამდე. შედეგად საზოგადოება იხრწნება, იღუპება.

18. არაპირდაპირი გადასახადი – იკრიბება გარკვეულ საქონელზე, მომსახურებაზე. ეს შეიძლება იყოს „დღგ“, გზის გადასახადი, იმპორტულ საქონელზე დამატებითი გადასახადი.

19. არაცხადი დანახარჯები – დანახარჯები, რომელიც არ აისახება საბუღალტრო დანახარჯებში.

20. არბიტრაჟი – სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც წყვეტს სადაო საკითხებს, რომელიც წარმოიშევა სხვადასხვა ოპერაციების და გარიგების დროს სახელმწიფო უწყებასა და ფირმებს შორის, ფირმასა და ფირმას შორის.

21. არჩევანი – ეკონომიკური აგენტის რაციონალური ქცევის შედეგი.

22. „არწივის“ გამოჩენა – გადამეგებული შეფასება მოსამსახურის, ფორმალური დახასიათების გავლენით.

23. აუტსორსინგი – ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის-

თვის არენდით რესურსების გადაცემა ან შინაგანი რესურსების შესაძლო გამოყენებით თავისთვის და კლიენტისთვის მომგებიანი მომსახურების გაწევა.

24. აქცია – ფირმის, პიროვნების წილობრივი მფლობელობის უფლება.

25. აქციის გადასახადი – არაპირდაპირი გადასახადი, რომლითაც იბეგრება ზოგიერთი სახის შიდაწარმოების და მასობრივი მოთხოვნების საქონელი და მომსახურება.

ბ

26. ბაზარი – ტერიტორია, სადაც საქონლის გამყიდველის და მყიდველის მომსახურება ან საწარმოო ფაქტორები ერთმანეთს ხვდებიან.

27. თავისუფალი ბაზარი – ფასებს განსაზღვრავს მოთხოვნის და შემოთავაზების კანონი და არა გარედან შემოქმედება-რეგულირება.

28. ბაზრის ეფექტიანობა – მყიდველის და გაყიდვების შესაძლებლობების შემსწავლელი ინსტიტუტი სამომხმარებლო დანამოგის და მწარმოებლობის მიხედვით.

29. ბაზრის რეგულირება – როდესაც გადასახადი მთავრობის საბიუჯეტო სახსრებთან და დანახარჯებთან ურთიერთკავშირშია.

30. ბალანსი – აქტივების და პასივების სია გარკვეულ პერიოდში, რომელიც ფირმის, ეკონომიკური ერთეულის, ინდემწარმის ფინანსურ მდგომარეობას ასახავს.

31. ბარტერი – ვაჭრობის სისტემა, როდესაც ერთი საქონელი გაიცვლება მეორე საქონელზე და არა ფულზე.

32. ბელაში (ქაოსი) – გაურკვეველი ქაოსი ბირჟაზე, მისი შექმნის „აფეთქების“ მომენტში.

33. ბიზნესი – სოციალური, ეკონომიკური აქტივობა ადამიანებისა, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის განვითარების სისტემასთან კაპიტალის საწარმოებლად, რომლის ფორმას და სახეს განსაზღვრავს საქონლის წარმოება, მომსახურება რაც დამოკიდებულია რისკთან, სიძნელეებთან, მოულოდნელობასთან.

34. ბიზნესის გეგმა – კომპანიის ძირითადი საქმიანობა, სადაც განსაზღვრულია კომპანიის მიზანი, ამოცანები გარკვეულ პერიოდში და ასახულია ფირმის შესაძლებლობები, საქონლის და მომსახურების სახე, გასაღების ბაზარი, კონკურენცია, უფლებრივი

უმრუნველყოფა, რისკის და დაზღვევის შეფასება, ფინანსები, მარკეტინგის წარმოება, საორგანიზაციო გეგმა.

35. ბიზნესის სიბეცე – მყიდველს პირველ რიგში ნივთის შეძენის შედეგად მიღებული კომფორტი უნდა შეთავაზოთ და არა ნივთი, რადგან მომხმარებელს უპირველესად თავაზობით მომხიბლევლობას, განწყობას, კომფორტს, უსაფრთხოებას, სიამოვნებას, სარგებელს, სიხარულს, ხოლო თუ შეძენილი ხელსაწყოებით თავისი ხელით რაღაცას გააკეთებს, შედეგს მიიღებს, მას დაემატება იდეა, ემოცია, ამბიციაცია, იმედი და მრავალი სხვა.

36. ბიზნესის ჭეშმარიტი გენია – პრაქტიკული გონიერების, თეორიულ გონიერებასთან შერწყმული, რომელიც მოწოდებულია იყოს აღიარებული ინტელექტუალი, დალაგებული ანალიტიკოსი, ბრწყინვალე ორგანიზატორი და შეუდარებელი მეურნე.

37. ბიპარტიზმი – მხარეებს შორის დაარსებული ნებაყოფლობითი თანასწორუფლებიანობა, ურთიერთობა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა შორის როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო ნორმების შესაბამისად შრომითი უფლებების დაცვის გადასაწყვეტად.

38. ბირჟა – დაწესებულება, ადგილი, სადაც ხდება მსხვილი და ფინანსური გარიგება.

39. ბიუჯეტის პოლიტიკა – მისი დანიშნულებაა მონიახოს ოპტიმალური პროცენტი, გადასახადი, რათა გაიზარდოს ბიუჯეტის წლიური შემოსავლების მაჩვენებელი, რადგან გადასახადის ბელმეტად გაზრდა იწვევს შემოსავლების შემცირებას.

40. ბიუჯეტის დეფიციტი – როდესაც საგადასახადო შემოსავლები, ქვეყნის საჭიროებისათვის განკუთვნილ ხარჯებზე ნაკლებია.

41. ბიუჯეტის გადაბეჭება „პრეფიციტი“ – სიტუაცია, როდესაც შემოსავლები მთავრობის ხარჯებზე მეტია.

42. ბრენდი – ეს არის მთლიანობაში გამოამჟღავნებით ან უიმისოდ საქონლის დახასიათება, მისი დასახელების, შეფუთვის, ფასის ისტორიის, რეპუტაციის წარმოჩენის ხელოვნება, რომელიც შემოთავაზებას აქცევს ბრენდად, რომელიც შერწყმულია მოთხოვნასთან, შედეგთან, თავის დაღს ასვამს სავაჭრო მარკის შექმნას, მაგრამ სავაჭრო მარკა და ბრენდი ერთი არ არის.

43. ბრუნვის გადასახადი – ყველაზე ადვილად ასაკრეფი გადასახადია და იწვევს ნაკლებ შეფერხებას ეკონომიკაში, რადგან გადაიხდება დადგენილი პროცენტი შემოსავლიდან.

44. ბუმი და გაკოგრება – ფრაზა, რომელიც აღწერს „ველური თავისუფლების“ პერიოდს ეკონომიკურ საქმიანობაში ზრდასა და დაცემას შორის.

45. „ბუნებრივი ღონის“ ჰიპოთეზა – როდესაც უშუშეგრობის ღონე უბრუნდება, ბუნებრივ ღონეს ინფლაციისგან დამოუკიდებლად.

46. ბუნებრივი მონოპოლიები – ეს შესაძლებელია იქ, სადაც საჭიროა ფართო ინფრასტრუქტურა და აუცილებელია დიდი დანახარჯები საქონლის მოსაზიდად, როდესაც კონკურენცს პრაქტიკულად არავითარი პერსპექტივა არ აქვს ამ ბაზარში შესვლის. (ბ.მ.) აწესებს გარკვეულ ფასებს საქონელზე, მომსახურებაზე და ამით ხელს უშლის მოჭარბებული მოგების მიღებას.

47. ბუნებრივი რესურსები – საქონლის და მომსახურების წარმოებაში გამოყენებული ნელლეული, რომელსაც ბუნება გვაძლევს (მიწა, წყალი, წიაღისეული, ტყე).

ბ

48. გადასახადი – სავალდებულო შესაგანი ბიუჯეტში, რომლის ოდენობას განსაზღვრავს გარკვეული კანონი დადგენილ დროში.

49. გადასახადის ობიექტი – შემოსავალი, კაპიტალი, მიწა, რომელიც იბეგრება ერთხელ.

50. გადამხდელი სუბიექტი – გადასახადის გადამხდელი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც აქვს დამოკიდებულება შემოსავლის წყაროსთან.

51. გადასახადი შეღავათებით – გამონაკლისის დაშვება გარკვეული მოსაზრებებით საერთო საგადასახადო წესიდან.

52. გადასახადი და გარიფი – იძულებითი ფულადი გადასახადი მთავრობისთვის, სუბიექტის მიერ სამეურნეო საქმიანობისათვის. ამასთან, ასეთი გადასახადი ჯარიმად არ ითვლება. გადასახადი შეუძლიათ დააკისრონ სიმდიდრეს ან შემოსავალს, მოგებას ბიზნეს-საქმიანობაზე. მაგ., ბრუნვის, მიწის გადასახადი. გარიფებს და გადასახადს დიდი როლი აკისრიათ ქვეყნის ცხოვრებაში.

53. გადასახადის გადაკისრება – ნიშნავს მთელი გადასახადის ან მისი ნაწილის გადაკისრებას გადასახადის სხვა გადამხდელზე მათვის საქონლის, უფრო მაღალ ფასებში მათზევე მიყიდვის გზით.

54. გადასახადის მღვრული განაკვეთი – დამატებითი გადასახადი, შემოსავლის ყოველ დამატებით ერთეულზე.

55. გადასახადის საშუალო განაკვეთი – გადასახადების საერთო მოცულობა გაყოფილი მთლიან შემოსავალზე.

56. გადახდისთვის მზადყოფნა – თანხა, რომლის გადახდისთვის მომზადებულია მყიდველი.

57. გადატანითი ფული – სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც შეიცავს 0,987412 გრამ ოქროს.

58. გადახდისუნარიანობის მიხედვით დაბეგვრის პრინციპი – იდეალია, რომლის თანახმადაც, გადასახადები უნდა დაწესდეს გადახდის შესაძლებლობების მიხედვით.

59. გაკოტრება – (ვალუვალობა) ბიზნესში რეგულირდება სახელმწიფო ნორმატივებით. ფირმა, რომელიც თავს გაკოტრებულად გამოაცხადებს, მისი აქტივები გადადის კრედიტორის საკუთრებაში, რომელიც ლიკვიდაციას უკეთებს ფირმის აქტივებს და შეძლებისდაგვარად იბრუნებს ფულის ნაწილს. ხალხი, რომელიც ფლობს ფირმის აქტივებს, გაკოტრების შემთხვევაში მას კარგავს.

60. გამორიცხვადობა – გულისხმობს, რომ შესაძლებელია ესა თუ ის პიროვნება ავარილოთ ამ საქონლის მოხმარებას.

61. გამოღვენა – სახელმწიფოს მიერ სესხის აღება იწვევს, ინვესტიციების შემცირებას.

62. გამოღვენის ეფექტი – ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის შედეგად იზრდება სარგებლის განაკვეთი და მცირდება საინვესტიციო ხარჯი, ამასთან ადგილი აქვს ერთობლივი მოთხოვნების შემცირებას.

63. განვითარების მხარდაჭერა – ეკონომიკური ზრდის ფორმა, მცდელობა გამოიყენოს აღუდგენელი და აღდგენილი რესურსები და შეამციროს მუდმივი დამოკიდებულება ნედლეულის მარაგზე და უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა.

64. განურჩევლობის მრუდი – მრუდი, რომელიც შეიცავს სამომხმარებლო კალათებს, რომლებიც მომხმარებლებს ერთნაირად აკმაყოფილებს.

65. გარეგანი ეფექტი – ერთი მწარმოებლის გავლენა მეორეზე.

66. გარეგანი ეფექტების გათვალისწინება – სტიმულირების ცვლილება, რომლის შედეგადაც ითვალისწინებენ თავიანთი ქმედების გარეგან ეფექტებს.

67. გაფიცვა – წარმოების, ფირმის მუშაკთა ორგანიზებული პროტესტი.

68. „გაცვეთილი ფეხსაცმლის დანახარჯები“ – რესურსების ფლანგვა, რისკენაც მოსახლეობას ინფლაციის დროს ხელმე ნაკლები ფულის ქონის სურვილი უბიძგებს.

69. გაცვლის საშუალება – გამყიდველის და მყიდველის ურთი-ერთობა, როდესაც ამ უკანასკნელს საქონლის და მომსახურეობის შექმნა სურს.

70. გეგმური ეკონომიკა – ხორციელდება და ნაწილდება ცენტრალური ხელისუფლების ხელმძღვანელობით.

71. გრძელვადიანი ფინანსური დაბანდება – არსებული საწარ-მოს, სხვა საწარმოში, ბანკში, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ერთ წელზე მეტი ვადით დაბანდება.

დ

72. დაბალანსირებული ვაჭრობა – ექსპორტის და იმპორტის გოლობა.

73. დაგროვების საშუალებები – მსყიდველობითი უნარის აწმყოდან მომავალში გადატანის განსაკუთრებული შესაძლებ-ლობა.

74. დადებითი მასშტაბის ეფექტი – ამცირებს საშუალო და-ნახარჯებს წარმოების გამრდის შედეგად მიღებული პროდუქტის ხარჯზე.

75. დაზღვევა – შესაძლო გარალის ფინანსური უზრუნველყოფა, სპეციალურ ორგანოში ან სადაზღვევო კომპანიებში პერიოდული შენაგანების გზით.

76. დამატებითი და სპეციფიკური გადასახადი – ფუფუნების საგნებზე, ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე საქონელზე. მაგ., საყოფაცხოვრებო ქიმიკა, რადიაქტიური ნელეულის გადამუ-შავებაზე.

77. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დ.დ.გ.) – რომლის გადახდა ხდება სახელმწიფოს ინიციატივით პროცენტის დაღვენით სხვადასხვა საქონელზე.

78. დამსმენი (აგენტი) – შტატგარეშე პოლიციის დამხმარე, რომელიც გარკვეული მერკანტული მოსაზრებით ემსახურება საზოგადოებას.

79. დანახარჯების სარგებლობის ანალიზი – საზოგადოებრივი დანახარჯების სარგებლობის შედარება მის საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფასთან.

80. დანახარჯი – საქონლის შესაქმნელად გაწეული ხარჯები, რომელშიც შედის სამუშაო იარაღი, ნედლეული, არენდის ხარჯები და გაწეული შრომა.

81. დარგი – ფირმების ჯგუფი, რომლებიც აწარმოებენ ერთსა და იმავე ან მონათესავე საქონელს.

82. დარგში შეღწევა – რომელიმე საწარმოს სასაქონლო ბაზაზე მომხმარებელთა სეგმენტის მოზიდვა, დაპყრობა რომელიმე დარგში.

83. დასაქმება – შრომის რესურსების გამოყენება და შრომისუნარიანი მოსახლეობის და სამუშაო ადგილების თანაფარდობის შერწყმა.

84. დაუწერელი კანონი ანუ კორპორაციული კულტურა – ღირებულება, გრადიციები, წესი, რომელსაც მისდევენ და იცავენ ორგანიზაციის წევრები და რაც ერთად მუშაობის, საქმიანობის პერიოდში აერთიანებთ.

85. დევალვაცია – ფულის ერთეულის ლითონის შემცირება ან ფულის ნიშნების კურსის შემცირება ლითონთან ან უცხო ვალუტასთან შედარებით.

86. დეკორაციული ფული – შინაგანი ღირებულების არქმონე ფული, რომელიც მთავრობის დეკრეტის შედეგად იხმარება როგორც ფული.

87. დელფის მეთოდი ან დელფის ორაკული – მეთოდი დამყარებული დამოუკიდებელი ექსპერტების საქმიანობაზე, გადაწყვეტილებაზე, რომლებსაც გამოაქვთ თავიანთი ვერდიქტი, რომელიმე პრობლემაზე საკითხზე. მაგ., კონკურენტუნარიანი სტრატეგიის გამომუშავება, გასაწევი რისკის ანალიზი.

88. დენომინაცია – ფულის ნიშნების ღირებულებების შეცვლა გარკვეული შეფარდებით ძველი ფულის ნიშნებისაზე ახალ შედარებით მსხვილ კუპიურებზე გადაცვლის გზით.

89. დეპოზიტი – შესანახად მიბარებული ბანკის ვალდებულება, რომელიც ამცირებს ნაღდი ფულის მიმოქცევის ოდენობას და ამავე სიდიდით მოთხოვნამდე ბრდის მის ოდენობას რის შედეგადაც ფულის მოწოდება უცვლელი რჩება.

90. დეპრესია – საქმიანობის ციკლის აქტივობის ღრმა დაქვეითება, რომელსაც თან სდევს მაღალი ფასების და უმუშევრობის დონე (სასტიკი რეცესია).

91. დეგრემინაცია – სწავლება ეკონომიკური მიზნების, ყო-

ველი ბუნებრიობის მოვლენის და საზოგადოების ქმედების შედეგად.

92. ლეფიციტი – საზოგადოების გარკვეული კლასის მდგომარეობა, სადაც საქონლის ოდენობის უკმარსობაა, ფიქსირებულია მათი ღირებულება და მოქმედებს სპეკულაციური ფასები და მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი რჩება.

93. ლეფლაცია – ფასების საშუალო დონის დაქვეითება, ქვეყნის ეკონომიკის სისტემაში, რაც იწვევს ბედმეტი ქალაქის ფულის ამოღებას მიმოქცევიდან.

94. დივერსიფიკაცია – კომპანიების მიერ ძირითადი ბიზნესის ფარგლებში აქტივების გააქტიურება ახალი ნაწარმის გამოშვების ხარჯზე, სადაც მუშაობს ეკონომიკის ერთი სექტორი, რითაც თავს ვიცავთ და ვიმღვევთ სერიოზული დანაკარგებისგან.

95. დივიდენდები – სააქციო საზოგადოების წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე, მათ მფლობელობაში არსებული აქტივების რაოდენობის და ნომინალური ღირებულების მიხედვით.

96. დისკონტის განაკვეთი – სარგებლის განაკვეთი იმ სესხზე, რომელსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ბანკს გამოუყოფს.

97. დისკრიმინაცია – სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზება ინდივიდებისთვის, რომლებიც განსხვავდებიან ეთნიკური ჯგუფით, სქესით, ასაკით და სხვა პიროვნული მახასიათებლით.

98. დომინანტური სტრატეგია – საუკეთესო სტრატეგია მოთამაშისათვის, იმის მიუხედავად, თუ რა სტრატეგიას, აირჩევენ მოთამაშეები.

99. დუოპოლია – საბაზრო სტრუქტურა, როდესაც ბაზარზე წარმოდგენილია რომელიმე საქონლის ორი გამყიდველი, ორი მონოპოლიური დაჯგუფება.

ე

100. ეკოლოგიური ნაბაგი (განგაში) – ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც აიძულებს მწარმოებელს, ნედლეულის მოპოვებას, გარემოს დაბინძურებას უდიერად მოექცეს, ხოლო განგაშის აგებვა გვაიძულებს, გვასწავლოს ცოცხალ ორგანიზმთან დამოკიდებულება და საარსებო გარემოს დაცვა.

101. ეკონომიკა – სწავლება იმის შესახებ, თუ როგორ განავოს საზოგადოებამ მრავალწახნაგოვანი შესაძლებლობებით

შემზღვეული რესურსები და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

102. ეკონომიკური ზრდა – მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ღროის განსამზღვერულ მონაკვეთში რეალობის გათვალისწინებით.

103. ეკონომიკური კეთილდღეობა – ეკონომიკის სუბიექტების ცხოვრების და მუშაობის პირობების მაღალი დონე, რომლის ღროსაც იზრდება ეკონომიკური აქტივობა და ინდივიდების თვითრეალიზების საშუალება.

104. ეკონომიკის სტაგუსი – ორიგინალური ნიჭის და მხარდაჭერის გარეშე ფართო მოხმარების საქმიანობა, ეკონომიკაში მეცნიერული ანალიზის გარეშე.

105 ეკონომიკური მოღელი – გამარტივებული სახით წარმოდგენილი ობიექტი, საქმიანობა, რომელიც ძირითადად მეცნიერული გამოკვლევების ჩასატარებლად არის განსამზღვერული.

106. ელასტიურობა – მოთხოვნის ან მოწოდების რომელიმე დეკერმინანტზე რეაგირების საბაბი.

107. ელიგარული კორუფცია – როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები მომგებიან საქმიანობას ლობირებენ, კონგრატეებს ურიგებენ მათთან დაახლოვებულ ფირმებს, წილში უჯდებიან ან უკუგორებით ქრთამს იღებენ და გარკვეულ დარღვევებზე თვალს ხუჭავენ.

108. ემისია – რაოდენობრივი ზრდა, ხარისხის დაქვეითების და ფულის გაუფასურების ხარჯზე.

109. ერთეულოვანი ელასტიურობა – ფუნქციის არგუმენტი და ფუნქციის მნიშვნელობის ცვალებადობა ერთი და იმავე პროცენტული თანაფარდობით.

110. „ერთი მსახიობის თეატრი“ – ეს არის აღიარებული ლიდერი, ხელმძღვანელი, რომელიც ერთპიროვნულად მართავს გუნდის საქმიანობას, პერიოდულად ეთათბირება სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს თავის შეხედულებისამებრ. ასეთი გუნდის საქმიანობა მანამდეა ეფექტური, სანამ ხელმძღვანელის ავტორიტეტი ხელშეუხებელია ყველა მონაწილისთვის.

111. ერთობლივი მოწოდების მრუდი – მრუდი, რომელიც ასახავს საქონლის და მომსახურეობის რაოდენობას, რომლის წარმოებას და გაყიდვას ირჩევენ ფირმები გარკვეული ფასების დონეზე.

112. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი – მრუდი, რომელიც

ასახავს საქონლისა და მომსახურეობის რაოდენობას, რომლის ყიდვასაც არჩევენ საოჯახო მეურნეობები, ფირმები, მთავრობა გარკვეული ფასების დონეზე.

113. ერთობლივი მითხოვნების და ერთობლივი მოწოდების მოდელი – მოდელი, რომელსაც იყენებენ ეკონომიკური საქმიანობის მოკლევადიანი რყევების ასახსნელად, განვითარების გრძელვადიანი ტენდენციის გათვალისწინებით.

114. ეროვნული დანაზოგი – მთლიანი შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც რჩება სამომხმარებლო ხარჯების და სახელმწიფო შესყიდვების შემდეგ.

115. ფეექტური მასშტაბი – პროდუქციის რაოდენობა, რომლის წარმოების დროსაც საშუალოდ მთლიანი დანახარჯები მინიმალურია.

116. ფეექტიანი ხელფასი – ხელფასი, რომელიც საშუალო შემწონილ წონასწორულ ხელფასზე მეტია და ფირმები გასცემენ მშრომელთა მწარმოებლობის გაზრდის მიზნით.

117. ფეექტიანობა – მაქსიმალური შედეგის მიღება არსებული ან შეზღუდული რესურსების ხარჯზე.

118. ექსპორტი – ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონლის ქვეყნის გარეთ გაყიდვა.

3

119. ვალუტის კურსი – ერთი ქვეყნის ეროვნული ვალუტის ღირებულების ეკვივალენტი მეორე ქვეყნის შესაბამის ეროვნულ ვალუტაზე.

120. ვაჭრობიდან მიღებული სარგებლობა – ვაჭრობაში, მოხმარების ბრძის შედეგად მიღებული სარგებელი.

121. ვანჩურული მწარმოებლობა – საწარმო, ფირმა, იქმნება პროექტის რეალიზაციის დროს, რომელიც იზიდავს ინვესტორებს, გამოდის გარანტად.

122. ვერტიკალური სამართლიანობა – მეტი შეძლების გადახმდელი უნდა დაიბეგროს მაღალი განაკვეთით.

8

123. ზემოქმედების ძალა – კონტრაქტების, რეკლამების, რეკომენდაციების, მოცემული ინფორმაციის საშუალებების ხარისხის შეფასება დროის გამოყენებით ლაკერტის და ოსგულას სკალით.

124. ზღვრული დანახარჯები – მთლიანი დანახარჯების ნაშთი, რომელიც დამატებითი ერთეულის წარმოების შედეგია.

125. ზღვრული მდგომარეობა – როდესაც დანახარჯები ვერ აკმაყოფილებს, საწარმოს დღევანდელ მოთხოვნებს.

126. ზღვრული მწარმოებლობის თეორია – როდესაც სამი საწარმოო ფაქტორი: შრომა, კაპიტალი, მიწა მონაწილეობენ წარმოების პროცესში და თითოეული მათგანი ერთნაირად ქმნის ღირებულებას. (დაკავშირებულია ჯ.კლარკი სახელთან აშშ).

127. ზღვრული პროდუქცია – პროდუქციის ნაშთი, ფაქტორის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგი.

128. ზღვრული პროდუქტის კლებადობა – ზღვრული პროდუქციის შემცირება, ფაქტორის რაოდენობის ზრდასთან ერთად.

129. ზღვრული პროდუქციის ღირებულება – ზღვრული პროდუქციის და წარმოებული საქონლის ფასის ნამრავლი.

130. ზღვრული სარგებლიანობა – პროდუქტის დამატებითი ერთეულის მოხმარებით მიღებული კმაყოფილება.

131. ზღვრული შემოსავალი – მთლიანი შემოსავლების ცვლილება, დამატებითი ერთეული გაყიდვის შემდგომ.

132. ზღვრული ფასები – როდესაც კანონი კურირებს და აღგენს მინიმუმ რა ფასებში უნდა გაიყიდოს საქონელი.

133. ზღვრული ცვალებადობა – დადგენილ პარამეტრებში მცირე ცვალებადობის შეტანა.

თ

134. თავისუფალი ბანაობა – როდესაც მომსახურებაში ნახულობ სარგებელს, სადაც ფულს სხვა იხდის და შენს შეხიდებას არ ჩქარობს. მაგ., ქუჩის განათება, საერთო ეზოს კეთილმოწყობა, მეზობლის ძაღლის სიავის გამო თქვენი ბინა ქურდებისაგან დაცულია.

135. თავისუფალი ვაჭრობა – საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც მიმდინარეობს შეუმღუდავად კანონების, გარიფების და ქვოტების გარეშე.

136. თავისუფალი ეკონომიკა – ეკონომიკური სისტემის აღწერის გერმინია, როდესაც არ ხდება ხელისუფლების ჩარევა.

137. თამაშთა თეორია – სტრატეგიულ სიტუაციებში ადამიანების ქცევის შესწავლა.

138. იმედდაკარგული მუშახელი – ინდივიდებს, რომელთაც სურთ მუშაობა, მაგრამ ხელი ჩაიქნის სამუშაო ადგილების ძიებაზე.

139. იმპორტი – ქვეყნის გარეთ წარმოებული და ქვეყნის შიგნით გაყიდული საქონელი, მომსახურება.

140. ინდექსაცია – თანხების ავტომატური კორექტირება, რომელიც ხორციელდება მთავრობის კანონის საფუძველზე ინფლაციის გათვალისწინებით.

141. ინდივიდუალური მოწოდება – მწარმოებლის მზადყოფნა, მიაწოდოს გარკვეული საქონელი, მოცემულ ფასად გარკვეულ დროის მონაკვეთში.

142. ინდივიდუალური მოთხოვნა – მომხმარებლის სურვილი, დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძინოს საქონელი მოცემულ ფასად.

143. ინვესტიციები – კაპიტალურ მოწყობილებებსა და შენობებზე გაწეული ხარჯების დაფინანსება.

144. ინოვაცია – ახლადშემოღწეული ტექნიკა, ტექნოლოგია, შრომის ორგანიზაცია, მმართველობა, დაყრდნობილი მეცნიერების მიღწევებზე და მოწინავე გამოცდილებებზე, სადაც სრულყოფენ ბაზარზე გასაყიდ ნაწარმს და უახლოეს ტექნოლოგიურ მიღწევებს იყენებენ მის საწარმოებლად.

145. ინოვაციკა – დარგი, რომელიც სწავლობს კანონის და კანონზომიერების შემოქმედებას კაცობრიობაზე, სამეცნიერო და ტექნიკურ განვითარებაზე, ცივილიზაციის სამოგადოებრიობის გავლენაზე ქვეყნის, რეგიონის, დარგის სამეურნეო სუბიექტების თეორიული მეთოდოლოგიის გასახორციელებლად.

146. ინტეგრაცია – განვითარების პროცესში მიღწეული მთლიანობა სისტემის შიგნით, რომელიც ეყრდნობა ურთიერთდამოკიდებულ სპეციალიზაციის ელემენტებს.

147. ინფლაცია – ფასების დონის საერთო მაგება ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში.

148. ინფლაციის დონე – ფასის ინდექსის პროცენტული ცვალებადობა, წინა პერიოდთან შედარებით.

149. ინფლაციის გადასახადი – შემოსავალი, რომელსაც მთავრობა იღებს ფულის გამოშვების გზით.

150. ინფრასტრუქტურა – მოწყობილობა, შენობა, სისტემა, სამსახურის ერთობლიობა რომელთა ქონა აუცილებელია დარგის წარმოებისათვის და საზოგადოების ცხოვრებისათვის.

კ

151. კანონი – სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

152. კანონიერება – სახელმწიფოში ისეთი რეჟიმის ჩამოყალიბება, როცა ადამიანის ქცევა შეესაბამება კანონებს და სხვა აქტებით გამოხატულ სამართლებრივ ნორმებს.

153. კაპიტალის ბალანსი – გარკვეულ დროის, ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელი აქტივებისა და პასივების სია ინდივიდუალური ან სხვა ეკონომიკური ერთეულის. კაპიტალი – ფიზიკური აქტივები საკუთრების მფლობელის, რომელიც შეიძლება იყოს სახლის მფლობელი, ფირმა ან ხელისუფლება, როგორც არის მოწყობილობა, მიწის ნაკვეთი, მანქანები.

154. კაპიტალი – საქონლის და მომსახურეობის წარმოებაში გამოყენებული შენობები და მოწყობილობები. კაპიტალში იგულისხმება აგრეთვე ფინანსური კაპიტალი ან ნაღდი ფული, რომელიც განკუთვნილია სარისკო ბიზნესის დასაფინანსებლად.

155. კაპიტალის გაღინება – ქვეყანაში არსებულ აქტივებზე, მოთხოვნების მკვეთრი შემცირება.

156. კაპიტალიზმი – ეკონომიური სისტემა, რომელიც დამყარებულია პირად საკუთრებაზე, კერძო მეწარმეზე, თავისუფალ ბაზარზე.

157. კარტელი – ფირმების ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ერთი ფირმა.

158. კეთილდღეობა – სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართულია გაჭირვებულთა შემოსავლების შევსებისაკენ.

159. კეთილდღეობის ეკონომიკა – მეცნიერება, რომელიც სწავლობს რესურსების განაწილების გავლენას ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

160. კეინზიანელობა – სარგებლის განაკვეთი უფრო მეტად დამოკიდებულია ფულადი კაპიტალის მოთხოვნისა და მოწოდების

თანაფარდობაზე, ვიდრე ფულის ემისიაზე, ინფლაციის მიზეზად ითვლება სახელმწიფოს მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო მასთან ბრძოლის საშუალებაა, ფულის საკრედიტო ფაქტორების აქტიური გამოყენება.

161. კენსიანობა – ეკონომიკური დოქტრინა, დაფუძნებული ჯ.მაკინის (1883-1946) ნაშრომებზე, რომელიც იცოვებს უფლებას ჩაერიოს მთავრობა ქვეყნის ეკონომიკაში, გადასახადების გადახდით მაკროეკონომიკის სტაბილიზების მიზნით.

162. კერძო საქონელი – საქონელი, რომელსაც ახასიათებს როგორც გამორიცხვადობა, ასევე მეტოქეობის უნარიანობა.

163. კერძო სექტორი – ეს ეკონომიკის ის ნაწილია, სადაც გადაწყვეტილების მიღება და წარმოების საშუალებები ეკუთვნის გარკვეულ მესაკუთრეებს, კერძო პირებს, ფირმებს და არა მთავრობას.

164. კერძო დანაზოგი – შემოსავალი, რომელიც საოჯახო მეურნეობას რჩება, გადასახადების და სამომხმარებლო ხარჯების გადახდის შემდეგ.

165. კვოტა – წილი, ნორმა, რაც დაშვებულია გადასახადის სისტემაში, გასაღებაში, ქვეყანაში ემიგრანტთა შემოსვლაში, იმპორტის შემოგანაში.

166. კლასიკური დოქტრინა – ნორმალური და რეალური ცვალებადობის თეორიული განცალკევება.

167. კლებადი უკუგება – ფაქტორის ერთი ერთეულის სარგებლობის შემცირება ფაქტორის რაოდენობის მრდასთან ერთად.

168. კოლექტორი – ფულის ამოღების სწავლება.

169. კოლექტიური მოლაპარაკება – პროცესი, რომელშიც პროფკავშირები და ფირმები აღწევენ შეთანხმებას დასაქმების პირობებზე.

170. კონტრაფაქტური საქონელი – წარმოების მიერ გამოშვებული საქონელი, სადაც დარღვეულია მფლობელის უფლება, საქონლის დიზაინი, საავტორო უფლება აუდიო-ვიდეო საქონლის გირაჟირების და ა.შ.

171. კომპრომისების პოლიტიკა – მთავრობა მაშინ ერევა ბაზრის საქმიანობაში, თუ ის აუმჯობესებს შექმნილ სიტუაციას. მაგ., დადოს ხელშეკრულება სხვა ქვეყნის მთავრობებთან, გამოსცეს კანონი, რათა გაიყიდოს ნახევარფაბრიკატები, რითაც გაიზრდება მუშახელის და ნარჩენების გამოყენება.

172. კომუნიზმი – პოლიტიკური სწავლება კ. მარქსის ფილოსოფიაზე დაყრდნობით, რომელიც დაემყარება სოციალურ თანასწორობას, ცენტრალიზებული ეკონომიკის მმართველობის დახმარებით და საზოგადოებრივი საკუთრების მწარმოებლის ხარჯზე.

173. კონკურენტული ბაზარი – ბაზარი, სადაც ბევრი მყიდველი და მრავალი გამყიდველი და თითოეული მათგანი უმნიშვნელო გავლენას ახდენს ფასებზე.

174. კონკურენცია – მეტოქეობა, რომელიც ბალებს პროგრესს, აიძულებს ადამიანებს აამაღლონ საქონლის ხარისხი, უკეთ გაისარჯონ, იამროვნონ, რათა მოიპოვონ სიკეთის შედეგი.

175. კონსერვატიზმი – დრომოჭმულის დაცვა, ახლის, პროგრესულის მგრობა, მისთვის ხელის შეშლა და წინააღმდეგობის გაწევა.

176. კონსერვაცია – დროებით ეკონომიკური პროცესების შეწყვეტა, საქმიანობის, მშენებლობის.

177. კონფლიქტების მოწესრიგების წესი – პარტნიორს სათქმელი ბოლომდე ათქმევინეთ, დააბნიეთ მოულოდნელი კითხვებით, მისი ნათქვამი უარყოფითად არ შეაფასოთ, ამბიციებისგან თავი შეიკავეთ, მიეცით საშუალება ოპონენტს თავისი სახე შეინარჩუნოს, ბოდიშის მოხდასაც ნუ მოერიდებით, თუ თავს რაიმე საკითხში დამნაშავეთ გრძნობთ, უკადრებელი არ აკადროთ, თუ საჭიროა, დითირამები უთხარით, წასვლის წინ კარი არ „გაიჯახუნოთ“, ან შეუპოვრად იბრძოლეთ თქვენი სიმართლისათვის, უფლებისათვის, რადგან ყველა ადამიანს თავისი ბუნება, გონება და ნერვები აქვს.

178. კორელაცია – ურთიერთკავშირი ცვალებად სიდიდეებს შორის.

179. კორპორაცია – ფირმების გაერთიანება, ბიზნესის მართვის ყველაზე მეტად დახვეწილი ფორმა, რომელსაც ქმნიან აქციონერები და მთელ მოგებას თავადვე ინაწილებენ.

180. კორექტირებული გადასახადი – მოწოდებულია საბაზრო ფასების რეგულირებისათვის, რომლის მიზანია ფართო მოხმარების საქონელზე ფასების შემცირება და მოწოდებულია გადაანაწილოს შემოსავალი იმგვარად, რომ მდიდრებმა შეინახონ მარმაცები, ლოთები, ნაკლებად წარმატებულნი.

181. კორპორაციის საშემოსავლო გადასახადი – გადასახადი, რომელიც ეკისრება კორპორაციის შემოსავალს დადგენილი წესის მიხედვით.

182. კორუფცია – წესების გარეშე თამაშია, რომლის წინააღმდეგაც ყველა სახელმწიფოებრიობა იბრძვის, როგორც საზოგადოების საშიშ მტერთან, იმ ჩინოვნიკების მეშვეობით, რომლებიც წინააღმდეგნი არ არ არიან ალიბის ქონით ხელი მითბობნ, ამიგომაცაა მათი მცდელობა დაუსრულებელი და უშედეგო.

183. კუპონი – ფასიანი ქაღალდი, ობლიგაცია ან აქციების ნაწილი, რომლის მფლობელი პროცენტებში დივიდენდების სახით იღებს განსაზღვრულ მოგების უფლებას ბანკის მეშვეობით, რომელსაც უშვებს სააქციო საზოგადოება ან მთავრობა.

ლ

184. ლიბერალიზმი – პოლიტიკური ფილოსოფია, რომლის თანახმადაც მთავრობა ირჩევს პოლიტიკას, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევს მიუკერძოებელ ყველა დამკვირვებელის მიმართ განათლებულია თუ გაუნათლებელი.

185. ლიბერტარიანიზმი – პოლიტიკური ფილოსოფია, რომლის თანახმადაც მთავრობის ძირითადი მოვალეობაა დამნაშავეთა დასჯა, ნებაყოფლობით შეთანხმებათა განხორციელების ხელშეწყობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შემოსავლების განაწილება.

186. ლიკვიდურობა – ღონისძიების შედეგად, რამდენად ადვილად შეიძლება აქტივების გადაქცევა ნაღდ ანგარიშსწორებად.

187. ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია – ქსენისას თეორია, რომლის მიხედვითაც, სარგებლის განაკვეთს შეუძლია გააწონასწოროს ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა.

188. ლოგისტიკა – ერთ-ერთი თანამედროვე და კომპლექსური მიმართულება უნიკალური სამეცნიერო პრაქტიკული ცოდნის და საქმიანობის, სადაც არასოდეს ხდება გაჩერება და მოიცავს ბიზნესის ყველა დარგს, საქმიანობას, ავლენს და ფორმირებას უკეთებს მარკეტინგის მოთხოვნებს.

189. ლოგისტიკა 7 წესი – პროდუქცია უნდა იყოს აუცილებელი, შეესაბამებოდეს მომხმარებლის მოთხოვნას, მიგანილი უნდა იქნას საჭირო დროს, საჭირო ოდენობით, საჭირო ადგილზე, მინიმალური დანახარჯებით, კონკურენტული მომსახურებით.

190. მაკროეკონომიკა – ეკონომიკური მეცნიერების დანიშნულების ნაწილია, რომელიც სწავლობს ეკონომიკას მთლიანობაში და არ სწავლობს დეტალებში ერთეული ფირმებსა და საწარმოებს.

191. მაკორიგარული საარჩევნო სისტემა – ირჩევენ პიროვნებას, ერთ ან ორ გურად, რომელმაც მოაგროვა ხმების უმეტესობა 50%-ზე მეტი.

192. მარკეტინგი (სწავლება, პერსპექტივა) გარკვეული პროდუქციის, საქმიანობის გასაღება და მათზე საჭირო მოთხოვნების უზრუნველყოფა.

193. მასშტაბის არაეკონომიკურობა – გრძელვადიანი პერიოდის საშუალო მთლიანი დანახარჯების ზრდა, პროდუქციის რაოდენობის მაგებისას.

194. მასშტაბის ეკონომიკურობა – გრძელვადიანი პერიოდის საშუალო, მთლიანი დანახარჯების შემცირება პროდუქციის რაოდენობის ზრდისას.

195. მასშტაბურობის მუდმივი ეფექტი – გრძელვადიანი პერიოდის მთლიანი დანახარჯები, რომელიც უცვლელი რჩება პროდუქციის მოცულობის ცვალებადობის მიუხედავად.

196. მდარე საქონელი – საქონელი, რომელმედაც მოთხოვნა მცირდება, შემოსავლების ზრდის შედეგად.

197. მენეჯმენტი – ანალიზი, დაგეგმარება, რეალიზაცია, შემოსავლები, პროგრამის შესრულების კონტროლი, რომლის მიზანია გააფართოოს მომგებიანი ურთიერთობა მყიდველთან თავის გაფართოებული მიზნების მისაღწევად.

198. „მენიუს“ დანახარჯები – ფასების ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

199. მერკანტულობა – ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ექსპორტის საჭიროებას ოქროს და ვერცხლის მარაგის შესაქმნელად და იყენებს მაღალ გარიფს იმპორტის შესაზღუდავად.

200. მერჩენდაიზიმი – ღონისძიებათა კომპლექსი ჩაგარებული საგამოფენო დარბაზში, რომელიც მიმართულია ნაწარმის (ბრენდის) გასაყიდად და ანალოგიური საქონლისთვის კონკურენციის გასაწევად რაც გამოიხატება ნაწარმის ცალკე გამოფენა-გაფორმებაში და მყიდველებთან კონსულტაციაში.

201. მეგოქეობის უნარიანობა – როდესაც ერთი პიროვნების

საქონლის გამოყენება ამცირებს მეორის გამოყენების შესაძლებლობებს.

202. მეტოქეობის ბუნება – შექმნას ისეთი ნაწარმი, მომსახურეობა, რომელსაც ეყოლება თავის მყიდველი და სხვა კონკურენციას ვერ გაუწევს და გავლენას ვერ მოახდენს მის საბაზრო ფასებზე.

203. მეწარმეობა – ადამიანის უნარი მიიღოს მოგების გაზრდის შესაძლებლობა და გამოიყენოს სხვადასხვა რესურსების შესაძლო შერწყმა საქონლის და მომსახურეობის საწარმოებად.

204. მთავრობის ბუნება – მისი დანიშნულებაა სამართლიანობის ფარგლებში მიიღოს ის კანონები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, იმის მიუხედავად, რომ მას მოგვერ არჩევანი არა აქვს გააგაროს საჭირო ეკონომიკური პოლიტიკა. მაგ., ბავშვთა შრომის გამოყენება, საროსკიპოების გახსნა, რადგან რაც უფრო ცივილიზებულს გახდის მათ საქმიანობას, მით უფრო შეივსება სახელმწიფო ბიუჯეტი. სწორედ აქ ვლინდება მთავრობის ბუნება, ხელოვნება, რადგან თუ არსებობს მოთხოვნა, შემოთავაზება, ყველაფერი იქნება.

205. მთლიანი დანახარჯები – რასაც ფირმა ხარჯავს პროდუქციის შესაქმნელად.

206. მთლიანი ეროვნული პროდუქტი – (მ.ე.პ) – დროის მოცემულ პერიოდში, ქვეყანაში წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურეობის საბაზრო ღირებულება.

207. მთლიანი ნაციონალური პროდუქტი (მ.ნ.პ.) – შემოსავალი, მიღებული შიდა რეზიდენტებისაგან ინვესტიციის შედეგად, რომელსაც აკლდება შემოსავალი მიღებული ადგილობრივ ბაზარზე უცხოელი რეზიდენტის მიერ.

208. მთლიანი შიდა პროდუქტი (მ.შ.პ.) – მთლიანი საბაზრო ღირებულება ყველა საქონლის და მომსახურეობის, რომელსაც აწარმოებს ქვეყანა დროის გარკვეულ პერიოდში.

209. მთლიანი შემოსავალი (ბაზარზე) – გამოითვლება როგორც საქონლის ფასის და გაყიდული საქონლის რაოდენობის ნამრავლი, როდესაც გარიგება უკვე შემდგარია.

210. მთლიანი შემოსავალი (ფირმისთვის) – თანხა, რომელსაც ფირმა იღებს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან წლის განმავლობაში.

211. მთლიანი შიდა პროდუქციის ლეულატორი – ფასების

საერთო დონის მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება ნომინალური მ.შ.პ-სა და რეალური მ.შ.პ-ს შეფასების 100-ზე გამრავლებით.

212. მიკროეკონომიკა – სწავლობს ინდივიდუალური გიპის კერძო მესაკუთრეებს და ფირმებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გარკვეულ ბაზრებზე და მათ სახელმწიფოებრივ რეგულირებაზე, გადასახადის გადახდაზე.

213. მინიმალური ხელფასი – როდესაც კანონით აკრძალულია დადგენილი ხელფასის ქვევით შრომის გამოყენება ან ერთ საათის მუშაობისათვის დადგენილია გარკვეული თანხის მინიმუმი.

214. მინიმალური კრიტერიუმი – დებულება, რომლის თანახმადაც მთავრობა მიზნად ისახავს საზოგადოების უღარიბესი ფენების კეთილდღეობის მაქსიმუმაციას.

215. მიწა – ეკონომიკაში ამ ტერმინში იგულისხმება მიწა და ყველა ბუნებრივი ნელეულის წყარო, როგორცაა ნავთობი, ტყე, თევზი და ა.შ.

216. მიწოდების განრიგი – ცხრილი, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას საქონლის წარმოებისა და მოწოდების რაოდენობას შორის.

217. მიწოდების ელასტიურობა ფასის მიხედვით – გამოითვლება მოწოდების პროცენტული ცვლილებების შეფარდებით ფასის პროცენტულ ცვლილებასთან.

218. მიწოდების კანონი – დებულება, რომლის მიხედვითაც საქონლის მიწოდება იზრდება მისი ფასის მრდასთან ერთად, როდესაც სხვა პირობები უცვლელია.

219. მიწოდების მრუდი – გრაფიკი, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას საქონლის ფასსა და მოწოდებას შორის.

220. მიწოდების რაოდენობა – საქონლის რაოდენობა, რომლის გაყიდვის სურვილი და შესაძლებლობა აქვს გამყიდველს.

221. მკვეთრი მრდის ეფექტი – თვისება, რომელიც გულისხმობს, რომ დაბალგანვითარებული ქვეყანა მრდის უფრო მაღალ ტემპს აღწევს, ვიდრე მაღალგანვითარებული.

222. მოგება – მთლიანი შემოსავლისა და მთლიან დანახარჯს შორის სხვაობა.

223. მოგების და დანახარჯების ანალიზი – პროექტის ან მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების შეფასება, შედარებითი მეთოდით ყველა სოციალური და ფინანსური დანახარჯები მიღე-

ბული ყველა საფინანსო მოგებიდან რეალიზებული პროდუქტიდან ან პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან.

224. მოთხოვნა – მოსახლეობის სურვილი შეიძინოს გარკვეული საქონელი ან მომსახურება მისი გადახდის გარანტიით.

225. მოთხოვნა-მოწოდების კანონი – საქონლის ფასი იცვლება მანამ, სანამდე ამ საქონლის მოწოდება და მოთხოვნა არ გაწონასწორდება.

226. მოთხოვნის განრიგი – ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას საქონლის ფასს და მოთხოვნას შორის.

227. მოთხოვნის ელასტიურობა ფასების მიხედვით – რა გავლენას ახდენს მოთხოვნის ცვლილებაზე ფასის მცირეოდენი ცვლილება.

228. მოთხოვნის ელასტიურობა შემოსავლის მიხედვით – მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ რეაგირებს სასაქონლო მოთხოვნა მომხმარებლის შემოსავლების ცვლილებაზე და გამოითვლება, როგორც მოთხოვნის პროცენტული ცვლილებების განაყოფი შემოსავლის პროცენტულ ცვლილებაზე.

229. მოთხოვნის კანონი – დებულება, რომლის მიხედვით, საქონელზე მოთხოვნა მცირდება ამ საქონლის ფასის ზრდასთან ერთად, როდესაც სხვა პირობები უცვლელია.

230. მოთხოვნის მრუდი – საქონლის ფასსა და მოთხოვნის რაოდენობას შორის დამოკიდებულების გრაფიკი.

231. მოთხოვნის რაოდენობა – საქონლის მოცულობა, რომლის შეძენის სურვილი და შესაძლებლობა აქვს მყიდველს.

232. მოთხოვნის ფასების ინდექსი – ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ეყრდნობა საქონლის (კომპლექტის) ფასებს და მომსახურებას, რომელსაც მოიხმარს საშუალო შეძლების ოჯახი.

233. მოლოდინი – სუბიექტის ვარაუდი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობაზე.

234. მომხიბვლელობის ეკონომიკა – დამატებითი გასამრჯელო, რომელსაც იღებენ გარეგნობისთვის, პოპულარობისთვის.

235. მომხმარებლის უპირატესობა – სხვაობა მყიდველის გადახდისთვის მზადყოფნასა და იმ თანხას შორის, რომელსაც საქონლის ყიდვისას შევაჭრების შედეგად რეალურად იხდიან.

236. მომხმარებლის ქცევა – მარკეტინგის ერთ-ერთი მთავარი თავსაგებია, რის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მყიდველი, რა ფაქტორი ახდენს გავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე

და კომპანია როგორ იყენებს ცოდნას სტრატეგიის შემუშავებისას.

237. მონეტარული ნეიგრალიტეტი – დებულება, რომლის თანახმადაც ფულის მოწოდების ცვლილება რეალურ ცვლილებებზე არ მოქმედებს.

238. მონეტარიზმი – ეკონომიკური სწავლება, რომელიც განიხილება ფულის ოდენობასთან და ეკონომიკის ძირითად მაჩვენებლებთან ერთად, რომელიც ეყრდნობა აგრეგირებულ გამდიდრებულ ან შემცირებულ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში მთავრობის მცდელობას, გააძლიეროს წარმოების მოცულობა მოთხოვნების სტიმულირებით, ხშირად მიყვავართ ინფლაციასთან.

239. მონეტარული პოლიტიკა – მცდელობა, მოთოკოს ინფლაცია და მართოს საქმიანი აქტივობა, შემოთავაზებული ფულის მოცულობით და პროცენტული ნახტომების სიდიდით. მონეტარულ პოლიტიკას ხშირად ახორციელებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი.

240. მონოპოლია – როდესაც ბაზარზე მოქმედებს ერთადერთი საქონლისა და მომსახურების გამყიდველი, რომლის ანალოგიით შეცვლა შეუძლებელია.

241. მონოპოლიური კონკურენცია – საბაზრო სტრუქტურა, რომელშიც მრავალი ფირმა ყიდის მსგავსს, მაგრამ არა იდენტურს.

242. მონოპოლიური მოგება – მოგების სახე, რომელიც სამეურნეო საქმიანობაში გაცილებით მეტია, ვიდრე საშუალო მოგება.

243. მორალური რისკი (მ.რ.) – მთავრობა ითხოვს გარკვეულ გარანტიებს საქონელზე. კვების პროდუქტებზე, რომლის შესახებაც შეუძლებელია გვაწვიდეს ინფორმაციას მწარმოებელი. მ.რ. შეიძლება იყოს წინასწარი დაზღვევა უძრავი ქონების, გადაადგილებების საშუალებების, ძვირფასეულობის, რაც იძლევა სიფრთხილის გამოჩენის საშუალებას.

244. მოწოდების რაოდენობა – საქონლის რაოდენობა, რომლის გაყიდვის და მიწოდების შესაძლებლობა აქვს გამყიდველს.

245. მოხმარება – საოჯახო მეურნეობის მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, ახალი საბინაო პირობების შექმნის ან გაუმჯობესების ჩაუთვლელად.

246. მოხმარების ფასების ინდექსი – ეს არის ღონისძიება ფასების გათანაბრების, რომელიც მიბმულია სამომხმარებლო კალათაზე,

რომელშიც შედის არამუდმივი, 300-ზე მეტი დასახელების პროდუქტი.

247. მრუდი – ხაზი, რომელიც გრაფიკზე აერთიანებს ორ წერტილს. ეკონომიკური მრუდი შესაძლებელია იყოს სწორხაზოვანიც.

248. მსოფლიო ფასები – შესაბამისი ხარისხის მქონე საქონლის ფასი, რომელიც ღომინირებს მსოფლიო ბაზარზე.

249. მუდმივი დანახარჯები – რომელიც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების მიუხედავად.

250. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი – თეორია, ნებისმიერი ერთი ერთეულით უნდა შეგვეძლოს საქონლის ერთიდაიგივე რაოდენობის შექენა ყველა ქვეყანაში.

251. „მსხვერპლის ნორმა“ – რეალური მ.შ.პ-ს წლიური დანაკარგის პროცენტული მაჩვენებლები ინფლაციის 1% შემცირება.

252. მუდმივი დანახარჯები – რომელიც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების მიუხედავად.

253. მუდმივი შემოსავალი – პიროვნების ნორმალური და გარანტირებული შემოსავალი.

254. მულტიპლიკატორის ეფექტი – როდესაც ექსპანსიური და ფისკალური პოლიტიკა შემოსავლების და სამომხმარებლო ხარჯების ზრდას იწვევს, რაც გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნების გაღაადგილებით.

255. მწარმოებლის დანამოგი – გამყიდველისთვის საქონელში გადახდილი ღირებულების და გამყიდველის დანახარჯების სხვაობა.

256. მწარმოებლურობა – ერთ სამუშაო საათში წარმოებული საქონლის მოცულობის და მომსახურეობის მაჩვენებელი.

6

257. ნაგურალური დახმარება – ღარიბებისთვის განკუთვნილი დახმარება, რომელსაც საქონლის და მომსახურეობის სახე აქვს და არა ფული.

258. ნაღდი ფული – საზოგადოებას ხელთ არსებული ბანკნოტები და მონეტები.

259. ნაძალადევი მოთხოვნა – როდესაც მყიდველს მისი შექენის სურვილი არ გააჩნია, საჭიროების და სიიაფის გამო ეკონომიის მიზნით იძულებულია იყიდოს.

260. ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა – სისტემა, რომელშიც ბანკები საკრედიტო რესურსის სახით ინახავენ დეპოზიტების ნაწილს.

261. ნეოკოლონიალიზმი – ურთიერთდამოკიდებულება ქვეყანასა და ყოფილ კოლონიას შორის მანამდე გრძელდება, სანამ პირველის საქმიანი ინტერესები დომინირებს ამ უკანასკნელის ეკონომიკაში.

262. ნეოკლასიციზმი – ეკონომიკაში ნიშნავს, ვიდრე მთავრობა არ განსაზღვრავს კონკრეტულ მიზანს, დარღვეული საბაზრო მექანიზმის გამოსასწორებლად, მისი ჩარევა ბაზარში აბსოლუტურად არაეფექტურია.

263. ნემის წონასწორობა – სიგუაცია, როდესაც ეკონომიკური აგენტის მიერ შერჩეული სიგუაცია ცნობილია და აგენტები მოქმედებენ ერთმანეთთან შერჩეული საკუთარი საუკეთესო სტრატეგიით.

264. ნიჰილიზმი – სწავლება სამართლებრივ სამოგალოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების, რომელიც უარყოფს სამართლებრივ ღირებულებებს და რომლის მოსინჯვა, ხელის შევლება არ შეიძლება და არ შესწევს სამოგალოების ურთიერთობათა მოწესრიგების უნარი.

265. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი – საქონლის და მომსახურების წარმოების მოცულობა, გამოხატული მიმდინარე ფასებში.

266. ნომინალური ცვლადები – ცვლადები, რომლებიც გამოიხატება ფულად ერთეულში.

267. ნომინალური საქონელი – თანაბარ პირობებში, საქონელზე მოთხოვნა იზრდება შემოსვლების ზრდასთან ერთად.

268. ნორმატიული დებულება – თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სამყარო.

269. ნულიფიკაცია – ფულის ძველი ნიშნების ლიკვიდაცია, ახალი ფულის ნიშნების გამოშვება.

ო

270. ობლიგაცია ვალდებულების სერვიფიკაცი – სავალო ხელშეკრულება, გადაიხადოს გარკვეული ფული, თანხა მომავალში გარკვეული საქმიანობისათვის.

271. ოლიგარქა – ძალაუფლება, უმცირესობა „ფულის გომრები“.

272. ოლიგარქი – ვიწრო წრე მდიდარი და შეძლებული ხალხისა, რომელიც მართავს ქვეყანას და მის ეკონომიკას სათავეისოდ.

273. ოლიგოპოლია – სტრუქტურა, სადაც ბაზარში რამდენიმე გამყიდველი მომხმარებელს სთავაზობს ერთნაირ საქონელს.

274. ოპერაციები ღია ბაზარზე – ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა.

275. ოპტიმიზაცია – (საუკეთესო) უკეთესი ვარიანტების არჩევა სხვა შესაძლო ვარიანტებთან შედარებით.

276. ოხლოკრაგია – დემოკრაგია წესების გარეშე, როდესაც ხალხის უმრავლესობა მოხვდა დემაგოგიის ქვეშ, რის შედეგადაც ისინი ამყარებენ თავის დიქტატურას საზოგადოებაზე.

3

277. „პატიმრების“ დილემა – განსაკუთრებული „თამაშია“ ორ პატიმარს შორის, რომელიც გვიჩვენებს, თუ რატომაა თანამშრომლობა რთული, მაშინაც კი, როდესაც ეს ორივე მხარისთვის სასარგებლოა.

278. პიგუს გადასახადი – გადასახადი, რომელიც დაწესებულია უარყოფითი გარეგანი ეფექტების კორექტირებისათვის.

279. პირდაპირი პირადი გადასახადი – გადასახადის ამოღება პირადად იურიდიულ და ფიზიკური პირისგან.

280. პირდაპირი რეალური გადასახადი – მასში შედის საქონლის, მომსახურეობის ღირებულების გადასახადი და შეაქვს გამყიდველს.

281. პოზიტიური რისკი (შანსი) – წინხედვა, წინსვლით, ალტერნატიული განვითარების შეფასება, მოულოდნელი მოგება, შესაძლო სარფი, სადაც ალტერნატივა ნეგატიურს არ ნიშნავს.

282. პოლიტიკური გადასახადი – გადასახადი, რომელიც ვითომდა ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება, რომელშიც მავნე გამონაბოლქვის საწვავის, სიგარეტის და ალკოჰოლის ბედმეტად მოხმარების პროფილაქტიკური გადასახადია ჩადებული, რაც ფაქტობრივად სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას და ხალხზე ზრუნვის მომიზეზებით დივიდენდების მოპოვებას ემსახურება.

283. „პოსლემე“ – (რეალიზაციის შემდეგ, განვადებით) ეს როლესაც გასაყიდად ანდობთ საქონელს ბითუმად მოვაჭრეს – გაღამყიდველს და არა საცალო ვაჭრობას, ფორსმაჟორის გათვალისწინების გარეშე.

284. პროგრესი – სამყაროს მეცნიერული შემეცნება და მისი გონივრული ორგანიზაცია.

285. პროგრესული გადასახადი – რაც მეგია, შემოსავალი, მით მეგია გადასახადის პროცენტი, ე.ი. მაღალშემოსავლიანი გადამხდელი იბეგრება უფრო მაღალი გადასახადით.

286. პროვაიდერი – ადამიანი ორგანიზაციიდან, რომელიც გეთავაზობს თავის მომსახურებას კონტრაქტის საფუძველზე.

287. პროპორციული გადასახადი – პროცენტული გადასახადი ყველასთვის ერთია, შემოსავლის ოდენობის მიუხედავად.

288. პროპორციული საარჩევნო სისტემა – ირჩევენ სხვადასხვა პარტიებს, სადაც ხმების რაოდენობის მიხედვით, ყველა პარტია იკავებს პარლამენტში ადგილს, ვინც წინასწარ დადგენილ პროცენტზე ნაკლებ ხმას არ მოაგროვებს.

289. პროგექციონიზმი – ეკონომიკური პოლიტიკური მხარდაჭერა, ღონისძიება, როდესაც ცდილობენ დაიცვან ადგილობრივი მწარმოებელი მაგალითად ბაჟის შემოღებით იმპორტულ საქონელზე.

290. პროცენტი – ერთეულად მიღებული მთელის მეასედი ნაწილი ან ნაწილში, საერთო დაკრედიტებული თანხის შენახვასა ან ღეპოზიტივზე დაღებისას.

291. პროფკავშირები – მშრომელთა ასოციაცია, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს ხელფასის და სამუშაო პირობების შესახებ.

ქ

292. ქედრადი აზრები – თეორიულად ქვეყანაში და მის ეკონომიკაში ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს, პრაქტიკულად ეს ასე არ ხდება, რადგან სახელმწიფოს დაღვინება აკლია, ხალხს ცხოვრების კულტურა, საზოგადოებას ურთიერთგაგება და პატივისცემა ესაჭიროება, ამას ემაგება გენეტიკური უცნაურობა, მასის ბრბოდ გადაქცევის პერსპექტივა, ლიდერზე მოთხოვნილება, რომელიც ხშირად წყნარი ცხოვრების მოყირჩების შედეგია.

რ

293. რაოდენობის ეფექტი – ფაქტორის გავლენა პროდუქციის ფასის ცვლილებაზე, ფირმისგან ყველაზე მომგებიანი და მარეგულირებელი გავლენა, რომელიც ფირმამ გამოიყენა ჩანაცვლების მხედველობაში მიღების შემდეგ.

294. რაოდენობრივი განტოლება – განტოლება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ფულის რაოდენობას, მისი ბრუნვის სიჩქარეს და ეკონომიკაში წარმოებული საქონლის და მომსახურეობის ღირებულებას.

295. რაციონალური მოლოდინი – მომავალი პროგნოზების თეორია, რომლის თანახმადაც ოპტიმალურად იყენებენ მთელ ინფორმაციას სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ.

296. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი – საქონლის და მომსახურეობის წარმოების მოცულობა, გამოხატული მუდმივ ფასებში.

297. რეალური სავალუტო კურსი – კურსი, რომლითაც შეიძლება შევიძინოთ ერთი ქვეყნის საქონელი და მომსახურეობა, მეორე ქვეყნის საქონლით და მომსახურეობით.

298. რეალური ცვლადები – ცვლადები, რომელიც იზრდება ფიზიკურ სიდიდეში.

299. რეგრესიული გადასახადი – როდესაც მაღალშემოსავლიანი გადამხდელი იბეგრება უფრო დაბალი განაკვეთით, ვიდრე დაბალშემოსავლიანი.

300. რევალვაცია (რესტავრაცია) – ფულის ერთეულში ლითონის შემცველობის გადიდება ან კურსის ამაღლება სმღვარგართის ვალუტასთან შედარებით.

301. რეზერვები – დეპოზიტები რომელსაც ბანკი სესხად არ გასცემს.

302. რეზერვის ნორმა – დეპოზიტების ნაწილი, რომელსაც ბანკი ითხოვს რეზერვის სახით.

303. რეზიდენტი – სპეციალისტი, წარმომადგენელი.

304. რეკლამა – პოტენციურ მომხმარებელთა ინფორმირება საქონლისა და მომსახურეობის თვისებების შესახებ.

305. რესტიტუცია – დაბრუნება ყოველივე საკუთარის და საკუთრების.

306. რესურსების წარმოების მოდელი – ეკონომიკური მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ მოძრაობს რესურსების ნაკადი საოჯახო მეურნეობასა და ფირმებს შორის სხვადასხვა ბაზრების გავლით.

307. რეფორმა – საზოგადოების ცხოვრების მხარის ან მისი ეკონომიკური შესაძლებლობების გარდაქმნა, შეცვლა, რაც არის დაკავშირებული არსებული სტრუქტურების ლიკვიდაციასთან და მიმართულია პროგრესისაკენ.

308. რეცესია – უმუშევრობის ზრდისა და შემოსავლების შემცირების პროცესი.

309. რიკარდოს ეკვივალენტურობა – დებულება, სადაც დაბეგრა და სახელმწიფოს მიერ შიდა სესხების აღება ეკონომიკაზე იდენტურ გავლენას ახდენს.

310. რისკი (ალბათობა) – ფინანსური რისკის ანალიზი, რომელიც ორიენტირებულია მოსალოდნელ ბარალზე ან ხელიდან გაშვებულ სარგებელზე.

ს

311. საბაზრო ეკონომიკა – დეცენტრალიზებული სისტემა, რომელიც დამზადებულ საქონელს მომხმარებელზე ანაწილებს ბაზრის მეშვეობით.

312. საბაზრო ძალაუფლება – აგენტების გარკვეული ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს დამკვიდრებულ საბაზრო ფასებზე.

313. საბაზრო ჩაფარდნა – გარემოებათა გამო რესურსების უნებლიედ არაეფექტურად გადანაწილება.

314. საბიუჯეტო შეზღუდვა – ხელმისაწვდომი სამომხმარებლო კალათების სიდიდის ზღვარი.

315. საბოლოო პროდუქტი – პროდუქტი, რომელმაც გაიარა წარმოების ყველა ეტაპი. მზადაა მოხმარებისთვის და შუალედურ პროდუქტად არ გამოდგება.

316. საღაო გადასახადი – გადასახადი, რომელსაც აწესებს რომელიმე უწყება გარკვეული მომსახურებისათვის, რომელიც გაცილებთ აღემატება საქონლის ღირებულებას. მაგ. სავადმყოფოში ერთჯერადი ცელოფანის ამოსაცმელები „ბახილები“ ღირს 10 ცენტგი, ხოლო მისი თვითღირებულება ერთ ცენტგს არ აღემატება.

317. საერთო დანაკარგი – მთლიანი დანაზოგის შემცირება, რომელიც ბაზრის დამახინჯების შედეგია, გადასახადის და ფასის მონოპოლიზირებით.

318. საერთო რესურსები – საქონელი, რომელიც კონკურენცუნარიანია მაგრამ არ გამოირიცხადი.

319. საერთო საკუთრების გრაგედია – ჩმახი, რომელიც „გვიტკიცებს“, თუ რაგომ გამოიყენება საერთო რესურსები იმაგე მეგად, ვიდრე სინამდვილეშია და სასურველი საზოგადოებისათვის.

320. სავალუგო კურსი (სათამასუქო კურსი) – ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ფასის გამოხაგვა, მეორე ქვეყნის ფულის ერთეულით.

321. სავაჭრო ბალანსი – ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელი ექსპორგსა და იმპორგს შორის მიღებულ ღირებულებათა სხვაობის შესაბამისად.

322. სავაჭრო დეფიციტი – იმპორგის გადაჭარბება ექსპორგზე.

323. სავაჭრო ნიშანი – აიძულებს მეწარმეს, უკეთესი ხარისხის პროდუქცია გამოუშვას საქონლის მოთხოვნისა და ფასის გათვალისწინებით.

324. სავაჭრო პოლიგკა – სახელმწიფო პოლიგკა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს იმპორგირებული ან ექსპორგირებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე.

325. სავაჭრო უპირატესობა – ექსპორგის გადაჭარბება იმპორგზე.

326. საზოგადოებრივი დანაზოგი – საგადასახადო შემოსავალი, რომელიც სახელმწიფოს რჩება ხარჯების დაფარვის შემდეგ.

327. საზოგადოებრივი საქონელი – საქონელი, რომელიც არც კონკურენცუნარიანია და არც გამოირიცხვადი.

328. საიმპორგო ქვოგა – ქვეყნის გარეთ წარმოებული და ქვეყნის შიგნით გაციდული საქონლის რაოდენობის მედა მღვარი.

329. საკომპენსაციო სხვაობა – განსხვავება ხელფასებში, რომელიც ჩნდება სხვადასხვა სამუშაო ადგილების არამონეგარული მახასიათებლების საკომპენსაციოდ.

330. საკუთრების უფლება – მესაკუთრის უფლება ქონების ფლობაზე, გამოყენებასა და განკარგვაზე.

331. სალდო – ბულალგრული ანგარიმსწორება დებეგსა და კრედიგის ჯამებს შორის ანუ დარჩენილი თანხა.

332. სამართლიანობა – საზოგადოების წევრებს შორის ეკონომიკური კეთილდღეობის სამართლიანად განაწილება.

333. სამომხმარებლო დანაზოგი – სხვაობა იმ თანხებს შორის, რომელსაც გადამხდელი რეალურად იხდის (გამყიდველის შეფასებას გამოკლებული მყიდველის მიერ გადახდილი თანხა).

334. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ს.ფ.ი) – გიპიური მომხმარებლის მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულების მაჩვენებელი.

335. სამომხმარებლო საქონელი – საქონელი ან ეკონომიკური მომსახურება, რომელსაც მოიხმარს მოსახლეობა ინვესტიციური საქონლისგან განსხვავებით, რომელიც გამოიყენება სხვა საქონლის საწარმოებლად.

336. სამუშაო ძალა – დასაქმებულთა და უმუშევართა საერთო რაოდენობა.

337. სამუშაო ძალის დამქირავებელი – ის, ვინც ყიდულობს სამუშაო ძალას, როგორც წარმოების, ერთ-ერთ ფაქტორს, რაიმე საქონლის, მომსახურების წარმოებისთვის.

338. სამუშაო ძალის ხვედრითი წილი მრდასრულ მოსახლეობისათვის – მრდასრული მოსახლეობის ნაწილი, რომელიც შედის სამუშაო ძალაში და გამოსახულია პროცენტებში.

339. სამუშაოს ძიება – პროცესი, რომლის მეშვეობითაც მშრომელები ცდილობენ იპოვონ მათი გემოვნებისა და უნარის შესაბამისი სამუშაო.

340. სარგებლიანობა – კმაყოფილების საზომი სარგებლის განაკვეთი, გადასახადის ნასესხები საშუალებების გამოყენებისთვის განისაზღვრება პროცენტებში.

341. სარგებლის ნორმალური განაკვეთი – სარგებლის განაკვეთი, რომელიც არ არის კორექტირებული, ინფლაციის დონის მიხედვით.

342. სარგებლის რეალური განაკვეთი – სარგებლის განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია ინფლაციის მიხედვით.

343. სარგებლობის მიხედვით დაბეგვრის პრინციპი – იდეა, რომლის თანახმადაც, გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს იმ სარგებლობაზე დაყრდნობით, რომელსაც ადამიანები მომსახურებიდან იღებენ.

344. სარემბერვო მოთხოვნები – რემბერვების მინიმალური დონე, რომელსაც აწესებს ეროვნული ბანკი დეპოზიტების სიდიდე-

ესთან მიმართებაში და რომლის შენახვაც ბანკს კანონით ევალება.

345. სასაქონლო ფული – ფული, რომელიც იღებს რეალური ღირებულების მქონე ქონების ფორმას.

346. სასესხო კაპიტალის ბაზარი – ბაზარი, სადაც ვისაც დაზოგვა სურს, ფინანსური რესურსების მომწოდებელია, ხოლო ვისაც სესხი სურს, ამ რესურსების მომხმარებელი.

347. სასიცოცხლო ციკლი – ინდივიდის, შემოსავლების რეგულარული ცვლილების ამსახველი სხვადასხვა მოდელი, სიცოცხლის განმავლობაში.

348. საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა – მთავრობის მცდელობა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა, შეამციროს სახელმწიფოს დანახარჯები საქონელზე და მომსახურებაზე, ამასთან უზრუნველყოს შემოსავლიანი ნაწილი ბიუჯეტში დაბეგვრის ხარჯზე.

349. საქმიანი აქტიურობის ციკლი (ს.ა.ც.) – დონის პერიოდული შეცვლა, განისაზღვრება მ.ნ.პ. სიდიდით, რომელიც შეიძლება შემცირდეს ან გადიდდეს, რომლის დაწვრილებით ანალიზს ეკონომიკა ყოველთვის ვერ ახერხებს.

350. საქონელი – ეკონომიკაში ეს ტერმინი გამოიყენება საქონლისა და მომსახურების აღსანიშნავად, რომელიც იქმნება წარმოების პროცესში და წარმოადგენს გასაყიდად წარმოებულ შრომით პროდუქტს.

351. საქონლის ფეტიშიზმი – ნივთისადმი აღამიანის ბედის მოჩვენებითი დაქვემდებარება ე.ი. საქონელს მიაწერენ ისეთ მისტიკურ თვისებებს, რომელიც არ შეიძლება სინამდვილეში ჰქონდეს.

352. საყოველთაო კეთილდღეობა – ესაა ზრუნვა ხალხის ფართო მასებზე სამეურნეო საქმიანობაში ჩარევის და სოციალური რეფორმების გატარების გზით.

353. საშემოსავლო გადასახადი – ფიზიკური პირის შემოსავალზე დაკისრებული გადასახადი.

354. საშემოსავლო მთლიანი დანახარჯი – მთლიანი დანახარჯების განაყოფი პროდუქციის რაოდენობაზე.

355. საშუალო ასაკი – (40-55 წელი) – მათ აქვთ ყველაზე მაღალი განათლება, მოთხოვნები, ფასები არ აშინებთ. ეს ასაკი უყენებს მაღალ მოთხოვნებს განსაცემლს, ხარისხს, მოხდენილობას, მოდას შერწყმულს ორიგინალობასთან.

356. საშუალო მუდმივი დანახარჯი – მუდმივი დანახარჯის განაყოფი, პროდუქციის რაოდენობაზე.

357. საშუალო შემოსავალი – მთლიანი შემოსავლის განაყოფი გაყიდული საქონლის რაოდენობაზე.

358. საშუალო ცვალებადი დანახარჯი – ცვალებადი დანახარჯის განაყოფი პროდუქციის რაოდენობაზე.

359. საწარმოო ფასების ინდექსი – ფირმების მიერ საქონლისა და სამომხმარებლო კალათის შეძენაზე გაწეული დანახარჯების მაჩვენებელი.

360. საწარმოო ფუნქცია – დამოკიდებულება ნედლეულის, მასალების რაოდენობასა და წარმოებული საქონლის რაოდენობას შორის.

361. საწარმოო შესაძლებლობათა ზღვარი – წარმოების სხვადასხვა კომბინაციის გრაფიკი, რომელიც შესაძლებელია საწარმოო ფაქტორებისა და ტექნოლოგიის პირობებში.

362. სახელმწიფო ბიუჯეტი – სახელმწიფოს შემოსავლების და ხარჯების ნუსხა, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში.

363. სახელმწიფო ვალი – სახელმწიფოს ვალდებულებათა მთლიანი ღირებულება, რომელშიც შედის დაუფარავი სესხები, ვალდებულებები, კრედიტები და მათზე გადასახდელი პროცენტები. სახელმწიფო ვალი იყოფა, საშინაო და საგარეო ვალად.

364. სახელმწიფო შესყიდვა – ადგილობრივი და ფედერალური მთავრობის მიერ საქონლის და მომსახურების შეძენაზე გაწეული ხარჯები.

365. სახელმწიფო – განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაცია ეკონომიკურად გაბატონებული კლასის, მთელი ქვეყნის ფარგლებში უმაღლესი ძალაუფლების განსახორციელებლად.

366. სახელმწიფო საყოველთაო კეთილდღეობა – როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის მოქალაქეთა უფასო სამედიცინო მომსახურებას, დაზღვევას ავადმყოფობისას და უმუშევრობისას, მოხუცებულობის პენსიებს, დახმარება-შემწეობას, უფასო განათლებას და სესხის სახით სახლების მშენებლობას.

367. სახელმწიფო სექტორი – ეკონომიკის გარკვეული ნაწილი, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს მთავრობის სახით ან რეგიონის ადმინისტრაციას.

368. სახმარი ღირებულება – ნივთის სარგებლიანობის თვისება დააკმაყოფილოს ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნა.

369. სეგმენტი – ცნება-საქმიანობა ცალკეული ფირმების ფილიალების, რომლებიც თანმიმდევრულად ვითარდებიან და მმართველობაში მსგავსება ახასიათებთ.

370. სიმდიდრე – მესაკუთრის მთლიანი აქტივები (სახლების, ფირმების და ა.შ.) ყველა ვალდებულებების გამოკლებით.

371. სინერგიის მეთოდი – გონიერების შტურმის ნაირსახეობა, რომელშიც გაერთიანებული არიან სპეციალურად განსწავლულნი, რომლებიც შემოქმედებითი ძიებით ცდილობენ გადაწყვეტილების მიღებას.

372. სინქრონიზაცია – განაპირობებს ერთდროულ შეთანხმებას, ქმედებას.

373. სიღარიბის დონე – სიღარიბის მღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული ნაწილი.

374. სინერგია – კომპანიის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გადიდება, პაგარა ფირმების გაერთიანების შედეგად მათი ინტეგრაცია-შერწყმამდე.

375. სიღარიბის მღვარი – შემოსავლის აბსოლუტური დონე, დაწესებული მთავრობის მიერ გარკვეული სულადობის ოჯახისთვის და რომლის მიღმაც ოჯახს სიღარიბე ემუქრება.

376. სიღარიბის საწინააღმდეგო პროგრამა – სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რომლის მიზანია შემოსავლების გადანაწილება მდიდრებიდან ღარიბებისკენ.

377. სისშირე – კონტაქტების ოდენობის გაზრდის მიზნით პოტენციური მყიდველისთვის გარკვეულ დროის პერიოდში რეკლამით მიმართვა.

378. სეკუპციზმი – ფილოსოფიური მმართველობა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს, ობიექტურ ქმედებათა შესაძლებლობებს, კრიტიკულად, დაუჯერებლად ეპყრობა, ყველაფერს, მულამ ეჭვი აქვს რაღაცის მიმართ.

379. სპეციალიზაცია – მწარმოებლის, ფირმის ან მთავრობის გადაწყვეტილება, აწარმოოს მხოლოდ ერთი ან მცირე ნაწილი საქონლისა და მომსახურების, ბიზნესის გადასახედიდან.

380. სპეკულაცია – ყიდვა-გაყიდვა აქციების ობლიგაციების, ვალუტის, უძრავ-მოძრავი ქონების, ნაწარმის და სხვა ღირებულება-

თა მოგების მიღების მიზნით, სადაც მოგება წარმოიქმნება საწყისის ფასსა და რეალიზაციის შედეგად. ეს არის ჩვეულებრივი ფორმა ბირჟაზე თამაშის, საქმიანობის და კანონსაწინააღმდეგო ქმედებად არ ითვლება.

381. სპონტანურობა – ქმედება, რომლის მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა არ შეიძლება.

382. სრული ფასისმიერი დისკრიმინაცია – სიგუაცია, როდესაც მონოპოლია თითოეული მომხმარებლისთვის სხვადასხვა ფასებს აწესებს.

383. სრულყოფილი შემოსავლები – ორი საქონელი, რომელიც განურჩევლობის მართკუთხა მრუდეს შეესაბამება.

384. სრულყოფილი შემცვლელი – ორი საქონელი, რომელიც განურჩევლობის სწორხაზოვანი მრუდეები შეესაბამება.

385 სტაგნაცია – უძრაობა, წარმოებაში, ვაჭრობაში და ა.შ.

386. სტაგფლაცია – მეწარმეობის შემცირების და ფასების მრდის პროცესი.

387. სტიმული – მიზეზი, რომელიც რომელიმე ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას ბიძგს აძლევს.

388. სუბსტიტუცია – ერთმანეთის შემცვლელი საქონელი, რომელიც ასრულებს ანალოგიურ ფუნქციას და აკმაყოფილებს ასე თუ ისე მსგავს მოთხოვნას.

389. სუფსიდიები და მიზნობრივი ინვესტიციები – როდესაც ცდილობენ რეგულირების შესუსტებას გადასახადების შემცირების სახით წარმოებაზე, ბიზნესზე ინვესტორის წასახალისებლად ეკონომიკის გარკვეულ სფეროში. ეს ხდება ქვეყნის შედარებით ღარიბ რაიონებში, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია.

ბ

390. ტარიფი – წინასწარ განსაზღვრული ფასი, რომელიც დაწესებულია გარკვეულ საქონელზე.

391. ტექნოლოგიური ცოდნა – საზოგადოების უნარი, შეინარჩუნოს საქონლის და მომსახურების წარმოების საუკეთესო გზები.

392. ტექნოლოგიის გამოყენება – იაფი ნელეულიდან ცოდნის გამოყენებით მყიდველს შეგვიძლია მივაწოდოთ მაღალი ხარისხის იაფი პროდუქცია პირადი მოხმარებისთვის.

393. „გრაკია“ – პარტნიორები წლების განმავლობაში ერთად ეწეოდნენ კანონის საწინააღმდეგო ქმედებას, გარემოებათა გამო დაშორდნენ ერთმანეთს, ხოლო ერთ-ერთმა „დაჩაგრულმა“, წყენის მიზეზს თავის სასარგებლოდ გააგირაუა, გაამხილა ის, რაც არ უნდა ეთქვა და მოწინააღმდეგის ბანაკში გადავიდა, რაც ხშირად ხდება პოლიტიკაში, ბიზნესში.

394. გრანსაქციური ხარჯები – შეთანხმების დადების პროცესში წარმოქმნილი დანახარჯები, რომელიც საჭიროა ჩანაფიქრის გასახორციელებლად, უხდის მოლაპარაკების დროს.

395. გრენინგი – გარკვეული დეტალების დაზუსტება ვარჯიშის, სწავლების, გამეორებების საშუალებებით.

396. გრესტი – ანტიკონკურენტული გაერთიანება ფირმისა, შექმნილი იმისათვის, რომ ფასი აუწიოს საქონელს და შეამციროს დანახარჯები.

397. გრიპარტიზმი – მოდელი სოციალური პარტნიორობის, მშრომელებსა, მწარმოებელსა და სახელმწიფოს შორის ფედერალურ და ტერიტორიულ დონეზე.

398. ტიმოკრატია – საკუთარი ცენზის დადგენა, რამდენად სასარგებლო ხარ სამოგადოებისათვის, კარიერისთვის, საქმისთვის.

399. ტოტალიტარიზმი – ავტორიტარული ფორმა სახელმწიფოს მართვის, საქმიანობის და მისი სრული კონტროლი.

უ

400. უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი – საგადასახადო სისტემა, რომლის დროსაც შემოსავალი გრანსფერის სახით, მაღალშემოსავლიანიდან გადაინაცვლებს დაბალშემოსავლიან საოჯახო მეურნეობებში.

401. უბილეთო მგზავრობა – მომსახურებით სარგებლობა, მაგრამ ამ მომსახურებისათვის ფულის გადახდისაგან თავის არიდება.

402. „უვიცობის ნიღაბაფარებული“ – ეკონომიკის და ყოფის დილეგანტი, რომელსაც ბრმად სჯერა და მიაჩნია, რომ მთავრობა უნდა იყოს პატიოსანი, მრუნავედეს ხალხზე, ქვეყნის აღმავლობაზე, მისი პირადი ინტერესების გაუთვალისწინებლად.

403. უზუფრუქტი – ქონების გარკვეული დროით და მოთხოვნებით უფასოდ გადაცემა, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში ის გასხვისდება ან გაიყიდება.

404. უკუღმართი კანონიერება – საძროძობი დაგოვების გამო კანონი ვერ უზრუნველჰყოფს მის ძალას, რადგან ვინც კანონს პატივს სცემს, ემორჩილება, ის მაგერიალურად უფრო ცუდად ცხოვრობს, იმასთან შედარებით, ვინც არღვევს, რისკს ეწევა და ღრითა განმავლობაში თავის ღრის პიროვნებად წარმოიქმნება.

405. უკუგორება – წინასწარი გარიგების შედეგად, შეთავაზებულ ფასზე მედმეგის გადახდა, ხოლო შემდეგ ამ მედმეგი თანხის უკან დაბრუნება გასაღებული საქონლის სანაცვლოდ. ქრთამის აღების შენიღბული სახეა.

406. უმუშევრობის ბუნებრივი ღონე – უმუშევრობის ნორმალური ღონე, რომლის შემდეგაც უმუშევართა ღონე იცვლება და შეიძლება შემცირებისკენ შეგრიალდეს კიდევ.

407. უმუშევრობის დაზღვევა – სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ნაწილობრივ ავსებს უმუშევართა შემოსავლებს.

408. უმუშევრობის ღონე – უმუშევართა პროცენტული რაოდენობა სამუშაო ძალებთან შეფარდებით.

409. უმუშევრობა – როდესაც სრულწლოვან ადამიანს არა აქვს სამუშაო.

410. უმუშევრობა სემონური – როდესაც სამუშაო ძალა საქმდება ღრის გარკვეულ მონაკვეთში.

411. უმუშევრობა ციკლური – ეკონომიკურ გარემოებათა გამო ღრებითი გახდა უმუშევრობა.

412. უმუშევრობა ბუნებრივი – როდესაც უკეთესი სამუშაოს ძებნაში, ძველს ანებებ თავს.

413. უმუშევრობა სტრუქტურული – ხდება შემცირებები, როდესაც პროგრესი და იმპორტი ამცირებს მოთხოვნილებებს გარკვეულ სპეციალობაზე.

414. უმუშევრობა პროფესიონალური – როდესაც უმუშევარს მუშაობა არ სურს.

415. ურბანიზაცია – სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შეთანწყვილება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით და ურთიერთგანპირობებით, რაც გამოწვეულია, ქალაქებისათვის მზარდი როლის დაკისრებით, საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში.

416. ურთიერთფონდი – პორტფელური ინვესტიციის, ფინანსური ინსტიტუტების, რომლებიც მოსახლეობას თავის აქციებს სთავაზობენ და მიღებულ სახსრებს იყენებენ აქციების და ობლიგაციების სახით.

417. უკილგარიზმი – პოლიტიკური თეორია, რომლის მიხედვითაც მთავრობამ უნდა შეარჩიოს პოლიტიკა, რომელითაც საზოგადოების ყველა წევრი მიაღწევს სარგებლობის მაქსიმუმაციას.

ფ

418. ფარდობითი ფასები – მოდელი, სადაც ერთი საქონლის ფასი უცვლელია, ხოლო სხვა საქონლის ფასები განისაზღვრება ამ უცვლელ ფასთან შეფარდებით.

419. ფარდობითი გარიგება – შეთანხმება ბაზარზე მოქმედ ფასებს შორის, პროდუქციის ოდენობისა და ფასების შესახებ.

420. ფასების ზედა ზღვარი – კანონით დაწესებული მაქსიმუმი, რომლის ზევითაც საქონელი არ უნდა გაიყიდოს.

421. ფასების მოთხოვნის ინდექსი – ეკონომიკური მაჩვენებლები დაფუძნებული სასაქონლო ჯგუფის სახეებზე, მომსახურეობაზე და მათ ფასებზე.

422. ფასისმიერი დისკრიმინაცია – სხვადასხვა მომხმარებელზე სხვადასხვა ფასებში საქონლის მიყიდვის პრაქტიკა.

423. ფასის ქვედა ზღვარი – კანონით დაწესებული ფასების მინიმუმი, რომლითაც საქონელი უნდა გაიყიდოს.

424. ფაქტიური წარმოება – აუცილებელი რესურსი საქონლის საწარმოებლად, სადაც განისაზღვრება როგორც შრომა, კაპიტალი, მიწა, მეწარმეობა.

425. ფედერალური სარეზერვო სისტემა – ქვეყნის ცენტრალური ბანკი – აშშ-ი.

426. პიარი – უნარი საზოგადოებასთან ურთიერთობის.

427. ფიზიკური კაპიტალი – მოწყობილობები და შენობები, რომელიც გამოიყენება საქონლის და მომსახურების წარმოებისთვის.

428. ფილიპისის მრუდი – მრუდი, რომელიც ასახავს არჩევანს მოკლე დროის განმავლობაში ინფლაციასა და უმუშევრობას შორის.

429. ფინანსური ბაზრები – ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც ფულის დამოგვის მსურველებს შეუძლიათ პირდაპირ მიაწოდონ ფინანსური სახსრები სესხის სახით მსურველებს.

430. ფინანსური სისტემა – ერთობლივი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ერთი პიროვნების დანაზოგის და მეორე პიროვნების ინვესტიციების დაკავშირებას.

431. ფინანსური შუამავალი – ფინანსური ინვესტიციები, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ არა-პირდაპირ მიაწოდონ ფული მსურველებს.

432. ფსიქოლოგიური თარჯის (ბარიერის) გადალახვა – რომელიც გუშინ მიუღებელი იყო, დღეს ძვირია, ხვალ ჩვეულებრივია, ყოველდღიურობაა.

433. ფისკალური პოლიტიკა – სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ქმედებების მიერ გადასახადის აკრეფისა და მისი რაციონალურად ხარჯვის ღონისძიებათა ერთიანობა.

434. ფიშერის ეფექტი – ინფლაციის ღონის ცვლილების შედეგად, სარგებლის ნომინალური განაკვეთის ეკვივალენტური ცვლილება.

435. ფრიტრედერობა (ვაჭრობის თავისუფლება) – სამრეწველო ეკონომიკის და პოლიტიკის მიმართულება, რომლის წარმომადგენლები მოითხოვენ თავისუფალ ვაჭრობას და სახელმწიფოს ჩაურევლობას კერძო მეწარმეთა საქმიანობაში.

436. ფულადი მულტიპლიკატორი – ფულის ის რაოდენობა, რომელსაც საბანკო სისტემა ქმნის, რემერვს თითოეული დოლარიდან ან სხვა ვალუტიდან.

437. ფული – ქაღალდის ღირებულების ნომინალური ნიშნების აქტივები, რომელსაც სახელმწიფო უშვებს ხარჯების დასაფარავად, ადგენს იძულებით კურსს და იყენებს სხვა ადამიანებისგან საქონლის და მომსახურეობის შესაძენად.

438. ფულის ბაზარი – სასესხო კაპიტალი ბაზრის განსაკუთრებული სფეროა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკლევადიანი კაპიტალის სესხად გაცემა.

439. ფულის ბრუნვა – დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის დროსაც ფული ხელიდან ხელში გადადის.

440. ფულის გადასახადის ბალანსი – ანგარიშგება, რომელიც ასახავს ქვეყნის მონაწილეობას საერთაშორისო ვაჭრობაში, სესხებში, დაკრედიტებაში.

441. ფულის მულტიპლიკატორი – ფულის ის რაოდენობა, რომელსაც საბანკო სისტემა ქმნის რემერვების თითოეული დოლარიდან.

442. ფულის ემისია – მიმოქცევაში ფულის გამოშვება, რომელსაც ახორციელებს საემისიო ხაზინა, ბანკები, რაც ფულის მასის რაოდენობის მრდას იწვევს.

443. ფულის მსყიდველობითი ძალა – ფულის ერთეული უნდა გაიცვალოს საქონლის განმსაზღვრელ რაოდენობაზე, სადაც ვლინდება მათ შორის ჩამოყალიბებული პროპორცია.

444. ფულის მიმოქცევა – ფული, როგორც მიმოქცევის და გადასახადის გადახდის საშუალება განუწყვეტლივ მოძრაობაშია, რაც აღიღებს ბიუჯეტის შემოსავლებს.

445. ფულის მიწოდება – ეკონომიკაში არსებული (ჩადებული) ფულის რაოდენობა.

446. ფულის ნიშნების რეალური (საცვლელი) ღირებულების კანონი – მიმოქცევისთვის აუცილებელი ფულის ოდენობა მოცემული სიდიდისთვის, რომელიც უკუპროპორციულია მიმოქცევაში გამოშვებული ფულის ნიშნების რაოდენობის.

447. ფულის ნიშნები – ღირებულების ნიშნები, რომლებიც ცვლიან საქონელს, მომსახურეობას და მუდმივად მიმოქცევაში.

448. ფულის რეფორმა – სახელმწიფო ღონისძიება, რომლის მიზანია ფულის მიმოქცევის მოწესრიგება და ფულადი მომსახურების სისტემის განმტკიცება, რაც გამოწვეულია წარმოების წესით, პოლიტიკური სისტემით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით.

449. ფულის რაოდენობრივი თეორია – მოსაზრება, რომლის თანახმადაც ფულის რაოდენობა განსაზღვრავს ფასების დონეს, ხოლო ფულის რაოდენობის ზრდის გეგმა – ინფლაციის დონეს.

450. „ფული უნდა შოულობდეს ფულს“ – დიდი ფულის სინონიმი, სადაც მისი სარფიანი დაბანდების სხვადასხვა ვარიანტები იგულისხმება.

451. ფუნქცია – ორი ფირმის, ჯგუფის კავშირი, სადაც ერთის ცვალებადობა, წარმატება-წარუმატებლობა მეორის ცვლილებებს იწვევს. ხშირად ეს ტერმინი შედეგის მნიშვნელობითაც იხმარება.

452. ფუნქციონალური ხელმძღვანელი – მეთაურობს სპეციალიზირებულ განყოფილებას, სამსახურს და უზრუნველყოფს რომელიმე ფუნქციას: პერსონალის მართვა, დაგეგმარება, ფინანსური ნაკადი და ა.შ.

ქ

453. ქვაბის ეკონომიკა – რაც მეტ საქონელს უშვებ, მისი გამოშვების დანახარჯები და მომსახურეობა მცირდება.

454. ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა – საერთო ეკონომიკური ინტერესების განხორციელება საკუთარი თავის გაუთვალისწინებლად.

455. ქოუმის თეორია – დებულება, თუ მხარეები უდანახარჯოდ შეთანხმდებიან რესურსების განაწილებაზე, მაშინ ისინი ჩარევის გარეშე გადაჭრიან გარეგანი ეფექტების პრობლემებს.

ღ

456. ღია ეკონომიკა – ეკონომიკა, რომელსაც ძალდაუკანეხელი ურთიერთქმედება აქვს სხვა ეკონომიკასთან.

457. ღირებულების ზრდა – ვალუტის ღირსების ზრდა, რომელიც გამოიხატება უცხოური ვალუტის იმ რაოდენობით, რომლის შეძენაც მას შეუძლია.

458. ღირებულების საზომი – ერთეული, რომელსაც ადამიანები იყენებენ ფასების განსაზღვრისა და ვალების აღრიცხვისთვის.

459. ღირებულების შემცირება – ვალუტის ღირებულების შემცირება, ასახული უცხოური ვალუტის რაოდენობით, რომლის ყიდვაც მას შეუძლია.

460. ღირსეული და უღირსი საქონელი – ორივე შემთხვევაში ხელისუფლება ამოწმებს ხარისხს. პირველს განეკუთვნება: განათლება, სპორტი, ხელოვნება, რომელიც სახელმწიფოსთვის ძალზე მომგებიანია მიუხედავად მისი საჭიროებისა. ამასთან, ხარისხიანად მომზადებულ სპეციალისტებს ფირმები სიამოვნებით აფინანსებენ. მეორეს განეკუთვნება: სიგარეტი, ალკოჰოლი, ზოგიერთი წამალი, რომელთა მოხმარება არასასურველია, მაგრამ აკრძალვა არ შეიძლება.

ყ

461. გყუფარადის აღზრდის გადასახადი – თეორიულად ყველა შვილის, შვილობილის შემოსავლებიდან 21 წლის ასაკიდან მათდალაუკითხავად, ყოველთვიურად მშობლების ანგარიშზე გადაირიცხება მათი საერთო შემოსავლის 9%, იმის მიუხედავად, მათ მშობლებს ესაჭიროებათ ეს დახმარება თუ არა. განსხვავებით მამაკაცებიდან, გათხოვილი ქალების აგნარიშიდან მშობლებს ჩაერიცხებათ მათი შემოსავლის მხოლოდ 4%.

462. გყუფარადის ალიმენტუნარიანობა – თეორიულად ურჩი მშობლებიდან შვილების შესახებ თანხას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ამოიღებს, ხოლო სახელმწიფო თითოეულ ბავშვს თავად უხდის ყოველთვიურად ქვეყანაში არსებული საცხოვრებელი მინიმუმის ორჯერ მეტს.

463. გ.ყუფარაძის ასაკოვნება – თეორიულად, სიცოცხლის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით მომავალში საჭირო გახდება ასაკოვანი ადამიანებისათვის ცალკე საცხოვრებელის, დასაქმების, მოძიება და დასახლებების მშენებლობა, რადგან ტექნიკური პროგრესის და ცხოვრების ტემპის დაჩქარებით მათ გაუჭირდებათ აწმყოთი მცხოვრებ თაობებთან ურთიერთობა.

464. გ.ყუფარაძის გამბიგი (მუშა ფული) – თეორიულად, სახელმწიფოს მიერ ექსპროპირებული, გაყიდული, სხვადასხვა ჯარიმებით შემოსული თანხები ქვეყნის საერთო ბიუჯეტში არ აისახება, როგორც მუქთად ნაშოვნის და ეს თანხები მოხმარდება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, წამგებიანი საქმიანობის, საწარმოების გაჯანსაღებას, აუქციონზე გაყიდვას.

465. გ.ყუფარაძის განსჯადუნარიანი პროკურატურა – თეორიულად პროკურორს და მის მოადგილეებს ნიშნავს ქვეყნის პარლამენტი, რაც მათ აძლევთ არსებული და ახლად მიღებული კანონების გადამოწმების საშუალებას თუ რამდენად ეფექტურად მუშაობენ, პროკურატურა მოწოდებულია არა მარტო დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები, არამედ მოქალაქის ინტერესებიც, თუ მას ხელისუფლება უკანონოდ ექცევა და გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის შემდგომ თავად მოიყვანოს თავისივე გადაწყვეტილება სისრულეში. მგ. ქალაქის ხელმძღვანელობამ დევნილებს გაუყიდა თავშესაფარი და მის ნაცვლად უარესი პირობები შესთავაზა. განსჯადუნარიანი პროკურატურა აჩერებს ამ გარემოებას ან აყადალებს ქალაქის ბიუჯეტს და ამ თანხით თავად უძენს საცხოვრებელ ფართს.

466. გ.ყუფარაძის გარანტი – თეორიულად ყველა მოქალაქის უძრავი ქონება უნდა შეფასდეს მის მფლობელთან შეთანხმებით, რის შედეგადაც მისი მფლობელი იხდის ამ ქონების ღირებულების 1% წლიურად. შედეგად სახელმწიფო ვალდებულია სტიქიური უბედურების, გაძარცვის შემთხვევაში მის მფლობელს აუნაზღაუროს მარალი, ხოლო თუ სახელმწიფო აუცილებლობისთვის საჭიროა მისი ქონების ჩამორთმევა, მას მიეცემა შესაგყვისი ფართი ან აუნაზღაურდება ორმაგად უძრავი ქონება ღირებულების სათანადო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო ახალ საცხოვრებელ ადგილზე ფართის გამოყოფის შემთხვევაში მას მიეცემა დამატებით უძრავი ქონების ღირებულების ნახევარი, მიყენებული უხერხულობისათვის.

467. გყუფარადის გარემოს დაცვის ინვესტიცია – თეორიულად სახელმწიფო გასცემს გრძელვადიან უფასო კრედიტს ან თავად აშენებს თანამედროვე გამწმენდ საშუალებებს იმ გერიტორიაზე, სადაც მოსალოდნელია ინვესტიცია, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა ან სახელმწიფო თავადაა დაინტერესებული ამგვარი წარმოების ამუშავებით.

468. გყუფარადის გაყოჩაღების გადასახადი – თეორიულად წარმოება, ფირმა, არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც „მუშაობს“, გამოიყენება და თავის შესაძლებლობების ფარგლებში აწარმოებს პროდუქციის არა ნაკლებ 50%-ს, იხდის უძრავი ქონების ღირებულების 1%-ს, ვინც ნაკლებს აწარმოებს, ის იხდის უძრავი ქონების 5%, ხოლო ვინც ვერ იყენებს, ის იხდის ამ ქონების ღირებულების 10%-ს. უძრავი ქონება, რომელიც არ მუშაობს უნდა გასხვისდეს ან ვალებში წაიღებს სახელმწიფო.

469. გყუფარადის სამართლიანი ანაზღაურება – თეორიულად პარლამენტის წევრები, სახელმწიფო და სხვა პარამიგული აპარატი ხელფასს იღებს გადასაყვანი კოეფიციენტებით ქვეყანაში დადგენილი საცხოვრებელი მინიმუმის გათვალისწინებით და მათ უფლება არ აქვთ თვითნებურად ხელფასის, მივლინების ხარჯების გაზრდის. ქვეყანაში დგინდება კერძო ბიზნესისთვის მაქსიმალური ხელფასი.

470. გყუფარადის დაზღვევაუნარიანობა – თეორიულად ყველა წინასწარი შენაგანი, რაც უძრავი ქონების მშენებლობას ხმარდება, დაზღვეული უნდა იქნას სახელმწიფო ბანკის ეგიდით. ბანკი გრანტების სახით გასცემს თანხებს შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. ფორსმაჟორის ან უხარისხოდ შენების შემთხვევაში ბანკი ან ნდობით აღჭურვილი სადაზღვევო კომპანია თავად ამთავრებს მშენებლობას, ასწორებს უხარისხო შენებას ან გზის დაგებას.

471. გყუფარადის დანაწევრებული გადასახადი – თეორიულად ყველა გაერთიანება, ფირმა, ყველა გამოშვებულ ნაწარმზე გადასახადს იხდის ცალ-ცალკე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ცირკულარის შესაგყვისად. მგ. ნავთობის მოპოვება, მისი მილში გაგარება, ქარხანაში გადამუშავება, რეალიზაცია, ცალ-ცალკე პროცესია, მზა პროდუქცია და ყველა მათგანზე გაერთიანება, კონცერნი, ფირმა, დადგენილ გადასახადს იხდის ცალ-ცალკე.

472. გყუფარადის დაძალებითი ეფექტიანობა – თეორიულად, ხელისუფლება ქვეყანაში ღრთის გარკვეულ მონაკვეთში ნერგავს

ეკოლოგიის, ეკონომიკის და პოლიტიკის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს. მგ. ხუთი წლის განმავლობაში ყველა მსუბუქი მანქანა გადაყვანილი უნდა იქნან ელექტროძრავაზე, ხოლო ამ ძრავის აკუმლატორები უნდა დაიგვიროთონ ღამის საათებში შეღავათიანი ტარიფით, როდესაც ყველაზე ნაკლებად მოიხმარება ელექტრო ენერჯია ან მუქთად იკარგება.

473. გ.ყუფარაძის დევიზი – თეორიულად სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ყველა მოქალაქეს მიიღოს განათლება, ჰქონდეს საცხოვრებელი ფართი, გადაადგილების საშუალება, უზრუნველყოს სამუშაოთი, ხოლო თუ ვერ სწავლობს, საწვავს ვერ ასხამს, ბინის ქირას ვერ იხდის, სამუშაოს გულს ვერ უღებს ან არ მოსწონს, თავადაა დამნაშავე.

474. გ.ყუფარაძის ვალდებულუნარიანი ბლანკები – თეორიულად ყველა საქმიანი შეთანხმება, საქონლის მიწოდება, აღებ-მიცემობა უნდა გაფორმდეს სახელმწიფოს მიერ დანომრილ სხვადასხვა ღირებულებას ბლანკებზე, სადაც ყველა კანონიერი ხელშეკრულების გარანტიად სახელმწიფო გამოდის.

475. გ.ყუფარაძის „ვასაღებთ თუ ვიძენთ“ – თეორიულად ეს პოლიტიკონომიკური მცდელობაა სარგებლის ნახვით, რომელთაც ვცდილობთ ქმედება სამართლიანად და ბუნებრივად გამოიყურებოდეს.

476. გ.ყუფარაძის ვნების უნივერსიტი – თეორიულად ყველა სასწავლებელში უნდა ისწავლებოდეს სექსოლოგია, ხოლო 15-16 წლის ვაჟები ორი კვირით უნდა იგზავნებოდნენ ამ უნივერსიტეტში, სადაც პრაქტიკულად დაეუფლებიან ქალის აღერსის, მის შეცნობის და სიამოვნების მინიჭების ხელოვნებას, რაც მათი ბუნებრივი მოწოდებაა. შედეგად, შემეცირდება სქესთა შორის სექსის უცოდინარობით გამოწვეული გაუგებრობა, ოჯახის ნგრევა, მოუძმადებელი დაქორწინება. პრინციპში ამაზე საჭირო და უკეთესი რა უნდა ვასწავლოთ ყმაწვილს. ამ დაწესებულებით შეუძლიათ ისარგებლონ „მოყირჭებულმა“ მამაკაცებმაც, ხოლო ამ სფეროში დასაქმებული ქალები ოფიციალურად საკმაო თანხას დააგროვენ კონტრაქტით გათვალისწინებულ დროში და თუ მოინდომებენ, დაოჯახდებიან და სხვა პროფესიას დაეუფლებიან.

477. გ.ყუფარაძის ზედმეტი წონის გადასახადი – თეორიულად ვინც (სიმაღლის, წონის და ასაკის გათვალისწინებით) დადგენილ წონაზე 50%-ზე მეტს იწონის, თვითმფრინავში მგზავრობი-

სას იხდის გელმეგი ბარგის შესაგყვის გადასახადს, ხოლო ვინც 100%-ზე მეტს იწონის, ის თავისი ხარჯებით სამკურნალოდ იგზავნება სპეცდასახლებაში. გელმეგი წონის ხალხი, როგორც უნებისყოფონი, სახელმწიფო სამსახურში არ მიიღებიან, ისინი მხოლოდ კონსულტაციის როლით უნდა დაკმაყოფილდნენ და ისიც იშვიათ შემთხვევაში. უნდა აიკრძალოს გელმეგი წონის სპორტის სახეობების, საქმიანობის რეკლამირება.

478. გ.ყუფარადის თანამდებობრივი იმუნიტეტი – თეორიულად, თუ სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელი, მისი სამინისტროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის თანხაზე ყოველწლიურად თავისი შესაძლებლობებით დამატებით 10% გამოიმუშავეს, თანხმობის გარეშე მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანა კანონით აკრძალულია, ხოლო სამინისტრო, რომელიც თვითდაფინანსებაზეა გადასული და ყოველწლიურად ბრდის შემოსავლებს, მის საქმიანობაში მთავრობა არ ერევა.

479. გ.ყუფარადის თანამდებობრივი დანაშაული – თეორიულად ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს ის თანამდებობები, რომელთა სასჯელი ორმაგდება, თუ ისინი სისხლის სამართლის დანაშაულს ჩაიდენენ. რადგან სახელმწიფო მოხელემ თანამდებობა კი არ უნდა იმსახუროს, არამედ თავად უნდა ემსახუროს, რათა ქვეყნის და ხალხის ინტერესები დაცული იქნას იმ პრივილეგიურებისაგან რასაც ის იღებს.

480. გ.ყუფარადის თანასწორქმედითი ჯარიმები – თეორიულად ამ სახის ჯარიმებისთვის წესდება გარკვეული პროცენტი ყველა მოქალაქისათვის, ოღონდ წლიური შემოსავლიდან, რათა ეს ჯარიმა მდიდრისთვის და ღარიბისთვის ერთნაირად საზარალო იყოს, რადგან შეძლებული ადამიანი უფრო მეტი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს კანონს. მგ. ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში ტარებისას, დამნაშავეს დანაშაულის ჩაღენის დღიდან გადაეთვლება უკანა რიცხვით 12 თვის შემოსავალი, დაჯამდება და იქიდან გამოიანგარიშება წინასწარ დადგენილი ჯარიმის პროცენტი.

481. გ.ყუფარადის ინტელექტუალური გადასახადი – თეორიულად პოლიტიკონომიაში შექმნილი საიხლე, რომელიც რომელიმე ფირმაში, სახელმწიფო უწყებაში დაინერგა, აისახა პრაქტიკულად მოგებაში და იძლევა შესამჩნევ ეფექტს, ამ ინტელექტუალური საკუთრების მფლობელი სხვა დარგის მფლობელების მსგავსად იღებს კუთვნილ შემოსავალს ვთქვათ მოგების 10%-ს.

482. გ.ყუფარაძის ინტელექტუალური საკუთრების „ბზიკი“ – თეორიულად სახელმწიფო მოხელემ თავის ინიციატივით უნდა დანერგოს ინტელექტუალური საკუთრება – სიახლე, რომლისგანაც სახელმწიფო მიიღებს დამატებით შემოსავლებს, ხოლო მოგების 10% ხუთი წლის განმავლობაში მიიღებს სიახლის დანერგავი, შედეგად მოისპობა კორუფცია და მოხელე ეცდება ქრთამის, გამოძალვის ნაცვლად სიახლის დანერგვით მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

483. გ.ყუფარაძის იმქვეყნიური დაზღვევა – თეორიულად სიცოცხლის გარკვეულ ასაკში, სადაზღვევო კომპანიაში შეგაქვთ გარკვეული ოდენობის თანხა, ასაკის შესაბამისად, რათა სიკვდილის შემდეგ გარანტირებული იყოს თქვენს საფლავზე სამუდამო მშრუნველობა, რომელშიც შევა დასაფლავება, ქელების, საფლავის კეთილმოწყობის ხარჯები და სხვა, რასაც დაზღვევული პიროვნება მოისურვებს წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. თქვენს მიერ სადაზღვევო კომპანიაში შეგანილი თანხა ყოველწლიურად იზრდება, რადგან თანხა იდება ხელუხლებელ დეპოზიტზე, ხოლო ბანკის დანარიცხების 50% ძირითად თანხას ემატება, ხოლო მეორე 50% გადაიხდით სახელმწიფოს გადასახადს, სადაზღვევო კომპანიისთვის განკუთვნილ პროცენტს, დანარჩენი თანხა კი მოხმარდება საფლავის მოვლა-პატრონობას, რაც ყოველწლიურად მექანიკურად იზრდება. ამასთან, ისიც საამაყოა, რომ მიცვალებული იმ ქვეყნიდან სახელმწიფოს მის კუთვნილ გადასახადს უხდის.

484. გ.ყუფარაძის კონგროლირებადი ალებ-მიცემობა – თეორიულად ქვეყანაში ალებ-მიცემობა წარმოებს პლასტიკური საბანკო ბარათებით და ნაღდ ანგარიშზე. პლასტიკურ ბარათზე ალბეჭდილია მისი მფლობელის სურათი, ინიციალები, პირადი ნომერი და ორი თითის ანაბეჭდი ბარათის საღაროში გასატარებლად. განსხვავებით საბანკო ბარათისა, ნაღდ ფულზე შექმნილი საქონელი ძვირდება 25%, რაც საბოლოოდ იძლევა საშუალებას, რომ სახელმწიფო „წილში ჩაუჯდეს“, არა კანონიერი გზით ნაშთი ფულის ხარჯვას.

485. გ.ყუფარაძის მანდატურთა (წესრიგის მაყურებელთა) სამსახური – თეორიულად პარლამენტის საქმიანობას და დეპუტატთა ქცევის ნორმებს აკონტროლებენ მანდატურები და აღნიშნავენ საჯარიმო დღეებით. ვინც ერთი წლის განმავლობაში 105 საჯარიმო დღეს მოაგროვებს, ის დეპუტატი მექანიკურად თავისუფლდებ

ბა თავისი მოვალეობისაგან, ხოლო მისი წარმომდგენი საარჩევნო ოლქი მომავალ არჩევნებამდე რჩება დეპუტატის გარეშე. საჯარიმო დღეებია” 15 წთ. დაგვიანება – ერთი საჯარიმო დღე, პარლამენტში გამოუცხადებლობა 5 საჯარიმო, მივლინებაში წასვლა, პრემიენტთან შეხვედრა, საავადმყოფოში წოლა – ერთი საჯარიმო ყველა გაცდენილ დღეზე, კანონის ჩავარდნა – 10 ს.დ. კანონის შემომგან ყველა ჯგუფის წევრზე, უცნებურო სიგყვები 20ს.დ. და ასე შემდგომ.

486. გყუფარადის მონოპოლიზაცია – თეორიულად სახელმწიფო თავად აწარმოებს ან აწარმოებინებს ფირმებს გარკვეულ საქონელს, რომელსაც ეწერება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასი, რომლის რეალიზაციის დროს, სადაც არ უნდა ვაჭრობდნენ მისით, ფასის მომაგება აკრძალულია. ასეთი ნაწარმი შეიძლება იყოს ერთი სახის: სიგარეტი, არაყი, პური, ძეხვი, რძის ნაწარმი იაფი შეფუთვით.

487. გყუფარადის ნაცუსაფროთხოება – თეორიულად, ქვეყნის ყველა განაპირა ზოლში 30 კვადრატულ კილომეტრზე, თუ იქ ავტონომიური ოლქი არ არის, დასახლებული უნდა იქნას ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობის 80%, ხოლო იქ მცხოვრებელი სხვა ეროვნების მოსახლეობა უნდა გადავიყვანოთ, გაცილებით უკეთეს პირობებში ქვეყნის შიგნით. ასევე უნდა აიკრძალოს რომელიმე დასახლებულ უბანში ერთი ნაციონალობის წარმომადგენელთა დასახლება. შედეგად ქვეყანა დაცული იქნება სეპარატიზმის ჭირისაგან.

488. გყუფარადის პარლამენტი პერპეტუუმობილე – თეორიულად, მმართველი პარტიის პარლამენტის წევრებს ემაგებათ და მაჟორიტარი დეპუტატები და იქმნება ოთხკაციანი მუდმივი ჯგუფი, რომლებსაც ეძლევათ წლიური გეგმა, თუ რამდენი კანონი უნდა გამოიგანონ დასამტკიცებლად. მათთვის დგება დღის რეჟიმი. დღის პირველი ნახევარი ეთმობა კანონების გამოგანა-დამტკიცებას, მეორე ნახევარი მათ მომზადება-ოპონირებას, ხოლო დასვენების დღეები ამომრჩეველთა მიღებას. პარლამენტის ყველა წევრი დანომრილია. როდესაც ის სიგყვით გამოდის, ასახელებს მხოლოდ თავის ნომერს. პარლამენტს აქვს თავისი სასაუბრო ენა, ძალზე სიგყვაბუნწი და საქმიანი. პარლამენტში შემოღებულია საჯარიმო დღეების სისტემა, აიბულებს დეპუტატებს ბოლომდე დაიხარჯონ, საქმე აკეთონ და ნაკლებად „ილაყბონ“ ამგვარ სისტემის

შემოღება პარლამენტს საშუალებას მისცემს ის პროფესიონალებით დაკომპლექტდეს და არა პოპულისტი და შემთხვევითი ხალხით.

489. გყუფარადის პენსია – თეორიულად ყველა მოქალაქემ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდგომ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა სახის პენსია და დახმარება. მათ შორის ძირითადი პენსია, რომლის 50% იღებს ის პენსიონერი, რომელსაც შვილი არ ჰყოლია, 75% ვისაც ერთი შვილი ჰყავს და 100, ვისაც ორი და მეტი შვილი ჰყავს. (აქ გათვალისწინებულია უბედური შემთხვევაც) დანაზოგის პენსია – მოქალაქის მიერ საპენსიო ფონდში ნებაყოფილობით გადარიცხული თანხები ხელფასიდან. აღნიშნული თანხა შეჯამდება, გაიყოფა 240 თვეზე და განაყოფი თანხა დაენიშნება ყოველთვიურად მასვე. ინვალიდების პენსია სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით, ხელისუფალთა დამსახურების პენსია მოჭრილი თანხით, ან მიბმული ქვეყანაში გამოცხადებულ საცხოვრებელ მინიმუმზე, ქალაქის და ოლქის მიერ შესაძლებელია დაინიშნოს დამატებითი დახმარება, სამოგალოებრივი გარნსპორტით უფასო მგზავრობა, ბინის ქირის, ელექტრო ენერჯის, ბუნებრივი ჰაერის მოხმარების ღირებულების განახევრება და სხვა. ინვალიდების პენსიიდან განსხვავებით ყველა სხვა პენსია და დახმარება გაიცემა საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

490. გყუფარადის რეზერვაცია – თეორიულად სამჯერ სისხლის სამართლის მუხლით ნასამართლევი მოქალაქე მესამე მსჯავრის მოხდის შემდეგ გასახლებული იქნება სამუდამოდ მათთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ტერიტორიაზე – რეზერვაციაში და შუბლზე დაესმება ლათინური ასო V-ს დამდა. რეზერვაციაში მყოფნი თავად ირჩევენ თავიანთ მმართველობის სისტემას და მის ხელმძღვანელებს. ისინი სახელმწიფოს უხდიან გადასახადებს, იღებენ პენსიას, საჭიროების შემთხვევაში იღებენ დახმარებას უპროცენტო კრედიტით. რეზერვაციაში მცხოვრებთ ეკრძალებათ ტერიტორიის დატოვება და თუ ეს მოხდება, მაშინ ძალოვან სტრუქტურებს უფლება აქვთ, მათი ტერიტორიის გარეთ ნახვისას ლიკვიდაციის.

491. გყუფარადის რეზერვისგები – თეორიულად, პროფესიონალი სამხედროების გვერდით სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადიან ქვეყნის ჯანმრთელი მოქალაქენი 18-24-30-36-42-48 წლის ასაკში ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ სამ-სამი თვით, გარდა პირველი გაწვევისა, სადაც 18 წლის ახალგაზრდა მსახ-

ურობს ჯარში ექვს თვეს. ამ სახის რეზერვისტთა მომზადება საშუალებას გვაძლევს საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის 15%-მა მიიღოს მონაწილეობა სამხედრო კონფლიქტში.

492. გ.ყუფარაძის რისკის გადასახადი – თეორიულად, როდესაც ტექნოლოგია, ნელლეული, ნაწარმი, ახალია, ქვეყნისთვის საჭიროა, რეკომენდირებულია, ამასთან ის რაც ერთ ქვეყანაში საღებია, მეორე ქვეყანაში გრადიციების, მენგალიგეცის გამო გასაღებას ვერ პოულობს, მაგრამ მეწარმე რისკს ეწევა და ამ სახის საჭირო პროდუქტს აწარმოებს (მგ. ბაყაყის ფეხები, ნუგრიები, გველი ანაკონდას, მიდიები, ლოკოკინები მოშენება და სხვა) ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მას ანთავისუფლებს გარკვეული ღრით გადასახადებიდან და აძლევს უპროცენტო კრედიტს.

493. გ.ყუფარაძის სასჯელალგერნაგია – თეორიულად სასამართლო ძირითადი განაჩენის გამოგანის შემდგომ, მსჯავრდადებულს თავამობს სამი სახის ალგერნაგიაულ სასჯელს: პირველი – სასჯელს მოიხდის თავისუფალ გადასახლებაში განსაზღვრულ გერიგორიაზე, თუ მასთან ერთად იცხოვრებს მისი მეორე ნახევარი, ააშენებს საცხოვრებელს კრედიტით, გადაიხდის შემოსავლების 50%, არა ნაკლებ ერთ კილოგრამი ბაჯალო ოქროს ეკვივალენტის წლიურად და იყოლიებს შვილებს ან აიყვანს უპატრონო ბავშვებს. მეორე – გადაიხდის მისი სასჯელის შესაგყვის თანხას ერთღროულად, მესამე გარომგვა-გაჯოხვა. ძირითადი მსჯავრის ალგერნაგიაული სასჯელით შეცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩლე და მოპასუხე მის შეცვლაზე თანხმობას განაცხადებენ. ალგერნაგიაული სასჯელი ითვლება პირობით სასჯელად და მისი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ აღრე ნასამართლევი არ იყო.

494. გ.ყუფარაძის საყოველთაო სამართლიანობა – თეორიულად მოსარჩლისთვის და მოპასუხისთვის ცალ-ცალკე გამოაქვთ განაჩენი: თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა, ან პირობითი თავისუფლება. მგ. ერთმა თავშეყრის ადგილზე მეორეს შეაგინა – შეურაცხოფა მიაყენა, მეორემ გარკვეული კატეგორიის სხეულის დაზიანება მიაყენა. პირველს ვთქვათ, მიესაჯა ერთი წლით პაგიმრობა, მეორეს სამ წლამდე, მკურნალობის ხარჯების ანამღაურებით. ან გაგქურდეს იმის გამო რომ სიგნალიზაცია არ გქონდათ დაყენებული ბინაში, ქურდს მიესაჯა ვთქვათ, ხუთი წელი, ხოლო ბინის პატრონს ჯარიმა.

495. გყუფარადის საყოველთაო არჩევნები საგლეფონო გზავნილებით – თეორიულად ყველა კანდიდატი, ხმას იყრის მის მიერ არჩეული რეგიონის გლეფიზიაში. სახალხოდ პასუხობენ საარჩევნო კომისიის კითხვებს და მონაწილეობენ გლეფებაგებში. არჩევნები გარდება სამ გურად კვირაში ერთხელ. პირველ გურში გადის კანდიდაგებიდან ცხრა კაცი, მეორე გურში ექვსი, მესამე გურში სამი და აქედან საგლეფონო გზავნილების ოდენობის შესაგყვისად ირჩევენ კანდიდაგს. სხვა არჩევნებიდან განსხვავებით, ამ არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ 14 წლის ასაკიდან, იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველს აქვს საკუთარი მობილური გლეფონი და უცვლელი საგლეფონო ნომერი, რომლიდანაც დამესიჯება ყველა გურში, შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

496. გყუფარადის სახალხო „ბრენდი“ – თეორიულად ყველა ეროვნული სიმდიდრე სახელმწიფოს საკუთრებაა, რომელსაც ის განკარგავს და მისი ნებართვით კონგროლი და მასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს მისი გამოშვება. მგ. მინერალური წლალი „ბორჯომი“, „ნაბელლაფი“, „ბაგიათა“ და სხვა, ქართული სამარკო ღვინოები „ქინძმარაული“ „ხვანჭკარა“ კონიაკი „ენისელი“ და სხვა.

497. გყუფარადის სახელობითი დახმარებები (სტიპენდიები) – თეორიულად ყველა ქვეყნის მოქალაქეს აქვს უფლება თავის შემოსავლებიდან დანიშნოს სახელობითი მუდმივი დახმარება გარკვეული დაწესებულებისათვის, სასწავლო ინსტიტუტებისთვის, პენსიონერებისთვის, პიროვნებებისთვის, ფირმებისთვის. რომლებიც მუდმივ დეპოზიტზე შეიგანენ ბაჯალლო ოქროსი არა ნაკლები ხუთი კგ ეკვივალენტის ღირებულებას. ამ თანხის საბანკო დანარიცხის ნახევრიდან ხდება გადასახადების გადახდა და დახმარება – სტიპენდიის გაცემა. ხოლო თანხის მეორე ნახევარი იდება დეპოზიტზე და ემაგება პირველად შეგანილ თანხას. დახმარება სიცოცხლეში თავის შეხედულებისამებრ შეუძლია განკარგოს დახმარების დამნიშნავი.

498. გყუფარადის საჯიშე მამაკაცთა ინსტიტუტი – თეორიულად საჯიშე მამაკაცები გარეგნობით, განათლებით, სექსუალური მონაცემებით უნდა გამოირჩეოდნენ, უნდა ჰქონდეთ ძლიერი გენი, მათ ეს წოდება ეძლევათ სამი გამოცდილი ქალის რეკომენდაციის შემდგომ. მათ პირადობის მოწმობაში უკეთდებათ სათანადო აღნიშვნა. საჯიშე მამაკაცი ალიმენტს არ იხდის, განკარგავს თავის სპერმის ბანკს, აძლევს გვარს და გარკვეული შეღავათებით სარგე-

ბლობს სამსახურში. საჯიშე მამაკაცი არ ეგანება ალკოჰოლს, სიგარეტს, არა აქვს მანე ჩვევები. საჯიშე მამაკაცს რეკომენდაციას უწევს სპეციალური სამსახური, წყვილთა შერჩევით და გენეტიკურად მორგებით. მაგ. დაბალი ტანის ქალს თავაზობენ მაღალ მამაკაცს და პირიქით. ამდაგვარი ინსტიტუტის არსებობა შეამცირებს დაუნი და შეუხედავი ბავშვების ოდენობას და ამ ფემინიზმის მომრავლების ხანაში ხელს შეუწყობს მამაკაცის კულტის ჩამოყალიბებას.

499. გყუფარადის სპეცდასახლება ინვალიდებისათვის – თეორიულად ინვალიდებისთვის უნდა აშენდეს ქალაქი, დაბები შესაგყვისი საცხოვრებელი სახლებით, გადაადგილების საშუალებებით, გამოინახოს მათთვის შესაფერისი სამუშაოები, მოეწყოს დასასვენებელი და სამკურნალო ადგილები. ამ დასახლებებში ცხოვრების უფლება უნდა მიეცეთ იმათ, ვინც სურვილს გამოთქვამს.

500. გყუფარადის უალგერნაგივო გადასახალი – თეორიულად ქვეყნის ყველა მოქალაქე 14 წლის ასაკიდან, ჯანმრთელობის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე იხდის გადასახადს მის ანგარიშზე შემოსული თანხებიდან 10% 21 წლის ასაკიდან კი დამატებით აღზრდის გადასახადს 9% და უძრავი ქონების გადასახადს 1% ხოლო იურიდიული პირი იხდის შემოსავლის 10%, ხელფასის ფონდის 9% და უძრავი ქონების 1%, ამ გადასახადებს მათდაუკითხავად ჩამოაწერს ბანკი შემოსავლების სასარგებლოდ.

501. გყუფარადის უხუცესთა საბჭო – თეორიულად ეს სამსახური მოწოდებულია მონარქიის მაგვარი მმართველობის ალგერნაგივად. უხუცესთა საბჭოს მოვალეობაა პარლამენტის წევრების, მთავრობის, ქვეყნის პირველი პირის საქმიანობის შეფასება. არჩევიდან ორი წლის შემდგომ, თუ ისინი სათანადოდ ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას საბჭო შუამდგომლობს კონსტიტუციურ სასამართლოსთან და პარლამენტთან ამა თუ იმ არჩეული პირის განთავისუფლებაზე ან პასუხისგებაში მიცემაზე. საკმარისია მის წინადადებაზე ერთ-ერთმა გემთთ აღნიშნულმა მხარემ თანხმობა განაცხადოს და არჩეული თანამდებობის პირი იმდღესვე, მექანიკურად თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან. უხუცესთა საბჭო უგარებს გამოცდას კანდიდატებს არჩევნების წინ.

502. გყუფარადის ფასიანი მიღება – თეორიულად ქვეყნის პირველი პირი რიგით და ურიგოდ იღებს მთხოვნელებს წინასწარ ჩაწერით, ხოლო ურიგოდ შეხვედრის მსურველი იხდის, ვთქვით,

ქვეყანაში დაწესებულ საცხოვრებელ მინიმუმზე ხუთჯერ-ათჯერ მეტს.

503. გ.ყუფარაძის ფორგუნა – თეორიულად ან მისი ეგიდით მომუშავე ბანკი, ფირმა, ყიდის ექსკლუზიურ დანომრილ ნივთებს (ოქროს საათი, ჰალსტუხი, მობილური ტელეფონი, სავიზიტო ბარათი, კალენდარი და ათასი სხვა) და სავაჭრო დათმობის თანხიდან აწყობს მათზე გათამაშებას წელიწადში ოთხჯერ. ამ ნივთების ჩადება შეიძლება ბანკში გარკვეული დროით უფასო კრედიტის მისაღებად, ოღონდ ერთის პირობით: თუ კრედიტის აღების პერიოდში ექსკლუზიური ნივთი რაიმეს მოიგებს, ის ბანკის საკუთრებაში რჩება. სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს ქვეყნის მოქალაქემ გარკვეული სიმიდრე დააგროვოს, როდესაც მას ცხოვრებაში უმართლებს.

504. გ.ყუფარაძის შეწყნარების ლაგარეა – თეორიულად გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთათვის ყოველწლიურად თამაშდება ფასიანი ლაგარეა დარჩენილი სასჯელის შესამცირებლად ან გასათავისუფლებლად. ლაგარიაში თამაშდება 100-80-50-25-10% მოსახლელი წლები, რომელიც პოტენციურად აკლდება პატიმრის მსჯავრს ან თავისუფლდება. ლაგარიის მეშვეობით შემცირებული წლები, მსჯავრი, ითვლება პირობით სასჯელად.

505. გ.ყუფარაძის ჩიხიდან სასამართლოს გამოსავალი – თეორიულად სახელმწიფოს, კანონიერების ფარგლებში არ უნდა დარჩეს განუსჯელი, მიუხეობი, გაჭიანურებული საკითხი, რაც იწვევს გელმეგ დაპირისპირებას მოდავე მხარეებს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო საქმე წილისყრით და გრადიციების შესაგყვისად უნდა გადაწყდეს. – გ. ყუფარაძის სასამართლო სამართლის – თეორიულად სასამართლოს პროცესი არ უნდა გაგრძელდეს ერთ თვეზე მეტს ხანს. სასამართლო პროცესზე უნდა დაინიშნოს ძირითადი და სათადარიგო მოსამართლე, პროკურორი, ვეჭილი, რათა ერთ-ერთის ავადმყოფობის შემთხვევაში პროცესი არ ჩაიშალოს. გარანტირებული უნდა უნდა იქნას მოწმეთა დასწრება, თუ რომელიმე არ გამოცხადდება პროცესზე არასაპატიო მიზეზით, მოხდეს მისი დროებით დაკავება სასამართლო პროცესის დამთავრებამდე. კანონის თანახმად უდიდესი სასჯელი ფარავს უმცირესს და ეს საშუალებას აძლევს მსჯავრდადებულს სხვა გამოქვავებული დანაშაულიც აღიაროს, განიწმიდოს, მაგრამ საკმარისია მსჯავრდებულს ძველი დანაშაულის ჩადენა აღმოუჩინონ,

– და თუ ძველი და ახალი დანაშაულის ჯამი 15 წელს აღემატება, მაშინ მსჯავრდებულს სამუდამო პატიმრობა მიესჯება.

506. გ.ყუფარაძის ჯგუფური საარჩევნო სისტემა – თეორიულად გარკვეული ოჯახების ბაზაზე იქმნება ოთხკაციანი ამომრჩეველთა ჯგუფი, თუ საჭიროა, იმაგებენ რომელიმე მემობელს. ყველა გარკვეულ ჯგუფს მიეკუთვნება ამომრჩევლის ნომერი. არჩეული ჯგუფის უფროსი ერთი თვით ადრე უბნის საარჩევნო კომისიიდან იღებს დანომრილ ბიულეტენს კანდიდატთა სიით საარჩევნო სერტიფიკატებით. ჯგუფის წევრები ამ ხნის განმავლობაში ეცნობიან კანდიდატების ავ-კარგიანობას და არჩევნამდე რამდენიმე დღით ადრე იწვევენ ჯგუფის კრებას და ჯგუფის ყველა წევრი მის მიერ არჩეული კანდიდატის გვერდით მოაწერს ხელს. ჯგუფის უფროსი აღნიშნულ ბიულეტენს აბარებს საარჩევნო კომისიას და მის თვალწინ ხდება ჯგუფის ნომრის კანდიდატის ნომრების დაფიქსირება.

507. გ.ყუფარაძის ჯგუფური სამართალი – თეორიულად, სადარბაზოს, დასახლებას კრების ოქმის საფუძველზე, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს უბნის პოლიციელის მიერ, მობინადრეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რათა მათი სადარბაზოდან, უბნიდან გასახლებული იქნას გამოუსწორებელი ლოთი, სკლეროზის მქონე, ავადმყოფი დებოშიორი, პიროვნება რომელსაც ერთ სულზე მეტი ცხოველი ჰყავს ქალაქის პირობებში და ქმნის ანგისანიგარიას. ასეთ მოქალაქეებს სასამართლოს განჩინების საფუძველზე მათთვის განკუთვნილ სპეცდასახლებებში შესთავაზებენ იგივე მოცულობის, ფართის მქონე ბინებს, საცხოვრებელს. შედეგად მემობლები ურთიერთმორიდებულნი იქნებიან და თავს მეტ კონტროლს გაუწევენ.

შ

508. შავი ბაზარი – ეკონომიკის ის ნაწილია, რომელიც არ რეგულირდება და არ იბეგრება, ისინი ვაჭრობენ მაღალი ფასებით უკანონოდ და დეფიციტური საქონლით.

509. შეკვრა – ფასისმიერი დისკრიმინაცია, როდესაც მყიდველს აიძულებენ კარგ საქონელთან, მომსახურებასთან ერთად შედარებით უხარისხოც შეიძინოს, კომბინირებული ფასების დაწესებით, რომელიც ახლოა მყიდველებისთვის.

510. შედარებითი უპირატესობა – უპირატესობა მოპოვებული ინდივიდუალური მწარმოებლის, ფირმის ან მთავრობის პრო-

ტექციონალიზმით, იძლევა იმის შესაძლებლობას, აწარმოოს საქონელი მცირე დანახარჯებით, ვიდრე სხვა მწარმოებლებმა.

511. შემაჯავებლები – ერთ-ერთ საქონელზე ფასების ზრდა იწვევს მეორეზე მოთხოვნის შემცირებას და ფასდაკლებას.

512. შემოთავაზება – საქონლის და მომსახურების რაოდენობის შემოთავაზება გარკვეულ ფასში გასაყიდად.

513. შემოთავაზებული პროდუქტი ფულად გამოსახულებასი (შ.პ.ფ.გ) – მასში დევს საფუძველი შრომაზე მოთხოვნისა და ფაქტორის შეცვლა ახდენს შრომის მოთხოვნაზე გავლენას.

514. შემოსავლის დაბანდება – საწარმო, რომელიც შექმნილია ძირითადი ფონდების ხარჯზე და გათვალისწინებულია არენდით გასაცემად და შემოსავლის ამ გზით მისაღებად.

515. შემოსავალი – ფულადი გამოსახულება დამატებითი ღირებულებით მიღებული ბიზნესიდან.

516. შემოსავლის ეფექტი – ფასების ცვლილება იწვევს მომხმარებლის ცვლილებას და მის გადაადგილებას განურჩევლობის სხვა მრუდზე.

517. შემცველები – ორი საქონლიდან ერთ-ერთზე ფასის ზრდა იწვევს, მეორეზე მოთხოვნის ზრდას.

518. შერაცხადი შემოსავალი – საერთო შემოსავლების შესაძლო პოტენციალს გამოკლებული პოტენციური შესაძლო დანახარჯები.

519. შერწყმა – ორი ან მეტი საწარმოს აქტივების გაერთიანება.

520. შესადარი ღირებულება – ლოქტრინა, რომლის თანახმადაც ურთიერთმსგავსი სამუშაო ადგილებისთვის ერთნაირი ხელფასები უნდა გაიცეს.

521. შინაგანი ეფექტი – წარმოიქმნება ბაზრის და ეკონომიკური მთლიანობის დარღვევის შედეგად, სადაც ფასწარმოქმნელი მექანიზმი არ მუშაობს და წარმოება საბოლოოდ არაეფექტურია.

522. შრომა – ფიზიკური და გონებრივი მცდელობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკური საქმიანობისათვის.

523. შრომის ზღვრული პროდუქცია – პროდუქციის ნამაგი, რომელიც დამატებით შრომის ერთეულით გაზრდის შედეგია.

524. შუალედური პროდუქტი – საქონელი, რომლის წარმოების პროცესი არ დასრულებულა ან ექვემდებარება გადამუშავებას.

ბ

525. ჩაკეტილი ეკონომიკა – ეკონომიკა, რომელიც არ ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან.

526. „ჩამშვები“ – ვინც ახლობელს აბეზღებს, რომელიც დაუწერელი კანონებით და ქუჩის გრადიციების გათვალისწინებით კანონს არღვევს და მასის გარკვეული ნაწილი მის ქმედებას მხარს უჭერს.

527. ჩანაცვლების ეფექტი (ცვლილება მოხმარებაში) – როდესაც ფასების ცვლილება იწვევს მომხმარებლის უპირატესობების გადანაცვლებას განურჩევლობის მრუდის გასწვრივ, ჩანაცვლების მღვრული ნორმის ახალ წერტილებში.

528. ჩანაცვლების მღვრული ნორმა – პროცესი, როდესაც მომხმარებელი მზადაა ერთი საქონელი მეორეში გადაცვალოს.

ც

529. ცენტრალური ბანკი – ინსტიტუტი, რომელიც მეთვალყურეობს საბანკო სისტემას და არეგულირებს ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობას.

530. „ცენტერის პარიბუს (სხვა თანაბარ პირობებში) – გამოყენება იმ დაშვების აღსანიშნავად, რომ ყველა ცვლადი მუდმივია, გარდა იმ ერთისა, რომელსაც შევისწავლით.

531. ცვალებადი დანახარჯები – დანახარჯები, რომელიც წარმოებული პროდუქციის რაოდენობასთან ერთად იცვლება.

532. ციკლური უმუშევრობა – უმუშევრობის გადახრა მისი ბუნებრივი დონიდან.

533. ცხადი დანახარჯი – დანახარჯი, რომელიც საჭიროა სხვადასხვა სახის რესურსების შესაძენად.

534. ცხოვრების დონე – მოსახლეობის შრომა, ყოფა, დასვენება უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიღწეულ დონეს.

ძ

535. ძალაუფლების ეკონომიკური მცდელობანი – ხელისუფლების ის ეკონომიკური მცდელობა, რომლის გონიერებაზე, წინჭვრეტაზე, შეუპოვრობაზე დამოკიდებულია ქვეყნის შემდგომი კეთილდღეობა, განსაკუთრებით მესამე რიგის ქვეყნებში.

536. წამახალისებელი ხარჯები – თეორიულად, წახალისების მიზნით, ფირმა, საწარმო რუგინული სამუშაოს შემსრულებლებს აჯილდოებს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ: ფულადი პრემიით, საჩუქრებით, გზავნის დასასვენებლად, მათ შორის საზღვარგარეთაც, რათა თანამშრომლების ყოფაში ხალისი შეიგანოს, რომ მათ მოსაწყენი სამუშაო არ შეიცვალონ ან გაფიცვა არ მოაწყონ.

537. წარმოების ბუნებრივი ღონე – წარმოების მოცულობა, რომელიც მიიღწევა უმუშევრობის ბუნებრივი ღონის პირობებში.

538. წარმოების ეფექტიანი მასშტაბი – პროდუქციის მოცულობა, რომლის წარმოების დროსაც საშუალო მთლიანი დანახარჯები მინიმალურია.

539. წარმოების მასშტაბის არაეკონომიკურობა – როდესაც გრძელვადიანი საშუალო ან მთლიანი დანახარჯები იზრდება საშუალო შეწონილი პროდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად.

540. წარმოების მასშტაბის ეკონომიკურობა – თვისება, როდესაც გრძელვადიანი პერიოდის საშუალო მთლიანი დანახარჯები მცირდება პოდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად.

541. წარმოების მოცულობა – საწარმოს მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში წარმოებული საქონლის და მომსახურების რაოდენობა.

542. წარმოების ფაქტორები – რესურსი, რომელიც აუცილებელია საქონლის წარმოებისათვის და რომელსაც განსაზღვრავს შრომა, მიწა, კაპიტალი, მწარმოებელი.

543. წმინდა ექსპორტი – უცხოელების მიერ შექმნილი საქონლის ღირებულების და სამამულო რეზიდენტების მიერ შექმნილი უცხოური საქონლის ღირებულების (ექსპორტის და იმპორტის) სხვაობა.

544. წმინდა უცხოური ინვესტიცია – უცხოურ აქტივებში, სამამულო რეზიდენტების მიერ გადახდილი თანხა და სამამულო აქტივებში უცხოელთა მიერ გადახდილი თანხის სხვაობა.

545. წონასწორობა – სიგუაცია, როდესაც მოწოდება და მოთხოვნა გაწონასწორებულია.

546. წონასწორული რაოდენობა – როდესაც საქონლის მოწოდება და მოთხოვნა ერთმანეთს ემთხვევა.

547. წონასწორული ფასი – ფასი, რომელიც აწონასწორებს მოწოდებას და მოთხოვნას.

ჭ

548. ჭარბი მოწოდება – სიგუაცია, როდესაც მოწოდება მოთხოვნაზე მეტია.

549. ჭარბი მოთხოვნა – სიგუაცია როდესაც მოთხოვნა მოწოდებაზე მეტია.

550. ჭარბი სიმძლავრე – სიგუაცია, როდესაც მონოპოლისტი გეგმავს წარმოებას ისე, რომ ის გაცილებით ჩამორჩება საშუალო მთლიან დანახარჯების მინიმალურ ღონეს.

ხ

551. ხაზოვანი (გუნდის) ხელმძღვანელი – მთლიანად ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას რომელიმე ობიექტზე.

552. ხარჯები – სახელმწიფოს, მომხმარებლის, მწარმოებლის მიერ გაწეული ფულადი ხარჯები.

553. ხელფასის ეფექტიანი განაკვეთი – ხელფასი, რომელიც გაწონასწორებულ ხელფასზე მეტია, რომელსაც გასცემენ ფირმები, მწარმოებლობის გაზრდის მიზნით.

554. ხრემოცისტიკა – მარაგის დაგროვება ან გამორჩენის ხელოვნებით მწარმოებლობა.

ჯ

555. ჯიფენის საქონელი – საქონელი, რომელზედაც მოთხოვნა იზრდება ფასების მაგების მიუხედავად.

კ

556. ჰიპერკონკურენცია – როდესაც ცვლილება ხდება საბაზრო ურთიერთობის ყველა სფეროში, წარმოიქმნება ახალი მომსახურება. შედეგად იცვლება მონაწილეთა შემადგენლობა და იზრდება ვარიანტი საწარმოების შთანთქმის, შერწყმის.

557. ჰოლანდიური დაავადება – როდესაც ერთი ვალუტის გამყარების შედეგად, ექსპორტი ძვირდება, ხოლო ფულის დევალვაციის შედეგად იმპორტი იაფდება, ეს კი ინფლაციას იწვევს.

558. ჰორიზონტალური სამართლიანობა – იდეა, როდესაც მსგავსი გადახდისუნარიანობის მქონე პირებმა ერთნაირ გადასახადი უნდა გადაიხადონ.

შინაარსი

წინათქმა.....	3
შესავალი	6
იდეოლოგია – ტრადიციები.....	9
პოლიტიკა	20
პოლიტიკური პარტიები, არჩევნები.....	36
ქვეყნის ეკონომიკა და მისი ბერკეტები.....	45
უხუცესთა–ბრძენთა საბჭო	50
პარლამენტი.....	53
სახელმწიფო	60
ქვეყნის პირველი პირები	69
მთავრობა	74
ბიუჯეტი და მისი შევსების რაციონალური ხერხი.....	78
თავდაცვის სამინისტრო	85
ადმინისტრაციული ორგანოები და მათი სამსახურები	90
სასამართლო – პროკურატურა.....	93
შინაგან საქმეთა სამინისტრო.....	103
იუსტიციის სამინისტრო	108
დასაქმების და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამინისტრო	112
ფასების რეგულირების სამსახური	122
განათლების სამინისტრო	125
სოფლის მეურნეობის და გადამუშავების სამინისტრო	134
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	143
კულტურა, სპორტი, ტურიზმი	147
საჯიშე მამაკაცთა ინსტიტუტი	152
ვნების სახლი	156
ნარკომანია	159
სიყვავა, რომელიც ყველგან არ ითქმება	161
და ბოლოს	168
ქვეყნის პირველი პირის ასი დამოძღვრა	171
ცხოვრების ასი პოსტულატი	179
გლოსარი-გასათვითმცნობი	187

რედაქტორი:	პროფ. ლელი ჭანტურია
ტექნიკური რედაქტორი:	პროფ. დავით თაქთაქიშვილი
მხატვარი:	პაატა ყუფარაძე
კორექტორები:	ნანული ყუფარაძე, ეთერ ყუფარაძე, მერი შავლუხაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	პაატა ქორქია

პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოცემა
ბიორგი ყუფარაძე
„**უანალოგო პოლიტიკონომია**“

Политика-экономическая издание

Купарадзе Георгий

ПОЛИТИКА БЕЗ АНАЛОГА

ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.01.2009

ფორმატი საბეჭდი ქაღალდი: 60x90^{1/16}

ბეჭდვა ოფსეტური: პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,95

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,90

შეკვეთა 106

ტირაჟი 1000 ც.

გამომცემლობა „დავითი“, ფიზიკის ინსტიტუტი
თბილისი, თამარაშვილის ქ. 6.